ქრონიკა

ღალმი რუსთაველის გამზირზე
© ხმლეს რუსანი, 2014

5 2017

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 59-ე წელი | სექტემბერი-ოქტომბერი | №5 | 2017 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე

ცისანა ანთაძე

გენრი დოლიძე

შოთა ზოიძე

დავით თედორაძე

ლალი კონცელიძე

გუნა სამნიძე

რამაზ სურმანიძე

ჯემალ სურმანიძე

ბელა ქებურია

ვახტანგ ღლონტი

თინა შიოშვილი

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

© „ჭოროხი“, ბათუმი, 2017

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
სტამბა კოლორში

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

დავით თედორაძე – ლექსები 3
შალვა კვასხვაძე – მოთხრობები 8
სულხან წულუკიძე – ლექსები 26
ხედვა როკახ, იტაი ბახურ – ხედვა ისრაელიდან 34
გორვანელი – ლექსები 42
ლევან ანანიძე – ლექსები 47
ანა დუნდუა – ძნელია უშენობა (ნოველა) 48

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ვენდი მერსერი – გერმანული რომანტიზმი და ფრანგული ესთეტიკის თეორია
(ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი ჟანსკიმ**) 56

ისტორია

ოთარ გოგოლიშვილი – ერი და ნაციონალიზმი 66

ფოლკლორი

თინა შიოშვილი – ტაოს ხალხური მარგალიტები 72

წყაროთმცოდნეობა

მიხეილ მახარაძე – ფრაგმენტები ქართულ ფილოსოფიაზე
და ქართველ ფილოსოფოსთა ცხოვრებიდან (გაგრძელება) 77

უცხოელები

ილია აბულაძე – მოსმენილი და მონაყოლი ილია აბულაძის შესახებ 95

კოლეგიალური და ინტერაქტივი

ტარიელ ფუტკარაძე – თანამედროვე ბათუმი: ინტერესთა კონფლიქტი და პერსპექტივა 110

რეცენზია

ლალი კონცელიძე – ოთარ გოგოლიშვილის ორი მონოგრაფია 119

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲔᲓᲝᲠᲐᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲠᲩᲔᲜᲘ

იქით მცხეთა მელოდება,
მელოდება გორი აქეთ,
ბიჭებს მერე დავურეკავ,
მერე ავაფორიაქებ.

გავექცევი ლომებს ფხიზელს,
რესტორნების აცილებით,
ქუთაისში ვნახავ მიზეზს
დათრობის და წაძინების.

ელგუჯასთან* სხვა ხიბლი აქვს,
სხვა მადლი და სხვა მარილი
ნაკურთხ ციცქა-ცოლიკაურს,
მკურნალს უფლის წამალივით.

ვიცი, ერთ დროს ქუთაისი
საქართველოს ინახავდა,
ხსოვნა გვმართებს გელათში და
ბაგრატში მწოლ წინაპართა.

შევეგუეთ სარფში წერტილს...
ენგურს გაღმა დასმულ მძიმეს...
გვაპატიებს, განა, ღმერთი,
შუქს რომ ვაქრობთ მოციმციმეს.

ჩვენი ნებით – ბედკრულები,
ვუვარდებით ფაშვში მოლას,

* ელგუჯა თავბერიძესთან, ბრწყინვალე მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან.

ქუთაისო, მეგულები
ამ ზვირთებში მაშველ რგოლად.

ვენაცვალე შენს ტკბილ ქართულს,
სტუმრის გაოცების ჯადოს,
საქართველოს გადამრჩენი
ღმერთმა ქნას, აქ დაიბადოს!

სამწუხაროდ

ვინიშნები
საქართველოს კარისკაცად,
ისტორიას
ცრემლის სხივით ვქარგავ,
თურქს
არ ახსოვს, რაც ოსმალომ წარიტაცა,
სამწუხაროდ,
გამხსენებიც არ ჰყავს.

რომელ ფესვს და
რომელ ღეროს მოვეჭიდო,
უფსკრულისკენ
მიმაქანებს ზვავი,
სიბრძნის წიგნი
უნდა მოგცე, ჩემო ბიჭო,
სამშობლო გაქვს
სიბრძნით დასაცავი.

ბაღლინჯო კრავის მანტიით

გამოძვრება
სორო-სიდან ბაღლინჯო,
დაგგესლავს და
გადიქცევა კრავად,
უნამუსოს
მაწანწალა ძაღლი სჯობს –
დაგყნოსავს და
თავისი გზით წავა.

პასუხი დათუნას

შვილისშვილს

ბაბუ, როგორ მიყვარხარ –
რანაირად მოვყვე,
ბაბუ, შენი გულისთვის
დევებს თავებს მოვკვეთ.

გავაჩერებ მდინარეს,
გავანათებ ქალაქებს,
ბაბუ, როგორ მიყვარხარ –
რისთვის მალაპარაკებ.

ბაბუ, თვალის ჩინი ხარ,
ბაბუ, ჩემი ბედი ხარ,
სიყვარულზე ტკბილი ხარ და
სიყვარულზე მეტი ხარ.

უკვდავების წყარო ხარ,
ციდან ჩამონადენი,
ლოცვანივით წმინდა ხარ და
ლოცვასავით ნათელი,
ისე შვენი სამშობლოს,
როგორც ტაძარს – სანთელი.

ბაბუ, თვალის ჩინი ხარ და
ბაბუ, გულის ჩინი ხარ!

ღვინოს გადაღება

მარანში ვარ,
სხვა რანგში ვარ,
გამიმეფდა ღვინო,
ანგელოზი ჩამჩურჩულებს,
ნუ წახვალო წინო...
ფიალიდან მიბრიალებს
ჭინკა ელამ თვალებს,
ამ გაპუტულს,

ამ გაქუცულს
ვერსად დავემალე...
მარანში ვარ,
სხვა რანგში ვარ,
„დივლი დალალალე...“
მზის ემბაზში ნაკურთხი ხარ,
ღვინოვ, გენაცვალე.

პაპარაცი რა კაცია?!

გაუმარჯოს პაპარაცებს,
მე თუ მკითხავთ – ხელოვანებს,
ურცხვად ჩასაფრებულ კაცებს,
მუნჯებს, არა ენოვანებს.
გაუმარჯოს!
მათი ფასი
იცის ჩვენმა მასმედიამ,
ჩაუსაფრდით,
ხალხს ის უნდა,
კომიკური რაც მეტია.
ხალხს მობეზრდა დაწყობილი
განწყობა და სიფათები.
თქვენ ხომ კი... და
ჩვენაც ვიცით,
რა ემბაზშიც ინათლებით.
პაპარაცი რა კაცია?
მე თუ მკითხავთ, მამაცია.

პარკში აკრეფილი

ეს ქოქოსი გოგოსია...
ბიჭს რა უჭირს...
გოგოს შია...
ბიჭი წამალს ეტანება...
გოგო სექსს თვლის ნეტარებად...
ლამის სული ამოხაპოს
ევროპულთან შედარებამ.
ჩაგქოლავენ ენჯოები,
თუ სამშობლო გედარდება.

ზულფიას

ეპრანჭები სიბერეს,
წლები არც შენ გზოგავს,
მოდი, ისე მიმღერე,
გამახსენოს ყრმობა.

გამახსენოს თიბათვის
ღამე მთვარიანი,
წელს ქვემოთას იცავდი
ქალი ქმარიანი.

ახლაც მიკვირს, რა გქონდა,
ქალო, დასაცავი,
კრუსუნებდი, კვნესოდი
მარტის კატასავით.

შემხვდა შენი აბდალი,
გახსენებდა ქებით,
იყავ ცამდე მართალი,
უხდებოდა რქები.

შაღვა კვასხვაძე

ჩვენთან, ნიუსრუმში
(ფრაგმენტები)

წინათქმის მაგვარი

დირექტორის მისაღები, დანიშნულებიდან გამომდინარე, ნათელი, მყუდრო და მოსახერხებელია. ერთადერთ მაგიდასთან ახალგაზრდა მდივანი ზის. გოგონას უხდება მოდაზე დავარცხნილი ოქროსფერი თმა და სპორტული სტილის ტანსაცმელი, რომელიც უფრო უშუალოს და მიმზიდველს ხდის.

– შეიძლება? – როცა იცი, უკან არავინ მოგაბრუნებს და მაინც იკითხავ, იმ ვითარებაში ვარ ახლა. – სამზე უნდა მოვსულიყავი, დაბარებული ვარ...

– ვიცი, გელოდებათ, შებრძანდით... – მოკლედ, სხარტად და ლაკონურად მომიგო მდივანმა და გაიღიმა. არ უკითხავს, რა საკითხზე მინდოდა მისი შეფის ნახვა. არც ის შეუხსენებია, დაღლილია და შეეცადეთ, დიდი დრო არ წაართვათო. გუმანით ხვდებოდა, მომსვლელთა უმეტესობა მთხოვნელი იქნებოდა, ცხოვრებისგან გატანჯული და დაღვრემილი, ამოტომ, მათ გაღიზიანებას ერიდებოდა...

როგორი თვალი გამომაყოლა, არ დამიფიქსირებია, იქვე, სარკეში, თავი რომ დავლანდე, უმუშევრის და შეჭირვებულის არაფერი მეტყობოდა, 20-25კილოგრამი ზედმეტი წონაც რომ მომეშორებინა თავიდან, ჩემი გათვლით, არ მაწყენდა...

კარებზე დაუკაკუნებლად შევედი. ოთახის შუაგულში იდგა, ხელში ტელევიზორის პულტი ეჭირა და გადაცემას უყურებდა. დანახვისთანავე ტელევიზორი გამორთო, პულტი მაგიდაზე დადო, მომიახლოვდა და ხელის ჩამორთმევით მომესალმა. შემდეგ მანიშნა, ჩამოვმჯდარიყავი.

მე დივანზე მოვკალათდი, ის სავარძელში ჩაჯდა. პირისპირ ვუყურებთ ერთმანეთს.

შევატყვე, კარგ ხასიათზეა, მშვიდი და კეთილი სახე აქვს.

– აბა, ხვალიდან შეუდგები საქმიანობას... – გამახარა, შემდეგ ცოტა ხნით პაუზა გააკეთა, სათვალე მოიხსნა და ლინზების ცხვირსახოცის წმენდა დაიწყო. – ვიცი, ხანგძლივი პაუზა გამოგივიდა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე წარსულია, დაივიწყე, თანაც, რაც შეიძლება მალე. ახლა ჩვენთან ხარ... ტელევიზიაში იმუშავებ, რადიოს ვარიანტი გამორიცხე... აქ ხარ საჭირო, საინფორმაციოში...

– წყნარი ხმით მითხრა, სათვალე გაიკეთა და ჩემ რეაქციას ისე, სხვათა შორის დაელოდა.

მე უფრო რადიოს მოლოდინი მქონდა, სხვა თუ არაფერი, სამ ათეულ წელზე მეტი ვიმუშავე რადიოში, ყველა საფეხური გავიარე, ბოლოს, საინფორმაციო სამსახურის უფროსი ვიყავი, ძლიერი გუნდი მყავდა და მომწონდა კოლეგებთან ყოველდღიური ურთიერთობა, ფუსფუსი, მსჯელობა, კამათი. წლების მანძილზე ერთ დიდ ოჯახად ჩამოვყალიბდით, ოჯახისათვის დამახასიათებელი ყველა კარგი თუ გამაღიზიანებელი თვისებებით.

შეკამათებას აზრი არ ჰქონდა.

ფეხზე წამოვდექი.

– ახლა კადრებში შეიარე და კონტრაქტს მოაწერე ხელი. – კარებამდე მიმაცილა და დამაიმედა – ნიუსრუმში არ გაგიჭირდება საერთო ენის გამონახვა, კომუნიკაბელური ხარ და იუმორიც გიჭრის, ახალ კოლეგებსაც გაიცნობ და დაუახლოვდები. – შეისვენა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა, ცხელოდა, კონდიციონერის ჩართვა დავიწყნოდათ – ისე, რომ იცოდე, პერსონალური მაგიდა და კომპიუტერი უკვე გელოდება... – დააყოლა გამომშვიდობებისას.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა. ფრთებშესხმული გამოვედი დირექტორის კაბინეტიდან და ამაღლებული განწყობა კადრების განყოფილებამდე კი მიმყვა, მაგრამ იქ იქამდე შემრჩა, სანამ კოტრაქტს არ გავეცანი, უფრო სწორად, კონტრაქტის ის მუხლი არ ჩავიკითხე, რომელშიც შრომის ანაზღაურება ჯერ ციფრად, შემდეგ კი წვრილი შავი ასოებით ეწერა. ერთბაშად უსიამო განცდა დამეუფლა, სხვას რომ არ უსურვებ, ისეთი და საკუთარ თავს ხომ, მით უფრო.

ვცდილობ, წყენა არ შევიმჩნიო და უსიტყვოდ ვაწერ ხელს კონტრაქტს. სხვა რა გზა მაქვს, უმუშევრობას ყველაფერი სჯობს, ამ მხრივ, სამწუხარო, მრავალწლიანი გამოცდილება მაქვს. ამიტომ სტაჟიორის დონის ანაზღაურებას, რომელსაც სამომავლოდ მივიღებ, უნდა შევეგუო, მოვეფერო და გავუფრთხილდე. კადრებში მამშვიდებენ, ახლა, ეტყობა, მეტის მოცემა არ შეუძლია, თორემ სულ არაა ხელმოჭერილი და წუწკი... პირიქით, შემიქეს მომავალი უფროსი, უკეთესი ხვალინდელი დღით დამაიმედეს და თანაგრძნობაგამოხატული თვალებით გამომაცილეს.

ველოდი... თუმცა რას ველოდი კონკრეტულად, ვერც გავიხსენე. როდისღა დავწყნარდი და თავს გამოვუტყდი, რომ არავის მოვუტყუებივარ, რადგან არავინ არაფერს შემპირებია. სურვილი და ოცნება მხოლოდ, მღირსებოდა ნორმალური ხელფასი, (კარგი და სასურველი ხომ ისედაც ფანტასტიკის სფეროდანაა), წელგამართული შემენახა ოჯახი, მქონოდა ნაკლები სტრესი, დაძაბულობა. კონტრაქტი, მომწონდა თუ არა, შანსს მაძლევდა, ცხოვრების დარჩენილი ცარიელი ფურცლები ახალი ეპიზოდებით შემევსო, თუნდაც წვალებით, და ეს შანსი უნდა გამომეყენებინა, რადგან იგი არსებობისთვის, საკუთარი თავის, ნაგრამის და გაუფერადებელი ოცნებების გადასარჩენად მჭირდებოდა. და კიდევ იმისთვის,რომ არ დამკარგვოდა თეთრისა და შავის გარჩევის, სიყვარულის და სიძულვილის სურვილი... წყალწყალა, უსაგნო, უფერული და უმარილო ყველაფერი მძულდა, და როცა ასეთი ვხდებოდი, ჩემი თავიც...

ორმოცდაათს რომ გადააბიჯებ, აზროვნებით პრაქტიკული, მოვლენების შეფასებისას კი უფრო მიწიერი, რეალისტური და ნაკლებ რომანტიკული ხდები, მით უფრო მაშინ, ადრე თუ ასეთი არ იყავი. ეს ცხოვრებაა, მოგწონს თუ არა, ამას ეგუები. შინაგანად ებრძვი, მარცხდები ან იმარჯვებ, მთავარია, არ ნებდები და ყოველდღიურობას იმის საშუალება არ აძლევ, გაგსრისოს და მიწასთან გაგასწოროს.

ერთი სიტყვით, ჯახირობ და წუთისოფელს ეთამაშები ჯერ კიდევ გამოუცდელი, დაბნეული და მიამიტი ლაწირაკივით, რომელსაც მხოლოდ მოგება უნდა და არ იცის, როგორ მოიგოს და არც ის შედეგი არ აკმაყოფილებს, რასაც აღწევს. ამიტომაც, ჯიუტად და ენერგიულად თავიდან იწყებ თამაშს იმ იმედით, რომ იქნებ ამჯერად მაინც გაგიმართლოს ან ბედმა შემოგცინოს.

დრო კი ამასობაში, პეშვში დაგროვილი წყალივით, თითებშუა შეუმჩნევლად იპარება და სარკეში ჩახედვისას თუ შეგახსენებს გაფრენილი წლების სიცელქეს – საკუთარ ასაკს.

ასე, რომ აქეთ საწუთრომ, იქით – წლებმა თავისი წილი საგზალი ნელ-ნელა წაზიდეს, რაღაც შემმატეს, რაღაც დამაკლეს, რაღაცას კიდევ ველოდები...

არჩევის და წუნიანობის დრო არაა, ასაკიც დამოკლეს მახვილივით მახსენებს თავს. ძლივს გამოჩნდა სამსახური, ნაცნობი და შინაური.

ამბიციები მოიცდის...

მოიცდის, კი...

ახლა ზღვის სანაპიროზე გავალ, ბულვარს დავუყვები, ზღვაურს ჩავისუნქავ, ტალღების დგაფუნს მოვუსმენ, ამ უხილავი კომპოზიტორების დაუფასებელ მელოდიებს და ვიცი, დავწყნარდები.

ადრე მშველოდა, ასე იქნება ახლაც.

ხუთ წუთში რუსთაველის ქუჩაზე ვარ, აქედან ორი ფეხის ნაბიჯზეა ზღვა და სულიერი სიმშვიდე.

ჯერ კიდევ რადიოში მუშაობისას, როცა გამაბრაზებდნენ ან გავაბრაზებდი ვინმეს (ასეთი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა), ვცდილობდი, ემოციები მომეთოკა, ცხელ გულზე არავის შევპასუხებოდი და საკონფლიქტო სიტუაციას დროებით გავრიდებოდი. მაშინ მივაგენი გამოსავალს, მივხვდი, უფრო სამართლიანი, სოლიდური (ეს სიტყვაც ძალიან მომწონს და მისი პრაქტიკული ხორცშესხმაც), სტატუსთან შესაფერი და კოლეგიალური რომ ვყოფილიყავი, ჯერ, მე მჭირდებოდა დაწყნარება და დამშვიდება, მოუზომავი არაფერი წამომცდენოდა და დაუკრეფავში არ გადავსულიყავი, შემდეგ იმის გარკვევა, რა ვერ გაიყვეს და რისთვის ხოცავდნენ ერთმანეთს. გამოვიდოდი გარეთ და 26 მაისის ქუჩით ზღვისკენ ავიღებდი გეზს. უფრო სამშობიაროსთან ჩავლა მიყვარდა, იქ შეკრებილი საზოგადოების დანახვით მუდამ დადებით ენერგიას ვიღებდი. მრავალფეროვანი სახეები და გამომეტყველება, შეცბუნებული მოლოდინი და გულწრფელი სიხარული, მილოცვები და სიძეების ტრაბახი, მანქანის „კაპოტზე“ სახელდახელოდ გაშლილი ევროპული სუფრა: შამპანური, ტკბილეულობა, ორივე მხარის საახლობლო და გულშემატკივარი, საძმაკაცო, ღლაბუცი და სადღეგრძელოები... რამდენჯერ შევსწრებივარ მსგავს სიტუაციას; ვინ მოთვლის, რამდენი ახალგაჩენილი სიცოცხლე დამილოცავს, რამდენჯერ სულ უცხოების ამაღლებული განწყობის თანაზიარი გავმხდარვარ სრულიად შემთხვევით.

– მეგობარო, ერთი წუთით, ეს წუთია ბიჭი შემეძინა, პირველი შვილი, 4 კგ და 200 გრამია, მამა შემოევლოს, გოლიათი მყავს. – ჯერ ფეხზე დამოუკიდებლად რომ დგას და ძლივს შესამჩნევად რომ ბორძიკობს, ის ახალგაზრდა მეპატიჟება და შამპანურით სავსე, აქაფებულ ჭიქას მაწვდის. – იცოდე, არ მაწყენინო, დამახსოვრება ვიცი...

მეტი არაა ჩემი მტერი, ამას დავამახსოვრდე, მაგრამ ზეიმს რატომ წავუხდენ, პირიქით, თანამონაწილე ვხდები და სამი სადღეგრძელოს შემდეგ ლოყაზე კოცნით ვემშვიდობებით ერთმანეთს.

– თვალხატულა გოგო მყავს, ბაბუა შემოევლოს, მეშვიდე ბადიშია, ერთს წლის ბოლომდე კიდევ ველოდები – ჩემკენ წამოვიდა მამის ტოლი, ჭაღარათმიანი მოხუცი, ხელმკლავი გამიკეთა და თავშეყრის ადგილას მიმიყვანა, სადაც ოპერატიულად შემაჩეჩეს ხელში წითელი ღვინით სავსე ფიალა და გაშინაურება ვერ მოვასწარი, გისმენთ ბატონოო, მითხრეს და გაისუსენ.

კარგი ხალხი აღმოჩნდნენ, ერთი სადღეგრძელო მაკმარეს.

ყოველთვის მომწონდა გულწრფელი გარემო, უშუალობა, ხშირად მოუზომავი სიხარულის თუ სითბოს გამოვლენის ის ფორმები, რასაც ამ დროს ვაწყდებოდი. არ მაღიზიანებდა იმიტომ, რომ ჩემეული იყო ყველაფერი, ძალიან ნაცნობი და შინაური.

არავისთან მომსვლია გაუგებრობა, კამათი, ხანმოკლე, ტრადიციული დაძალების შემდეგ, გადახვევით ან ხელის აწევით ვემშვიდობებოდი მე-

ცხრე ცაზე მყოფთ და შემოჩეჩებული შოკოლადის ფილის ნატეხით ან ნამცხვრის ნაჭრით დასაჩუქრებული გავუყვებოდი ბულვარისკენ გზას, გუნებაგამოკეთებული და წყენამივიწყებული.

ბულვარში იშვიათად ვჯდებოდი ძელსკამზე. სიარულში და ფიქრში ვისვენებდი. დავუყვებოდი ამწვანებულ ალიებს ან სანაპიროზე გავისეირნებდი, ბავშვური სიანცით ზღვაში კენჭებს მოვისვროდი და აქაფებული ტალღების სუნთქვას დავუგდებდი ყურს.

თუ შეიგრძნობ, საოცარი დამშვიდება იცის ზღვამ, დამშვიდებული კი უფრო მიმტევებელი, გონიერი, სამართლიანი და ჰუმანური ხარ...

დღე პირველი...

არაფრით გამორჩეული დღე, თბილი, უღრუბლო და გუშინდელისნაირი. სამსახურში მივდივარ. ცოტას ვღელავ, უფრო შინაგანად, რადგან გარეგნულად, არა მგონია, რაიმე დამეტყოს. ახალი კოლექტივი, ახალი გარემო, ახალი უფროსი... ფიქრიც კი ემოციით და მოლოდინითაა შეპყრობილი.

მუნიციპალური ავტობუსი გრაფიკით მოძრაობს, დინჯად და აუჩქარებლად. შაბათია, დასვენების დღე და პირველ ნომერში ცოტა მგზავრია ამ დილით, სულ ოთხი ვართ. თავს რომ არ უტყდება ასე, ორმოცდაათ წელს გადაშორებული ქალბატონი ორი მოზრდილი, მძიმე ჩანთით, ეტყობა, ან ბაზრობაზე მიდის, ან იქიდან მოდის. უფრო, წამსვლელს ჰგავს, ამდენის შეძენის მარიფათი არ ეტყობა. გაცრეცილ რვეულს იღებს და თავს რგავს შიგ, რაღაცას ითვლის და ენერგიულად ანგარიშობს.

– ააფ-ცხიიი. – მოულოდნელად, ხრინწიანად ჩაახველა მის უკან სავარძელში მჯდომმა, ჯმუხი შესახედაობის სათვალეებიანმა მამაკაცმა, რომელმაც მოგვიანებით ირგვლივ შეცბუნებულმა მიმოიხედა და მცირე ბიზნესში ჩართულ ქალბატონს გულწრფელად მოუბოდიშა – ცხვირსახოცის ამოღება ვერ მოვასწარი, ეს რა დამემართა... – წაიჩურჩულა და სანამ ხელს ჯიბისკენ წაიღებდა, კიდევ ერთხელ გაიმეორა: – ააფ-ცხიიი!

– გაცვეთა. – არ მიიღო მობოდიშება ადრესატმა, – ვირუსი, გაციება და საგადასახადო მინდა ახლა მე? თუ ცხვირზე ვერაფერს იფარებ, დაბლა მაინც დაწიე... – დაუცაცხანა და ახლაღა შეხედა სათვალებიანის მოკაუჭებულ, მზის ალერსისგან ალაგ-ალაგ აქერცლილ აწითლებულ ცხვირს და რატომღაც ჩაეღიმა.

– კიდევ ერთხელ უკაცრავად... – კაცმა ცხვირსახოცი პირთან მიიტანა და სხვა ადგილას გადაჯდა.

კონფლიქტი არ გაღვივებულა და მისი მშვიდობიანად ჩამთავრება, მძღოლზე მეტად, არავის გახარებია.

მესამე მგზავრი ახალგაზრდა გოგოა, სახეჭორფლიანი, შუბლზე ჩამოყრილი თმებით, ძლივს შესამჩნევი მკერდითა და გრძელი ფეხებით, კაბის დეფიციტს რომ წარმოაჩენდა უმალ. ხელში მობილური ეჭირა და ამქვეყნად აღარ იყო.

მეოთხეზე რა გითხრათ, მაგას ყველაზე კარგად ვიცნობ, შემდეგ გაჩერებაზე უწევს ჩამოსვლა, ერთი კვარტლის გავლა და...

– უკაცრავად, თქვენ ვისთან ხართ? – ტელევიზიის შესასვლელ კარებთან ახლოს, ქუჩაში მდგომი დაცვის თანაშრომელი მეკითხება და თან მათვალიერებს, აშკარაა, პირველად მხედავს და არ მიკვირს მისი უნდო გამოხედვა.

გუშინ იოლად შევედი, დღეს – ნურას უკაცრავად.

– აქ ვმუშაობ. – მაინცადამაინც დამაჯერებელი ნათქვამი არ გამომივიდა. – დღეიდან... – დავამატე და პოზიცია გავიმტკიცე.

– სად და ვისთან? – ჩამდია საფლავში კარებთან მდგომმა და წინ გადამიდგა.

– საინფორმაციოში. სტილისტად... – ვუთხარი და ახლა იმის გაგებას ვცდილობ, რამდენად დავაკმაყოფილე შემკითხველის სამსახურებრივი ცნობისმოყვარეობა.

– აა, კაცი, უქმე დღეს იწყებს სოფლის შენებას. – ჩაილაპარაკა იქვე მდგომმა, წვერ-ულვაშ-

მოშვებულმა, თმააბურძგნულმა ვაჟმა, რომელმაც ჯერ თანაგრძნობით და სინანულით შემომხედა, შემდეგ სიგარეტის ნამწვი ფეხებთან დაიგდო, ერთ-ორჯერ მოსრისა, მიაპურჭყა და შენობაში შევიდა.

– გვარი შეგვახსენეთ, იმედია, გექნებათ. – გამიშინაურდა ამასობაში კარებთან რომ იდგა, იგი.

მეც ვუთხარი, მანაც თავი შეაბრუნა და მეორეს, დაცვის პატარა, მყუდრო ოთახში მყოფ კაფანდარას, მაგიდას რომ უჯდა და რაგინდარას გამომეტყველებით იყურებოდა, გასძახა: – ნახე, ორშაბათს რომ კადრებმა სია გამოგვიგზავნა, იმაში თუ არისო. იმან, გვარი გარკვევით მითხარი, ვერ გავიგეო. კარებში მდგომმა, ალბათ, გაფანტულყურადღებიანმა, გვარის გამეორება მორიდებით მთხოვა.

მეც გავუმეორე, აბა, სამსახურს ხომ არ დავკარგავდი.

– გვარია თუ ენის გასატეხი. – დაეჭვებულმა პირველმა შეძლების კვალობაზე, ჯერ ხმამაღლა, უშეცდომოდ და დამარცვლით გაიმეორა ჩემი გვარი, შემდეგ მეორეს, კაფანდარას, გასძახა. იმანაც არ დაიზარა და ოპერატიულად აღმომაჩინა კედელზე გამოკრულ სიაში, ფეხზე წამოდგა, მომიახლოვდა და სამსახურის კიბისკენ მიმითითა, ნაბიჯიც არ გადაუდგამს, უბრალოდ, ცხვირი მიაბრუნა გვერდით და ოლიმპისკენ მიმავალი გზა დამანახა.

– ხომ იცით, სად უნდა მიხვიდეთ? – სიტყვა დამაწია კაფანდარამ.

– როგორ არა. – წარმოდგენა არ მქონდა, სად იყო ნიუსრუმი, მაგრამ იმედი მქონდა, არ დავიკარგებოდი.

გავიკითხ-გამოვიკითხე და მივაგენი. კარი შევაღე, სამი საფეხურით ქვევით ჩავედი და ბუნკერის მაგვარ ოთახში აღმოვჩნდი, სადაც უჩვეულო სიწყნარე და სიხალვათე დამხვდა. მივიხედ-მოვიხედე, გავიარ-გამოვიარე, არავითარი ყურადღება, ვის დაკარგვიხარ? ვინც მაგიდას უზის, კომპიუტერის საკუთრებაა, ჩემკენ არც იხედება, ვინც ფეხზე დგას – ყავას ადუღებს, თან ტელეფონს პასუხობს, ერთი კი შემომხედა, მაგრამ ეტყობა საეჭვო ვერაფერი შემატყო და... მართალია, ტაშფანდურს და გულში ჩაკვრას არ ველოდი, მაგრამ არც ასე ცივი დახვედრის მოლოდინი მქონდა.

ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი და გულზე მომეშვა.

– მეგი, როგორ ხარ, მიცანი? – ძნელად დასაბნევ მეგის ცოტა ორჭოფობა შევატყვე, მაგრამ არ შეიმჩნია. წლების წინ ერთად ვმუშაობდით, ძველი გვარდიაა, სანდო და გამოცდილი.

– როგორ არა, – უფრო ზრდილობისთვის მპასუხობს, მაგრამ თანდათან ვახსენდები. – ჩვენთან ხომ არ იწყებ მუშაობას? – ერთ ხელში – ფილტრიანი სიგარეტი, მეორეში – სამსუნგის ბოლო მარკის ტელეფონი უჭირავს, ეტყობა, ზარს ელოდება.

– კი, სტილისტად, შორენა ღლონტი რომელია, სამსახურის უფროსი, ის დაგხვდებაო, მითხრეს...

– აქაა სადღაც, მალე მოვა.

– სულ არ შეცვლილხარ, მეგი, გამიხარდა შენი ნახვა. – კიდევ რაღაცის თქმას ვაპირებდი, მაგრამ ტელეფონი აწკრიალდა და მეგი მომტაცა.

ისევ მარტო დავრჩი, სამის ნახევრიან საინფორმაციო გამოშვებამდე ორი საათია დარჩენილი, დავალებები დანაწილებულია,რეპორტიორები გადაღებებზეა გასული, ერთი მე ვარ უსაქმური და მოცლილი. ოთახის შესასვლელში დივანია და იქ მოვკალათდი, გვერდით პატარა მაგიდაზე გაზეთები აწყვია. კითხვა ბავშვობიდან მიყვარს, ბეჭვური მედია – ჭაბუკობისდროინდელი გატაცებაა. ადრე, რადიოში მუშაობისას, ბათუმსა და თბილისში გამომავალ გაზეთებში ვთანამშრომლობდი, ვბეჭდავდი სტატიებს, ჩანახატებს, რეპორტაჟებს, ინფორმაციებს... გუშინდელივით მახსოვს პირველი საგაზეთო პუბლიკაცია, პირველი ჰონორარი... არშემდგარი პირველი სიყვარულივითაა, წლების შემდეგაც რომ თბილად გახსენდება და მოგონებებში უფრთხილდები.

ველოდები, მეტი რა გზა მაქვს.

ლოდინს ბავშვობიდან ვერ ვიტან. მრავალწლიანმა უმუშევრობამ ამასთანაც დამაახლოვა და გამაშინაურა. შეგუების არა, მაგრამ მოთმინების იმუნიტეტი გამომიმუშავა, თავის ხელში აყვანა შემაძლებინა, ამ დროს მოზღვავებული აგრესიის, უარყოფითი ენერგიის დამორჩილება მასწავლა და შინაგანად ისე შეფუთვა, რომ გარეგნულად არაფერი შემტყობოდა.

მშვიდად ვარ და გაზეთს ვფურცლავ, უინტერესოდ ვკითხულობ სათაურებს, რატომღაც მგონია, ზოზინით გადის დრო... არა, არ მგონია, მართლაც ასეა. ოთახში მიმოდიან ჟურნალისტები, ოპერატორები, მეგიც გამოჩნდა, დღევანდელი საინფორმაციოების პროდიუსერი, რაღაც მოიკითხა და მოიწონა, ერთს გაუწყრა, მეორესაც, მესამე გაღიმებული დატუქსა, მეოთხე ოთახიდან მიაბრძანა – უსაქმურები ჩვენიც გვყოფნისო. ისიც, უსაქმური, მორჩილად და ენისმიუბრუნებლად გავიდა გარეთ, დერეფანში.

– ნიუსები მომეცით დროზე, სინქრონები ნორმალურად მოჭერით, არსებითი დატოვეთ მხოლოდ, ქრონომეტრაჟი დაიცავით... – დასჭექა და ჩემგან მარცხნივ პირველსავე კომპიუტერს მიუჯდა.

შემდეგ გავიგე, ამ კომპიუტერთან მხოლოდ პროდიუსერები მუშაობდნენ.

კარი იღება და ოთახში მაღალი, თხელი, ცოტა სულის მოთქვა რომ არ აწყენდა, იმ დონემდე სუსტი, სახეგაბადრული, თმებჩამოშლილი, სასიამოვნო გარეგნობის ქალიშვილი შემოდის, არც შევუმჩნევივარ, პირდაპირ მეგისთან მიდის, როგორაა საქმეო, კითხულობს და გვერდით მაგიდას ამშვენებს. მე ისე, სხვათა შორის, გავაყოლე თვალი და ფიქრებს მივეძალე, მაგრამ ვინ გადროვა.

– ბატონო შალვა, ერთი წუთით, თუ შეიძლება. – მესმის მეგის ხმა, ფეხზე ვდგები და ვუახლოვდები, გუმანით რაღაცას ვხვდები, მაგრამ არ მინდა, მოვლენებს დავასწრო.

– შორენა, ესაა ჩვენი ახალი სტილისტი. – წარმადგინა მეგიმ ნიუსრუმის უფროსთან.

შორენა უფროსი ფეხზე წამოდგა, ხელის ჩამორთმევისას გამეცნო და საოცრად თბილი, მომხიბლავი და მზრუნველი ხმით მითხრა, – კეთილი, შეუდექით, აბა, საქმეს, ინფორმაციებს გადახედეთ, საღამოსთვის სიუჟეტებს წაიკითხავთ. თუ რაიმე კითხვა გაგიჩნდეთ, არ მოგერიდოთ, მითხარი, თქვენი იმედი მაქვს...

ისეთი მოყვასისეული, მონატრებული და გულწრფელი თანადგომა ვიგრძენი, რომ გული გამითბა, უფროსის გვარი შეცდომით ხომ არ უთქვამთ, ერთი პირობა ესეც კი გავიფიქრე...

– ეს იქნება თქვენი მაგიდა, ამ კომპიუტერზე იმუშავებთ. – შორენამ ჩემი ადგილსამყოფელი მიმანიშნა, ასე უცაბედად გამდიდრებული მაღლევე მიმატოვა და ისევ მეგის მიუბრუნდა:

– რეგიონებიდან რა ისმის, ცოცხლები არიან?

თვალი ახალი სამოსახლოსაკენ გამექცა. ჯერ მაგიდა შევათვალიერე, მასზე უარეს რომ ჯობს, ისეთია. სავსე უჯრებით და გვარიანად დასასუფთავებელი. რამდენიმე გაურეცხავი ყავის ფინჯანი, შაქრიანი ცელოფანი და ცარიელი ყავის პაკეტი ნერვების მომშლელად მიყურებს, სველი ტილოთი მოწმენდილი დაღვრილი ყავის ნალექი ჯერაც აჩნია მაგიდის შემშრალ ზედაპირს. ყავას იშვიათად ვსვამ, მაგრამ მიყვარს მისი სურნელი და არომატი. კომპიუტერსაც არაუშავს, მუშაობს...

მაგიდამ ნათია ლომაძე გამაცნო. ნათია ერთ უჯრაში თავის ხიბაკს ინახავდა: საწერ-კალამს, მობილურის დამტენს, რომელსაც შემდეგ, გაბნევამდე, ხშირად ვთხოულობდი, ალბათ, კიდევ რაღაც-რაღაცებს, მისთვის საჭიროს და აუცილებელს.

პირველი მასალა, რომელსაც გავეცანი, ნათიასი აღმოჩნდა. თეატრის საპრემიერო დადგმაზე მოგვითხრობდა. ლაკონიური, ემოციური და გამართული ტექსტი. სიუჟეტიც გემოვნებიანი გამოვიდა. თავადაც უაღრესად კულტურული, თავდაბალი, თავაზიანი, ემოციური და ენერგიული გოგოა, ძალიან უხდება ეკრანს...

– ბატონო შალვა, დრო თუ გაქვთ, უცხოეთის ნიუსებს ხომ არ გადახედავდით? – ეს მეგია, წაადგა ძველი ნაცნობობა.

რამდენიმე საათში აღმოვაჩინე, თუ როგორ მომნატრებია ჩემი პროფესია. იმას, რასაც ვაკეთებდი, სიამოვნება და ერთგვარი შვებაც მოჰქონდა, ენერგიას მმატებდა და მამშვიდებდა კიდეც.

– ხომ არ დაიღალე? – საღამო ხანს გავახსენდი შორენას.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე. იმ ჭკუაზე ვიყავი, დაღლა შემემჩნია?

– ჩემთან შემოდი, ანონსს გადავავლოთ თვალი. – პატარა ოთახში, სადაც შემიძღვა, სამი მაგიდა, ორი კომპიუტერი, ხუთი სკამი, ერთი გადამწვარი დღის განათება და კედელზე გაღიმებული ნატალია კიკვაძის სურათი დამხვდა...

ნატალია უმალ ვიცანი, ისიც ძველი გვარდიაა. შეშფოთებულმა, მისი ჯანმრთელობა შორიდან მოვიკითხე.

– ორშაბათს იქნება, დღეს და ხვალ ისვენებს, ისე, კაჟივითაა. – დამამშვიდა შორენამ და კომპიუტერი ჩართო. – ახლა ტექსტონში შევიდეთ, რვანახევრიანის ანონსი ამოვიღოთ და ერთად წავიკითხოთ.

ტექსტონი პირველსავე დღეს გავიცანი...

– ხვალ, რომ იცოდე, ისვენებ. ნოდარი შეგცვლის, დღეჩაგდებით იმუშავებთ. – დამაკვალიანა შორენამ და ანონსის წაკითხად მოემზადა.

– ნოდარს ხომ იცნობ? – კომპიუტერის ეკრანისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე მკითხა. თუმცა პასუხს არც დალოდებია, სიგარეტის კოლოფს დასწვდა, ერთი ღერი ამოიღო და სანთებელას დაუწყო ძებნა.

სიხარულის ცრემლები

საინფორმაციოში კატეგორიულად იკრძალება გაციება, ავადმყოფობა, სამსახურის გაცდენა (არანაირი მიზეზი თავის გასამართლებლად არ მიიღება) და ლამის, პირადი ცხოვრებაც. ეს ჯგუფის საკონსტიტუციო ნორმაა, რომლის დარღვევას ერიდებიან. ბოლოდროინდელ ვირუსებს ვაჟკაცურად ვუმკლავდებით, საზოგადოებას ვაფრთხილებთ და პრევენციული ზომებისკენ მოვუწოდებთ, ზოგი რეპორტაჟით აშინებს ინფექციურ დაავადებას, ზოგისაც, იქით ეშინია ვირუსს. რამდენიმე პირბადითაც გამოჩნდა სამსახურში, არავითარი ტამიფლუ ან ტაიქოლდი, ზვიად ჭკუასელი გრიპს სახლში გამოხდილი, მრავალნაცადი ჭაჭაფლუთი ეფექტურად და შედეგიანად უმკლავდება.

ახალი წლის წინა დღეებია, სინოპტიკოსების შეპირებული თოვლის მოლოდინში ვართ, იწერება, სწორდება, კორექტირდება საახალწლო, შემაჯამებელი საინფორმაციო გამოშვების გეგმა, გადარბენაზეა ოპერატორები და რეპორტიორები. მემონტაჟეებს სულის მოსათქმელად არ სცალიათ. იხვეწება სიუჟეტები, დაძაბული, არაქათგამომცლელი დღეების მიუხედავად, საახალწლო და ამაღლებული განწყობაა, ყველამ თავისი საქმე და ადგილი იცის.

ნიუსრუმი ჩვეული გრაფიკით მუშაობს.

– დროზე წამაკითხეთ თქვენი შედევრები, ნუ გამიშრეთ სისხლი, ხალხი არ ხართ, ღმერთი არ გწამთ, – მობეზრდა ერთი და იგივეს წამდაუწუმ შეხსენება ლაშა ზარგინავას, მთავარი გამოშვების პროდიუსერს, მაგრამ ვინ უსმენს. – დედაია, ვინ არიან ეგენი...

– გვიკითხა ვინმემ? – დაინტერესდა მართალიშვილის ქალი და ჯენიფერთან ერთად შემოანათა ოთახში. – სტილისტთან ვიყავით.

– მე ვიკითხო, თორემ თქვენ რა გიჭირთ, სამსახური გალამაზებთ და გპრანჭავთ, მე თმის შესაკრეჭად ვერ მივიცალე მთელი კვირაა.

– სად გაქვს მერე თმა? – დაეჭვებული იკითხა სახლში წასავლელად გამზადებულმა დღის პროდიუსერმა ცირა სურმანიძემ და ზარგინავას ისეთი თვალებით შეხედა, რომ პარიკმახერთან წასვლა კაი ხნით გადაადებინა.

– გველო, გველო, გველო... – შეამკო ლაშამ და ბუტბუტ-ბუტბუტით თავის კომპიუტერს მიუჯდა, – აგენმა მომიღეს ბოლო და მომასავეს, ისე ასწლიანი ვიქნებოდი...

– ასი ბევრია, ყვავი ხომ არ ხარ? – ახლა ქეთი ჭყონია აჭიკჭიკდა. – რეალური ციფრი მაინც თქვი!

– რეალური რომელია, დღის ბოლომდე? – მორიდებით იკითხა ჯენი კვანტალიანმა.

– გადაშენდით ყველა ერთად! – კიდევ კარგი, ვინ თქვა, ლაშას არ დაუნახავს, თორემ შემოაკვდებოდა. – წადი გოგო სახლში და გოგიას დააწყვიტე ნერვები, მიჩვეულია. – ჭყონიას დაუბრიალა თვალები.

– შეუძლოდ გახდები და გამიხსენებ! – ორი დღის წინანდელი მკურნალობა დაამადლა მაშინდელ პაციენტს ქეთიმ და ეტყობა, წასვლას არ ჩქარობდა. მაშინ ლაშას სიცხე, უთემობა და ბანკში გადასახდელი პროცენტი აწუხებდა, თვითმარქვია ექიმმა ერთი ტაბლეტი სიცხის დამწევი და ორი ფაღარათის გამომწვევი საშუალება დაალევინა და მოარჩინა. პირნათელი იყო უნდოსთან, რას ალევინებდა, არ დაუმალავს, უთხრა, ლაშამ არ დაიჯერა, როგორც ყოველთვის, ახლაც მაიმუნობსო, გაიფიქრა.

ზოგჯერ სიმართლესაც ამბობს ჭყონიას ქალი, მაგრამ როდის, ესაა ძნელი გამოსაცნობი.

– მე გარედან ვერთვები თუ სტუდიიდან? – ღიმილი და ვარცხნილობა ერთნაირად შვენის მზია მართალიშვილს.

– შენ ერას მოედნიდან, კვანტალიანი – სტუდიიდან. – ასე ინება მთავარი გამოშვების პროდიუსერმა.

– ჯენი რომ დადგეს გარეთ, რა მოუვა, დადნება?

– წინა თვეს გაცივდა და არაა ბოლომდე გამოჯანმრთელებული. – შეიბრალა ლაშამ ჯენიფერი. – ისე, აქამდე ხომ იყო, რა... – დააყოლა ბოლოს.

– მეც შევუძლოდ ვარ, მაგრამ არ ვიმჩნევ, ლაშუკი, სიუჟეტს ტექსტონში მალე ჩაგიგდებ, როგორც კი შეგორდება, სინქრონებს მოვჭრი... – თავი შეგვახსენა მობუზულმა ლაშა ველიაძემ და ფეხზე დამდგარი შევიდა ფეისბუკში. ერთი სული აქვს, ახალ სურათებს როდის შეყრის...

– კაი გამარჯობა და მშვიდობა შენ ნახვას, შე ძუნძგლიანო, მოგენატრე, ალბათ, და გამოჩნდი ხომ? – ვინ აცალა ქურთუკის გახდა გადაღებიდან ახლახან მოსულს, უმალ საყვედურებით აავსო პროდიუსერმა.

– გამაგდეთ ამ ყიამეთში შუახევში, გავიყინე გზაში, მგონი, ხვალ ვერ წამოვწევ თავს. თუ ვერ მოვედი, გამიხსენეთ...

– დედაია, რავა გაიკრიფა ენად აი უდღეური, დღეს მინდა შენი სიუჟეტი, არქივიზა კი არა.

– ლაშა, ჩემთან წაიკითხავ თუ ჩაგიგდო? – ნაჯაფარი ხმით, წყნარად იკითხა დარინა გარგანჯიამ და უჯრიდან ფორთოხალი და ვაშინგტონი ამოიღო და მაგიდაზე დააწყო, მასავით ფერმიცემული ვაშლი ჩაკბიჩა, შემდეგ სკამზეც ისე მოკალათდა, მოსახერხებელი რომ ყოფილიყო მისთვისაც და მეორე შვილისთვის, რამდენიმე თვეში რომ უნდა გაეჩინა. – ბავშვებო, ვისაც გინდათ ხილი, მოდით და მიირთვით...

გარგანჯიას მოწოდება უმალ აიტაცეს და მალე გემრიელი ციტრუსის მოგონებაღა შემორჩა ნიუსრუმს.

– თბილისმა ხუთი მასალა ჩამოაგდო, ყველა გვინდა თუ ბოლო ორი? – როგორც ჩვევია, ხმამაღლა და ემოციურად იკითხა ნათია კოპალიანმა.

– რა თემებია?

– გრიპი, გრიპი, გრიპი და ორი კიდევ სხვა...

– ნუ იტყვი, ასარჩევად გვქონია საქმე. – პასუხით აღფრთოვანდა ლაშა.

– სერგიენკო, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, მედიცინის ექსპერტი, დანარჩენი კიდევ მონიშნული მაქვს ფურცელზე.

– მიდი, მოამზადე ყველა, ისე, შენ ახლა თბილისში მეგონე? – ახალი წლიდან ნათია ჩვენი კორესპონდენტია თბილისში და წესით, ახლა იქ უნდა იყოს, მაგრამ ვინ უშვებს.

– შორენამ, დღეს რეგიონებს მიეშველეო, – მითხრა, – ხვალ მივემგზავრები... – ნათია კარების ზღურბლთან შეჩერდა და ტელეფონში ამოიღო.

– მასალები დროზე, გოგო, ტოპმოდელივით რომ გვიყურებ და სილამაზით გვატკბობ, გვეყო უკვე...

ლაშა მართალია, ნათია ცხოვრებაში და ფოტოსურათებშიც მოხდენილი, ეშხიანი, სექსუალური და რომანტიკულია. – წავალ და მოგენატრებით... – წაიღიღინა გამომწვევად და ისე

გაიხურა კარები, როგორც წლევანდელმა შემოდგომამ, რომლის არც მოსვლა გაგვიგია ხეირიანად და არც წასვლა.

– ნათიასთან სამახსოვრო სურათები არ გადავიღოთ? – იდეა წამოაყენა აქამდე ჩუმად მყოფმა მზია მართალიშვილმა.

– მე არ მინდა, საზიზღრად გამოვდივარ... – იდეას ჩანასახშივე შეეწინააღმდეგა ლაშა.

– რატომ, არც ისე. – გული გაუკეთეს გოგონებმა.

მუდამ მოუცლელი და საქმიანი შორენაც გამოჩნდა ამასობაში. ცირა აქაა თუ წავიდაო, შორიდან დაიწყო.

– რვის წუთებია, შორე, ამ დროს რა უნდა ცირას სამსახურში? – დაიბნა ლაშა, მაგრამ არ შეიმჩნია. – ხომ მშვიდობაა.

– შემოდი ჩემთან... – დაიბარა უფროსმა და ერთად გავიდნენ მეორე ოთახში.

რამდენიმე წუთში...

– დავრჩენილვარ ახალ წელს ტელევიზიაში, დივანი აგერაა, ბალიშს და ადიალას ვიშოვი,ორ ჭიქას და ერთ ჩემნაირს მოვნახავ კიდევ და... – შორენას ოთახიდან ნაცნობი ხმა ისმის. – ვეღარ ჩავირბენ ფოთში, ვერ წავალ ბაზარში, ვერ ვნახავ ახლობლებს, ოჯახისთვის მე არ ვარ და შვილისთვის...

– რა მოხდა? – ერთბაშად იკითხა ნიუსრუმმა.

მეგი გამხდარა ავად, მთავარი ამბების მეორე პროდიუსერი. სასწრაფოს ექიმებს ძლივს მოუსულიერებიათ და გადაურჩენიათ. უარი უთქვამს მიქელას, მაგის წამყვანი მე არ ვარ, მკვდრები ჩემიც მეყოფაო და ოჯახში გამოსაჯანმრთელებლად დაუტოვებია. ახლა ბიულეტენზეა და მკურნალობს. სავარაუდოდ, ერთ კვირას ვერ გამოვა სამსახურში. ეტყობოდა, ბოლო დროს ვერ იყო კარგად, ახველებდა, აციებდა, ფერიც დაეკარგა. სამსახურის შემხედვარემ, თავის მისახედად ვერ მოიცალა და მოერია ავადმყოფობა.

– ხვალიდან ცირა და ლაშა შეენაცვლებიან ერთმანეთს, დღეჩაგდებით იმუშავებენ ახალგაზრდები არიან და შეძლებენ, დამატებითი პრაქტიკა არ აწყენთ... – როგორც სჩვევია, გამოსავალი ოპერატიულად მონახა შორენამ და კორექტივები შეიტანა საახალწლო გრაფიკში. ისე, სხვა გამოავალი არც იყო.

იციან ჩვენთან გვერდით ყოფნა და თანადგომა...

რაკი ახალი წელი კარს მოგვადგა, 2015 წლის ბოლო სამუშაო დღის დამლევს, მეგის ღია წერილით შევეხმიანე და გავამხნევე.

ძვირფას მეგის

მართლა მოგვენატრე, არ ამჟღავნებს, თორემ ზარგინავას ეტყობა ყველაზე მეტად. გახსენებს ხოლმე, მაგის თავი თუ აქვს, მაშინ მით უფრო. წინასაახალწლოდ ძაან დაგვაკლდა შენი შემართება და თანადგომა, დედიი, მაგრამ რა გზაა, ვუძლებთ. მთავარია, მორჩე და ძველებური მეგი დაგვიბრუნდე, ბოლომდე მოირჩინე თავი, არ აჩქარდე, თუნდაც მთელი თვე დაგჭირდეს საამისოდ. ჩვენზე არ იდარდო, ჩვენზე შორენა ზრუნავს.

კარგი სიახლეები გვაქვს. რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე ცირამ წუწუ მიავლინა და ირამაც მომავალი წლის ბიუჯეტი მიაღებინა მაგ დამთხვეულებს. ამაღამ მშვიდად დაიძინე, ყველა დაგეგმილი პროექტი განხორციელდება. შორენას, რომ იტყვიან, თავის მოსაფხანად არ სცალია, ისეა საქმეებში ჩაფლული. გოგიტა გოგიტიძეს კი სცალია, მაგრამ რა მოსაფხანი თავი მაგას აქვს.

გამიგია, უზენაესში ხალხმა ცხოვრება აიწყოო, რუსო აბაშიძე კი მაქედან ისეთი უფერული, მოშიებული, წონა და გემოგლობინდაკლებული დაგვიბრუნდა, რომ ძლივს მოათქმევინეს სული. მზია მართალიშვილი დღეს ძაან დაკავებულია, დილიდან სადღაც მიდის და არსად წასულა, სამაგიეროდ, 7 ფინჯანი ყავა შესრუპა, უამრავ მზესუმზირასა და ტკბილეულს გამოუღო წირვა და ამაღლებულ განწყობაზეა, ქეთი ბოლქვაძეს ქოთნით ყვავილი აჩუქეს და საჩუქართან ერთად, თაიგულივით დაგვიბრუნდა გადაღებიდან. მარიბუს ხმა საერთოდ არ გაგვი-

გია, თურქეთში ყოფილა წასულა და იქ ხვდება ახალ წელს. იმედია, მომავალ წელს გაეხსნება ბედი და მის გაბედნიერებას ვიქეიფებთ. კარგი გოგოა და ყველაფერი საუკეთესო გვემეტება მისთვის. საწყენია, მარტო რომაა და არავის უშლის ნერვებს. ლაშა ველიაძე რომ გახსოვს, ზუსტად ისეთია, მხიარული, ენამოსწრებული და მაიმუნი, დარინა, ტრადიციულად, ყველაფრის მიმართ გამოკვეთილ ინტერესიანი, მადიანი და მუდამ მოშიებული, ჯენი – ჩემ უთქმელადაც იცი, რაცხა მოშპი – გავარდია, სადაც გამოჩნდება, იქ მუდამ სითბო, კაი განწყობა, სიხალისე და მხიარულებაა.

დღის პოზიტივი – ფიფქიებთან (შორენა, მზია, ჯენი) სამახსოვრო სურათები გადავიღე, წარწერაც გავუკეთე – ნიუსრუმში, ბაღნებთან. უმფროსის შენიშვნაც ოპერატიულად მივიღე, ვინაა ბაღანა, 30-ს გადავაბიჯე უკვეო (რამდენი მოიკლო, მის სინდისზე დარჩეს), მაგრამ ხმაზე შევატყვე, რას გამომაპარებდა, ესიამოვნა და გაუხარდა კიდეც. ვიცი, შენც გაგიხარდება ეს უსტარი და ამიტომ გწერ, ჩემო მეგი. შენი გულის ამბავი რომ ვიცი, ჩვენც მოგენატრებოდით, არ ვართ ისეთი ხალხი, იოლად დავავიწყდეთ ვინმეს.

ამ წელში ველარ შევხდებით და 2016-ში, იმედი მაქვს. გილოცავ ახალ წელს და გულმოდგინედ გინახავ საჩუქრებს: ღარიბაშვილის და ბალაძის მოსალოც ბარათებს, მედცენტრის – ონკოლოგია, ქირურგია (ასე აწერია პარკს) გამოგზავნილ ერთ ბოთლ წითელ ღვინოს, ერთნახევარ ფილა შიკოლადს (სამი იყო, მაგრამ ნაწილი შუადღის ყავას შეეწირა), მათთან სამკურნალოდ მოპატიჟებას და კიდევ რაღაც-რაღაცაებს. თუ დროზე წაიღებ, ხომ კაი, დღეის მერე არ ვარ პასუხისმგებელი, დარაჯობის ვადა მიმთავრდება.

აბა, შეხვედრამდე...

მეგის, ამ ბარათის წაკითხვისას, სიხარულის და მონატრების იმდენი ცრელი დაუღვრია, რომ მკურნალ ექიმს ორგანიზმში სითხის ნაკლებობა დაუდგენია, პრეპარატებთან ერთად, დამატებით დღეში ორნახევარი ლიტრი სასმელი წყლის, ჩანაცვლებით – ხილეული წვენებისა და მწვანე ჩაის მიღება, მხოლოდ ოთახში გადაადგილება, გაღებულ ფანჯარიდან სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა და დროის ცვლილებების იქიდან ყურება გამოუწერია. ღვინითა და არყით გამასპინძლების უფლება კი მისი ამბის მომკითხველებისთვის მიუცია.

ზარგინავა

39 წლის წინ, 7 იანვარს, ნესტიან და კოღოიან ფოთში, ზარგინავებს მეხუთე შვილი შეეძინათ, პაწიას ლაშა დაარქვეს და დემოგრაფიის წინაშე ვალმოხდილმა ოჯახის უფროსმაც ხმალი ქარქაშში ჩააგო. ყველა პარამეტრით, ბავშვი ჯანმრთელი და ნორმალური გაჩნდა – სიგრძე, წონა, მადა, ზრდის პარამეტრები და გონებრივი განვითარება ყველაზე მაღალ სტანდარტებს პასუხობდა. ეს ტენდეცია ბოლომდე შენარჩუნდა და, მართალია, არაფერი დაუშავებია, მაგრამ ახლა იგი ჩვენი კოლეგაა, უენო, სანდო და გულიანი. ხუჭუჭა თმები სულაც ნიუსრუმში გაუჭაღარავდა,როგორც პროდიუსერი, შეუდარებელია მისი ნებისყოფა და მოთმინება. მუდამ გაწონასწორებული და კორექტულია:

– გედევირიე კაცი, რავა არავის უნდა მუშაობა, ველიაძე, დროზე წეეთრიე სიუჟეტზე, თორემ შემომაკვდები, იცოდე, წეროძის ასავალ-დასავალი თუ დაადგინოს ვინმემ, შემატყობინეთ, სად დაძანძურობს დილიდან, ჯენი, დაამთავრე ღლაბუცი და წაბრძანდი გადაღებაზე, ირინესგან რა ისმის? რიგგარეშე ბიუროს სხდომა თუ ჩაიშალა? იქ რას მიკეთებს იქ, ჩაქვის სილამაზით ტკბება თუ მედეა ვასაძის? ნონჩიტა დეიტიეს ქედაში თუ გამოუშვეს? რაო, ოპერატორები სადილზე გავიდნენ და ერთ საათში ვიქნებითო? მეც კი მშია, მაგრამ საქმეს რა ვუყო, მივატოვო? შოკაც სად გაქრა, თემები მაქვს შესათანხმებელი. უთხრეს, ზევითაა, თათ-

ბირზეო. აქ ყველა ზევით და მაღლაა ღრუბლებში, მიწაზე მე და ცირა დავრჩით, მგონი, მარტო, არა, დაია, – თქვა და თანაგრძნობის იმედით გადახედა დღის პროდიუსერს.

– კი, გველოო. – მიიღო პასუხად და იმ დღეს აღარც ცირასკენ გაუხედავს მეტად . მე კი პირველად მაშინ აღმოვაჩინე, თუ რა საალერსო სიტყვა ყოფილა „გველოოო!“ და შემრცხვა, ამდენ ხანს ეს რომ არ ვიცოდი.

– არავინ დევინახო პირდაღებული და უსაქმური! – ეს დღევანდელი „მთავარის“ შეფი ზარგინავაა ისევ, – მომაყრით მერე ერთბაშად სიუჟეტებს წასაკითხად, როგორ მოვასწრო, მეც ხომ ადამიანი ვარ, ახლა ნატალიაც მომადგება ანონსებისთვის, რამდენად გავიჭრა, დედაია, არ ვიცი, შემდეგ კომპიუტერს მიუჯდა, ფეისბუკში შევიდა და გახარებულმა წამოიძახა: – რამხელა გაზრდილხარ და გალამაზებულხარ, შვილო, შემოგევლოს მამა, ჩემო პრინცესავ და ფერიავ. როგორ მომენატრე, როგორ გიხდება ახალი კაბა და ფეხსაცმელი. მერე მეუღლეს ალერსიანად შემოწყრა: შენი ახალი სურათიც რომ დაგედო, რა იქნებოდა, ქალო, ვერ ზიდავდა ინტერნეტი თუ რა?

ამბობენ, შეუდარებელი კულინარიაო. მართალია, მე მისი გაკეთებული კერძების დაგემოვნების ბედნიერება არ მღირსებია, მაგრამ ვინც მიირთვა, მეორე დღეს იმათი გაბედნიერებული სახეები რომ მინახავს, არ შემპარვია ეჭვი.

საკუთარივით უხარია უმცროსი კოლეგების წარმატება. ერთხელ გარგანჯიას სიუჟეტს ასწორებდა და ვკითხე, როგორაა საქმე, თუ გაიზარდა-მეთქი და კმაყოფილი მითხრა, შედარება არაა, იმხელა წინსვლა აქვსო, ნეტა, სხვებიც ასე წერდნენო. მარტო კი ვიყავით, მაგრამ ირგვლივ მაინც მიმოიხედა, სიხარულის კურცხალი და შუბლზე ოფლი ერთდროულად მოიწმინდა.

ხშირად უთქვამს, უფროსი დების გაზრდილი ვარო და ამ სიტყვებში ენით აღუწერელ მოკრძალებას, სითბოს, სიყვარულს, მადლიერებას და დედმამიშვილობის სიძლიერეს ვხედავ, იმ სიძლიერეს, ყველა გასაჭირს კაცურად რომ გადაგალახინებს და ისე გაცხოვრებს, უკან მიხედვის რომ არასოდეს შეგრცხვება.

იანვარში დაბადებულებს მაინც სხვა მენტალიტეტი აქვთ...

პარასკევს, „ველურ დასავლეთში“

ქეიფი, საახალწლოს დაარქმევ, კორპორაციულს თუ უბრალოდ, განწყობისათვის, ყოველთვის სასურველი და სასიამოვნოა. ნიუსრუმში, სადაც ყოველთვის დროის დეფიციტია, ერთად ჩამოჯდომა და მოლხენა მუდამ ჭირს. სურვილი კი, თითქმის ყოველთვის, სურვილად რჩება. ასე მოხდებოდა ამჯერადაც, რომ არა ჩვენ დახურულ ჯგუფში, დღე დღეზე მზარდი ჟურნალისტის ლაშა ველიაძის პოსტი არ გამოჩენილიყო.

– „საინფორმაციო სამსახურის რეპორტიორების, ოპერატორების, პროდიუსერების, გრაფიკოსების, რეჟისორების, ვების, აესბეს, არქივისა და მემონტაჟეების, გამვლელებისა და გამომვლელების საყურადღებოდ!!!

პარასკევს, 15 იანვარს, ვიწრო წრეში, ვაპირებთ ქეიფს. მსურველებმა განვიხილოთ რესტორნის საკითხი და გავარკვიოთ რამდენი შევგროვდებით...“

ცოტა ხანში 30 პერსონაზე გათვლილი მენიუც მიაყოლა, 40-ლარიანი თითო კაცზე, ალკოჰოლის გარეშე...

სიახლემ საყოველთაო მოწონება და აჟიოტაჟი გამოიწვია. პირველი კომენტარი და მოწონება, რა თქმა უნდა, შორენას ეკუთვნის, ნიუსრუმის უფროსს.. ისედაც ვინ დაასწრებდა, ყოველთვის მოვლენების ეპიცენტრში და ინტერნეტშია. კომენტარში, უბრალოდ, ციფრი ერთი ჩაწერა. კი გვერჩივნა ორი ყოფილიყო, მასაც არანაკლებ, მაგრამ...

– მეც 1. – უფროსს არ ჩამორჩა ნინო ხუხუნაიშვილი.

ნინო ინაიშვილს ოპერატიულობაში ვინ აჯობებდა, ქობულეთიდან ბათუმში ბარემ ათს დაასწრო არჩევანის გაკეთება, ჩვენ გვერდითაა + 1.

– მართლა ვქეიფობთ? – დაეჭვებული კითხულობს ქეთი ბოლქვაძე. იგი ახალბედაა და ჯგუფის შესაძლებლობებს ნელ-ნელა ეცნობა. როცა განზრახვის სერიოზულობაში დარწმუნდა, თავისი ხმა კოლეგებისას შეუერთა, ოღონდ გულისწორის წამოყვანა და ჩვენთვის გაცნობა ამჯერად, მომავლისთვის გადადო.

– 1+1. – ეს ნატალია კიკვაძეა, ამ მხრივ სამაგალითო და მისაბაძი. ყოველთვის მეუღლის გვერდით, ჭირსა თუ ლხინში, დარსა თუ ავდარში. ისე, კარგი სიმთვრალე აქვს...

– 15-ში რატომ ვქეიფობთ, ველიაძე, დაბადების დღე გინდა საზეიმოდ აღნიშნო? – ნიუსდეიდა, როგორც ყოველთვის, ახლაც მოწონების სიმაღლეზეა. თუ არ უნდა, რას გამოაპარებ, უმალ გამოჩხრიკა ნიუსი – კომპრომატი.

– დამასწარი, მეც ეგ უნდა მეთქვა – პოზიცია გაუმაგრა ნატალიამ, – წესით 15-ში შენ უნდა დაგვპატიჟო, შენი პირველი დაბიდუბია ნიუსრუმში...

– არ ვიცოდი ველიაძის დაბიდუბი თუ იყო, მე დავაწერინე ეს რიცხვი. – თავი გამოიდო მომავალი იუბილარის დაცვით შორენამ.

– თვითონ ხომ იცოდა, – არ ცხრება ნატალია, – ტორტი მაინც იკისროს!

– ნატალია, ეს ჩემი მეორე დაბიდუბია ნიუსრუმში! – დააზუსტა ველიაძემ. – დავბერდი უკვე.

– წარმომიდგენია, პირველი როგორ თაღლითურად ჩაიარა, არც კი მახსოვს. – არადა, ნატალიას მეხსიერება იმაზე უკეთესი აქვს, ვიდრე სჭირდება.

– ტორტი რა ბაზარია, ამხელა სუფრას ვაჩალიჩებ. – იწყინა ოთხ დღეში დასაბადებელმა და მოქეიფეთა სიის შედგენა გააგრძელა, – ვინ მოდის მარტო და ვის მოყვება კავალერი, ზუსტი ციფრი მითხარით?

საქმეშია კაცი, მარიფათობს.

– 15-ში, სად, რომელ რესტორანში და რა დროს ვქეიფობთ? – გადაღებიდან ახალმოსული ნონა დიასამიძის ცნობისმოყვარება უსაზღვროა, – მეც 1+1 დამიწერეთ, ჩემი პირადი პატრულის გარეშე არსად დავდივარ.

ცირა სურმანიძის საკითხიც გადაწყვეტილია, მას კაი ხანია პერსონალური მანქანა პირადი მძღოლით ემსახურება. ესეც 1+1.

მინდია მალაყმაძე – ასევე 1+1.

ლაშა ჯოყილაძე – თანახმაა.

ბექა რომანაძე – ჩვენთანაა.

გიორგი წეროძე – სადაა, მანაც არ იცის, ისე, ამბავი შევატყობინეთ...

გოგიტა გოგიტიძე – სიცხიანია.

ზვიად ჭკუასელი – ხანმოკლე შვებულებაშია.

გიორგი ხომერიკი – ფიქრობს.

ლაშა ზარგინავა – ჰორიზონტზეც არ ჩანს, მაგრამ მისი გვეიმედება.

ნოდარ ცეცხლაძე – მოდის.

ჯენი კვანტალიანი – მგონი, უკვე ნამყოფია.

– დროს და ადგილს დააზუსტებენ და გვაცნობებენ ელვა დეპეშით.. თან ნისია გვინდა, თან იაფი, თან ხარისხიანი, თან ცოცხალი მუსიკა – არაა ადვილი ჩვენს მოთხოვნებზე მორგება – ეს ცირაა, მორიგი ინფორმაცია თავიდან დაწერა და ახლის მოსვლამდე, შეგვაწია სიტყვა.

– ნისია არ გამაგონოთ, – გაწყრა ნატალია,– გამოცდილებიდან გამომდინარე, ცოტა არ იყოს, მეაპასნება. ხალიავაზე ქეიფი არ მაწყობს... ვინც დადებს, ის წამოვიდეს...

– მეც გამითვალისწინეთ. ბესოსაც წამოვიყვან, დაბადების დღე აქვს და ცოლის დაქალებთან აღვნიშნავთ. – კარგ განწყობაზეა აქამდე ჩუმად მყოფი ირინა წუწუნავა, ეტყობა, სიუჟეტი დაამონტაჟა და ახლა მოიცალა საერთო საქმისთვის. – ველიაძე, მუზიკა ბუდიტ? – შორიდან დაიწყო.

– ჩემი ძმაკაცი უკრავს, მუსიკაზე არ იდარდოთ, არ უნდა შაბაშები, 3 ჭიქის მერე, იმენნოი ზაკაზები და ტრიპაჩული მუსიკები წამოვა. – დააიმედა ლაშამ.

– მაინც სად ვქეიფობთ, აღარ იტყვით? – ნატალიას სადაცაა, შემოელახება ველიაძე.

– Wild west-ში.

– სად?

– ხელვაჩაურის გზაზე როა „ველური დასავლეთი“. მაგაზე რა აზრის ხართ?

– რა ველური დასავლეთი, ბიჯოო???

– მასე ჰქვია რესტორანს. ხოდა ველურულად შევუბეროთ...

– ერთი რამ გაითვალისწინეთ, თანხას, რასაც იტყვით თავიდან, იმაზე მეტს არ დავდებ. ჩამთვალოს, ვისაც უნდა, ძუნწად... – წუწუნავამ თავი წინასწარ დაიზღვევა.

– აბა, ერთი გაბედონ... ვერც ვერავინ ჩაგთვლის... წამოვიდნენ ისეთები, ვინც ნაღდად დადებს ფულს. – როგორც ყოველთვის, ახლაც შეუვალია ნატალია. – მე 80-ს მოვიტან.

– ოკეი, მეც 80. – ნონა დიასამიძე დაპლიუსდა.

– 80-ს მინუს 40. მე ამდენს... – ჩვენს ხელში ჯერ კიდევ შემორჩენილი იუმორი და მათემატიკური ნიჭი ერთდროულად მოიშველია შორენამ.

– მე რომ 20 მოვიტანო, არ იზამს? – ფეისბუკიდან მოგვესიყვარულა ზარგინავა და უმალ ნატალიას პირში ჩავარდა.

– რატომ? მაგ ფასად შენს გადიდებულ სურათს და კეთილ მოგონებას წავიღებთ რესტორანში... კიდევ, 2-3 ჭიქის შემდეგ კაცურადაც გაგიხსენებთ, ჩვენი იმედი გქონდეს.

იცის დანაპირების შესრულება ნატალიამ.

– ღვინო? – იკითხა უენო ბექა რომანაძემ.

– ღვინის შეტანაზე პრობლემა არ არის. – დაამშვიდა ველიაძემ.

– აბა, დალევაზეა?

– არა მგონია, მასე იყოს საქმე.

– ღვინოს რას ვაყოლებთ?

– აგერაა მენიუ და ვიმსჯელოთ, ბატონო... – სათვალის ზემოდან გადმოგვხედა ლაშამ და მენიუ გაშალა.

– სინორი რა საჭიროა? – ისევ მოიცალა კოლექტივისთვის ნიუსდეიდამ.

– ან ამდენი ხორცი? – შეტევაზე გადმოვიდა შორენა, არ ვიცოდით, უფროსი ვეგეტარიანელი თუ იყო.

– სინორს, ქათმის გულ-გვიძლს და ქათმის მწვადს თუ ამოვაგდებთ, მგონი, კარგი იქნება. – შეუვალია ნინო ჩიტაიშვილიც.

– ქათმის სალათაც არ გვინდა, ცეზარი სჯობს. – ირწმუნება ირენ წუწუნავა.

– არც კიტრი და პომიდორი ინდობა ზამთარში, საშინელებაა პირდაპირ, ნიტრატებითაა გაჭყეპილი... – განაცხადა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით გაზრდილმა ნონა დიასამიძემ.

– იდეა მაქვს, თითო გლდანის შაურმა ვჭამოთ და ისე წავიდეთ საქეიფოდ, – ლაშა ჯოყილაძე ნოვატორულმა იდეებმა შეაწუხა.

– თქვენ ისე ცხრილავთ ამ მენიუს, ბოლოს პრასი და მუსიკა დარჩება მხოლოდ. – შეშფოთდა ველიაძე. – სალფეთქი მაინც დავტოვოთ, მაგრა მევასება...

– ლაშა გპატიჟებთ დაბადების დღეზე და თქვენ რა პონტში ერევით შიდა სამზარეულოში? ასეთ ვიპ სასტავში რომ გაერია, უხარია ბიჭს და აცადეთ პატივისცემა. – ვეღარ მოითმინა პირდაპირ ჩართვიდან ახლახან დაბრუნებულმა მზია მართალიშვილმა და სიტყვა შეგვაწია..

– ცოტა დასტოინად, გოგო, რა დღეში ხარ... – შემოწყრა ველიაძე.

– ასე მგონია, ისევ მარხვაზე ვარ და ბოსტნეულ-პრასიან-ფხალიან სუფრაზე მიგყავართ. – შეწუხდა ნატალია, – ვფიქრობ, არ არის ცუდი მენიუ. ფხალით და სალათით დანაყრებული კაცი სად გინახავთ? ეგ თუ გინდოდათ, მოსულიყავით ჩემთან ახალ წელს – სხვა კი არაფერი მქონდა. – ნაგვიანებად, მაგრამ მაინც გულიანად დაგვპატიჟა კიკვაძის ქალმა და ისეთი თვალით გადმოგვხედა, სტუმრობის სურვილი უმალ გაგვიქრა.

ანდა, რა დროის სტუმრობაზე ფიქრია, ნიუსრუმში სამაგისოდ ვის ცხელა, ქეიფი გველოდება რამდენიმე დღეში, მენიუ გადასახედია, ფული მოსანახი, სია და მენიუ დასახვეწი, თემები მოსაფიქრებელი, სიუჟეტები მოსამზადებელი, თორემ... ცოცხლად შეჭამს კორესპოდენტებს აქეთ სურმანიძის ქალი და იქით ჯანმრთელობაგამოკეთებული მეგი შავლაყაძე, ზარგინავას ხომ ამ ბოლო დროს მაგის თავი ისედაც აღარა აქვს... ვერ ეღირსა ბიულეტენს, ჯანმრთელ კაცზე არ ხსნიან თურმე და წუხს...

პარასკევამდე რაღა დარჩა, კარზე მოგვიკაკუნებს, სადაცაა...

დაკლიკეო...

ცნობისმოყვარეობა თუ დანაშაული იყო და თანაც დასჯადი, გუშინ გავიგე. ინტერნეტში დემოგრაფიულ პრობლემებზე სტატიებს გავეცანი, ერთს მეორე მოყვა, მეორეს – მესამე, მესამეს – მეოთხე, მეხუთე... გვერდიდან გვერდზე, სააგენტოდან სააგენტოზე გადავედი, იოლი აღმოჩნდა თემატური მასალის მოძიება, იქვეა მინიშნებაც, მეტის ნახვა გსურს, შედი ამ გვერდზე, წაიკითხე ის, დაკლიკე აქ. არაფერი გეხარჯება, დროის გარდა, თან ყველაფერი უფასოა. ზღვა მასალას გავეცანი, რაღაც მოვინიშნე და დავიმახსოვრე, რაღაც სამომავლოდ გადავდე. ისე, კი დავიღალე ცოტა, მაგრამ სამსახურში მაგას როგორ შევიმჩნევ? აქ ისეთი ენერგიული ხალხი გვყავს, ერთდროულად ასწრებენ სიუჟეტის დაწერას, ხმამაღლა საუბარს, მომსვლელ-მიმსვლელის დაკვალიანებას, ტელეფონით ენაწყლიანობას, ყავაზე ჟღურტულს და ცოტა ჩუმად, რამდენს ლაპარაკობთ, ხელი მეშლებაო, – შენიშვნის სხვისთვის მიცემასაც...

ამ სტატიასაც ჩავიკითხავ, პატარა ჩანს, რა დიდ დროს წამართმევს – გავიფიქრე, თან მორიგი საინფორმაციოს დროც მოდიოდა... ის იყო, გვერდი უნდა ჩამეხურა და წამოვმდგარიყავი, რომ კომპიუტერმა ახლა მსგავსი თემატიკის ვიდეობმული თავაზიანად შემომთავაზა – დაკლიკე და გაიგე მეტიო.

მეტის გაგების სურვილმა წამძლია და დავკლიკე. სურათზე ბებიაქალს შვილიშვილები ეჯდა მუხლებში, ვიდეოში კი... ლამის დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებელი, გრძელვადიანი პროექტის თანამონაწილე არ გავხდი? ამას რას ვხედავ? – HD ხარისხით გადაღებულ კადრებში უნიფხვო ბუღა მადის აღმძვრელად ეცუქცუქება ცოტა იმნაირად მოღიმარ ციცას, ჯერ ბიუსტჰალტერი მოაშორა, მერე ნიფხავი ჩააძრო და შემდეგ, მიზანდასახულად ებდღვნა ვნებიანად აკრუსუნებულ „უმანკოებას“...

გვიან მივხვდი, რომ ეს არ იყო ის, რაზეც დილიდან ვინტერესდებოდი და უმალ გამოვედი საიტიდან.

მე კი გამოვედი, მაგრამ...

სამუშაო დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა. სახლშიც დროზე მივედი, წავიხემსე და ოჯახურ იდილიაში ჩავეფლე. კალანდა მოდის, მეუღლე სამზარეულოში ფუსფუსებს, კერძებს ამზადებს. რადგან ჩემი გაკეთებული არაფერი მოსწონს, დროდადრო მორალურად ვამხნევებ, შევუხედავ ზოგჯერ.

თორმეტამდე ნახევარი საათია დარჩენილი. რა ვქნა, დრო რითი მოვკლა. ნოუთბუქი გავხსენი და ფეისბუკში შევედი, ჩატის სვეტში რამდენიმე მეგობარი მწვანეთაა აღნიშნული. აქაა ჩემი უფროსიც, ეტყობა, სამსახურშია.

– კალანდას გილოცავ, – დამასწრო მილოცვა – აი, რაია, რომ გამომიგზავნე, ვირუსიი? – მომწერა.

– მეც გილოცავ, – არ დავახანე პასუხი და ახლაღა დავაკვირდი, ჩატში უფროსის სურათი რაღაც ციფრებითა და ლათინური ასოებითაა გალამაზებული.

– არ გახსნა, მართლა ვირუსი არ იყოს, – ჭკუა დავარიგე. არაფერი გამიგზავნია და მიკვირს, რა ვირუსზე მელაპარაკება. რამდენიმე წამში ზედიზედ იხსნება ჯამბულ დოლიძის, მანანა მიქელაძის, ბადრი თევზაძის შეტყობინებების ფანჯარა.

– შალვა, შენგან ვირუსი მოდის, დროზე წაშალე. – ოპერატიულად მეხმიანება ბადრი.

– შენი სურათით როა... – გულწრფელად მიკვირს, მე რა შუაში ვარ.

– ვავა, ვავა... – ეტყობა, შეიცხადა ბადრიმ და მეტად აღარ შემხმიანებია. სამაგიეროდ, ისეთებს გავახსენდი, რომ...

მონატრებული ხალხის მოზღვავება ვიგრძენი.

– ჯიგარი ხარ, მაგრად ვისიამოვნე... – აი, თბილი შეხმიანება თბილისიდანაა.

– ბრატ, სად მიაგენი, რომელი საიტია, მომწერე, რა... – მეღადავება გარე ნათესავი, ქუთაისიდან.

– სიბერეში დაუბერე, თუ რაშია საქმე? – შინაურის ხელწერაა, ლანჩხუთიდან. ერთი ორი წელია, არაფერი მოუწერია, ვახსოვარ თურმე...

– თითუუ, გათინეიჯერდი, ბიჭოოოო... – სტუდენტობისდროინდელი ამხანაგის მოფერებას, სულ სხვა ფასი აქვს.

– აუუ, რას ტლინკაობენ... – წამხდარ საქმეში რაღაც პოზიტივს რომ დაინახავს კაცი, ესეც ნუგეშია, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც...

– კომპიუტერი დაუმალეთ მაგას, ხალხოოო... აჯობებს, ისევ ფელეტონები წეროს. – ვაშალომიძეებიდან მომწვდა ცირა სურმანიძე და კოლეგის თანადგომის ძალა უმალ ვიგრძენი.

– ვერ ვიჯერებ, ვერაااااااა... – ჩემსავით ფიქრობს ჩემი ხნის, ასე 42 წელს მიახლოებული, სასიამოვნო, მიმზიდველი, გათხოვების პერსპექტივაშენარჩუნებული მანდილოსანი, რომლის სახელსაც პირადი უსაფრთხოების მიზნით, არ ვასაჯაროებ. არა და, რაც დრო გადის და ეგ მახსენდება, სიტყვა პერსპექტივის მნიშვნელობა და ფასი, დღითი დღე ეკარგება.

შვილს დასახმარებლად დავუძახე, ახლა ამან შემინთო ცეცხლი.

– ვირუსია, მამა, ვირუსი. ყველაფერში რომ შედიხარ და ხსნი, იმან იცის... რა დროს შენი ინტერნეტია... – შემარცხვინა ოჯახის მასშტაბით და ვირუსის წაშლას შეუდგა. – არ მიეკარო ნოუთბუქს, მე მიყიდა დედიკომ, ჩემია...

– მისია, მისია... – აყვა მეუღლე და დავრჩი მეფე ლირივით მარტო, ეული და მიტოვებული.

გამოდის, სახლში ჩემი მხოლოდ კომუნალური გადასახადი და საბანკო სესხები ყოფილა.

რა გზა მაქვს, თავს ვიმშვიდებ.

ვირუსი რომ მარტო სამედიცინო ტერმინი არ იყო, სამსახურიდანაც ვიცოდი, აქ უამრავი ვირუსი და ბაქტერია გვყავს, თავისი სახელითა და გვარით, აქტიურობითა და მარიფათით. ჯგუფში ბობოქრობს ჟურნალისტური ვირუსები: კვანტალიანი – შინაურის გამომეტყველება აქვს, ისე ქუთაისური სკოლაგავლილი სვანია, ფრიად გავლენიანი, კანტორის ხალხიდან ბევრს იცნობს, ახალი წელი საქართველოს პრეზიდენტმაც მიულოცა და ახლა უმუშევრად დარჩენილმა ღარიბაშვილმაც. ქეთი ჭყონია – რომ გიღიმის, მაშინაა საფრთხის შემცველი, რას გაგიჩალიჩებს, წინასწარ, მანაც არ იცის, ამ ბოლო დროს მუტაცია განიცადა და მკურნალადაც მოგვევლინა. პირველი პაციენტის ვინაობაც ცნობილია, შედეგი კი – არა. მზია მართალიშვილი – კეთილშობილმა გვარმა და მისმა გაფცქვნილმა გაბარიტებმა არ შეგაცდინოთ, ულევ ენერგიას ფლობს, დაუზარელი და მარჯვეა, თან მეტად პრინციპული. ლაშა ველიაძე – ახალგამომცხვარი, მზარდი ვირუსია, ირინე წუწუნავა – გამოცდილი და მოლაპარაკე, გოგიტა გოგიტიძე – წნევიანი, ქეთი ბოლქვაძე – ჩემპიონი, ნათია ნაკოპალიანი – ემოციური, მომხიბვლელი და სექსუალური. ბექა რომანაძე – უენო. დარინა გარგანჯია – დამძიმებული და მშიერი, ნინო ინაიშვილი – რეგიონალური, ჯერჯერობით სრულყოფილ დიაგნოზირებას რომ არ ექვემდებარება, ისეთი.

ვირუსების წინააღმდეგ უშეღავათო ბრძოლაშია ჩართული ნაცადი და გამობრძმედილი ანტივირუს-პროდიუსერები: ცირაკობრა, ღვთის რისხვა მეგი შავლაყაძე, პატრონი მყავდეს, აქ რა მინდა – ლაშა ზარგინავა, რეგიონებმა გამიშრეს სისხლი, თორემ წლები რას დამაკლებდა – მარინა მანჯავიძე, მაგენის ყურებას, მეორე ბავშვის გაჩენა მირჩევნია – თეონა გოგუა.

როგორც ყოველთვის, შესაშურ ფორმაშია მთავარი კაშპიროვსკი – შორენა ღლონტი...

მე კი, ჩემი ცნობისმოყვარეობის შემხედვარე, ყურებაწეული და დასჯილი დავრჩი. არ მიძებნია მაი მიწაგასახეთქი ვირუსი, თვითონ მომძებნა, მომაგნო, ამაფორიაქა და მომჯაყა.

ეძიე ახლა სამართალი, სადაც გინდა...

2016 წ. იანვარი

როცა ლექტორი იგვიანებს

ახალგაზრდა, სიმპათიური, მეცნიერების ამომავალი ვარსკვლავი, რბილი ხასიათის, გულთბილი და რაც მთავარია, დასაოჯახებელი. – სავსებით უტყუარი ეს ინფორმაცია გაუთხოვარი თანაკურსელი გოგონებისგან გავიგეთ ჩვენი ფაკულტეტის ახალი დეკანის დანიშვნიდან ზუსტად მეორე დღეს, ფილოსოფიის ლექციის დაწყების წინ.

– გაცდენებს როგორი თვალით უყურებს? – დიდი გულისყურით იკითხა წინა დღის უძინარმა ჯუმბერ ბერაძემ და დამძიმებული თავი მორჩილად დადო მერხზე. ეტყობა, ჯერ ისევ ბახუსის ტყვეა.

– მგონი, სათვალე არ სჭირდება? – დაანუგეშა ვარდო ჩხიკვაძემ და კონსპექტი გადაფურცლა.

– მკაცრია? – ცნობისმოყვარე ირინე ბაბილუა მშვიდი ხმით კითხულობს და უბის წიგნაკში რაღაცას ინიშნავს.

– ასე ამბობენ, ღიმილი რომ ღიმილია, ისიც ვერ შეეთამაშება სახეზეო.

– მართლა?

– აბა, კაცო... – კვერს უკრავს თინა ბაუჟაძე.

– ეს გვინდოდა ახლა ჩვენ? – უკმაყოფილო სახე დაემანჭა ჯამალ ფასანიძეს, მაგრამ სიბრაზე არ შეიმჩნია.

– შენ ეგ თქვი... – ლადო ფეხზე წამოდგა და ჩვენკენ წამოვიდა. – ჩემი მოგვარე არ იყოს მაინც...

ლადო მოისწრაფიშვილს აშკარად ეტყობა, სულ არ აინტერესებს ახალი დეკანის არსებობა. მისი ყურადღების უმთავრესი ობიექტი თანაკურსელი ნაირა ხუჭუაა, ზედმეტ სახელად ბობრიკა. ბავშვები პირველი კურსიდან შეყვარებულები არიან და მგონი, ადგებათ საშველი.

– გამოგიღებთ წირვას და ეგაა. – პათეტიკურად განაცხადა ჟორა გორგაძემ, კურსის ახალმა ჯგუფხელმა და აუდიტორიაში დიდრონი ნაბიჯებით შემოალაჯა. – მთელი გუშინდელი საღამო, თქვენ რომ შებოლილ თევზს, ლუდს და არაყს არხეინად მიირთმევდით, – აქ პაუზა გააკეთა და ბიჭებს ალმაცერად გადმოგვხედა – მე მასთან კაბინეტში ვიჯექი და ჭკუითა და დარიგებებით ვივსებოდი.

– ვითომ? – დაეჭვებით იკითხა შორენა ქამადაძემ – ბევრი ვერაფერი შეგატყვე და...

– გავკეთდით ხალხო, – ფეხზე წამოხტა ომარ მეგრელაძე და ჟორას მიაშტერდა. – ამის დაჭკვიანებას მოგვასწრო ღმერთმა, მის სახელს ვენაცვალე, აწი ჩვენც დაგვადგება საშველი.

ჟორა ასაკით, აკადემიური მოსწრებით, ლექცია-სემინარებზე დასწრებით, სიდინჯით, სერიოზულობით და რაც მთავარია, ორი მოჟღურტულე ბღარტის წყალობით, თანაკურსელ ვაჟებში ჭკუასაკითხ კაცად ითვლებოდა. მის თანადგომას, სიტყვა-პასუხს და ლექციის კონსპექტებს სემინარების და გამოცდის მოახლოებისას დიდ პატივს ვცემდით. ამ ბოლო დროს უზარმაზარი ნდობა გამოუცხადეს, ყოველგვარი არჩევნების გარეშე, დემოკრატიული პრინციპების გაუთვალისწინებლად, ჯგუფხელად დაგვინიშნეს. ზოგი ჭირი მარგებელია და იმ დღის შემდეგ ახალი ჯგუფხელი დაბალ წნევებს აღარ უჩივის. ძველი ჯგუფხელი ციური მიქელაძე ფიზაღზრდის ლექციის კოლექტიურ „შატალოს“ შეეწირა. დეკანატს ვინმე ხომ უნდა დაესაჯა სამაგალითოდ, ჰოდა ასე მოინახა ზვარაკი.

„ყველაფერში ბედი გინდა კაცს“, – ვამბობ გულში. ჟორა გულისნადებს მარტივად კითხულობს და მთელი სერიოზულობით მპასუხობს: – არა ძმაო, სამართალმა პური ჭამაო.

ეჰ, რას იზამ, შენ ერთი გვაკლდი იმ დღეს სანაპიროს ლუდის ბარში, თუმცა რა „გეშატალოებოდა“, სიცხიანი, ძმრით დაზელილი ბორგავდი ლოგინში და საერთო საცხოვრებლის დამლაგებელი გდარაჯობდა ჩვენს მოსვლამდე.

– რა მინდაო მაინც განსაკუთრებულად, ახალმა დეკანმა? – ვეღარ მოისვენა მუდამ უენო ლია მებუკიამ და თითებს დაუწყო წვალება.

– რაო და... – აქ ჟორამ შეგნებულად, მოგრძო პაუზა გააკეთა, რა დროსაც ჩაახველა კიდეც – ლექცია არ უნდა გააცდინოთო, სემინარ-პრაქტიკუმებზე უნდა იყოჩაღოთო, საზოგადოებრივ საქმიანობებში უნდა იაქტიუროთო, ბიბლიოთეკებში უნდა აღამებდეთო, სუსტ, ჩამორჩენილ და ლენჩ კურსელებს უნდა დაეხმაროთ, თორემ ისინი სემესტრის ბოლოს კურსისა და ფაკულტეტის ავტორიტეტს დაბლა დასცემენო. – ერთი ამოსუნთქვით ჩაამთავრა სათქმელი და მოვლენის შემდგომ განვითარებას კათედრასთან დაელოდა.

– ვინ ისინიო, ვინ ლენჩებიო, ვინ ჩამორჩენილებიო, ერთი-ორი არ დაასახელა მაინც მაგ მუდრეგმა? – გულგატეხილი იკითხა მზევინარ ნაკაშიძემ და როგორც მოსალოდნელი იყო, თვალებით ლადო მოძებნა. ლადომ ალმაცერად შორენა ქამადაძეს გადახედა. უნდა აღინიშნოს, რომ ქამადაძის ქალი არ დაიბნა არცთუ მთლად სახარბიელო ვითარებით, თავი ზანტად მიაბრუნა გვერდით მდგომ გულო გაბუნიასკენ და თვალი თვალში გაუყარა. თავის მხრივ, არც გულო დარჩენილა ვინმესთან ვალში და უმალ რუსუდან ჟორდანია აღმოაჩინა. რუსომ – თინა, თინამ – ნანული, ნანულიმ – მანანა, მანანამ – მაია, მაიამ – ლია, ლიამ – მერი, მერიმ – ვაიდე, ვაიდემ – მაყვალა, მაყვალამ – ჯუმბერი, ჯუმბერმა გულისწირვით მომძებნა მე, მე ომარს გავუხარე გული, ომარმა ვარდოს შეანათა თაფლისფერი თვალები... და ასე დაზვერა მთელმა კურსმა ერთმანეთი და რაკი ხელჩასაჭიდი ვერაფერი იპოვა, ახლა ოცდახუთი წყვილი თვალი ახალ ჯგუფხელს უმზერდა ალმაცერად.

– ჩვენ, ბატონო ჟორა, კონკრეტულობა გვიყვარს, თორემ ცოტა არ იყოს, დავიბენით, რომელ ერთს დავეხმაროთ სწავლაში: მაია ბარამიძეს, თინა ბაუჟაძეს თუ მერი ჩოხარაძეს? – გამოკვეთილი სერიოზულობით იკითხა ჯუმბერმა და კურსისა და ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტებს ღვაწლმოსილი აღმზრდელივით გაუღიმა.

– ერთ-ორს კიდევ წააშველე ხელი, მადლია. – ატიტინდა კურსის იმედის მომცემი პოეტი ირინე ბაბილუა, სხვების დასახმარებლად რომ იღვწოდა დღენიადაგ.

ჟორა შეიშმუშნა. მზევინარმა, მოულოდნელად მაღლა ასწია ხელი და ამით, ყურადღებაც მიიქცია, თან გვანიშნა, სათქმელი მაქვს და ყველამ ენა დაატიეთ პირშიო.

სხვა რა გზა გვქონდა, გავისუსეთ და სმენად ვიქეცით.

– გულწრფელად გითხრათ, მშვენივრად ვიცი, ჩვენს კურსზე ვინაა ლენჩი, ჩერჩეტი და უვიცი... – ალაპარაკდა მზევინარი.

– მართლა? – ფერი დაეკარგა სახეზე ლადოს.

– დროზე გაგვანათლე მერე, შე დალოცვილო. – შეაგულიანა მერიმ.

– მეტი საქმე არ მაქვს. – გააწბილა ამხანაგები მზევინარმა. – მაგენი რომ ჩამოვთვალი, მერე მე მომნათლავენ ჩერჩეტად და უვიცად.

– გადმოდი, გოგო, დუალისტური პლატფორმიდან და ვარდოს შემდეგ, პირველი გოგო იქნები მთელ ფაკულტეტზე. – წავაქეზე მზევინარი და ხელზე ჯენტლმენურად ვეამბორე.

ვარდო ჩხიკვაძეს დანდალოში მოყვანილ შემწიფებული პომიდვრივით შეუფერადდა ლოყები.

– რა გიხარია, შე მუდრეგო, შენით ვიწყებდი ჩამოთვლას. – არ დამინდო სახეგაბადრულმა მზევინარმა.

პასუხის გასაცემად მოვემზადე და ზარმაც დაიწკრიალა, რამაც ახალი ჯგუფხელი უმალ გამოაცოცხლა.

– გაპარვა ან დაგვიანება არავინ სცადოს, ხომ იცით, ვისი ლექცია გაქვთ? – მკაცრად გაგვაფრთხილა ჟორამ.

– ჩვენ კი ვიცით ბატონო ჟორა, – წიგნიდან თავი ასწია მაყვალა ჯოიძემ, – თავად პროფესორმა თუ იცის, ლექცია რომ აქვს?

ამ შეკითხვამ ჟორაც შეგვიშფოთა. ერთი პირობა, დეკანატში გაქცევა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ზარი ახალი დარეკილი იყო და...

– ჟორას შემოვევლე, კიდევ რა გითხრათ ახალმა დეკანმა? – ენა ამოიდგა აქამდე ჩუმად მყოფმა, სანგვინიკმა ვაიდე ფერცელიძემ.

– ახლა არაა მაგის დრო, სადაცაა ლექცია დაიწყება.

– სანამ ლექტორი შემოსულა. – შეეხვეწა ციცინო ძირკვაძე.

– ორიოდ სიტყვით გეტყვით მაშინ. – ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა ჟორამ. – მრავალი აქტუალური და საჭირბოროტო საკითხი განვიხილეთ, ისეთები, მაგალითად, როგორიცაა...

ამ დროს აუდიტორიის კარები გაიღო და საუცხოო სუნამოს სურნელით ოთახში ნონა მსხალაძე შემოცქრიალდა.

– მაღარიჩი თქვენზეა, ჩვენი ლექტორი ჰორიზონტზეც არ ჩანს.

ცოცხალი ოვაციებით დააჯილდოვა კურსმა სასიხარულო ამბის მომტანი. ჯუმბერმა თავი გამოიდო და რაკი ხელი მიუწვდებოდა, მსხალაძის ასულს ლოყაზე აკოცა.

– ახლავე დავაზუსტებ ყველაფერს, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ! – ჟორა კარებისკენ გაემართა, მაგრამ გოგონებმა გზა გადაუღობეს, დერეფანში არ გაუშვეს და ისიც იძულებული გახდა, უკან გამობრუნებულიყო.

– რა უნდა ვაკეთოთ ორი საათი? – შეწუხდა ჟორა.

– ბულვარში გავიდეთ, ყავა დავლიოთ, ერთი კაი „ტოჩკა“ ვიცი. – გვირჩია ნონამ.

– კათხა ლუდი და შებოლილი ნეკნები, იცოცხლე, კარგია, შუადღეს გაგვიმრავალფეროვნებს. – ინატრა ჯუმბერმა.

– არავითარ შემთხვევაში! – ხმას აუწია ჟორამ, – გაცდენებზეც გაამახვილა ყურადღება ახალმა დეკანმა, დაუსჯელი არავინ დამრჩებაო.

– თუ კაცი ხარ, დეკანის დავალებებს და მუქარას რომ გადმოგვცემ ასე დაწვრილებით და გვზაფრავ, არ გეცოდებით? ამოგელო ენა და ჩვენ სასიკეთოდაც გეთქვა რამდენიმე სიტყვა, ღმერთი გაგიწყრებოდა თუ რა? – გაუჯავრდა ჯემალი და ახალ დეკანს ლაზათიანად შეუკურთხა.

– ვთქვი, ბატონო, ვთქვი. – შენიშვნა ეწყინა ჟორას.

– რა თქვი მაინც? – არ მოეშვა ჯუმბერი.

– რა და... – ცხვირსახოცი ამოიღო, გაშალა, ცხვირი და შუბლი მოიწმიდა. შემდეგ დაკეცა და შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიდო, – ახლანდელ სტადიაში მყოფი ზოგი თანაკურსელის ისეთი მკვეთრი გარდაქმნა, რომ მათ არც ლექცია-სემინარი გააცდინონ და კარგადაც ისწავლონ, შეუძლებელია-მეთქი.

– ასე გამოუსწორებელ სტადიაში არიან ვითომ? – დაეჭვდა ომარი.

– ასე ვუთხარი ახალ დეკანს, – ყურიც არ ათხოვა ომარის სიტყვებს ექსტაზში შესულმა ჟორამ. – აი, ბატონო, რეალურად შევაფასოთ არსებული სიტუაცია და საღად შევხედოთ ჯუმბერას. – ჟორამ ისეთი თვალებით შეხედა ჯუმბერს, რომ შევატყვე, სისხლის დაღვრამდე დიდი დრო არ რჩებოდა. – შესაძლებლობა რომ გვქონდეს და ახლა მაგი პესტალოცის, უშინსკის და გოგებაშვილს მივამაგროთ აღსაზრდელად, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია წინასწარ განვაცხადო, რომ ამ სახელოვან პედაგოგთა და მეცნიერთა ყველა მცდელობა თუ ექსპერიმენტი, ფიასკოთი დამთავრდება.

– ვითომ? – გასაწირად ვერ გაიმეტა ძმაკაცი ომარმა.

– ჟორას ვეყურბანე, მაგენი თუ მოვლენ ჩემთან თავიანთი მისიის შესასრულებლად, თორემ, მე, ჩემდა თავად, მათთან მიმსვლელი არ ვარ. – პრეტენზიულად განაცხადა ჯუმბერმა და პასუხით კმაყოფილმა, გაცინება ყველას დაასწრო.

* * *

ბატონი პროფესორი მეორე საათზე მართლა გვესტუმრა. ჩვეული სიდარბაისლით შემოვიდა აუდიტორიაში, ჯერ უცხოელივით გვათვალიერა, შემდეგ კათედრაზე აბობღდა და იქიდან იკითხა:

– ყველანი ხართ?

– დიახ, ბატონო პროფესორო. – ჯგუფის სახელით უპასუხა ჟორამ.

– ვიღას ვუცდით მაშინ, დავიწყოთ ლექციის ჩაწერა. – ბრძანა, სათვალე მოირგო და სქელ რვეულში ჩარგო თავი.

1984 წ. მაისი

სუდხან წულუკიძე

ტბა

მე ვარ ეული, კეთროვანი, მქვია წარსული,
ეს ჩემი ტბაა, წლებია, რაც ერთად ვარსებობთ.
და როცა ზეცა მგლისფერდება, მე მას გარს ვუვლი,
ანუ ვმოძრაობ საკუთარი თავის გარშემო.

მერე კი წყალში ვიხედები, ტბას არ ანცვიფრებს,
სახეზე კეთრი, და ნაკვთების ასიმეტრია,
სწორედ ამიტომ აქვე ვცხოვრობ, პირას ამ ტბისვე,
დაახლოებით ჩემს ქოხამდე ასი მეტრია.

ტბა გულწრფელია, და ყოველთვის ცდილობს მიმეკრას
სულზე, წამით რომ დამავიწყოს ყველა ეტაპი
წარსულის, მძიმე, რომელსაც მე ისე ვირეკლავ,
როგორც ცხოვრებას ზედაპირულს, რომლის ზედაპირს

თქვენ ალამაზებთ პოეტები, ხელოვანები...
ახირებული ხასიათით, ცუდი ჩვევებით,
მოხეტიალე აჩრდილები, მხოლოდ თავნება
კაპიტნები და არასოდეს მენიჩბეები!

ერთ დროს ტბა უფრო დიდი იყო, სავსე იხვებით,
ჰქონდა ზღაპრული სილამაზე, რიწის, ფარავნის
მსგავსი. ამბავი, რომელსაც მე ახლა გიყვებით,
ცოტამ თუ იცის, ან საერთოდ იცის არავინ...

ტბა ივსებოდა მნახველებით, კვირის მილეულს,
მის ერთ ბოლოში ხიდი იყო, იქვე ბებია
ყიდდა ფუნთუშებს, ორცხობილებს, ათას ტკბილეულს,
ჩემი ფიქრები დღემდე იმით იკვებებიან...

ის დღე არ იყო წვიმიანი და არც უმზეო,
არც ქარიშხალთა შემზარავი ხმა არ ისმოდა,
მღვრიე მორევში ჩაიძირა ბავშვი უმწეო,
რომლის თვალებში ჩაიძირა მარადისობა.

და ყოველი წლის, ყოველ იმ დღეს თეთრი სინათლე,
აფეთქების თუ ამოფრქვევის მსგავსი ანთება
ყველა სულიერს ეზიდება, ტბისკენ მიათრევს,
და წამიერად იკარგება, უჩინარდება.

ხშირად ათასი წელი არის ერთი წამიც კი,
ყველა ზომის და ყველა ჯიშის თევზი ნემსკავზე,
უჰაერობას ერთნაირი ზომით განიცდის
ჩვენ თვითმკვლელობა ვერ შევძელით, ვერ დაგემსგავსეთ...

მე ვარ ეული კეთროვანი, ვინმე ავსული,
ეს ჩემი ტბაა, წლებია, რაც ერთად ვარსებობთ.
და როცა ზეცა მგლისფერდება, მე მას გარს ვუვლი,
ანუ ვმოძრაობ საკუთარი თავის გარშემო.

შენთვის... მაპატიე!

ისე მაგიჟებს მოძრაობა, ხალხი, ვაგზალი,
ასე მგონია, ბროდვეია, თაიმსკვერია –
თბილისი. მე ჩემს მყიფე ფიქრებს
ვერსად ვაგზავნი,
დაიმსხვრევიან!
აღარც კი გახსოვს, როგორი ვარ, მაგრამ თუ ასე
შეუხებლად გსურს, დამივიწყონ შენმა თითებმა,
უკანასკნელად გეხვეწები,
გთხოვთ, მადმუაზელ
ne me quitte pas!
გრძნობ? მეტისმეტად მივეკედლე სენტიმენტალიზმს,
წლები კი ქარში ღრუბლებივით დაფრთხნენ,აიმღვრნენ
და ვხვდები ახლა კალამია მძიმე მეტალი,
რომელსაც შუბლთან მივიდებ და ვისვრი!
გავიხვრეტ!
.
ხშირად ვიხსენებ სიყმაწვილეს, სოფელს. ჰო კიდევ
მესრის ღობეზე ბიჭუკელას ცარცით მინაწერს:
„მე იმდენს ვფიქრობ,შემიძლია შეგეხო კიდეც“

ოთარ ჭილაძე.
დღეს მინდა ურცხვად დავიბრალო ყველა შედევრი
და სიყვარული დაგიმარცვლო უცხო ფრაზებად,
როგორ აგიხსნა?
რომ საკუთარ თავში ვეტევი,
ისე შემჭამეს მონატრების მეტასტაზებმა.
.
შენ ზაფრანისფერ ტყეში ცხოვრობ, შორის ღმერთების
და ნისლი ფარავს შენი მთების ყვითელ კალთებსაც,
სულელ მებადურს სულ მეგონა
მოგიხელთებდი,
ერთ მშვენიერ დღეს დაგიჭერდი, ჩემო ქალთევზა!
.
მაგრამ... აქ, ჩემთან, სიგიჟეა, ხალხი, ვაგზალი...
თბილისი თითქოს ბროდვეია,თაიმსკვერია,
მე კი ჩემს მოხუც, ბებერ ფიქრებს ვერსად ვაგზავნი,
მეშინია, რომ მოკვდებიან... დაიმსხვრევიან...
მაპატიე!

* * *

ის დგას ფანჯრებთან, ნაბიჯია ახლა ღმერთამდე,
გადავეხვევი, ვიცი შიგნით თუ შემოვიდა,
ღმერთია, მხოლოდ იმის გამო, რომ მას ერთადერთს
შესწევს უნარი წამიყვანოს უშენობიდან...
.
ციოდა წუხელ (ცივიაო მარტი, ნამდვილად
ასეა.) მე კი ფიქრითა და არყით გალეშილს,
ბუხართან როგორც ზარმაც კატას, ისე ჩამთვლიმა
და ცელქი ბავშვი დამესიზმრე გრილ სიმწვანეში
იყავი ჩუმად, პაწაწინა, ბროლისთითება,
ზეცისთვალება, მზისყვავილა და კანხორბალა,
იმალებოდი, მაგრამ არა! ეს ჩვენ, დიდებმა,
გამოვიგონეთ ეს თამაში – „დამალობანა“.
რომ დაგვეკარგა ყველაფერი სუფთა, ნამდვილი
უჩუქებია უფალს ჩვენთვის რაც კი რაიმე,
შენ კი იდექი პაწაწინა, თითებგათლილი
და ნეკის წვერზე აცოცებულ ჭიამაიებს

სთხოვდი: „ჭიავ, ჭიავ მაპოვნინე,
მე შენს დედას გაპოვნინებ,

ჭიავ, ჭიავ მაპოვნინე,
მე შენს დედას გაპოვნინებ“.

გამეღვიძა და თითქოს, იყო, თან არც იყო რა,
ყვავილებივით მომაგონდი, თხელი ნაკვთებით,
მე წელში თითქმის გაწყვეტილი, ხმელი ჭიგო ვარ
და შენი მკერდის მწიფე მტევნებს შემოვაკვდები!
და სანამ ძვლივსღა შერჩენილი რწმენაც გამშორდა
მოდი! მხრებიდან ჩამომხსენი მლაშე ლოდები,
მოდი და კოცნით დავიბრუნოთ ჩვენი ბავშვობა,
მოდი და ყელში ჩამაწვეთე – „ბავშვს ველოდები“.
და მე გეტყვი, რომ შემიყვარდი სულით-ხორცამდე
და ალმას ცრემლებს ჩამოგიკრეფ თვალზე სამძივე-
-ცრემლებს და სანამ რამეს გეტყვი (მოგილოცავდე),
ჯერ ჩემს არ ყოფნას ორი სიტყვით მოგისამძიმრებ
მჭირდები, ჩემო!
გამოიდარა. გავაყოლე მღვრიე ნაფაზებს
ლექსი და ფეხი გადავადგი ფიქრის ბარიერს.
ღმერთი კი სახლში შემოვიდა, ფანჯრის რაფაზე,
ვუყურებ წითელკოპლებიან ჭიამაიებს...
ჩვენ ჭიამაიები ვართ. გაზაფხული მოვიდა. მიყვარხარ!

შახსეი-ვახსეი

ასჯერ გაგონილს ხომ ჯობია ერთხელ ნანახი?!
ჰოდა, აქა ვარ! პოეზიის ძეგლად, ნაშენად,
მოიმარაგეთ სიძულვილი, ქვები, ტალახი,
მე „დიდი“ სულხან წულუკიძე
თქვენ წინაშე ვარ...
ვწუხვარ!
ვერაფრით ვერ ვიქეცი უფლის მორჩილად
და რა გამაჩნდა სამყაროში კიდევ ამ ფასის?!
მე – ერთი თვალებჩაცვენილი ძველი თოჯინა,
მე – ერთი სცენას აცდენილი ცირკის ჯამბაზი.
ერთ დროს ჩემს ბაღში მცენარეებს ფესვებს ვურწყავდი,
ბაღია ჩემი მარტოობის დიდი საგრაფო...
ზოგჯერ ისეთი მდუღარეა სუფთა კურცხალი
დაიღუპები მცირე წვეთიც რომ გადაყლაპო...
ვიტირე!
ცრემლით უწმინდესი მიწა წავბილწე,
ფარსია ცრემლში სიყვარულის სევდის ჩატევა,

არ შეგიყვარდე, გოგონია, დედას გაფიცებ!
არ შეგიყვარდე, გოგონია, მოღალატე ვარ!
წადით სახლში და მოუყევით ცოლებს, ქმარშვილებს,
რომ ამ ნაგავთან არაფერი არ გაკავშირებთ
და ახლა სანამ უკანასკნელ სტრიქონს ვკითხულობ,
აღარ მსურს, თქვენი თავებიდან გამოგიტყუოთ,
აღარ მსურს, თქვენი ოცნებების სიტყვით ჩაქოლვა,
სირცხვილი ჩემი ნიშანია, ზოდიაქოა,
აღარ მსურს, რადგად მზისოდენა ტკივილს მივათრევ,
რომ ტყუილია ჩემი გზა და ჩემი სიმართლე...
გიბრუნებთ უკან ემოციით განცდილ სიამეს!
მე ვცოცხლობ ჩემი სინანულით,
მე ვკვდები ჩემი სინანულით,
მე ვყარვარ ჩემი სინანულით
გამანიავეთ!!!

ჩემს ძმას, ანდრიას

ახლა ვარ თითქოს მშობლიური კერის ტუსაღი,
საბნის მაგივრად მოხურული შენი პალტო მაქვს,
მაინც რაგვარად გაგიმართლა, შე ყურმუსაღო,
ჩვენში პირველი შენ გაისვრი ნამდვილ ავტომატს.

ახლა ვარ... თითქოს სინანულის რბილი წვიმა ვარ,
მოსული დედის სანუგეშოდ, როგორც უსტარი.
სირცხვილი! რით ვერ მოგისწარი ჯარში მიმავალს.
სირცხვილი! ღამის მატარებელს ვერ მივუსწარი.

ქუჩაში გარბის შემოდგომა, აღარ აყოვნებს,
შენსავით ბაძავს ოქტომბერი რიგით ფორესტ გამპს,
მე კი არ ვიცი, რაღა ვუყო, შევინახო თუ
ღია ფანჯრიდან მოვისროლო შენი „პოვესტკა“.

რადგან, როგორც ვთქვი, ტუსაღი ვარ და ვარ შაჰიდი.
თავსაც მოვიკლავ უსათუოდ, დაუფიცებლად,
რადგან ჩვენ ჩვენმა საქართველომ უკვე გაგვყიდა
და დაგვამთქნარეს ცოფიანმა ჰაუბიცებმა.

როგორც სოხუმი, როგორც გაგრა, როგორც ბიჭვინთა.
ოჩამჩირესთან თუ ფერდობზე დაწვა გუმის მთის
ოცი წლის წინათ, სულ ოცი წლის ბავშვი ბიჭი და
აქ გუშინ წინაც კითხულობდნენ – რისი გულისთვის???

თუმცა სამშობლო სამშობლოა, ცოდვას გამხელა
უნდა, რომ მერე პირნათელმა ცამდე იარო.
სიცოცხლე? უნდა დაივიწყო, ჩემო ტანხმელავ,
ქრისტეს მცველად რომ გაღიაროს საქრისტიანომ.

ახლა ვარ... ახლა სინანულის სუსტი წვიმა ვარ,
მოსული დედის სანუგეშოდ, როგორც უსტარი.
შემინდე! რით ვერ მოგისწარი ჯარში მიმავალს,
ბოდიში! ღამის მატარებელს ვერ მივუსწარი.

ნუ შემეცვლები

ნუ შემეცვლები, ცაო ქართლისავ,
არ მოიკარო პირზე ღრუბელი...
შენი მზე მათოვს, სხივი მბარდნის და
შენა ხარ ჩემი ნავსაყუდელი.

ნუ შემეცვლები ალაგო წმინდავ,
შემოფლეთილო ქრისტეს კვართივით,
მე ის ვარ, ვისაც სიშენე სჭირდა –
სისხლიც და რჯულიც მიდგას მათივე.

მუდამ უაზრო სევდით გათოშილს,
ფიქრებმა ჩემში ვეღარ დამლუქეს,
რადგან ცრემლი ვარ, გურჯის ტაოში –
დაუცხრომელი სული მამლუქის...

რადგან ათასჯერ დათვლილს დავითვლი,
წარსულის გროშს რომ არ გავფანტავდე,
რადგან მიწაზე მეფე დავითის
მე მანძილი ვარ დარუბანდამდე –

ნიკოფსიითგან და, მიწიერნო,
ნუ გამისინჯავთ ვაჟკაცს ტალავარს,
ნუ გაიკვირვებთ კაცის იერით,
როგორ მოვახტი ზეცის გალავანს...

ნუ შემეცვლები, ქალო – მზე ქალო,
გულში რომ ლექსის ხანძარს მიჩაღებ,
სიკვდილად უნდა შემოვეყარო
შენს საკოცნელად მოსულ ყივჩაღებს!...

მუდამ ჩადრებში მალვა გიწევდა,
გაუძელ დროებს, ფანტე ქაოსი,
ნუ შემეცვლები, ენავ ივერთა,
მე სიცოცხლე ვარ ვეფხისტყაოსნის!...

სწორედ ამიტომ ბედმა ჩამქარგა –
ანით ჰოემდე სულის თექაში,
ქართული სიტყვის არდასაკარგად
ეს ლექსი იყოს ჩემი ფეშქაში.

ბოლოს კი მაინც რწმენა მაქეზებს,
უფლის ჯვარია ჩემი სამძღვარი,
ახლად შეყრილი წვერიც სახეზე –
ჯერ ქართველობით არ ვარ გამძღარი...

თვალზე სიცოცხლის ცრემლი მომდის და
ასე მისველებს სხეულს მიწამდე,
ძალა მომეცი ქართველობისა –
ღმერთო, უკუნით უკუნისამდე!

* * *

ლია, შეხედე! ეს კადრი ნახე!
გზებზე ზამთარი ამწყდარი ფლოსტით,
დადის და როგორც ობოლის სახეს,
სურდოდ იანვრის წვიმები მოსდის.
და შენს სახესაც (ერთგვარად) უჯერს,
ტკივილად შერჩა ეს კადრი, ლია,
თბილისში როგორ ზარავდა ქუჩებს,
ხმელი ფოთლების ესკადრილია.

დედას

როცა ქალაქის უღიმღამო ქუჩებს მოვივლი,
ვიწვი და შენზე უსასრულო ფიქრი იწყება.
მარტოობა კი მელოდება სახლში ცოლივით,
რომელსაც მუდამ ჰგონია, რომ გრიპის სიცხე მაქვს.
ახლა პირველი აპრილია, გარეთ სუსხია,
მალე იქნება ზაფხული და პაპანაქებაც,
ახლა ჩემს სხეულს უშენისფრო სისხლი უსხია

და შენს ჭაღარა ხვეულებში დაბანაკებას
ცდილობს. მგონია, მოთმინების იქით მევსები,
კაცი ვერაფრით ვერ გახდება ბედის მესაჭე
და სიტყვებივით ტყუილია ჩემი ლექსებიც,
(ო, ღმერთო ჩემო, რა ძალიან ჰგავხართ დედაჩემს).
ვიცი, ხანდახან ნერვიულობ, ისიც კია, რომ
ფოტოებიდან მსაყვედურობ პოეტ ვაჟიშვილს,
უაზრობაა, იმ ქალაქზე იეჭვიანო,
სადაც არ უნდა გაგეშვი და მაინც გამიშვი...

როდესაც ქუჩებს ხეტიალით ვღლი და ვასრულებ,
როცა წარსულზე უსაშველო ფიქრი იწყება,
ვიწვი და ცრემლის ბურთულები კეტავს სასულეს,
ხალხს კი ჰგონია, ქრონიკული გრიპის სიცხე მაქვს.

ალბათ!

გენრი დოლიძეს

მზე სუსტია ამ საღამოს,ზღვაც ცივია საბანაოდ,
უფერული ღრუბელი კი, ჩასუნთქვაზეც დაქანაობს
სად ხარ ახლა? შე უღმერთო, დედამიწის რომელ კიჩოს,
დედაჩემის თვალებივით მომანატრე თავი, ბიჭო.

გუშინ ღამით ღმერთი ვნახე, ვუყურებდი კრძალვით ერთხანს,
მერე ადგა და კალთიდან პოეზია დაიფერთხა.
შენც იყავი, დამიძახე და ველური გამხეცებით
სათითაოდ გადავყლაპეთ ის ციმციმა ნამცეცები.

სად ხარ ახლა?ლექსით ავსებ, ბედისწერის რომელ ღრიჭოს,
ქალის ცელქი ღიმილივით მომანატრე თავი, ბიჭო.

ჰორიზონტზე დელფინების კოტრიალა ტაიფუნებს –
მივსდევ, წამით ნასესხები სიხარული დამიბრუნეს.
არა, იქნებ, ტყუილია და წამების მადაზეა,
ჩემი მთელი რეალობა – პოეტური ფანტაზია.

სად ხარ ახლა, ლამის სევდამ, გული ასად გამიხლიჩოს,
დედაჩემის თვალებივით მომანატრე თავი, ბიჭო.



ხედვა როკახ იტაი ბახურ

ხედვა ისრაელიდან

(ნაწყვეტი წიგნიდან)

შესავალი

„რატომ საქართველო?“ „რამდენი ხნით?“

„ერთი თვით“.

„რა? რა უნდა აკეთო ერთი თვე საქართველოში?“

მიდი და შეაგნებინე, რომ საქართველოში რამის საკეთებლად კი არა, არაფრის საკეთებლად მივდივარ. საქმე აქაც თავზე საყრელად მაქვს, მე შვებულება მინდა, შვებულება. მუზეუმების, მონუმენტების, მომქანცველი ექსკურსიების, მტკივანი ფეხების გარეშე. უბრალოდ, შვებულება. საჭმელი, სასმელი, სიგარეტი, დაუსრულებელი საუბრები – მოკლედ, სრული უსაქმურობა. ჭეშმარიტი შვებულება.

მიდი და შეაგნებინე, რომ საქართველოს არჩევა სენტიმენტალური იყო. შესანიშნავი საჭმელი და თანაც იაფი, არაყი, ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასში, მშვიდი მომსახურება და მყუდროგარემო, რასაც ყველა კავკასიურ რესტორანში ვხვდებოდი ისრაელში. ეს ყოველივე სიცოცხლის ტრფიალთან დაკავშირებულ სიმპტომებად მეჩვენებოდა, ძალზე ადამიანურ ურთიერთობად მესახებოდა. უკვე კარგა ხანია, სიცოცხლის მოტრფიალე გარემოში აღარ ვარ. მომენატრა.

გარდა ამისა, ბავშვობის მოთხრობები, მოგზაურობანი და უცნაური სახელები – მიხეილ სტროგოვი, – რომლის თავგადასავლები, მართალია, ციმბირს უკავშირდება, მაგრამ საზღვაო მოგზაურობაში მის ხომალდს „კავკასია“ ერქვა, – ჰაჯი მურატი და სხვები – ჩემს წარმოსახვას აღანთებდნენ. მინდოდა, მენახა და შემესუნთქა ის რაღაც, რასაც კავკასია ჰქვია. სომხეთს გარდა საქართველო ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანაა რეგიონში (ყველა დანარჩენი კავკასიური ქვეყანა მუსლიმურია). ქრისტიანულ ქვეყანაში კი არის ღვინო, არაყი, საჭმელი. და თანაც... აქ არავინ მიცნობს. მოკლედ, საკითხავი არაფერია – საქართველო.

ბინა ინტერნეტით დავჯავშნე. ოთხასორმოცდაათი დოლარი თვეში, შუაგულ თბილისში – საქართველოს დედაქალაქში. რუკა ვერ ვიპოვე, მაგრამ ვნახე, რომ თბილისში ცხელი წყაროებია. ცნობებს საზღვრებზე რუსებთან კონფლიქტების შესახებ არ შევუწუხებივარ, ისრაელელს სასაზღვრო კონფლიქტები შეაშინებს?! არიან მეგზურები, რომლებიც გაფრთხილებენ, გზებზე ყაჩაღობებიაო, მაგრამ გზებზე წანწალს როდი ვგეგმავ, რომელი თრეკერი მე ვარ? თუ ბენიამინი ტუდელადან?

თავიდან მოვიშორე საქართველოდან დაბრუნებული კეთილისმყოფელები, რომლებიც ჩამჩ-

იჩინებდნენ, რომ იქ ვერაფერს შეჭამ, გასაკეთებელიც არაფერია და მოწყენილობააო. ვერასოდეს ვიტანდი პასუხისმგებლობით განმსჭვალულ მოწიფულებს. ხედვა შემომიერთდა, მოწიფული, პასუხისმგებლობის გარეშე.

ახლა, მას შემდეგ, რაც ოთხი დღეა კავკასიაში ვარ, იქ, სადაც პრომეთეს ყორნები ყოველდღე უკორტნიდნენ გულ-ღვიძლს, თანდათან ვხვდები, რომ რაღაც ლოგიკას მოკლებულია, მშვიდ შვებულებასა და უმოქმედობას ეშურებოდე იმ ადგილას, რომლის მობინადრეთა ენა არ იცი და უმრავლესობა ინგლისურად ვერ მეტყველებს.

მთაწმინდის პანთეონი

ხუთშაბათი, 10.9.2009

„ეს მთაწმინდის პანთეონია. მწერალთა, პოეტთა და ხელოვანთა სასაფლაოა“, – გვითხრა ხათუნამ ორი წლის წინ, როდესაც მასთან და საშასთან ერთად ტური მოვაწყვეთ. მაშინ ამ მთაზე ამოვედით, და ხათუნამ, თავისი მიდრეკილებისა და რწმენისამებრ, ყურადღება ეკლესიაზე გაამახვილა. მე კი ეზოში მდებარე მწერალთა, პოეტთა და ხელოვანთა სასაფლაომ ამაღელვა. ვიგრძენი, რომ ვალდებული ვიყავი, აქ დავბრუნებულიყავი. მაშინ არ ვიცოდი, ასე რატომ მაფორიაქებდა ეს ადგილი, და ახლაც, როდესაც ხედვა და მე მთის ფერდობს მივუყვებით თავისუფლების მოედნიდან პანთეონის მიმართულებით, წარმოდგენა არ მაქვს, აქეთ რა მიზიდავს. მაგრამ ვგრძნობ, რომ ამ ადგილს რაღაც ხიბლი და იდუმალება აქვს. ვინც აქაურობას იცნობს, რაღაც სიღრმეს აცნობიერებს ამ ქვეყნის, ამ ხალხის, აქაური ადამიანისა და კულტურის შესახებ.

ცხელა. ვტოვებთ ჭონქაძის ქუჩას, რომელიც აღმართზე, მთაწმინდის მთის ფერდობზე მიიკლაკნება. მარჯვნივ ვუხვევთ და ციცაბო აღმართს ვადგებით. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ვიღაცას უზრუნია, აქ გაეყვანა დაკიდული გზა, რომელზეც ახლა ჩვენ მივცოცავთ. ვისაც აქ მოსვლა სურს, უნდა მოინდომოს. ვქოშინებთ და ყოველ ათ მეტრში ათწუთიანი დასვენებისთვის ვჩერდებით. თბილისის მობინადრეებზე ვფიქრობ, ამ გზით რომ მოდიოდნენ, ასეთ სიმაღლეზე რომ ამოჰქონდათ თავიანთი მიცვალებულები.

ცოცვას განვაგრძობთ. ბოლოს და ბოლოს, მიზნამდე მივდივართ. მაღლა, შესასვლელში, სუვენირების მაღაზიაა. შევდივართ, იქნებ აქ დაკრძალული ადამიანების შესახებ წიგნი იყოს-მეთქი. არ არის. ეს რელიგიური მაღაზიაა და აქ ხატები და ლოცვანებია, ქართულ ხატოვან ენაზე, და ყოველივე, რაც მორწმუნე კაცს სჭირდება სულის საოხად. ისტორია არ არის. სულია და ის მარადიულია, სხვა დანარჩენი ამაოა.

მაღაზიის კუთხეში ზორბა ბერი დგას, მაღალი და მსუქანი, რომელიც რომელიღაც მონასტრიდან მოსულა აქაურობის სანახავად. როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი გვამია ბერობის რანგში, რადგან უმალ მოართვეს ყავისფერ-გამჭვირვალე გალონი ზეთი, რომელსაც იგი შთამბეჭდავი გულმოდგინებით აკურთხებდა. ახლდა ორი პირი, რომლებიც პანკებივით გამოიყურებოდნენ, კიკინით, წვერითა და მკერდზე დიდი ჯვრებით. სამივეს შავები ემოსა, უბრალო ტანსაცმელი, მეტისმეტად უბრალო, რაც ტრაბახა, მყვირალა, შიშველ სიღარიბეს ამზეურებდა. ბერი მე მიმზერს, ხედავს ჩემს კიკინას, წვერსა და შავ სამოსს. თვალები ცდილობენ, გაარკვიონ, რომელ კონფესიას ვეკუთვნი და კითხულობენ: „რა გაცვია? ჯვარი სადღაა?“

ამ მაღაზიისგან საშველი არ არის, ეგებ საფლავებმა გვიამბონ რამე. ხედვა საფლავებს იღებს. საღამოს შინ გავშიფრავთ ქართულ ასოებს და შევეცდებით გავიგოთ, თუ ვინ მარხია პანთეონში. 1829 ყველაზე ადრეული წელია, რომელიც ამ სასაფლაოს საფლავის ქვებზეა ამოტვიფრული. ეს ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავია. გრიბოედოვს ვიცნობ. რუსი იყო. საკმაოდ წარმატებული დიპლომატი და საკმაოდ წარუმატებელი დრამატურგი. ადრეულ ასაკში დაიწყო რი-

თმული კომედიების გამოქვეყნება. მის სიცოცხლეში თეატრის სცენაზე დადგმულმა ვერც ერთმა პიესამ ვერ ივარგა, თუმცა ამ ხელმოცარვამ ვერ შეუშალა ხელი მეფის დიპლომატიურ სამსახურში დაწინაურებულიყო. 1818 წელს გაამწესეს საქართველოში, რომელიც იმხანად რუსეთის გუბერნიას წარმოადგენდა. 1823 წელს დაასრულა პიესის წერა სათაურით „ვაი ჭკუისაგან“, ლმობიერი სატირული კომედია ბოგანო, ბნელი და პროვინციული რუსული ბიუროკრატიის შესახებ. პიესის ბედად, იმპერატორ ალექსანდრე პირველის ცენზურამ მას „საშიში საზოგადოებრივი პროტესტის პოტენციის მქონის“ დიაგნოზი დაუსვა და დაბეჭდვა აკრძალა. და როგორც, ჩვეულებრივ, ხდება, როცა ცენზურას ამოქმედებენ, აკრძალვამ პიესას რევოლუციური ქმნილების ავტორიტეტი შესძინა. მისი ხელნაწერები იატაკქვეშეთში ვრცელდებოდა, ხოლო 1825 წელს რეაქციონერი მეფის, ნიკოლოზ პირველის, წინააღმდეგ დეკაბრისტთა აჯანყების დროს, აჯანყებულები ამ პიესიდან კითხულობდნენ ნაწყვეტებს, თითქოს საპროტესტო ლოზუნგები ყოფილიყო. აჯანყება ჩაახშვეს, ხოლო ლიდერები ჩამოახრჩვეს, რევოლუციური კარდამონი კი, რომელიც პიესას მიეკრო, გადარჩა.

გრიბოედოვის წინსვლა არ დაზარალებულა; ის ნიჭიერი დიპლომატი იყო და კავკასიაში გაამწესეს, რუსეთიდან საკმაოდ შორს. 1828 წელს იქორწინა ნინო ჭავჭავაძეზე, თექვსმეტი წლის ქართველ თავადის ქალზე, რამდენიმე თვეში კი თეირანში მიავლინეს.

1829 წლის 11 თებერვალს სომეხი საჭურისი გამოიქცა ირანის შაჰის სასახლის ჰარამხანიდან ორ სომეხ ქალთან ერთად. სამეულმა თავშესაფარი რუსეთის საელჩოს სთხოვა. განრისხებულ სპარსელთა ბრბო, შაჰისა და მისი ოჯახის კერძო საკუთრების მოშურენი, საელჩოში შეიჭრნენ, დაცვა მოაშორეს, მოკლეს საჭურისი და გრიბოედოვი, რომელიც თავის ოფისში მალავდა მას და ქალებს. სპარსელებმა გრიბოედოვს თავი მოჰკვეთეს და სამი დღის განმავლობაში შეურაცხყოფდნენ გვამს. როდესაც ნინომ ქმრის დაღუპვის შესახებ შეიტყო, ნაადრევი მშობიარობა დაეწყო და ახალშობილი რამდენიმე საათში გარდაიცვალა. ნინო აღარ გათხოვილა, ქმრის სიკვდილის შემდეგ მარტო იყო ოცდაათი წლის მანძილზე. ქართველებს უყვარდათ გრიბოედოვი, რადგან გულადი და ჯენტლმენი გახლდათ, იმპერატორს უპირისპირდებოდა და თან მათ თანამემამულეზე იყო დაქორწინებული. ნინოს კი ხოტბას ასხამენ, რადგან სიკვდილამდე ქვრივად დარჩა; ასეა ამ კულტურაში. გრიბოედოვის გვერდით ნინო და მათი ჩვილია დაკრძალული. უბრალო ფაქტებიც – სიავე სპარსთა ბრბომ ჩაიდინა, და ყოველივე სომეხი საჭურისისა და ქალების გამო დაიწყო – აძლიერებენ ქართველთა სიყვარულს გრიბოედოვისადმი. რუსი პატრიოტი ადგილობრივ გმირად იქცა.

რამდენიმე საფეხურს გრიბოედოვის ოჯახის საფლავებიდან ავყავართ სასაფლაოს მოედანზე, რომელიც ეკლესიის ორივე მხარეს იშლება. აქ დაკრძალულნი არიან მწერლები, მოცეკვავეები, პოეტები, მოქანდაკე და კიდევ ერთი ავტორიტეტი. ინტელექტუალის სქელსათვალიანი მებაღე ჩეხოვის პიესიდან შლანგით დადის და საფლავებს რწყავს, იქნებ, გაიზარდონო. მას შემდეგ, რაც მებაღემ დაინახა, რომ ყოველ ძეგლს ვიღებდით და ენ.კა.ვე.დე-ს საინფორმაციო განყოფილების მუშაკთა სახე არ გვქონდა, ცდილობს რუსულად აგვიხსნას, თუ ვინ არის ეს ხალხი, ვინც აქაა დაკრძალული. ვეუბნებით „ონლი ინგლიშ“, ის კი გვთავაზობს „პარუსკი?“ ალბათ, „იქნებ მაინცო“ – ტონით. ხედვა ხელებით პანტომიმას უმართავს „ცოტა-ცოტაო“. „მალენკი“, – ამბობს იგი და რუსული სიტყვების კორიანტელს აყენებს, ვიდრე ჩვენს სახეზე აღბეჭდილ სასოწარკვეთილებას არ შეამჩნევს. ნუ... მებაღე თითებს იმტვრევს და ხელებს ზე აღაპყრობს, რა გაეწყობა...

მაინც მოვახერხეთ მებაღისაგან იმის გარკვევა, რომ აქ დაკრძალული მწერლები და პოეტები დისიდენტები იყვნენ, საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლნი, რომელნიც რუსულ ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდნენ, იდევნებოდნენ და უმრავლესობა დაიღუპა კი-

დეც რუსების ხელით. მებაღე სასაფლაოს ქვის ღობეზე მიუთითებს. ქვებს შორის მარმარილოს დაფაა ჩადგმული, რომელზეც 1937-ში (ციფრების ამოკითხვას ვახერხებ), სტალინური რეპრესიების ტალღის ე. წ. „დიდ წმენდის“ დროს მოკლულ მოღვაწეთა რვა სახელია ამოტვიფრული. მათი საფლავები უცნობია, მარმარილოს დაფა კი მათ ხსოვნას უკვდავყოფს. ახლა ვფრთხილობ. მამაცი, დევნილი და ტანჯული მწერლები, თავისუფლებისათვის მებრძოლნი, მესიტყვეებიან. ჩემი ცნობის წადილი იღვიძებს.

ვიღაცამ, ვისაც რეჟიმის ამდენ მკვდარ მოწინააღმდეგეთა ლაშქარი აწუხებდა, აქ დაცვის დაყენებაზე იზრუნა. ხელისუფლება – სპარსული, თურქული, ცარისტული, საბჭოური – იცვლება; დარაჯები კი რჩებიან, კვეთენ დროთა მიჯნებს. მნიშვნელობა არ აქვს, ვის ემსახურებიან მცველები და ვინ უხდის მათ ჯამაგირს, მუდამ იგივე სიფათები აქვთ – ბრიყვულ-პირუტყვული, იგივე შტერული დაუდევრობა და იგივე ადამიანური უდარდელობა. ერთ-ერთი დარაჯი, უფრო ფხიზელი მათ შორის, ყურადღებას აქცევს, რომ ჩვენ ყოველ საფლავს ვიღებთ. თავისი სავანედან დგება და ღობეს ეყუდება. დაჭმუჭნილი პერანგის სამხრეებზე ოთხი ვარსკვლავი აქვს. ჩვენ მოგვმართავს, მატრაბაზობს, ერთ საფლავზე მიუთითებს და დამტვრეული ინგლისურით ამბობს: „სტალინ-ს მაზერ“.

რაც შეიძლება ნეიტრალური ტონით მივუგებ: – „ის პოეტი იყო?“

დარაჯი სასოწარკვეთილია, – „სტალინ-ს მაზერ, სტალინ-ს მაზერ, დონთ იუ ნო?“

– „იეს“, – ვეუბნები, „იოსეფ სტალინ“.

დარაჯი წელში სწორდება და მისწორებს, „იოსეფ ვისარიონოვიჩ სტალინ“.

მე ისევ ვუჩიჩხინებ: – „სო ჰიზ მაზერ ვოზ პოეტ?“

– „ნო“, – მეუბნება დარაჯი, – „ში იზ ჰია!“

და მიმითითებს საფლავზე, რომელზეც თეთრი ფიგურაა გამოქანდაკებული, და ამ ფიგურას თავის ნაცვლად დოქი ადგას, ქვის ტილოთი დაფარული.

– „ო-კეი, ო-კეი“.

ჩემთვის არ არის ნათელი, დოქისთავიანი ქალი, ეკატერინე ჯუღაშვილი, მართლაც, მწერალთა და პოეტთა (და მილიონებით ზედმეტ ადამიანთა) სერიული გამანადგურებლის დედა იყო, თუ სხვა ვინმე, მსგავსი სახელითა და გვარით, დარაჯი კი მეშაყირებოდა. მისი ნათქვამის ტონმა განმაცვიფრა. ეს ველური სტალინზე რიდით, აღფრთოვანებით, მოწიწებით ლაპარაკობდა. დოსტოევსკი გამახსენდა, „მსხვერპლი მკვლელს ეკვრის და სიყვარულით იმსჭვალება მისადმი“. სტალინს დღესაც ჰყავს თაყვანისმცემლები რუსეთში, და აგრეთვე საქართველოში, მის სამშობლოში, რომლის არაერთი ღირსეული შვილი მისი ბრძანებით იქნა მოკლული. როგორც ჩანს, მუდამ იქნებიან ადამიანები პირუტყვივით, გენეტიკური მონები, რომლებზეც ძალის წარმატების ვულგარული ექსპერიმენტი შთაბეჭდილებას მოახდენს; მათი აღქმით, ის, ვინც ერთი კაცი მოკლა, მკვლელია, ხოლო ის, ვინც მილიონები გაჟლიტა, დიდი ადამიანია. ამგვარი ადამიანებისათვის ძალის თაყვანისცემა უფრო ბუნებრივია, ვიდრე მასთან დაპირისპირება. ქართველთა დამოკიდებულება სტალინისადმი ჩემთვის გაუგებარია; ის ულმობელი ტირანი იყო და უამრავ ქართველს მოუსწრაფა სიცოცხლე, და მაინც აქვთ მის მიმართ პატივისცემა. ვცდილობ გავიგო, თუ საიდან მომდინარეობს ეს ამბივალენტურობა. ერთმა ქართველმა ქალმა მითხრა: „საწინააღმდეგოდ ფაშიზმისა, რომელიც აგრესიას აგრესიისათვის თესავს, ბოლშევიზმი (და სტალინი, მისი წარმომადგენელი) როდი ნერგავდა აგრესიას აგრესიისათვის, არამედ მას იყენებდა როგორც საშუალებას სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად, ასე რომ, ბოლშევიზმს კარგი მხარეც აქვს“. გოჩამ თქვა: „მიუხედავად ყოველგვარი პრობლემისა, შეუძლებელია დავივიწყოთ, რომ მან ომი მოიგო (მეორე მსოფლიო ომი, რომელიც აქ „დიდ სამამულო ომად“ იწოდება), ფაშიზმის დამარცხება მისი დამსახურებაა“. ვიღაცამ კი მეტად სერიოზული გამომეტყველებით მითხრა,

თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ასაკში რამდენიმე საინტერესო ლექსი დაწერაო. ვუსმენ და ვუმზერ ჩემს საჭვრეტელში სტალინს, მგრძნობიარე სოფლელ ყრმას უხეშ გარემოში, ღამით, მალულად, სანთლის შუქზე ლექსების მწერალს, როცა კაცს არ ესმოდა მისი სულის ამოძახილი.

შინდაბრუნებული ჯიუტად ვცდილობ გავარკვიო, დარაჯი მემახსრებოდა, თუ დოქისთავა ქალი, მართლაც, სტალინის დედა იყო. ბევრ წყაროში, რომელიც მთაწმინდის პანთეონს ეხება, ეს ფაქტი არ არის მითითებული. ერთ წიგნში, ინგლისელი ტურისტის მიერ დაწერილში, მითითებული იყო, რომ სტალინის დედა ნამდვილად აქ იყო დასაფლავებული, მაგრამ, იქნებ, ინგლისელიც მახსრად აიგდეს? განვაგრძე კვლევა-ძიება, ვიდრე ცხადი არ გახდა ჩემთვის, რომ სტალინის დედა, მართლაც, მთაწმინდის პანთეონში იყო დაკრძალული. ერთს ვკითხე, კი მაგრამ, როგორ დამარხეს-მეთქი აქ ამდენ დისიდენტთან ერთად. ასეთი პასუხი მივიღე: „ის მანამდე გარდაიცვალა, ვიდრე სტალინი მოკვდებოდა, და, გარდა ამისა, მორწმუნე ქალი იყო, თანაც შესანიშნავად ქარგავდა და ადამიანებმა ეს დაუფასეს“. ეს სიტყვის ბანზე აგდების ბოლშევიკური მეთოდია.

ყოველ შემთხვევაში, გარდა სტალინის დედისა, მთაწმინდის პანთეონის ყველა სხვა საფლავი ინტელექტუალებისაა, უმეტესობა ცარისტულ ან კომუნისტურ რეჟიმს ეწინააღმდეგებოდა. მგონია, რომ სტალინმა დედა აქ მისთვის დაასაფლავა, რომ, ამგვარად, კერპი აღემართა ხელისუფლების მოწინააღმდეგე თავისუფლების მაძიებელთა სავანეში. საინტერესოა, მოქანდაკე, რომელმაც ქალს თავის ადგილას დოქი დაადგა, ბუნებრივი სიკვდილით თუ მოკვდა; არავისთვის მიკითხავს.

ღამით, მას შემდეგ, რაც მთაში სიარულის გამო მტკივანი ფეხები ცოტა დამიცხრა, გარდაცვლილ მწერალთა მასალის ძიება დავიწყე. ჩემი ხეტიალი ინტერნეტში თანდათან ეზავება სინამდვილის სურათს, რომელიც ადრეულ სიონიზმს მახსენებს. მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწენი გრძნობენ ვალდებულებას და ეროვნული ბრძოლისთვის ირაზმებიან იმ იმედით, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მათ პერსონალურ დამოუკიდებლობამდე მიიყვანს. არის რაღაც ეთიკური იმაში, რომ მწერალი ვალდებულია იმ გარემოს მიმართ, სადაც ცხოვრობს, მის ნაწილად გრძნობს თავს, არ არის მისგან მოწყვეტილი და გაუცხოებული. არის რაღაც ოპტიმისტური იმაში, რომ გარკვეულ პერიოდში მწერალს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე, იყოს რელევანტური.

ნელ-ნელა ჩემთვის ნათელი ეფინება მთაზე მწერალთა საფლავებით მოგვრილი მღელვარების წყაროს. არ ვარ მწერალთა გაფეტიშების მომხრე, არც ცოცხლების და არც მკვდრების. დაკრძალვა მაღალ მთაზე არ მოწმობს ქართველ მწერალთა საკუთარ ხალხზე აღმატებულებას; პირიქით, ისინი ჩართულნი იყვნენ ქვეყნის ცხოვრებაში სოციალურად, პოლიტიკურად, და ამის გამო თავიანთი სიცოცხლით ზღვეს. მათი მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვის არჩევანი თანამემამულეთ ეკუთვნოდა. ასე გამოხატეს თავიანთი დაფასება თავისუფლებისათვის მებრძოლთა მიმართ. ეკლესიამაც შეითვისა ეს მოღვაწენი. ქართულ ეკლესიას წესად აქვს წმინდანებად შერაცხოს თავისუფლებისათვის მებრძოლი პატრიოტები, ალბათ, იმიტომ, რომ საქართველოში რელიგია და სახელმწიფო ურთიერთკავშირშია (ქართული ჯვარი ეროვნულ დროშაზეა გამოსახული და ხალხის უმრავლესობაც ძალზე რელიგიურია). თავისუფლებისათვის მებრძოლთა, „მოწამეთა“ რელიგიური კანონიზაცია ხელს უწყობს სხვადასხვა ტომისა და კუთხის ერთ ქართველ ერად ფორმირებას. მწერლები არ გამხდარან რელიგიურები საეკლესიო კურთხევის კვალობაზე, სამაგიეროდ, ამ კურთხევით ეკლესია შეიქნა უფრო ადამიანური. თავისი გზით, თავისი საშუალებებით იგი პატივისცემას გამოხატავს იმ ადამიანებისადმი, რომელთაც თავიანთი შემოქმედებითა და პოლიტიკური ცხოვრებით თავისუფლებისათვის ბრძოლაში სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდნენ.

უბრალო ხალხი არ კითხულობს პოეზიას და არც ესმის იგი. მათ ამგვარად გამოხატეს გრძნობები თავიანთი მწერლების მიმართ – ციცაბო აღმართზე აზიდეს მათი კუბოები და წმინდა ალაგას ერთად მოათავსეს. უტრირებულად ასეა, როგორც ნებისმიერი სიმბოლო, თუმცა შინაარსისაგან როდია დაცლილი – ეს სიმბოლო მწერლებსა და მკითხველებს შორის, ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ინტიმურობის ჭეშმარიტ გრძნობებს გამოხატავს. ეს სიახლოვე მწერლებსა და მკითხველებს შორის მე გამსჭვალავს იმ წერტილამდე, სადაც მწერლად გახდომა გადავწყვიტე, და სადაც იმედგაცრუება ვიგემე – მწერალი კულტურისა და თავისუფლებისადმი გულგრილ საზოგადოებაში უნდა ვყოფილიყავი. განსხვავება მაშინდელსა და ახლანდელს შორის თვალშისაცემი შეიქნა. როგორც ჩანს, დამოუკიდებლობის ცოტაოდენი წლის შემდგომ თავისუფლება ბუნებრივი და თავისთავად ცხადი მოჩანს, ხოლო მწერლის მთავარი ბრძოლა ცხოვრებაზე ზეგავლენის მოხდენა როდია, არამედ მოხერხება, იცხოვროს გულგრილ საზოგადოებაში და არ მიეცეს სასოწარკვეთას.

სესიას ფიქრები

მიწა ვარ ნიადაგ მენა,
ბეჩავი, გლეხად შობილი,
მიწაა ჩემი დედ-მამა,
ჩემი და, ჩემი ძმობილი...
ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა,
ე შრომა მაინც ფუჭია,
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო,
ვერ გამოვიძღე კუჭია...
მიწის პატრონიც მე მწიწკნის,
ჯინჭველაც ჩემი მტერია,
მოხელე, მღვდელი და ერი,
ყველა მე შემომცქერია...
ნეტავი, გამაგებინა,
როდისღა მომასვენებენ.
ვერ შავესწრები, მგონია,
სანამ არ გამასვენებენ!

ეს ლექსი ქართველმა პოეტმა, რაფიელ ერისთავმა დაწერა. გამახარა მისმა პოვნამ. აქ არის ბუნებრივი, ძალდაუტანებელი შერწყმა ნაზი ლირიკისა, არაპათეტიკურისა, ინდივიდუალური და ეროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვასთან. ეს მაღელვებს. ერისთავის ლექსები გამოხატავენ ღირსეულად ცხოვრების წადილს, ქალაქისა და სოფლის მობინადრეთა შორის სოციალური გაუცხოების დაძლევის სურვილს, ერთი მხრივ, ბატონებსა და ეკლესიასა და, მეორე მხრივ, გლეხებსა და ყმებს შორის. და ყოველივე ძალზე პირადულია, ლირიკული, გულში ჩამწვდომი და სევდიანი, ეგზისტენციალური, არადეკლარაციული, არადრამატული იდეოლოგიისა და პროპაგანდისაგან თავისუფალი. იმედი მერყევია, მარცხისა და სიკვდილის შიში შეჰპარვია. ვარკვევ, რომ ერისთავი აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა, იყო პოეტი, დრამატურგი და მასწავლებელი. ცარისტულმა პოლიციამ იგი დააკავა ქართული საზოგადოებისა და კულტურის ფორმირებისათვის აქტიური მოქმედების ბრალდებით. აგრეთვე ვიგებ, რომ ერისთავი თანამშრომლობდა მეორე პოეტთან, ილია ჭავჭავაძესთან, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ მისი საფლავი მთაწმინდის პანთეონშია. ერისთავი გარდაიცვალა 1895 წელს და დაიკრძალა მშობლიურ სოფელში, კახეთში (საქართველოს თვალსაჩინო, მეღვინეობით განთქმული კუთხე). მისი მოწაფე, ვაჟა-ფშაველა, მასწავლებლის გავლენით, განაგრძობდა ქართულ ენასა და კულტურაზე ზრუნვას და განსაკუთრებულ მგრძნობელობას იჩენდა ბუნებისადმი. ამ დილას ფშაველას საფლავსაც მივაგენი მთაწმინდის პანთეონში. ვნახე მისი ერთი ლექსიც, რომლის გამო ტანში ჟრუანტელი მივლის:

გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ,
შუაზე მოდის მდინარე,
ხიდი არ გვიძე წყალზედა,
ფიქრი გვკლავს მოუთმინარე.

მინდა გაკოცო, მაკოცო,
შენს სახეს ვხედავ მღიმარეს,
მაგრამ ვერსაით გადმოვედ
ამ სატიალოს მდინარეს.

მეც უნავო ვარ, შენაცა,
ცურვა არ ვიცით, ვტირითა;

მეშველიც არვინ გვიჩნდება
არც ციდან, აღარც ძირითა,
შენ მე მიმელი, მე – შენა
გაცინებული პირითა.

ვეღარც ხმას გაწვდენ, გითხრა რამ,
მდინარე ბრაზობს, ღრიალებს,
ჩემს ძახილსა ნთქამს მის ზვირთი
როგორც შავადა ტრიალებს!...

რა უნუგეშო ყოფნაა,
წელთა სვლა მხოლოდ მზერაში,
რომ მოვკვდე, ბევრით ჰჯობია,
მაინც გარგივარ ვერრაში!...
არა, ის მინდა, გხედავდე,
ნუგეშსა ვპოვებ ცქერაში.

მახსენდება ალექსანდრე გერცენის სიტყვები, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში წინასწარმეტყველებდა პროცესს, როდესაც ბურჟუაზიის მეშჩანური ფასეულობები დაიპყრობდა მსოფლიოს, ხოლო კეთილშობილურ ადამიანურ ღირებულებებს განდევნიდა. იმ პიროვნების მომავლის მიმართ, ვინც ვერ შეეწყობოდა ქვეყნად ისეთ ყოფას, როდესაც ყოველ ღირებულებას ფასის იარლიყი ექნებოდა მიკრული, გერცენი ასე ასკვნიდა: „არა უჭირს, ბევრნი არა ვართ, მაგრამ ცოტა ხანში ყველანი დავიხოცებით“. მე კი, მთელი ძალითა და შემართებით, ვცდილობ, არ გავიზიარო ეს სკეპტიკური დასკვნა, ჯიუტად ვიმხნევებ თავს იმ იმედით, რომ ვიღვწი ადამიანთათვის, რომლებიც ჩემ შემდეგ მოვლენ... ღმერთმა მისმინოს და, უცაბედად, თავს აღმოვაჩენ ამგვარი ჟესტის წინაშე ხალხისა მწერალთა მიმართ, რომელნიც მას სრულებით არ ეპირფერებოდნენ. გასაკვირია განა, ამან რომ ამაღელვოს?

ნელ-ნელა მთაწმინდის პანთეონის ბინადართა ცხოვრება და შემოქმედება სამზეოზე გამომაქვს, საქართველოს თანამედროვე ისტორიაც აქედან გამომდინარეა. ეს პატარა ქვეყანა, ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარე, გარდა ხანმოკლე პერიოდებისა, დამოუკიდებელი არ ყოფილა. საქართველო იყო და არის ბრძოლის არენა სპარსელების, თურქების, მონღოლების, რუსების... მუდმივად დამპყრობთა ხელიდან ხელში გადადიოდა. იგი ჯერაც იბრძვის დამოუკიდებლობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სუვერენიტეტს მიაღწია. მტარვალი მმართველნი სარგებლობდნენ იმ ფაქტით, რომ ქართველები სხვადასხვა ტომს მიეკუთვნებოდნენ და სხვადასხვა სამთავროს ქვეშევრდომობდნენ, ისინი მათ შორის შუღლს აღვივებდნენ და ამგვარად, ასეული წლების მანძილზე აბრკოლებდნენ მათ სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. კირთება, რომელიც ყველა მამულიშვილს სტანჯავდა, მათი ბედის ერთობას ააშკარავებდა და ბუნებრივად აღვიძებდა მათში საერთო ლტოლვას თავისუფლებისაკენ. მეცხრამეტე საუკუნეში, ნაციონალიზმის აყვავებასთან ერთად, დამოუკიდებლობის მაძიებელი ქართველი მოაზროვნენი თავდაუზოგავად იღვწოდნენ, რათა სხვადასხვა ტომის შვილთაგან ერთი ერი გამოეჭედათ საერთო ენასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვით. ეს მოღვაწეები წინ აღუდგნენ რუსთა მცდელობას, გაენადგურებინათ ადგილობრივი კულტურა და მათთვის თავს რუსული კულტურა მოეხვიათ. ამ გარემოებათა გამო ქართულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის მწერლები, პოეტები და ხელოვანები წინამძღოლობდნენ. ისინი, განიცდიდნენ რა თვით რუსი მოაზროვნეების თავისუფლებისმოყვარე იდეალების ზეგავლენას, უბრუნებდნენ ქართულ ცნობიერებას საერთო ისტორიასა და მითოსს, აარსებდნენ სკოლებსა და სასწავლებლებს, ავითარებდნენ და ასწავლიდნენ ქართულ ენას. ნერგავდნენ ეროვნული თავისუფლების ფასეულობებს მოთხრობების, ლექსების, პიესებისა

და პუბლიცისტური წერილების მეშვეობით, რომელსაც პერიოდულ გამოცემებში ბეჭდავდნენ. ამის გამო ცარისტული რუსეთის რეჟიმი მათ დევნიდა, აწამებდა და ხოცავდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მეფის ხელისუფლების დამხობითა და რუსეთის დროებითი დასუსტებით ქართველებმა ისარგებლეს და 1918 წელს დამოუკიდებელი სახელმწიფო დააარსეს, რომელმაც 1921 წლის მარტამდე გაძლო. ამჯერად მას წითელი რუსეთი დაეპატრონა. დამოუკიდებლობის მაძიებელი ქართველები, რომლებიც მეფის ჟანდარმერიის დევნას გადაურჩნენ, ახლა საბჭოელთა სისასტიკისა და ტერორის მსხვერპლნი შეიქნენ. განსაკუთრებით ულმობელი იყო მათ მიმართ იოსებ სტალინი და საიდუმლო სამსახურის უფროსი ლავრენტი ბერია, სხვათა შორის, ორივე ეროვნებით ქართველი.

მხოლოდ 1991-ში, საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდში, სამოცდაათწლიანი საბჭოური მმართველობის შემდეგ, ქართველებმა კვლავ მოიპოვეს მყიფე დამოუკიდებლობა; რუსები ჯერაც ცდილობენ მათზე გაბატონებას. დამოუკიდებლობა შენარჩუნებულია დასავლური მხარდაჭერის მეოხებითა და ქართულ კულტურასა და მის სიმბოლოებზე მზრუნველობით. ამგვარად, მთაწმინდის პანთეონში დაკრძალული ადამიანებიც ეროვნულ სიმბოლოებად იქცნენ. გარდა რუსთაველის გამზირისა, რომელიც შუა საუკუნეების ქართველი ეპიკური პოეტის სახელობისაა, თბილისის ყველა მთავარი ქუჩა თანამედროვე პოეტების, მწერლებისა და ხელოვანების სახელს ატარებს – ჭავჭავაძე, კოსტავა, მარჯანიშვილი. ქალაქის ქუჩები და მისი სკვერები დატვირთულია კულტურის მესვეურთა ქანდაკებებით, და არა გენერლებისა და პოლიტიკოსებისა. მთაწმინდის პანთეონი ეროვნულ სიმბოლოდ იქცა, და ქართველი ხელისუფალნი მას ნარღვევების დასაგვირისტებლად, ნაშალის შესაკვრელად და ერთიანი ეროვნული შეგნების ჩამოსაყალიბებლად იყენებდნენ.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, დაკრძალვის ამბავი ნიმუშია იმისა, თუ როგორ იქცა მთაწმინდის პანთეონი ქართველი ხალხის გამაერთიანებელ იარაღად. ზვიადის მამა, კონსტანტინე გამსახურდია, იყო ცნობილი მწერალი (მისი ქანდაკება ამშვენებს მრისხანე მეფის სკვერს). ზვიადი იყო მთარგმნელი და ლიტერატურის კრიტიკოსი; მან და მისმა მეგობარმა, მერაბ კოსტავამ, კომუნისტურ საქართველოში ადამიანის უფლებათა პირველი ორგანიზაცია დააფუძნეს და იატაკქვეშა ლიტერატურას ავრცელებდნენ. ბოლშევიკები დევნიდნენ გამსახურდიას, ფსიქიატრიულში გამოამწყვდიეს, გადაასახლეს. როგორც ჩანს, წამების შედეგად „აღიარა შეცოდებანი“ კომუნიზმის წინააღმდეგ, საქართველოში დაბრუნდა და დასავლური ზეწოლით მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ნომინაციაზე იქნა წარდგენილი. როდესაც პრეზიდენტად აირჩიეს, მის წინააღმდეგ გაჩაღდა საზოგადოებრივი კრიტიკა მისი პოლიტიკის გამო, რომელიც ეჭვსა და უნდობლობას ბადებდა მერყეობით, ტოტალიტარიზმითა და საბჭოებისადმი ერთგულებით. გამსახურდია შეიარაღებულ კონფრონტაციაში აღმოჩნდა ჩათრეული; სამოქალაქო დაპირისპირებაში რამდენიმე ქართველი დაიღუპა. საბოლოოდ იგი გადაყენებულ იქნა და „გაურკვეველ“ ვითარებაში გარდაიცვალა. „ჩვენმა პრეზიდენტმა“, მიხეილ სააკაშვილმა, გადაწყვიტა მთაწმინდის პანთეონში დაეკრძალა გამსახურდია, დაძაბულობათა მართვის გამოცდილებიდან გამომდინარე. არ გამიკვირდება, თუ გავიგებ, რომ სააკაშვილი ჩუმად ლექსებსაც წერს.

საღამოს შენობიდან ქვემოთ, რესტორნისაკენ ვეშვებით. ჩვენ წინ კერტებიანი მეზობელი ამოდის, სულ ცთუნება, უმანკოება და ნეტარებაა. „ზდრასტი“ უღიმის იტაის და რამდენიმე რუსულ სიტყვას ეუბნება, კაბას ქაჩავს, მკერდს იშიშვლებს ჯვარს გარეთ ტოვებს და ზემოსვლას ფართო ღიმილითა და უკანალისა და კერტების თანთალით აგრძელებს.

ებრაულიდან თარგმნა ***მამუკა ბუცხრიკიძემ***

გორვანელი

* * *

ლექსს მოგიძღვნიდი, ჩემო კარგო, გახსოვს, დაგპირდი?..
მე შენი ხილვის მოლოდინი მექცა ოცნებად.
ოცნებად, რომლის მაისისთვის კვდება აპრილი
და ამ მაისის გაღმერთება იწყეს მგოსნებმა.

შენ წარმტაცი ხარ! მე არავის არ ვემონები,
თუმც შენზე ფიქრის ალბათობა მე მონად მაქცევს.
ამ დროის წრეში ჩემში მარად განმეორდები
და ჩემს სიბნელეს შენი ცქერა სინათლედ აქცევს.

შენ გაგაჩნია საოცარი თვალთა ხატება,
რომლის განთიადს მშვენიერი ელფერი მოსავს,
რომელთა ცქერით შენი არსი ჩემში ხატდება
და რომლის სპეტაკ სადღეგრძელოს თვით ღმერთიც მოსვამს.

ახლა დეკემბრის ცივი სიო გეუხეშება...
შენ გაზაფხულის პრინცესა ხარ, იმ ქართა ქროლვა,
რომელთა ძალით ეს თავნება წვიმაც თქეშდება
და რომლის ვნებით გაზაფხულის სურნელიც მოვა.

შენ ზაფხულისთვის გემეტება სითბო ულევი;
მზე სამყაროში რამდენია?! ჩემთვის ორია...
შენი ნათება ასაზრდოებს იმ მზეს, რომელსაც
ყოფიერების მზედ შექმნამდე გზა გაუვლია.

შენ ეგზოტიკად გადააქცევ იმ შემოდგომას,
რომლის ფერშიაც აფილია სულს დაიმონებს,
რომლის განცდისთვის შემოდგომა შენ გისაზრდოებს
და რომლის სათუთ სიმფონიას მეც გავიგონებ.

დეკემბერია... ამ სუსხიან ამინდებს ვერჩი.
ზამთარს ვერ განდობ მე ადვილად, ცივია მაინც;

თუმც წელიწადში ერთხელ, ალბათ, მომტაცებს შენს თავს,
მაგრამ ზამთარი გაწბილდება, დაათბობ, რაიც...

ლექსს მოგიძღვნიდი, ჩემო კარგო, გახსოვს, დაგპირდი?..
მე შენი ხილვის მოლოდინი მექცა ოცნებად.
ოცნებად, რომლის მაისისთვის კვდება აპრილი
და ამ მაისის გაღმერთება იწყეს მგოსნებმა.

მე და ღმერთი

შენ, თვალი ფართოდ გაახილე, სამყაროს მწყემსო,
ჰყავი სიკეთე და ადიდე ჩემი გენია...
ზეცაში არის შემოქმედი, ღმერთი – იესო,
დედამიწაზე კი უფალი გორვანელია.

ბევრმა ეცადა, ბევრმა დაგგმო და ბევრმა გიცნო,
ეწამე მათთვის, უბადრუკი მოკვდავებისთვის;
ფიქრობენ ახლა, ანტიქრისტე მოვიდეს ვინძლო...
მაშინ, იესო თავად მოკლეს და ნეტავ, რისთვის?!

შური, სიკეთის ნაკლებობა, ფარული შიში...
მშვენივრად უწყი შენ მოკვდავთა შეფარულ ფიქრებს.
მე, ღმერთპოეტი რომ ვიწოდო, ვიცი, არ მიშლი
და კადნიერი, მე, ამაყად, ღმერთპოეტს ვირქმევ!

გონებით ვეძებ, უსასრულოდ ვჭვრეტ ყოველ ხილულს,
ზეშთაგონება მეუფლება ყოვლის მომცველი;
ფილოსოფიით მე შევიცნობ სამყაროს მიღმულს,
შენ წინაშე კი მე დავრჩები ისევ მლოცველი.

პირჯვარსაც ვიწერ და შენს სახლშიც მოვდივარ შვილად,
თუმცა, შენ იცი, მე არა ვარ გულით თეისტი.
როცა მოვდივარ, შინ არა ხარ და ვდარდობ ხშირად...
როგორ მოვიქცე?! მე ვერ გავხდი ვერც ათეისტი.

შემდეგ მივდივარ და სამყაროს ტკივილით ვფიქრობ,
ჩვენთვის არა ხარ, ამას ვიტყვი და ვგავარ დეისტს...
ცვალებადობა, ეს მირაჟი გულის დარდს მიქრობს...
მოაზროვნენი მიწოდებენ ეულ პანთეისტს.

რა არის, რომ ვთქვათ, ეს სამყარო ან ჩვენ ვინა ვართ?!
ვინ ჩაგვინერგა სააზროვნო ცნებად – ლოგოსი?!..

მე ასე ვფიქრობ, ჩვენ, მოკვდავნი, ღმერთებსა ვგავართ...
ამას მე ვამბობ, მე, პოეტი, ფილოსოფოსი!

შენ, თვალი ფართოდ გაახილე, სამყაროს მწყემსო,
ჰყავი სიკეთე და ადიდე ჩემი გენია...
ზეცაში არის შემოქმედი, ღმერთი – იესო,
დედამიწაზე კი უფალი გორვანელია.

დუმილის პრელუდია

ვუძღვნი ნანა გუბელაძეს

თქვენ, ქალბატონო, პოეტობა გესადაგებათ
და არ მინდა, რომ ჩემს თავს ვარქვა ახლა პოეტი.
თქვენს და ანგელოზს შორის არის დიდი მსგავსება,
მე კი, მოკვდავი, ამ ქვეყანას მისთვის მოვედი,

რომ აღმეწერა ღვთაებრივი თქვენი მშვენება,
რომ მყვარებოდით გულწრფელად და უიმედობით...
მე, ღმერთის ნაცვლად, თქვენ აღგითქვით ჩემი ვედრება,
ცის ღვთაებებს კი პრინციპულად აღარ ვენდობი.

თქვენი თვალები, ქალბატონო, მე ძლიერ მიყვარს,
უსასრულობას მაზიარებს მათი დანახვა.
თქვენს უსპეტაკეს, ნაზ არსებას სამყარო მიაქვს...
მე მეყვარებით თქვენ ღმერთამდე, თუ ხართ თანახმა;

თქვენ ის მუზა ხართ, რომლისთვისაც ჩნდება მგოსნები,
მარადიული სილამაზე, ვარსკვლავთა შინა...
მე ძლიერ მინდა, რომ ძვირფასო, მოგწვდეთ ოცნებით...
თქვენმა ხატებამ ჩემს წიაღში დაიდო ბინა.

და დაიწყება უსასრულო ფიქრი და ფიქრი...
აზრები განცდებს აბალანსებს, განცდები სიტყვებს.
მარადიული მოძრაობით დროც სწრაფად მიჰქრის...
მე გონებაში გამუდმებით თქვენი ხმა მიმღერს.

თქვენ ღმერთი გიყვართ, ქალბატონო, სიწმინდე მისი,
წარმოსახვითი აფინაჟი, განცდების წვიმა...
მეც მიყვარს ღმერთი, ქალბატონო, ნუთუ არ იცით,
ნუთუ არ იცით, რომ ღმერთი ხართ, წმინდათა წმინდა?!

ბუნების ყველა სტიქიონი იქცვა დარად,
სულის სიწმინდე გადეფრქვევა ცოდვილთა მიწას;
მინდა, ამ დროის ლაბირინთში, გეტრფოდეთ მარად...
თქვენ ანგელოსად მომევლინეთ და ვიცი, მიცავთ.

სიკვდილ-სიცოცხლის გზაგამყოფზე ვიქნები, როცა
წარმოსახვითი სიბეჩავე დამისვამს წერტილს...
და მე, ღმერთპოეტს, დამატყდება წმინდანთა ლოცვა...
ჩემთვის მაშინაც თქვენ იქნებით ხატიც და ღმერთიც!

ალეგორია

ჩემი ძმაკაცის, გაგი გიორგაძის ხსოვნას

ფიქრებად იქცა გაშეშებულ ხატთა შეკრება,
ცის ქვეშ ყორნები დაფრინავენ ლეშთა მძებნელნი.
ღმერთმა, თითქოსდა, არხეინად გასცა შეკვეთა...
ო, ცხოვრებაო, რა მავნე ხარ, სისხლად გრძელდები.

ჩვენია სული, ხორცი აღარ გვემახსოვრება,
თუმც ამ ცხოვრებას ეტაპებად მიჰყვება კვალი...
ახლა მქანცველი პროცესიის მიდის მსვლელობა;
ღმერთო, მითხარი, ნუთუ ჰქონდა მას შენი ვალი?

მკვდართა ვაება გადმოვიდა ცოცხალთა ხვედრზე.
შენ რომ წახვედი, ჩემო ძმაო... გიხსენებ ისევ.
ღმერთის უდროო განჩინება მაფიქრებს ბედზე
და მინდა, ტყვია დავიხალო, თან ჭიქას ვივსებ.

ბედი ყოფილა თურმე შენი გარდაცვალება,
ალბათ, ახსნასაც უძებნიან ამდაგვარ სიკვდილს...
თუ მას ყოველი სიცოცხლისთვის მოაქვს ვაება,
ღმერთი რატომ კლავს ადამიანს, მე მისი მიკვირს!

არ შეგეშინდეს, ჩემო ძმაო შენ ჩვენგან წასვლის,
ყველა სულდგმული როდესმე ხომ გარდაიცვლება?!
არ შეგეშინდეს შენ სამყაროს მიღმა გასვლის,
ყოფიერების საწყისი ხომ არ იცვლება?!..

მივდივართ ყველა, ვერ ვჩერდებით დროის მონები,
გადაულახავ ბარიერად გვექცა ცხოვრება;
მე კი ამ დროის ლაბირინთში სიკვდილს მოველი...
მანამ ვიცი, რომ, ძმაო, შენი სული ცხონდება.

მიუსაფარი სიმფონია მიიღებს ელფერს,
როს აფინაჟი შენი სულის დათრგუნავს სიმებს...
მთვარიან ღამეს შენ გადიქცევი წყვდიადის მეფედ
და შარაგზებზე აამღერებ მდუმარე სხივებს.

ფიქრებად იქცა გაშეშებულ ხატთა შეკრება,
ცის ქვეშ ყორნები დაფრინავენ ლეშთა მძებნელნი.
ღმერთმა, თითქოსდა, არხეინად გასცა შეკვეთა...
ო, ცხოვრებაო, რა მავნე ხარ, სისხლად გრძელდები.

მგოსანო

ვუძღვნი დიდებულ მწერალს – თემურ ლანჩავას!
სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ 70 წლის იუბილეს!

ძვირფასო მგოსანო, არ არის ადვილი,
კალამი ავიღო და ლექსი მოგიძღვნათ.
სამყარო სივრცეა, მუდმივი ადგილი,
სადაცა სულდგმული მოქმედებს მიწისძვრად.

იცოცხლეთ! იხარეთ! იდექით კაცურად!
დრო ვერას დაგაკლებთ, დრო თქვენი მონაა!
სიკვდილი კახპაა, გიყურებთ მაცდურად...
სახელი დავტოვოთ, - ცხოვრების ფორმაა.

ღვაწლი გაქვთ უზღვავი, წინაშე ერისა,
თაობებს ანათლებს სიტყვები მწერალის.
დიდებულ სამყაროს მგოსანი ეღირსა
და თქვენი ვალია - დაპყრობა მწვერვალის!

გონს ვხედავ სამყაროდ, აზრებს კი – სიცოცხლედ;
მზე რომ ღმერთს მაგონებს, – სხივების ბრალია.
გონებით ისუნთქეთ! აზრებით იცოცხლეთ!...
სიწმინდით გიყვარდეთ! – მგოსნების ვალია.

კაცი ხართ მართალი, ღირსი, ღვთისმოსავი...
კალამი აიღეთ, სიტყვებით მოხვედით...
თქვენა ხართ, ნამდვილად, სამყაროს მგოსანი;
ლექსს გიძღვნით, ამჟამად – მსოფლიოს პოეტი.

25.04.2017 წ.



დევან ანანიძე

მოლოდინი

„რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოველ წვიმადა?“

ვაჟა-ფშაველა

ცაში გაშლილი ღრუბელი
დროს ვერ ნახულობს საწვიმრად,
მოლოდინშია მთა-ველი,
ირგვლივ ქარი ქრის რა ხშირად,

ხეებს ფოთლები უხმება,
ძირს ცვივა, თითქოს რთველია,
ღელეს შეცვლია გუნება,
რომ ზვირთი შემოელია.

დღისით და ღამით ნიავი
დაიწყებს გრუხუნს სერისერ,
ეჰ, წვიმა არ ჩანს ბედშავი,
ცავ, შენ შეგყურებ, შენ გიცქერ.

ჟუჟუნა წვიმა რომ ვიყო,
მოვრწყავ დასიცხულ ველ-მინდვრებს,
ღამემ დარდი რომ გაიგო,
უძილოდ მტოვებს, მაკვირვებს.

ზეცას შევყურებ ღრუბლიანს,
ისე, ვით ვაჟა-ფშაველა,
მოლოდინშია დუნია,
გვალვა მატულობს, რომ ცხელა.

ნეტავი მაღლა ღელის წყალს
დღეს ზვირთი ჰქონდეს მჩქეფარე,
ავაჩუხჩუხებ და მოვრწყავ
ბოსტანს, ბაღ-ვენახს მდუმარეს.

ვიქნები დამშვიდებული,
არ მომაკლდება ძილი მე,
ეს რა სიცხეა წყეული,
გვალვა მადარდებს, ვჩივი მე.

უკვდავების მადლი გლოცავს

დავით თედორაძეს

წიგნი „ხსოვნის ჩირაღდნები“
მხარს გიმშვენებს პოეტს, მგოსანს,
ყოველ სტრიქონს გაკვირდები,
უკვდავების მადლი გლოცავს.

უფრო მეტად შეგვაყვარე,
ვინც ჩუქურთმას სიტყვით ჭრიდა,
მოგონება მოელვარე
სულს მინათებს და დამკვიდრდა.

მათი სახე, სიტყვის ეშხი,
დავინახე, დავით, ცხადად,
რაც რომ გახსოვს, ცოცხლობს თქვენში,
მატიანედ ვთვლი მას მარად.

არ ჩაქრება არასოდეს
ის ძვირფასი შეხვედრები,
თუნდ მშფოთვარე ქარი ქროდეს,
იცვლებოდეს ამინდები.

მომავალი თაობისთვის
წიგნში ვხედავ ნათელ სურათს,
უკვდავია და შეცვლის
მოგონებას? ღირსეულ მადლს?



ანა დუნდუა

ძნელია უშენობა

(ნოველა)

„ეხ, სადა ხარ რუსთაველო, სად გაიბი კიბე- ბონდი,
თუ აქა ხარ, არ წახვიდე, ერთი მოსვლით კიდევ მოდი,
დღეს სჭირდები საქართველოს თუ ოდესმე სჭირდებოდი“.

ვასილ გვეტაძე

ირგვლივ გაზაფხულის დამატკბობელი სურნელი ბატონობდა. აფეთქებული კოინდარი მწვანედ ბიბინებდა. უკიდეგანო ცაზე ფუმფულა ღრუბლები ალაგ-ალაგ მიმოფანტულიყო. მზის სხივები ვერხვის ფოთლებში იჭყიტებოდა, რომელსაც ქარი ძალუმად აშრიალებდა და გაზაფხულის რეკვიემს გადმოსცემდა. ლორთქო ყლორტების სურნელით გაჩერებული დღე დამდგარიყო. მერცხლები ფრთებით მიაპობდნენ ლაჟვარდს.

ცენტრალური ქუჩის კუთხეში შავი მერსედესიდან სიმპათიური მამაკაცი გადმოვიდა მაღალი კუნაპეტივით შავი თვალებით. „შვილო, სილაღევ დედისა“- იტყოდი გულში მისი დანახვისას. ზეციდან დედამიწაზე მზის კაშკაშა სხივები უხვად იღვრებოდა. ქუჩის მეორე მხრიდან მშვენიერი ქალი მოყელყელაობდა. იგი ღვთაებრივად ლამაზი იყო. ბიბლია გვასწავლის: „ადამიანი ღვთის სახედ და ხატადაა შექმნილი“. ქალს რომ შეხედავდი, ირწმუნებდი ამ ჭეშმარიტებას. ქალი მზის სხივივით მბზინავი მწვანე თვალებით სადღაც შორს იცქირებოდა. სინარნარით შველს ჰგავდა. ქალმა გვერდი აუარა თუ არა, კაცმა შენიშნა მაქმანიანი ცხვირსახოცი რომ დაუვარდა. აი, ისეთი დასაკარგად რომ დაგენანება. მან ქალს მკლავზე ხელი სათუთად შეახო და მოაბრუნა.

– ქალბატონო, თქვენ ცხვირსახოცი დაგივარდათ... გადაკალმული შავი წარბები ქალისა მის თეთრ შუბლს ბზინვარებას მატებდა. ქალმა თლილი თითები ლოყაზე მიირტყა და ცხვირსახოცს დასწვდა.

– უი, ჯანდაბას ჩემი თავი. ეს ცხვირსახოცი რომ დამკარგვოდა, ნამდვილად ძალიან მეწყინებოდა. მადლობელი ვარ თქვენი. იცით, რატომ მეწყინებოდა? – დაუსვა კითხვა კაცს. კაცს გაეღიმა.

– მეგობრის ნაჩუქარია. ახლახან გათხოვდა. მითხრა: ჩემი ცხოვრების საუკეთესო ნაწილს

გჩუქნიო. დალოცვილია ეს ცხვირსახოცი. ატარე იგი და მალე წარმატებით გათხოვდებიო.

– ქალიშვილო, მგონი ცხვირსახოცის დონეზე არ წყდება ეგ საკითხი.

– ნუ იტყვით მაგას. განა არ ვიცი, მაგრამ ამ ცხვირსახოცს მაინც დიდი იმედით შევცქერი. ჩემი მეგობარი, შორენა შარაშიძე, ისეთ კარგ ბედშია, რომ თეთრი შურით შეგშურდება. მაპატიეთ, რამდენს ვლაპარაკობ უცნობთან.

– ჩვენ უკვე უცნობები აღარა ვართ. ცხვირსახოცმა გაგვაცნო ერთმანეთი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი ლევან ხიდაშელი ... უთხრა და ხელი გაუწოდა.

– ექიმი მირანდა მეტრეველი – მორცხვად უპასუხა ქალმა.

– ძალიან სასიამოვნოა. კაცის ხმაში არა მარტო სიმტკიცე, არამედ ძალაუფლებაც იგრძნობოდა. იგი ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ სახის ყველა ნაკვთის შერწყმა იხილა. ქალმა ისეთი გიზგიზა მზერა შეანათა, კაცს ტანში გაცრა. საოცრებაა ლამაზი ქალიო – გაიფიქრა. გულანთებული კაცის წინ ხომ ჰაეროვანი მშვენიერება იდგა.

მერე იყო ტელეფონით საუბარი, შეხვედრები. „ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი, მეტი რა უნდა სიყვარულს". ნამდვილად სწორია ხალხის გამონათქვამი. ორ თვეს გაგრძელდა შეხვედრები და წარმოიშვა ყოვლისწამლეკავი გრძნობა, სიყვარული რომ ჰქვია. ქალი ბედნიერი იყო. „ვინ დათვალოს ბედნიერთა ღიმილი". ღიღინებდა ხშირად. განგებას ლოცავდა იმის გამო, რომ ლევან ხიდაშელი შეახვედრა. მის ფერმკრთალ სახეს ბედნიერებისაგან გაბრწყინებული მწვანე თვალები ასხივოსნებდა.

მალე იქორწინეს. ეს მარტო ოჯახის შექმნისაკენ სწრაფვა არ იყო. ეს იყო ჟრუანტელის მომგვრელი ვნება და სიყვარული ღმერთთან მიახლოებული. სიყვარულმა თითქოს სამყაროს მოსწყვიტა ისინი. იყვნენ მხოლოდ ორნი ლევანი და მირანდა და მეტი სხვა არავინ ამ ქვეყნად. უწმინდესი ლამპარი, სიყვარულის ლამპარი ენთო მათ გულებში. მირანდა კვლავ მომაჯადოებელ ქალად იდგა ლევანის წინაშე. ღვთაებრივად მომხიბვლელი იყო იგი. რაღაც მათრობელა სილამაზე აქვს მირანდასო – ფიქრობდა ლევანი. ქალის სახეს, გარდა სილამაზისა, სიკეთის ბრწყინვალებაც აცისკროვნებდა. მათ ცხოვრებაში თითქოს მზის სხივი შემოჭრილიყო. მირანდა ამზეურებული თვალებით შესცქეროდა მეუღლეს. მწვანე კაბაში გამოკვართული იდგა ლევანის წინ ამაყი და შეუვალი. თვალში საცემი იყო ლევანის არაჩვეულებრივი ხიბლიც. მირანდას კი ისეთი უპრეტენზიო გამოხედვა ჰქონდა, იფიქრებდი ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ ასეთი ლამაზი გააჩინა ბუნებამ. თვალთა ციური ელვარება იმაზე მიგანიშნებდა, რომ მისი გული იმ გრძნობას შეეძრა, უნაპირო სიყვარული რომ ჰქვია. იგი მისი სხეულის ყველა კუთხე-კუნჭულს დაპატრონებოდა და გასაქანს არ აძლევდა. ლევანისთვისაც დაიწყო რაღაც ახალი, განუმეორებელი. გული სულ მირანდასკენ ისწრაფოდა, თითქოს აღზევების ჟამი დამდგარიყო.

– მირანდა, ჩვენსავით ერთმანეთი ბევრ ცოლ-ქმარს არ ჰყვარებია, ასე მგონია. სხვათა შორის, 1796 წელს ნაპოლეონი გააფთრებული ბრძოლის დროს სწერდა წერილს ჟოზეფინას. „შენგან შორს მყოფს მთელი ქვეყნიერება უდაბნოდ მეჩვენება, სადაც მარტოდ-მარტო შთენილი ვარ. შენ ხარ ჩემი ცხოვრების მიზანი და საღოცავი". ადამიანი ყოველ წუთს რომ გახსოვს, ბრძოლის დროსაც კი, ისაა წმინდა სიყვარულის უმაღლესი გამოხატულებაო...

– სწორი ხარო, – უდასტურებდა მირანდა.

* * *

ფანჯრიდან მოცახცახე ტირიფი მოჩანდა, ირგვლივ კი მწვანე ველი. მინდორში ქარი დახეტიალობდა. ბაღში მოშრიალე ვერხვებს გაზაფხულის გრილი ნიავი ელამუნებოდა. რა ხანია, მზე ღრუბლებმა დაატყვევა. ცა თანდათან იღუშებოდა. მალე, ალბათ, ხმაურითა და სტვენით წამოვიდოდა კოკისპირული წვიმა.

ლევანისა და მირანდას ქორწინებიდან სამი წელი გასულიყო. შვილი კი არ ჰყავდათ.

დედამთილის, ბარბარე გელოვანის, საყვედურებს დასასრული არ ჰქონდა. კიდევ არ ხარ ფეხმძიმედ? ... ათასში ერთხელ ჩამოდიოდა რაჭიდან მირანდას დედა. მას შემდეგ, რაც გელოვანის ქალმა გააგონა „სოფელო“ ჩამოვიდაო, მირანდას დედას ბათუმში ფეხი აღარ დაუდგამს. – მათ ხელში შენ ბედნიერი არასოდეს იქნებიო, – წასვლის წინ უჩურჩულა შვილს. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ეს წინასწარმეტყველება ახდა.

რომ დაქორწინდნენ, მერე გაიგო მირანდამ, ლევანი დიდი სიმდიდრის პატრონი რომ ყოფილა. ხუთსართულიანი სასტუმრო და ორი დიდი მაღაზია. ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი უცხოური ავეჯით დაზვინული. ეს ყველაფერი მამაჩემმა დამიტოვა მეორე ცოლი რომ ითხოვა, მაშინო – უთხრა ლევანმა. თან გულდაწყვეტით დაუმატა: არ მინდოდა არაფერი, ოღონდ მამა მყოლოდა ცოცხალიო. მირანდა უხერხულობას გრძნობდა იმის გამო, რომ თავად უღარიბესი ოჯახიდან იყო.

* * *

ცა იყო მოწმენდილი. მზე უხვად აფრქვევდა სხივებს. სახლის სახურავები ვერცხლისფრად ლაპლაპებდა. მოციმციმე მზის სხივები ქარს სადღაც შორს მიჰქონდა. ქარისაგან აცეკვებული ვერხვის ფოთლების ხმა გულს მალამოდ ედებოდა. ფოთლებში მოჟღურტულე ბეღურების ხმა ისმოდა. ირგვლივ ვარდის სურნელი იდგა. დღე იყო წყნარი, ამინდი მშვიდი, აპრილის თვე შვიდი. გაზაფხული იფურჩქნებოდა.

მირანდა მეგობართან, შორენა შარაშიძესთან, მივიდა. გულით გაიხარა მეგობარმა.

– ძლივს! – მიაძახა ასევე გახარებულმა მირანდამ, – ფეხმძიმედ ვარ. ნეტავ თუ მეღირსება დაფეხმძიმება-მეთქი. სამი წელი ვნატრობდი. ძლივს ნატვრა ამისრულდა.

– გილოცავ. ძალიან გამიხარდა. იარე ახლა დეფორმირებული მუცლით.

– ნუ იტყვი მაგას. ფეხმძიმე ქალზე ლამაზი ვინაა ქვეყანაზე. სიცოცხლე უნდა შობოს. რამოდენა სიამაყეა.

– იცი, შორენ, ლევანი რომ დამინახავს, თვალებში სითბო ჩაუდგება. რა არის ეს?

– ეს დიდი სიყვარულია. გახსოვდეს, ვნების მატარებელი რომ ჩაივლის, მერე იმას ვეღარ მოაბრუნებ.

– ღმერთმა მაშოროს. ფიქრების კორიანტელი მათოვს. ნუთუ ასეთი ბედნიერი ვიქნები ყოველთვის? დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია.

– რამ დაგღალა?

– რამ და დარდმა. რამე არ მოხდეს. სარეცელზე მაღლა მდგომ სიყვარულს გაუმარჯოსო! – ამის თქმა უყვარს ხშირად.

– სწორია მერე.

– შორენა, იცი წუხელ რა დამესიზმრა? ვითომ მფრინავი თეფში მაჩუქე, მაგრამ მასზე არ დავჯექი. შემეშინდა, არ გაფრინდეს-მეთქი.

– შენ მართლა გააფრენ მალე...

* * *

შორიდან ცის კიბეს მიბჯენილი კავკასიონი მოჩანდა. უღრუბლო ცაზე გაბადრული ნავახშმი მთვარე ეკიდა, გაენათებინა ირგვლივ ყველაფერი, რომელსაც ზღაპრული იერი გადაჰკრავდა. ხის ფოთლებს ნიავი ეჩურჩულებოდა. ზღვიდან თავშეკავებული სიო ქროდა. ირგვლივ ცისფერი ბურუსი იდგა. მთვარის ნაზ ჯადოს ხეები თითქოს მიეძინებინა. ჭრიჭინების ერთხმოვანი ჭრიჭინი ისმოდა. ცის კიდე ღუოდა. მზე ჯერ კიდევ არ ჩანდა.

მირანდას მწუხარებას დასასრული არ ჰქონდა. ბავშვი საკეისრო კვეთით შობა, რომელიც ოთხი თვის ასაკში ფილტვების ანთებით დაეღუპა. მას კი საკეისრო კვეთის დროს საშვილე დაუზიანდა და ამოკვეთეს. „პირველ ადამიანს, რომელიც დაიბადა საკეისრო კვეთის შედეგად კეისარი უწოდეს, რომელიც მერე მთელ მსოფლიოს აზანზარებდა. ჩემთვის გაჩნდა უსაშველო მხოლოდ“ – ფიქრობდა დამწუხრებული. ლევანი კი სულ მოწყენილი დადიოდა. ძლიერ განიცდიდა თავს დატეხილ უბედურებას. წელიწადი არ იყო გასული და ბარბარე გელოვანის ქალმა ეშვები გამოაჩინა. – რად გინდა უშვილო ქალი. აწი მა-

გას შვილი არ ეყოლება. გაუშვი და სხვა ითხოვე. შვილები ხომ უნდა გეყოლოს. ამოდენა ქონებას ვინმე ხომ უნდა დაეპატრონოსო. მეგისათვის ცა ჩამოიქცა. ოჯახის ყველა საქმეს მთავარი არბიტრი, დედამთილი, წყვეტდა, რომელსაც თავი ტომის ბელადად წარმოედგინა. ეგებ რძალი იმიტომ სძულდა, ერთადერთი შვილის სიყვარულში ეცილებოდა? ვინ იცის. რა კარგი იქნება ამ კომპლექსს თუ მოიცილებენ დედამთილებიო, – ფიქრობდა მირანდა, რომელსაც დედამთილის გახსენება ისეთ ასოციაციას უქმნიდა, თითქოს მის წინ ურჩხული იდგა, მისი შეჭმა უნდაო და თუ ფრთხილად არ იქნებოდა, ამ განზრახვის შესრულებაში ხელს არაფერი შეუშლიდა. ისე დედამთილი ჭრილობაზე მოყრილი მარილიაო, რომ ამბობენ ისაა სწორი. მორჩილი შვილი დედას ყველაფერში უჯერებდა და ყველაფერში ეთანხმებოდა. მირანდა ცრემლად იღვრებოდა იმის გამო, რომ შვილი დაეღუპა და ის გზაც მოეჭრა, ოდესმე დედა გამხდარიყო. კოლხი მედეასავით დამწუხრებული დააბიჯებდა. მას ხომ შვილები დაუხოცეს და მერე დააბრალეს, თითქოს, მას დაეხოცოს. რა განცდით მიყვარდა ჩემი ხვიჩა, ამის წარმოდგენა ძნელია. სულ ტიროდა ჩემი პატარა. რა ატირებდა, ნეტავი? ეგებ გრძნობდა, მალე რომ უნდა დაეტოვებინა ეს ქვეყანა. როცა იგი მყავდა ჩემი სიხარული ირგვლივ სივრცეს იპყრობდა. სანამ ხვიჩა მეყოლებოდა, წინასწარ შევიძინე ტანსაცმელები. ახლა ყოველ კვირას ვამზეურებ, მეშინია, შალეული არ დამეჩიჩოს. ჩემი სიხარული ხვიჩასთან ერთად დავასამარე. ხვიჩას დაკარგვის შემდეგ, რატომღაც, სულ იმის შიშში ვიყავი, ლევანს დავკარგავდი. მიუხედავად იმისა, რომ ცოლი ვყავდი, სასიყვარულო თავგადასავლები ლევანისთვის უცხო არ იყო, მაგრამ მე ამისთვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია. ბოლოს მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ლევანს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც უთხრა მირანდას: მე შვილი მინდა და უნდა გავქორწინდეთო. ეს მირანდას თავზე მეხის დაცემას უდრიდა. გული წაუვიდა. რომ მოასულიერეს თქვა: ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ გაყრის პროცესს ნუ დამასწრებო. ლევანმა ყველაფერი ისე მოაგვარა, როგორც მირანდა ითხოვდა და სამი დღის შემდეგ განქორწინების ქაღალდი დაუდო მაგიდაზე.

* * *

ირგვლივ ქარი დაქშუილობდა. მისგან ათრთოლებულ ფოთლებს შარიშური გაჰქონდა. ნისლი მთებს ლილისფრად ეფინა. მერე ნისლი და ბურუსი მალე აიკრიფა და შემოდგომის მიმცხრალი მზე მინდორს დაეფინა, რომლის სხივები ქარს სადღაც შორს მიჰქონდა. ავის მომასწავებელი ღრუბელი ცის კიდურში ვეფხვივით გაწოლილიყო. შემოდგომის გრილი ნიავი დაჰქროდა.

მირანდას შორენა ესტუმრა. – გავიგე ყველაფერი. ძალიან მეწყინა. ლევანისგან ამას არ მოველოდი. ხომ არ დაველაპარაკო?

– არა. აზრი არა აქვს. უკვე გავქორწინდით. მე მირანდა მეტრეველი უკვე ლევან ხიდაშელის ცოლი აღარა ვარ. წარბიც არ შეუხრია ისე მითხრა, უნდა გავშორდეთო. როგორ ვამაყობდი ამ ორსართულიანი სახლით, ხუთსართულიანი სასტუმროთი. თურმე ჩემი არაფერი არ ყოფილა. გამომიცხადა: ოროთახიანი ბინა გიყიდე და ავეჯიც დავდგიო. არაფერში მჭირდება შენი ნაყიდი ბინა. მე უპატრონოდ მიტოვებულ დედასთან მივდივარ რაჭაში-მეთქი.

– დაშორება თუ არ გინდა, უნდა ეცადო სექსუალურად გამოიყურებოდე. შენ რას ჰგავხარ. სულ მოეშვი. სულ ტირი. პირსაც არ იბან, ალბათ. მაკიაჟზე ზედმეტია ლაპარაკი.

– რომელ მაკიაჟზეა ლაპარაკი. მან ჩემში ქალი მოკლა.

– არ ხარ მართალი. კრიზისულ მდგომარეობაშიც კი არ უნდა დაკარგო ქალურობა.

– ძალიან მიჭირს ლევანის დატოვება. ვეყრები და თითქოს სასიცოცხლო არტერია გადამიკეტეს. ჩემს ცხოვრებას წარსული აელვარებდა, მშვენიერი წარსული, სიყვარულით რომ იყო აღსავსე. რამ შეცვალა ასე? ჩემთვის მანათობელი მზე ხარო – მეუბნებოდა. ჩემო სიხარულო – ამას ყოველ ნაბიჯზე ამბობდა.

– რატომ გეყრებიო, რა გითხრა.

– ამ უზარმაზარი ქონების პატრონს ჩემი შვილი მინდაო. ვგრძნობდი, ქარიშხალი მოახლოებული იყო და მისი შეჩერება მამაზეციერსაც არ შეეძლო. ფიზიკურ ტკივილს მაყენებს იმის განცდა, რომ სხვა უნდა ჩაიწვინოს საწოლში. ლევანი ჩემი სხეულის ნაწილია და მისი მოკვეთა დიდ ტკივილთანაა დაკავშირებული. ენით უთქმელი დარდი უნდა ვატარო გულით. ამას სიკვდილი მიჯობს. ეგებ ყველაფერი ხილულ კანონზომიერებას ემორჩილება და მისი ბრალიც არ არის. რომ გადამიყვარა, ეგებ დროის ბრალია.

– აიყვანე ადვოკატი და შუაზე გაუყოფ ყველაფერს, რაც შენს ხელში შეუძენია.

– არა. მაგას ვერ გავაკეთებ. ახლა ტანჯული კაცის როლს თამაშობს, მოწყენილი დადის.

– ეგებ არც თამაშობს და მართლა განიცდის.

– არა მგონია. სარეცელი ყველაფერს აუბრალოებსო რომ ამბობენ, არაა სწორი. სარეცელმა უფრო დაგვაკავშირა ერთმანეთს. ერთ არსებად შეგვკრა.

– ეს რაღა შეკვრაა, იყრებით.

– იცი, შორენ, ფიქრი მასთან დაშორებაზე უფსკრულისკენ მიმაქანებს. ვგრძნობ, რომ ყველა ოცნება ნამსხვრევებად იქცა და სულში ტკივილი დაბუდდა. რომ ამბობენ, არაა კარგი ცუდის გარეშეო, ისაა სწორი. რომ გამახსენდება განქორწინების საბუთი და ბინის გასაღები მაგიდაზე რომ დამიდო, ტანში მაჟრიალებს. ნეტავ, განგებას მაშინ გავეყარეთ სიცოცხლეზე მეტად რომ გვიყვარდა ერთმანეთი. განადგურებული ვარ. გულზე ჯავრი და სევდა მათოვს. მიუხედავად ყველაფრისა მაინც მიყვარს. მამაკაცი ზოგჯერ მხეციაო, რომ ამბობენ, ნეტა, თუა მართალი. სადღაც გულის კუნჭულში მოყუჩებულია იმედი, ეგებ დამიბრუნდეს.

– ღმერთმა გისმინოს. ისე მართლა გადაწყვიტე რაჭაში წასვლა?

– კი, გადავწყვიტე. რას გავუჩერდე აქ. ისე, ბარბარე გელოვანის ქალს არ დავემშვიდობები, ისე წავალ. მაგ ჩემს სახეზე მწუხარებას რომ ამოიკითხავს, ვიცი, სიხარულით ცას ეწევა.

* * *

ცის კაბადონზე ნავახშმი მთვარე შემოცურებულიყო და ირგვლივ ყველაფერი ვერცხლისფერში გაეხვია. მინდორს მთვარის ათინათი ეფინა. სევდით შრიალებდნენ ფოთლები. ირგვლივ მარადიულ მდუმარებას დაესადგურებინა. ფანჯრიდან ვარსკვლავებით მოსარკული ცა ჩანდა. ზეცაში უთვალავ ვარსკვლავთა ციმციმს დასასრული არ ჰქონდა. ქარი ხის წვეროკინებს დაბლა ხრიდა. ტყეც უსიამოდ შრიალებდა. ცაზე ქულა ღრუბლები მიმოფანტულიყო. ისინი მთვარის სიახლოვეს ისე განლაგებულიყვნენ, თითქოს მთვარესთან მიახლოების ეშინიათო. მიდამო მთვარის სხივებით მოსირმულიყო. სახლში ღამე შემოპარულიყო. მირანდამ სინათლე აანთო.

– არა, გადაწყდა. რაჭაში მივდივარ. „რაჭა სუნთქვა ჩუქურთმათა, ნიკორწმინდა იმედად“... რა კარგად ამბობს ზურაბ გორგილაძე.

მერე ის მოაგონდა, ზამთარში ყინვას ჭახჭახი რომ გაჰქონდა, მაშინ მამა ცოცხალი ჰყავდა. გლოლას მთაზე ჩამოთოვა. თოვლმა ორი შველი გამორიყა. მამამ ისინი მთელი ზამთარი შეიკედლა და რომ გაზაფხულდა მთას დაუბრუნა. მე გული ძალიან დამწყდა. მერე ბელურებს ხშირად ვუყრიდი საკენკს. ახლა მალე ზამთარი დადგება. ახალი წელიც მოვა. მირანდამ ამოიოხრა. მერე სარკეში ჩაიხედა. სარკეც ადასტურებდა მის განუმეორებელ სილამაზეს. დედამთილმა რომ გაიგო მირანდა ქალაქში არ რჩებოდა და რაჭაში მიდიოდა დედასთან, შხამიანი სიტყვა დააწია: ჭინჭრაქას ბუმბულში აწვენდნენ და ის კი ფუჩეჩ-ფუჩეჩ – იძახოდაო. მამა რომ ცოცხალი მყავდეს, ლევანს ასეთი საქციელისთვის დაუნგრევდა ცხვირ-პირს. მიუხედავად ყველაფრისა, კვლავ ლევანთან ყოფნა უნდოდა. თვალწინ ისევ რაჭა დაუდგა, რომლის მონატრების სევდა მუდამ ათბობდა მის გულს. უწერა, ღები... ოღროჩოღრო გზებით და ზამთარში მუდამ გაუთავებელი ტალახით. რაჭის მოგონებისას, რატომღაც, სხეულის ყველა ნერვი აუთრთოლდა.

უმისობა შემშლის, ალბათ. „ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა...“. ქალაქს იოტისოდენად არ ჩამორჩება სოფელიო – გული დაიიმედა. ჩემმა ბავშვობამ უწერაში ჩაიარა. მისი დაბრუნება მამაზეციერსაც არ შეუძლია. უწერა დაიცალა. მურმან ლებანიძის თქმის არ იყოს „ძაღლიც არ ყეფს ბარისახოში“. თითქოს მდინარე რიონის შხუილი მოესმა. ზმანებაში ჩაიძირა. მშობლიურ სოფელშია და მინდორში დარბის. „სად ხართ ჩემი ტოლები“. ახლა, ალბათ, უწერაში ცივი ქარი ქრის და მას მალე ზამთარი კლანჭებში მოიქცევს. ნეტა, თუ აქვს მომარაგებული შეშა დედაჩემს. განშორებამ ეგებ დამავიწყოს ლევანიო, – ფიქრობდა. რაშიც ღრმად ცდებოდა. „განშორება ჰგავს ქარს. იგი აქრობს მცირე გრძნობებს, აგიზგიზებს დიდს“. ეს ბალზაკმა ბრძანა. ეგებ მართალი იყო სტენდალი, რომ თქვა: „ქორწინება ბოროტებაა, ოღონდ აუცილებელი ბოროტებაო“.

გრძნობდა, რომ ლევანის სიყვარული მალე ხსოვნად იქცეოდა, რომელსაც დავიწყება არ ეწერა. ანდაზა რომ არის: თუ სიღარიბე კარის ჭუჭრუტანიდან შემოიპარება, სიყვარული ფრთხიალით ფანჯრიდან გაფრინდებაო, ჩვენს შემთხვევაში პირიქით მოხდა. ლევანი დიდი სიმდიდრის მფლობელი გახდა, მაგრამ სიყვარული მაინც გაფრინდა. მირანდას ხავსისფერ თვალებში უნაპირო სევდა დაგუბებულიყო. შვილი რომ შემრჩენოდა, მაშინ ლევანის დაკარგვას ადვილად შევეგუებოდი. აწი მის მონატრებას უნდა ვეფერო. წარსულია მარადისობაში გამდინარე ჟამთა სრბოლა, რომელიც არასოდეს დაბრუნდება. ლევანის ახირება დროებითი ხომ არაა-მეთქი, ზოგჯერ ამასაც ვფიქრობ.

* * *

მზე ამოკაშკაშდა და ირგვლივ ყველაფერი გააცისკროვნა. მთის კალთებიდან ნისლი დიდი ხანია გადაიკრიფა. ირგვლივ სიოც არ ქროდა. ჰაერი მორჩილად გარინდულიყო. ქვაფენილს მზის შუქი ეფინა. ბაღში გაზაფხული შემოპარულიყო. გზებზე ჩრდილი წვებოდა. როცა ფანჯარაში მზის სხივი აკიაფდა, მირანდა ფეხზე წამოხტა. სულ ის აგონდებოდა, ლევანმა მოგუდული ხმით რომ უთხრა: უნდა დავშორდეთ ერთმანეთს ოროთახიანი ბინა გიყიდე და იქ უნდა გადახვიდეო. მაშინ ლევანის სიტყვებში რაღაც იდუმალება დალანდა. თითქოს არც უნდოდა ეთქვა, რაც თქვა და ნანობდა კიდეც. თუ შეიძლება მოარულ დარდად გადაიქცეს ადამიანი, ეს მე ვარ, მირანდა მეტრეველი. მე მივტირი პირველ სიყვარულს ჯერაც ჩაუმქრალს. უნაპირო სევდასა და ტკივილს იტევს ჩემი გული. საშინელებაა მარტოობის დღეები, წლები... იგი ჩემთვის ბნელში ანთებული ჩირაღდანი იყო. რუსული ანდაზაა: ცხოვრებაში ცუდი ფუთობით მოდის, კარგი კი – მისხლობით. უსაზღვრო იქნება წარსულის მონატრება. თითქოს უფსკრულის წინაშე იდგა. მწუხარებას ქალი გაენადგურებინა, მაგრამ მომხიბვლელი იერი მაინც შერჩენოდა. მის მშვენიერ თვალებში ტანჯვა იკითხებოდა. შენი არაკაცობა გინდა ოროთახიანი ბინით გამოისყიდო. ყოჩაღ, ხიდაშელო. იცოდე, ძნელი შესაგუებელია ის აზრი, რომ აწი არასოდეს ვიქნებით ერთად. განქორწინების ტრავმისგან ვერ ვთავისუფლდები. ისე მოვა შუაღამე, ისე დამათენდება თავზე, ვერც ვიგებ. მერე მთელი დღე უძილობისაგან თავი მტკივა.

ლევან იცოდე, შენ გული ამომგლიჯე, ის გული, შენს უნაპირო სიყვარულს რომ ატარებდა. გრცხვენოდეს!...

* * *

ცაზე ბინდი და ბურუსი მალე გადაიკრიფა და შემოდგომის მიმცხრალი მზე მინდორს დაეფინა. ქარი ღრუბლის ფთილებს დასავლეთისაკენ მიერეკებოდა. ფეხქვეშ ფოთლებს შრიალი გაჰქონდა. მოულოდნელად ოთახში ლევანი შემოვიდა. ისეთი დამწუხრებული სახე ჰქონდა, შეგეცოდებოდა.

– კარგია, რომ შემოდი, ლევან. სალაპარაკო მაქვს შენთან. ჯერჯერობით ვუძლებ იმ გაუსაძლის ტკივილს, რაც შენს დაშორებასთანაა

დაკავშირებული. გავა წლები და წარსული თვალწინ ტკბილ მოგონებად დამიდგება. ჩვენ ხომ იმ ქვეყნიდანა ვართ, რუსთაველი რომ ამოიმზევა, რომლის სხივჩაუქრობი ვარსკვლავი დღესაც ანათებს ცის კაბადონზე. ნუთუ ვერაფერი ვისწავლეთ რუსთაველის სიყვარულიდან და თუ ვისწავლეთ, რატომ არ გავუფრთხილდით მას? კითხვა უპასუხოდ დარჩა. ლევანს თითქოს გაეცინა, მაგრამ ეს გაცინება ამოხვნეშას უფრო ჰგავდა, გულდამძიმებული კაცის ამოხვნეშას. ჟამი გამოთხოვების წუთებს მოუხმობდა. ამ წუთებს ძნელად დასათმობი უნდა დაეთმო.

– წარსულს მოხედე, ლევან. წიგნის ფურცელივით გადაიშლება მთელი გრძნობათა ყოფიერება. ლევანი დუმდა. მისი ფიქრები შეხუთულ დარბაზში დაფარფატებდა. მერე თითქოს ეს ფიქრებიც გაქრა. უსურვილოდ, უაზროდ მიმოიხედა ირგვლივ. ფაქტს ვერსად გაექცეოდა. ოჯახი დაშლის საშიშროების წინაშე იდგა.

– იცოდე, ლევან, ჯოჯოხეთურ ტკივილს ავიტან შენთან, ხოლო დაშორებას ვერ გავუძლებ.

ლევანი გაოგნებული იდგა მირანდას წინ და თუ რაიმე ტკივილი ჰქონდა გულში წვეთ-წვეთობით გამოდიოდა და მის ადგილს სინდისის ქენჯნა იკავებდა. რა დააშავა? რას ვერჩი? შვილი განა არ ჰყავდა? ახლა მირანდას რომ მოხვეოდა ათას ნაწილად დაიმსხვრეოდა.

– სხვა რამეზე ილაპარაკე თუ შეიძლება! – სიმწრით ამოიგმინა.

– რაზე მაგალითად? გრიგორ ხანძთელის აშენებული მონასტრები – ოპიზა, ბანა, ხანძთა, შავშეთი და ურუშეთი მომენატრა-მეთქი? სხვა სალაპარაკო ჩვენ არ გვაქვს. მირანდას სახეზე დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა.

– ლევან, ისეთი ტკივილი მომაყენე, რომელიც არასოდეს მოშუშდება. ცხოვრებამ აზრი დაკარგა. „ყველაფერი სიზმარივით გათავდა, რასაც გული შენზე დამიხატავდა„. იცი რა თქვა ზელანდიელმა პოეტმა? „ქორწინება ორი ადამიანის ერთმანეთზე მიკერების ოპერაციაა. განქორწინება კი ისეთი ამპუტაციაა, რომელიც დიდხანს არ შუშდებაო“.

– მირანდა, იცოდე, შენ რომ გცილდები ეს ჩემს მიერ გაღებული მსხვერპლია, მაგრამ რა ვქნა, სხვა გამოსავალი არ არის. აქეთ დედაჩემმა შემჭამა... მართლაც და, უშვილოდ ხომ არ გადავშენდები ამოდენა ქონების პატრონი.

– ეგებ მეც ვარ დამნაშავე. იმ საშინელი უბედურების შემდეგ, იმის მაგიერ რომ ჩავბღაუჭებოდი დარჩენილ ბედნიერებას, ტირილის მეტს არაფერს ვაკეთებდი. ყველას თავი მოვაბეზრე ჩემი მწუხარებით.

– ლევან, ჩვენი ყოვლისმომცველი სიყვარული რომ დაიწყო, ვგრძნობდი, რომ იგი ოდესმე დამთავრდებოდა, მაგრამ თუ ასე უცებ დამთავრდებოდა, არ მეგონა. ტკივილი გაუყუჩებელია. უშენოდ უფერულია ჩემთვის სამყარო. „არცა შიოლა ყოფილა“ თურმე. ნუთუ ის ბედნიერი დღეები დრომ შთანთქა? აი, შენი გასაღებები. მე არაფერში მჭირდება. ჩემი გზა რაჭისკენაა. მე უპატრონოდ მიტოვებულ დედასთან მივდივარ. მირანდა ლაპარაკობდა და გული ისე უფართხალებდა, თითქოს ქვაფენილზე გამორიყული თევზი იყო.

– ჩემი ბრალი ხომ არაა, შვილი რომ არ მყავს. – მირანდამ ხმას აუმაღლა. ჩემი ხვიჩა, ჩემი შავთვალა. დღეს საჟენი მიწა რომ აყრია გულზე. ხვიჩა რომ ცოცხალი მყავდეს, მაშინ ყველაფერს ადვილად გადავიტანდი. შვილის სიკვდილი არ კმაროდა, განგებამ განშორების ტკივილიც რომ დამატეხა თავს? მძღოლს უთხარი, რომ ხვიჩას საფლავთან მიმიყვანოს. უნდა დავემშვიდობო. აწი მის საფლავს როდის მოვინახულებ ვინ იცის. ხვიჩას წლისთავი მაინც გადაგვეხადა და მერე მაინც მომხდარიყო ეს უბედურება.

ხვიჩას ხსენებაზე ლევანს გული სიმწრით მოეწურა. მას თავბრუს ახვევდა ძლიერი განცდის კორიანტელი. მოეჩვენა, თუ საკითხს მირანდას სასარგებლოდ არ გადაწყვეტდა, დაიღუპებოდა. გრძნობდა, რომ ცხოვრების გადამწყვეტ წუთის ზღვარზე იდგა. თითქოს ხანგრძლივი ძილისაგან ახლა გამოფხიზლდა. მის გრძნობებს რაღაც შავი საბურველი გადაეფარა. თითქოს სხვა სა-

მყაროში მოხვდა ... რამ ამირია გონება? ის ხომ ჩემი უნაპირო სიყვარული იყო. როგორც სანთელი ქრება ორპირი ქარისგან, ისე გაუქრა და გაეფანტა ლევანს ყოველი ურყოფითი აზრები, რაც ცოლის მიმართ ჰქონდა. ლევანმა დაინახა მისი არაკაცობა და გაუტანლობა. თავი შეეზიზღა. მიხვდა, საშინელებაა, როცა სურვილი მართავს ადამიანს. იგი მირანდაში პოტენციურ მონადირეს ვერ ხედავდა, რომელსაც მისი დაჭერა განუზრახავს. იგი ქალის გულწრფელობაში თანდათან რწმუნდებოდა. ლევანმა წარსულს მოხედა, სიყვარული რომ მეფობდა მათ შორის. ყველაზე შორეულ კუნჭულს მისი დავიწყება არ უნდოდა. ამ ცოდვისათვის ღმერთი უთუოდ დამსჯისო – გაიფიქრა. ლევანმა კვლავ წარსულს მოხედა. გამადიდებელი შუშითაც რომ ვერ უპოვიდი სიყვარულის უარმყოფელ ფაქტს. მოჭრიალე ურემივით ახსენებდა თავს ამ ქვეყნიდან ადრეულად წასული ხვიჩა. მირანდას თვალებში მარადიული სევდა დაგუბებულიყო. ლევანი ცოდვისაგან იწვოდა.

– არა – წამოიძახა. – მირანდა! შენ არსადაც არ წახვალ. აქ დარჩები, ჩემთან და კვლავ ერთად ვიქნებით. დედაშენი რაჭიდან აქ ჩამოვიყვანოთ. ჩვენ მოვუაროთ. ბოლოსდაბოლოს ვიშვილებ ვინმეს. შეიძლება ძმამაც დამითმოს ერთი. შვიდი შვილი ჰყავს. ან აურაცხელ თანხას გადავუხდი და ვინმეს გავაჩენინებ ბავშვს.

ლევანის სიტყვები მირანდასთვის მეხის გავარდნის ეკვივალენტური იყო. ორივე გრძნობდა. რომ ფიქრებში შეკედლებული იმედი გადარჩა. მათი ცოლქმრობა კვლავ დიდი გრძნობით დაიფარა. მირანდა გაოგნებული იყო ლევანის სახეცვლილებით და სიხარულის ცრემლებად იღვრებოდა. ლევანი მიუახლოვდა, გულში ჩაიკრა და ცრემლიანი თვალები დაუკოცნა. მირანდას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

რადიოში ვიღაც შარლოტა კვანტალიანის ლექსს ახმიანებდა.

„ვაი მას, ვისაც არასდროს არ ჰყვარებია არავინ,
ვისაც აღარა ჰქონია ცაში ღრუბლების კარავი,
ვაი მას, ვისაც არასდროს არ ჰყვარებია არავინ“.

2016 წ. 30 იანვარი.

ვენდი მერსერი

გერმანული რომანტიზმი და ფრანგული ესთეტიკის თეორია

ვენდი მერსერი ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის ფრანგულ დეპარტამენტში უფროსი მასწავლებელია. მისი ინტერესის საგანია ფრანკო-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობები. მისი ბოლოდროინდელი პუბლიკაციაა ბალზაკი (1998). 2007 წელს გამოვიდა *ქსავიე მარმიე (1808-1892): კრიტიკული ბიოგრაფია,* როგორც ბრიტანული აკადემიის პოსტდოქტორალური საგრანტო მონოგრაფია.
მთარგმნელი

ერთი ნაციონალური კულტურის საზღვრებშიც კი, ტერმინ „რომანტიზმის“ განსაზღვრა განსაკუთრებით რთულია. თუმცა, რომანტიზმი იყო მოძრაობა, რომელმაც მოიცვა ევროპა ათწლეულების მანძილზე, მოიცვა ბევრი სახელოვნებო ფორმა და ეჭვქვეშ დააყენა ტრადიციული სახელოვნებო თეორია. ფრანგულ ესთეტიკის თეორიაზე გერმანული რომანტიზმის გავლენის საკითხს მეტად ართულებს შემდეგი ფაქტი: რეცეფციის განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში რომანტიზმის შერჩევითი და ხშირად არასწორად ინტერპრეტირებული ასპექტები იყო ყველაზე გავლენიანი.

გერმანული რომანტიზმის ქრონოლოგია

გერმანიაში რომანტიზმი განვითარდა 1770-იანი წლების მიმდინარეობიდან – ქარიშხალი და შეტევა *(Sturm und Drang),* განმტკიცდა 1790-იან წლებში და გაგრძელდა 1830-იან წლებში. ქარიშხალი და შეტევა ხაზს უსვამდა ბუნებისა და თავისუფლების მნიშვნელობას, ამ მიმდინარეობის არსი ხშირად მდგომარეობდა ‘გენიოსის’ განდიდებაში, ფიზიკურსა და ემოციურ ტიტანიზმში. მიმდინარეობის მანიფესტს წარმოადგენს რამდენიმე ავტორის მიერ შემდგარი ესეების კრებული სათაურით *გერმანული ხასიათისა და ხელოვნების შესახებ (On German Character and Art)* (1773), რომელიც გამოსცა ჰერდერმა. კრებულში შესულია ესსეები ოსიანის, ფოლკლორის მნიშვნელობისა და ხალხური სიმღერის, შექსპირისა და გოთიკური არქიტექტურის შესახებ. გოეთეს მიერ ქარიშხლისა და შეტევის მიმდინარეობის შეფასება, რომელიც მოცემულია მის ავტობიოგრაფიაში *პოეზია და ჭეშმარიტება (Poetry and Truth),* ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტთაგანია. საფრანგეთში მიმდინარეობა გერმანულ რომანტიზმში ერეოდათ, ფრანგული რომანტიზმის ბევრ ადრეულ ნამუშევარს უფრო მეტი აქვს საერთო ქარიშხალთან და შეტევასთან, ვიდრე *Romantik*-თან. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც

გერმანული რომანტიზმისათვის მოამზადა გზა, ეს იყო კანტის სამი *კრიტიკის* გამოქვეყნება, რომელთაგან უკანასკნელი – *მსჯელობის უნარის კრიტიკა (Critique of Judgement)* – 1790 წელს გამოვიდა. სულ მცირე, ამ ნამუშევართა ინტერპრეტაციებსა და გადამუშავებებს ცენტრალური ადგილი უჭირავს რომანტიკულ ფილოსოფიაში.

თავად გერმანული რომანტიზმი ჩვეულებრივ სამ ეტაპად იყოფა. 'ადრეული რომანტიზმი' გაგრძელდა დაახლოებით 1796 წლიდან 1804-1806 წლებამდე და მისი აქტივობის ცენტრი ძირითადად იენა იყო (ზოგჯერ მოიხსენიება როგორც *Jena(er) Romantik)*. ამ პერიოდის თხზულებანი უპირატესად თეორიულ-ფილოსოფიური იყო და მიუხედავად იმისა, რომ ქარიშხალსა და შეტევას ეფუძნებოდა, განიცადა სახეცვლილება, კერძოდ, უფრო მეტად მიაქცია ყურადღება ანალიტიკურ, კონტემპლაციურ მეთოდს, ვიდრე სპონტანურობასა და ენერგიას. ადრეული რომანტიზმის საფუძველი იყო პანთეისტური თეორიები ადამიანური სულისა და ბუნების ერთიანობაზე, რომლის ბაზაზეც ადრეული რომანტიკოსები ეძიებდნენ სამყაროულ ჰარმონიას. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი თხზულებანია შელინგის *იდეები ბუნების ფილოსოფიისთვის (Ideas for a Philosophy of Nature),* ვაკენროდერისა და ტიკის *ხელოვნებისმოყვარული ბერის აღსარებანი (Confessions of an Art-Loving Friar)* (1796, დათარიღებული 1797 წლად) და იენის ჯგუფის ჟურნალი *ათენეუმი (Athenaeum)* დაარსდა 1798 წელს ფრიდრიხ და ავგუსტ ვილჰელმ შლეგელების მიერ, რათა წინ წამოეწიათ ახალი იდეები ხელოვნებასა და ესთეტიკაზე. ამასთანავე, 1798 წელს გამოქვეყნდა ნოვალისის ფილოსოფიური და პოეტური აფორიზმების კრებული სათაურით – *ყვავილთა მტვერი (Pollen).* 1801 წელს ავგუსტ შლეგელმა წამოიწყო თავისი *ლექციები დრამატული ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ (Lectures on Dramatic Art and Literature)* და 1800 წელს, ბეთჰოვენმა დაწერა პირველი დიდი 'სუბიექტური' მუსიკალური ნაწარმოები – საფორტეპიანო კონცერტი დო მინორში.

მეორე ეტაპი, ესაა შუა ან მაღალი რომანტიზმი (ზოგჯერ მოიხსენიება როგორც *Heidelberger Romantik),* მოიცავს 1804-1806 წლებიდან 1815 (ვენის კონგრესის წელი) ან 1816 წლამდე პერიოდს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის თეორიები ადრეული ეტაპის არტისტულ პრაქტიკაში განვითარდა. ამ პერიოდს მიეკუთვნება ჰოფმანის (რომლებიც უაღრესად გავლენიანი უნდა ყოფილიყო საფრანგეთში), კლაისტისა და შამისოს თხზულებანი. ფრიდრიხის *ბერი ზღვასთან (The Monk by the Sea)* გამოიფინა ბერლინის აკადემიის 1810 წლის გამოფენაზე. 1809 წელს ნაზარეველებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი წმინდა ლუკას გილდია, დატოვეს ვენა და გაემგზავრნენ რომში, სადაც ხელმძღვანელობდნენ იმ პრინციპებით, რომლებიც გადმოიცა ვაკენროდერისა და ტიკის ნაშრომში. ამასთანავე, ამ პერიოდს ეკუთვნის შუბერტის ადრეული სიმღერები *(Lieder).*

მესამე ეტაპი, ესაა 'გვიანი რომანტიზმი', მოიცავს 1815-1816 წლებიდან 1830 -იან წლებამდე და შემდგომ პერიოდს. გერმანული რომანტიზმის ამ პერიოდს შესაძლოა ნაკლებად ჰქონდა პირდაპირი გავლენა საფრანგეთში. თეორიული აქტივობა შემცირდა და უმეტესად უფრო კონსერვატიული სახე მიიღო. მიუხედავად ამისა, გერმანიაში გარკვეული იმპულსი მაინც შენარჩუნდა, განსაკუთრებით ჰაინესა და აიჰენდორფის თხზულებებში, ვებერისა და შუმანის მუსიკალურ კომპოზიციებში.

პრინციპები

შესაძლოა რომანტიზმის გაგება ისტორიულად მარტივი იყოს, განმანათლებლობის მიერ მეცნიერულ ძიებაზე და რაციონალიზმზე ხაზგასმისა და კლასიციზმის ფორმალურ ძალდატანებებთან კონტრასტირების ფონზე (თუმცა, კლასიციზმის დამოკიდებულება რომანტიზმისადმი გერმანიაში საკმაოდ განსხვავდება იმისგან, რაც საფრანგეთში იყო). რომანტიზმი

გონების საწინააღმდეგოდ უპირატესობას ანიჭებდა სუბიექტურობასა და ინტროსპექციას. კანტი, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედება განმანათლებლობის აზროვნების ნაყოფია, მასტიმულირებელი აღმოჩნდა რომანტიკული ეპოქის მოძღვრებისათვის. თავის *წმინდა გონების კრიტიკაში (Critique of Pure Reason)* (1781), იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანური ცოდნისა და რაციონალურობის შესაძლებლობები შეზღუდულია და რომ სამყაროს საიდუმლოებით მოცული წყარო მდებარეობს ცოდნის მიღმა – 'საგანი თავისთავად'. ამის ცოდნა შეუძლებელია, მაგრამ იგი შესაძლებელია გამოკრთეს შემოქმედებითი პერცეფციის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ კანტი დაჟინებით ამტკიცებდა (განსაკუთრებით თავის გვიანდელ ნამუშევრებში) ობიექტური რეალობის არსებობას, მისი არგუმენტი სუბიექტურობის მასტიმულირებლად ჩაითვალა. რომანტიკოსთა დამოკიდებულება კანტისადმი კომპლექსურია, როგორც მათი ურთიერთმიმართება შელინგთან; მაგრამ რომანტიკოსებმა ამ მოაზროვნეებისაგან, მემკვიდრეობით მიიღეს შეხედულება იმის შესახებ, რომ კაცობრიობის შინაგანი სამყარო ფლობს სამყაროს საიდუმლოებების გასაღებს. 'ჩვენს სულზე გადის იდუმალი გზა' [The Mysterious way leads inwards], წერდა ნოვალისი, 'მარადისობა თავისი სამყაროებით ჩვენშია და არსად სხვაგან, არც წარსულში და არც მომავალში' [within ourselves or nowhere lies eternity with its worlds, the past and the future] (1965-77, 2, გვ. 232) ამ იდეასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული გრძნობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება. მაგალითად, ფერმწერი კასპარ დავიდ ფრიდრიჰი წერდა, რომ 'ხელოვანის კანონი საკუთარი გრძნობაა' [The artist's feeling is his law] (ფრიდრიხი, 1988, გვ. 49)

რომანტიკოსთა შორის არსებობდა საყოველთაოდ გავრცელებული, მეტაფიზიკური წადილი ჩაწვდომოდნენ ეგზისტენციის იდუმალ მშვენიერებებს, რომელიც უგულებელყოფდა რაციონალურ ახსნა-განმარტებას, და მათთან კომუნიკაცია მყარდებოდა ხელოვნების მეშვეობით. ამან გამოიწვია გარკვეული სახის 'იდეალისაკენ' სწრაფვა, რაც რომანტიკული პერიოდის უმეტეს არტისტულ ქმნილებას ახასიათებდა. 'ძველთა პოეზია წარმოადგენდა ფლობას' [The poetry of the ancients was that of possessing], წერდა ავგუსტ ვილჰელმ შლეგელი; 'ჩვენსას კი, სწრაფვა' [ours is that of longing][1] (1966-7, 1, 25 გვ.) ეს 'სწრაფვა' ნოვალისის მიერ გამოხატული იყო 'ლურჯი ყვავილის' მეშვეობით, რომელსაც შეეძლო მიეღო წმინდად მეტაფიზიკური სწრაფვის ფორმა აბსტრაქტული და მიუწვდომელი იდეალისაკენ, ან იდეალური სიყვარულის ძიება, ან არტისტის ძალისხმევა, რათა შექმნას იდეალური ხელოვნების ნაწარმოები.

ამასთანავე, რომანტიკოსთა შორის არსებობდა ფართოდ გავრცელებული მისწრაფება უსასრულობისადმი. ხელოვანის ურთიერთობა გარე [ობიექტურად არსებულ – გ.ჭ.] სამყაროსთან ტრანსფორმირდა ამ მეტაფიზიკური ძიებით: დასაბამი დაუდო განახლებულ ინტერესს ბუნებაში და კაცობრიობის ადგილს მასში. უახლესი წარსულის გააზრებამ ბუნება და სამყარო მეცნიერულ (გამო)კვლევას კონტროლის საშუალებად დაუქვემდებარა. გერმანიაში პეიზაჟური ფერწერის უმეტესობას ახასიათებდა წესრიგი და სისტემატიზაცია. ამის საწინააღმდეგოდ, რომანტიკოსები ბუნებასთან დამოკიდებულებაში უფრო მეტად კონტემპლაციურნი და პასიურები იყვნენ, რადგან მათ სამყაროს სულთან ურთიერთობის იმედი ჰქონდათ. ნოვალისის სიტყვებით: 'ინდივიდის სულმა უნდა მიაღწიოს ჰარმონიას სამყაროს სულთან' [The soul of the individual should achieve harmony with the soul of the world] (ნოვალისი, 2000, გვ. 913) ამ შეხედულებების დანახვა ყველაზე ნათლად კასპარ დავიდ ფრიდრიჰის ნამუშევრებშია შესაძლებელი, სადაც ბუნება წარმოდგენილია როგორც ძლევამოსილი, ადამიანთაგან მოუთვინიერებელი ფენომენი, წარმოდგენილია როგორც განფენილობა. ადამიანი – სადაც ის საერთოდ ჩნდება

[1] die Poesie der Alten war die des Besitzes, die unsrige ist die der Sehnsucht. (მთარგმ. შენიშვნა.)

– გამოსახულია როგორც საგნების სქემაში საკუთარი ადგილის მჭვრეტელი, როგორც მცირე ზომის, ხშირად ეული, ფიგურები ჩვეულებრივ წარმოდგენილია უკნიდან, რომლებიც შეცქერიან გამოსახულ ლანდშაფტს ან ზღვის პეიზაჟს. მათი ანონიმურობა მიანიშნებს გამოცდილების უნივერსალურობას და იწვევს იდენტიფიკაციას.

რომანტიკოსებისათვის, ხელოვანი – იქნება ეს მხატვარი, პოეტი, მოქანდაკე თუ მუსიკოსი – პრივილეგირებული იყო მგრძნობელობით და იმის უნარით, რომ გამოეხატა ეს გამოცდილება სიმბოლური თვალსაზრისით. ავგუსტ ვილჰელმ შლეგელის თანახმად, 'პოეზიის თხზვა სხვა არაფერია, თუ არა სიმბოლიზირების მარადიული პროცესი' [Writing poetry is nothing but an eternal process of symbolising] (1963, გვ. 81) რწმენა სამყაროს ჰარმონიულობის შესახებ, განაპირობებდა შეხედულებას, რომლის თანახმადაც ხელოვნებაში არსებულ ჰარმონიას წარმოადგენდა თავად მისი [ჰარმონიის – გ.ჭ.] გამოხატვა. ეს იდეა თანდათანობით ვითარდებოდა იმ თვალსაზრისით, რომ „წმინდა" ხელოვნების ნაწარმოებს უნდა გაეერთიანებინა ყველა სახელოვნებო ფორმა: ის ერთდროულად მიემართებოდა ყველა შეგრძნებაზე და იწვევდა პერცეფციის გაძლიერებულ ფორმას, რომელშიაც ადამიანის სულს ურთიერთობა ექნებოდა სამყაროს სულთან. მაგალითად, რუნგე და ტიკი თანამშრომლობდნენ, რომ შეექმნათ აბსტრაქტულ პიქტორიალური მუსიკალური პოემა გუნდთან ერთად, გაერთიანებული ყველა სამი ძირითადი სახელოვნებო ფორმით და შერწყმული შესაფერის არქიტექტურულ გარემოსთან (თუმცა, პროექტს არასდროს მიუღია დასრულებული სახე). ე.თ.ა. ჰოფმანის შემოქმედებაში, რომელიც პროფესიონალი დირიჟორი, კომპოზიტორი და დახელოვნებული მხატვარი იყო, წინა პლანზეა წამოწეული მჭიდრო ურთიერთობა სხვადასხვა სახელოვნებო ფორმას შორის. რომანტიკული აზროვნების ეს ასპექტი მჟღავნდება *Lied*-ისა და სიმფონიური პოემის განვითარებაში და მოგვიანებით პოულობს გამოხატულებას ვაგნერის *Gesamtkunstwerk*-ის (ტოტალური ხელოვნების ნაწარმოები) ცნებასა და ბოდლერის *კორესპონდენციების* თეორიაში.

ხელოვანის შემოქმედებითი გამოცდილება აღწერილია ვაკენროდერისა და ტიკის ესსეების კრებულში *ხელოვნებისმოყვარული ბერის აღსარებანი* (1991). აქ შემოტანილია 'ხელოვნების ღვთისმოსაობის' ცნება, რომელშიც ხელოვნება და არტისტი კვაზირელიგიურ სტატუს იძენს. ე.თ.ა. ჰოფმანისთვის, ასეთი ხელოვანის რეაქცია იყო ცხოვრებისადმი იდეალური; მაგრამ, ამასთანავე, ხელოვანის უკიდურესი მგრძნობელობა გაიაზრებოდა ამბივალენტურად: ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები ასახავს ისეთი ხელოვანის განდეგილ ცხოვრებას, რომელსაც მატერიალური სამყაროს მოთხოვნებთან შესატყვისობა არ ძალუძს, იგი ვერგაგებულია ე.წ. ბურჟუაზიული საზოგადოებით მიერ[2]. გარდა ამისა, გარშემო არსებულ სამყაროსთან მისი შეუთავსებლობა, რაც ხშირად ერწყმოდა საკუთარი 'იდეალის' მიღწევის შეუძლებლობას, მძიმე მელანქოლიის წინაპირობა შეიძლება გამხდარიყო. რომანტიკულ ესთეტიკაში ეს თემა ხშირად მეორდებოდა. (თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ადრეულ ფრანგ რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი 'mal du siècle'[3] უფრო მეტად მონათესავეა ქარიშხლისა და შეტევის 'Weltschmerz'-თან[4], ვიდრე საკუთრივ გერმანულ

[2] ნათანიელ ჰოთორთან ხელოვნება და წარმოსახვა გვევლინება როგორც მეცნიერებისა და გონების საპირისპირო რამ. ეს ორი [ხელოვნება და წარმოსახვა] გვევლინება როგორც ჭეშმარიტი რეალობის გაგების (ცოდნის) მეთოდი და ამდენად, ამას მოჰყვებოდა რომანტიკოსი ხელოვანის იზოლირება ყოველდღიური ბურჟუაზიული საზოგადოების პრაქტიკული სამყაროდან. ამდენად, ხელოვანის განდგომა ყოველდღიური ბურჟუაზიული სამყაროდან არის მთავარი თემატური კომპლექსი რომანტიკულსა და პოსტ-რომანტიკულ ლიტერატურაში, ისეთ მწერლებთან, როგორებიცაა ე.თ.ა. ჰოფმანი და თომას მანი. ასევე, მაგალითად პერსი ბიში შელის *Alastor, or The Spirit of Solitude* („ალასტორი, ანუ მარტოობის სული") გვიამბობს პოეტის განმარტოებულ ცხოვრებაზე და სიკვდილზე. (მთარგმ. შენიშვნა.)

[3] mal du siècle – შეგვიძლია ვთარგმნოთ როგორც *საუკუნის ტკივილი* ან *საუკუნის სნეულება*. მაგალითისთვის იხ. ფრანსუა რენე შატობრიანის *René*. (მთარგმ. შენიშვნა.)

[4] Weltschmerz – შეგვიძლია ვთარგმნოთ როგორც *უნივერსალური მწუხარება*, *მსოფლიო ვარამი*, *დაქანცულობა*. ტერმინი შექმნილია გერმანელი მწერლის იოჰან პაულ ფრიდრიხ რიხტერის მიერ. მაგალითისთვის იხ. გოეთეს *ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი*. (მთარგმ. შენიშვნა)

რომანტიზმთან). ამასთანავე, არტისტის მიერ უსასრულობის ძიებას, შესაძლოა გამოეწვია ფანტასტიკურისა და ზებუნებრივის, ცნობიერების სხვადასხვა დონეების, სიზმარსა და რეალობას შორის განსხვავების (გამო)კვლევა, თავისი უკიდურესი მანიფესტაციებით ამას შეეძლო გამოეწვია სიგიჟესა და ფსიქიკურ წონასწორობას შორის არსებული საზღვრის ეჭვქვეშ დაყენება.

ლიტერატურის ისტორიულ კონტექსტში განხილვისას, ავგუსტ შლეგელი საუბრობს იმ 'განსხვავებაზე, რომელიც თვალში საცემია ანტიკურსა ანუ კლასიკურსა და რომანტიკულს შორის' [contrast which is so striking between the ancient or Classical and the Romantic] (1996-7, 1, გვ. 23) ერთი მხრივ, იგი ერთმანეთისგან განასხვავებს ფრანგულ კლასიციზმს მისი მკაცრი წესებითა და ხელის შემშლელი შეზღუდულობით, მეორე მხრივ, შუა საუკუნეების რომანებისა და ბალადების სპონტანურობას[5] (1966-7, 2, გვ. 40) ამგვარი სახის განსხვავება იყო წინაპირობა იმისა, რომ მომხდარიყო კონსტრუირება ახალი ნაციონალური 'მითოლოგიისა', რომლისთვისაც მწერლებს შეეძლოთ მიემართათ ინსპირაციისათვის. რომანტიკოსთა შორის ფოლკ სიმღერებისადმი, ბალადებისადმი, ფოლკლორისადმი და ზღაპრებისადმი მოზღვავებული ინტერესი არსებობდა. ამასთანავე, ამ ძიებამ როგორც საფრანგეთში ისე გერმანიაში გამოიწვია ინტერესი შუასაუკუნეობრივი და ბიბლიური ნიმუშების მიმართ.

იმ დროს, როდესაც კლასიციზმმა მიუსადაგა წესები შინაარსსა (subject matter) და ფორმას, რომანტიკოსები აცხადებნენ თავიანთი გრძნობების გამოხატვის თავისუფლებას, იქნებოდა ეს მათ მიერ არჩეული შინაარსითა (subject matter) თუ ფორმით. საფრანგეთში, ადრეული რომანტიკოსები უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ ფორმისა და შინაარსის (subject matter) შესაძლებლობებს, ვიდრე გერმანული რომანტიზმის ფილოსოფიურ საფუძვლებს; ეს საფრანგეთში ბოდლერამდე მთლიანად არ იყო გამოკვლეული (იხ. ქვემოთ.)

რეცეფცია საფრანგეთში

საფრანგეთში რომანტიზმი სრულად მხოლოდ 1820 -იან წლებში გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მისი გარკვეული საგულისხმო მახასიათებლების წარმოშობის დანახვა, სახელდობრ მგრძნობელობის საკითხისა, ისეთ მწერლებთან როგორიცაა რუსო[6], ბევრმა ფაქტორმა შეუშალა ხელი მის განვითარებას. უპირველესად, ლიტერატურული ისტებლიშმენტი ჩაებღაუჭა ფრანგული კლასიციზმის პრინციპებს, რომელიც დიდი ხანია ბატონობდა. ამასთანავე, მეცხრამეტე საუკუნემდე, ფრანგულ კულტურას იმ მოვლენებისადმი, რაც გერმანიაში ხდებოდა, ახასიათებდა გულგრილად ყოფნის ტენდენცია და საკმაოდ ნაკლებ ინტერეს იჩენდა მის მიმართ, მით უფრო, რომ გერმანია არ მიიჩნეოდა ყურადღების ღირსად, როგორც 'ნამდვილი' სრულფასოვანი ქვეყანა. ერთადერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი ამ საყოველთაო ფრანგული უგულებელყოფიდან გოეთეს *ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი* (1774) იყო, რომელიც სწრაფად ითარგმნა და თითქმის არნახული წარმატება ხვდა საფრანგეთში.

შემდეგი მთავარი ფაქტორი, რამაც გერმანული აზროვნების რეცეფციაზე გავლენა მოახდინა

[5] იგივე აზრია ფრიდრიხ შლეგელთანაც, რომელიც თანამედროვე პერიოდს განსაზღვრავდა როგორც რაინდობის ეპოქის სპონტანური მხატვრული ლიტერატურის მემკვიდრედ, ფრიდრიხ შლეგელის თანახმად, თანამედროვე ლიტერატურა უნივერსალური და თავისუფალია, იგი წარმოდგება შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით რაინდობის ეპოქაში. შუა საუკუნეების რომანიდან (romance) განვითარდა თანამედროვე რომანი (roman). თავად ავგუსტ შლეგელისთვის შუა საუკუნეების რომანი წარმოადგენდა თანამედროვე რომანტიზმის გენეზისს. შლეგელისთვის რომანტიზმი წარმოადგენდა უნივერსალური ისტორიის პროცესის ახალ მანიფესტაციასა და ერთგვარ გაგრძელებას რაინდობის ეპოქის სპონტანური მხატვრული ლიტერატურისა. ქარიშხლისა და შეტევის (Sturm und Drang) მთავარი ფიგურა ჰერდერი ნაშრომში Über Ossian und die Lieder alter Völker („ოსიანისა და ძველი ხალხების სიმღერების შესახებ") ხოტბას ასხამდა პრიმიტიული ხალხური სიმღერის სპონტანურობასა და სისადავეს. (მთარგმ. შენიშვნა.)

[6] ბერტრანტ რასელის თანახმად, მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის კულტურული ადამიანები დიდად იყვნენ აღტაცებულნი იმით, რასაც ისინი უწოდებდნენ la sensibilité, რომელიც გულისხმობდა გრძნობისადმი მიდრეკილებას, იმისათვის რომ გრძნობა იყოს სრულიად დაკმაყოფილებული, იგი უნდა განიწმინდოს აზრისგან. იხ. ბ. რასელის დასავლური ფილოსოფიის ისტორიის მე-18 თავის (The Romantic Movement, 701 გვ.) შესავალი, უფრო დაწვრილებით კი, მე-19 თავი (Rousseau, გვ. 711) (მთარგმ. შენიშვნა.)

საფრანგეთში, მადამ დე სტალის თხზულება იყო. მისმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა და კოსმოპოლიტურმა დამოკიდებულებამ გამოიწვია კონფლიქტი ნაპოლეონთან და იგი ამის გამო, განსაკუთრებით როცა გამოქვეყნდა მისი *ლიტერატურის შესახებ (On Literature)* 1800 წელს, გადაასახლეს. გადასახლებაში ყოფნის გარკვეული პერიოდი მან გერმანიაში გაატარა, სადაც სწავლობდა იქაურ ენას და გაეცნო იქაურ კულტურულ ინსტიტუციებს. 1810 წელს, საფრანგეთში გამოქვეყნდა მისი ყველაზე გავლენიანი ნაშრომი გერმანიის შესახებ; მაგრამ წიგნი აიკრძალა, ეგზემპლარები მიიტაცეს, და მადამ დე სტალი კი, კვლავ გადაასახლეს. (რეაქციის სიძლიერე მეტყველებს ნებისმიერი სახის გამოწვევის წინაშე ფრანგული კულტურის ბატონობის შიშზე). *De l'Allemagne (გერმანიის შესახებ)* შემდგომ ხელახლა გამოიცა ლონდონსა და საფრანგეთში და ხელმისაწვდომი გახდა 1814 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ მან რამდენიმე თავი მიუძღვნა გერმანულ ფილოსოფიასა და კრიტიციზმს, მადამ დე სტალის წიგნის ყველაზე გავლენიან ასპექტს ლიტერატურაში რომანტიკულისა და კლასიკურის დაპირისპირებულობაზე ფოკუსირება წარმოადგენდა. თუმცა, მადამ დე სტალის თხზულებაში არის გერმანული რომანტიკული კრიტიციზმის ელემენტები, რომლებიც ჩვენს დროში ზოგჯერ მივიწყებულია, მაგრამ მათ უნდა მოეხდინა – პირდაპირ ან არაპირდაპირ – გვიანი 'რომანტიკული' ფრანგული ესთეტიკის თეორიის განვითარებაზე გავლენა. იმ იდეებზე დაფუძნებით, რომლებიც გადმოცემულია ნაშრომში *ლიტერატურის შესახებ*, მადამ დე სტალი ამტკიცებს, რომ ევროპული ლიტერატურა მომდინარეობს ორი მთავარი წყაროდან: პაგანიზმი, რომელმაც გავლენა იქონია სამხრეთის კლასიკურ ტრადიციებზე, ლათინურ რასებზე და ქრისტიანობის ფესვები, რომელმაც გავლენა იქონია ჩრდილოეთის ცივ მხარეთა ლიტერატურაზე. 'კლასიკური და რომანტიკული პოეზიის შესახებ' (სტალი, 1958, 2, გვ. xi), ამ თავში იგი ეწინააღმდეგება სიტყვა 'კლასიციზმის' გავრცელებულ გამოყენებას, როგორც 'სრულყოფის' სინონიმს. მადამ დე სტალისთვის, 'კლასიკური' ასოცირებულია 'იმიტაციასთან', მაშინ, როდესაც 'თანამედროვე' ასოცირებულია 'ინსპირაციასთან' (2, გვ. 133-134) ის რაც განასხვავებს ხელოვნების ნაწარმოებს იმიტაციისაგან, ესაა წარმოსახვის შე(მო)ტანა, უნარი, რომელსაც შლაიერმახერმა უწოდა 'კაცობრიობის უმაღლესი და ყველაზე ფუნდამენტური თვისება' [the highest and most fundamental quality of mankind]. მისი ფუნქცია ხელოვნების ნაწარმოების შექმნაში, მადამ დე სტალის მიერ განსაზღვრულია შემდეგნაირად:

> სახვითი ხელოვნების მეშვეობით მიღებულ შთაბეჭდილებას არაფერი აქვს საერთო კმაყოფილებასთან, რომელსაც ვიღებთ ნებისმიერი სახის იმიტაციისაგან. ადამიანს, საკუთარ სულში აქვს თანდაყოლილი გრძნობანი, რომლებსაც რეალური ობიექტები ვერასდროს დააკმაყოფილებს, ეს ის გრძნობანია, რომლებისთვის(აც) მხატვრებისა და პოეტების წარმოსახვას შეუძლია ფორმისა და სიცოცხლის მიცემა. [The impression received through the Fine Arts has nothing at all in common with the pleasure experienced through an imitation of any sort. Man has in his soul innate feeling which real objects will never satisfy, and it is these feelings to which the imagination of painters and poets can give form and life] (სტალი, 1958, 4, გვ. 226)

ეს ციტატა მნიშვნელოვანი იყო დელაკრუასთვის და მთლიანადაა გადმოცემული მისი ლიტერატურული თხზულებების (იხ. მრასი, 1966, გვ. 50) ტომის შესავალ ნაწილში – 'ესთეტიკური სწავლებანი [(გამო)კვლევები – გ.ჭ.]' 1857 წელს დელაკრუამ წარმოსახვა აღწერა როგორც 'ხელოვანის უპირველესი თვისება' [the first quality of the artist] (1950, 3, გვ. 44), და ბოდლერის (რომელიც აღტაცებული იყო დელაკრუათი და დიდი გავლენა იქონია მასზე მისმა შემოქმედებამ) *1859 წლის სალონის (Salon de 1859)* ცენტრალურ ღერძს წარმოადგენდა არტისტულ შემოქმედებაში წარმოსახვის ფუნქცია, რასაც [წარმოსახვას – გ.ჭ.] მან 'უნართა დედოფალი' [queen of the faculties] უწოდა.

ზოგადად, მადამ დე სტალისთვის ხელოვანის მიზანია 'სულის სიღრმეებში დამწყვდეული გრძნობის განთავისუფლება' [liberate the sentiment imprisoned in the depths of the soul] (1958, 2, გვ. 114) თავში 'სახვითი ხელოვნება გერმანიაში', ის ამტკიცებს რომ, 'ხელოვნება (arts) აზრსზემოა; მისი ენა არის ფერები, ფორმები, ხმები [ბგერები]. შესაძლებელი რომ ყოფილიყო შთაბეჭდილებების წარმოსახვა [წარმოდგენა – გ.ჭ], რომელსაც ჩვენი სული გამოხატავდა მეტყველების [სიტყვების – გ.ჭ.] ცოდნის გარეშე, ჩვენ გაცილებით უკეთ შევძლებდით გაგვეგო ფერწერისა და მუსიკის ეფექტი[7]' [the arts are above thought; their language is one of colours, forms or sounds. If it were possible to imagine the impressions which our soul would register before knowing speech, we would better be able to understand the effect of painting and music] (1958, 3, გვ. 377) დელაკრუა აცნობიერებს ამ გამონათქვამის მნიშვნელობას საკუთარი თეორიისთვის ფერწერის შესახებ. თავის *ჟურნალში* იგი აღნიშნავს: 'მადამ დე სტალთან ვიპოვე ჩემი იდეის ზუსტი ფორმულირება მხატვრობის შესახებ. ეს ხელოვნება [ფერწერა – გ.ჭ.] და ამგვარადვე მუსიკა(ც) აზრსზემოა; მაშასადამე, ისინი უპირატესნი არიან ლიტერატურაზე თავიანთი განუსაზღვრელობის მეშვეობით' [I find in Mme de Staël exactly the formulation of my idea about painting. This art, and likewise music, are above thought; hence their advantage over literature, through their vagueness] (1950, 1, გვ. 50) აქედან გამომდინარე, დელაკრუასთვის მადამ დე სტალის კვალდაკვალ, ხელოვნება წარმოადგენდა ყველაზე ეფექტურ საშუალებას ერთი 'სულისთვის' მეორესთან დასაკავშირებლად.

ამასობაში, გერმანული აზროვნების სხვა ასპექტებმა დაიწყო საფრანგეთში შეღწევა, განსაკუთრებით ახლად დაარსებული გაზეთებითა და რეცენზიებით. ავგუსტ ვილჰელმ შლეგელის *ლექციები დრამატულ ხელოვნებასა და ლიტერატურაზე (Lectures on Dramatic Art and Literature)* ფრანგულად თარგმნა მადამ დე სტალმა, რომელიც 1814 წელს გამოქვეყნდა (თუმცა, ფართოდ გავრცელება ვერ ჰპოვა და აღარ გამოუციათ 1865 წლამდე). განსაკუთრებით ჟერარ დე ნერვალის 1828 წელს გოეთეს *ფაუსტის პირველი ნაწილის* ფრანგულმა თარგმანმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ლიტერატურის განვითარებაზე, ამასთანავე, განაპირობა ხელოვანებისთვის და მუსიკოსებისთვის შინაარსის (subject matter) საკითხი. საფრანგეთში კანტის ნაშრომების თარგმანები ხელმისაწვდომი 1835 წლიდან გახდა (*მსჯელობის უნარის კრიტიკა (Critique of Judgement)* გადაითარგმნა 1846 წელს) და ვიქტორ კუზენის *წმინდა გონების კრიტიკის (Critique of Pure Reason)* შეფასება გამოვიდა 1842 წელს. მიუხედავად ამისა, ნამუშევრები არ იკითხებოდა ფართოდ და ალბათ სამართლიანია იმის თქმა, რომ უფრო მეტი ცოდნა გერმანული რომანტიკული თეორიის შესახებ ლიტერატურის თარგმანებმა განაპირობეს.

ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ავტორი, რომლის თხზულებებიც ფრანგულად გადაითარგმნა ე.თ.ა. ჰოფმანი იყო და მისი ნაწარმოებები თეორიების გარკვეულ რაოდენობას შეიცავდა. ლ(ო)ევე-ვეიმარმა მისი ზღაპრების თარგმანზე მუშაობა დაიწყო 1829 წელს. პირველ ტომებს დიდი წარმატება ხვდა წილად და კონკურენციის გამწევი თარგმანებიც ჩქარი ტემპით გამოდიოდა: მალე ქვეყანა მოიცვა 'ჰოფმან(ურმა)ის მოდამ'. მიუხედავად იმისა, რომ თემისა (theme) და ფორმის თვალსაზრისით საფრანგეთში სხვადასხვა დროს ჰოფმანის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტებმა გამოიწვია ინტერესი (მაგ., ისეთ გავლენიან მწერლებში როგორებიც იყვნენ ნოდიე, მიუსე, ნერვალი, გოტიე და ბალზაკი) ასევე განაპირობა შინაარსის (subject matter) საკითხი ხელოვანებსა და მუსიკოსებში, ფრანგული ესთეტიკის თეორია ყველაზე მჭიდროდ გერმანულ რომანტიზმსა და განსაკუთრებით ჰოფმანს 1840-იან წლებში და შემდგომ დაუკავშირდა. ამ პერიოდის განმავლობაში ბოდლერმა შექმნა რამდენიმე ყველაზე გავლენიანი ნამუშევარი, მიუხედავად უაღრესად ორიგინალურობისა, იგი ვალშია გერმანულ რომანტიკულ თეორიასთან (ამასთანავე,

[7] Effect – (ზე)მოქმედება, შედეგი, ეფექტი, შთაბეჭდილება.

დელაკრუასთან, პოსთან, ვაგნერთან და სტენდალთან *inter alia*) და მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ბოდლერი კარგად იცნობდა სხვა გერმანელი თეორეტიკოსების შემოქმედებას, ჰოფმანი ის წყაროა, რომელსაც იგი გამოყოფს ხშირი დამოწმებების და უშუალო ციტირებების სახით.

1846 წლის სალონის (Salon de 1846) მეორე თავში, ბოდლერი შემდეგნაირად განსაზღვრავს რომანტიზმს: 'რომანტიზმი თანამედროვე ხელოვნების სინონიმია: ესაა ინტიმურობა, სპირიტუალობა, ფერი, სწრაფვა უსასრულობისადმი, გამოხატული ნებისმიერი საშუალებით, რაც ხელთარსებულია ხელოვნებისათვის (arts)' [Romanticism is synonymous with modern art: that is to say, intimacy, spirituality, colour, the aspiration to the infinite, expressed by all the means available to the arts] (1976, 2, გვ. 421) რომანტიზმი მდგომარეობს არა იმდენად შინაარსში (subject matter), არამედ 'შეგრძნების მეთოდში' [the manner of feeling][8] (1976, 2, გვ. 420) მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ წინამორბედების მიერ არასწორად გააზრებულ რომანტიზმს ბოდლერი განსაკუთრებით გამოყოფს: 'ისინი ეძებდნენ მას სამყაროს გარეთ, მაგრამ იგი შესაძლოა აღმოჩენილი იყოს მხოლოდ მათში' [They sought it in the outside world, but it could only be found within themselves] (1976, 2, 420 გვ.) ბოდლერისთვის დელაკრუა რომანტიკოსი ფერმწერია *par excellence*. ის არის ხელოვანი, რომელიც იყენებს ბუნებას როგორც 'ლექსიკონს', რათა გააზიაროს 'შინაგანი აზრი' [intimate though][9] (1976, 2, 433 გვ.) ამდენად, თვითონ ნიმუში არასრულყოფილია (incomplete), იგი ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ ხელოვანის 'ტემპერამენტის' (tempérament) მეშვეობით ხდება. ამასთანავე, ხელოვნებაში და განსაკუთრებით რომანტიკულ ხელოვნებაში, წინა პლანზეა წამოწეული ფერის მნიშვნელობა. მუსიკალური ტერმინოლოგიის გამოყენებით, ბოდლერი ამუშავებს ფერის თეორიას, რომლის თანახმადაც არსებობს 'მხიარული და ხალისიანი ბგერები, ხალისიანი და სევდიანი, მრავალფეროვანი და ნაღვლიანი, ბანალური და ორიგინალური' [tones which are gay and playful, playful and sad, rich and gay, rich and sad, commonplace and original] (1976, 2, გვ. 425) და ამასთან დაკავშირებით იგი ციტირებს ლ(ო)ევე-ვეიმარის მიერ თარგმნილი ჰოფმანის *Kreisleriana*-დან პასაჟს:

> არ ვიცი, შეადგინა თუ არა რომელიმე ანალოგისტმა ფერთა სრული ნუსხა და მათი შესატყვისი გრძნობები, მაგრამ მსურს მოვუხმო პასაჟს ჰოფმანიდან, რომელიც ჩემს იდეას სრულყოფილად გამოხატავს.... 'არა მხოლოდ სიზმრებსა და თითქმის მბოდავ მდგომარეობაში, რაც ძილის წინა მდგომარეობაა, არამედ, მაშინაც როდესაც სრულიად ფხიზელი ვარ, როდესაც მესმის მუსიკა – ვპოულობ ანალოგიას და მჭიდრო კავშირს ფერებს, ხმებსა და სურნელ(ებ)ს შორის. როგორც ჩანს, ყველაფერი ეს წარმოიქმნა სინათლის მარტო ერთი სხივისგან, და რომ ისინი განკუთვნილნი არიან ერთად შეიყარონ საუცხოო კონცერტში. განსაკუთრებით ყავისფერი და წითელი გულყვითელას სურნელება ახდენს ჩემზე ჯადოსნურ ზემოქმედებას. ეს მაიძულებს წავიდე ღრმა ოცნებებში [ფიქრებში – გ.ჭ.] და შემდეგ, თითქოსდა შორიდან, მესმის ჰობოის ღრმა და საზეიმო ხმები. [I do not know if any analogist has drawn up a complete table of colours and their corresponding sentiments, but I recall a passage in Hoffmann that expresses my idea perfectly.... 'It is not only in dreams and in the slightly delirious state that comes before sleep, but also when I am fully awake, when I hear music, that I find an analogy and a close connection between colours, sounds and smells. It seems to me that all these things have sprung from one single ray of light, and that they are destined to come together in a wonderful concert. The scent of brown and red marigolds in particular produces a magical effect on me. It makes me fall into a profound reverie and then, as if from afar, I hear the deep and solemn sounds of the oboe.] (ბოდლერი, 1976, 2, გვ. 425-426)

---

[8] ფრანგულად ეს ადგილი შემდეგნაირადაა: la manière de sentir; შემდეგ ბოდლერი ამბობს: Pour moi, le romantisme est l'expression la plus récente, la plus actuelle du beau – ჩემთვის რომანტიზმი, ყველაზე ბოლო და თანამედროვე [უახლესი] გამოხატულებაა მშვენიერისა. ამდენად, ინგლისური სიტყვა Feeling – ნიშნავს როგორც გრძნობას/შეგრძნებას, ისე აღქმასაც, იგივეა sentir-იც; შესაბამისად, შეგრძნების მეთოდს [საშუალებას, მანერას, სტილს] დავწერთ თუ აღქმის მეთოდს, ამ შემთხვევაში ისინი ერთმანეთის სინონიმურია. (მთარგმ. შენიშვნა.)

[9] la pensée intime – შინაგანი [ინტიმური] აზრი. (მთარგმ. შენიშვნა.)

აქ გაჟღერებული იდეა მდგომარეობს შეგრძნებების დამოუკიდებლობაში, რაც გულისხმობს გამოხატვის გადაადგილების შესაძლებლობას ერთი სამფლობელოდან მეორეში. ეს იდეა მდებარეობს ბოდლერის ცნობილი სონეტის – 'კორესპონდენციების' შუაგულში – *ბოროტების ყვავილებიდან [The Flowers of Evil]* (1857), რომელსაც ბოდლერი ვაგნერის შესახებ თავის სტატიაში ციტირებს. (გარდა ამისა, სპეციფიკური მითითება 'სიმბოლოებზე' 'კორესპონდენციებში', უბრუნდება შლეგელის(ეულ) განსაზღვრებას.) ხელოვანის საბოლოო მიზანია გაძლიერებული მგრძნობელობის პრივილეგირებულ მომენტებში ანალოგიების აღქმა, რაც შეიცავს ეგზისტენციის საფუძვლად მდებარე ჰარმონიის ჭვრეტას. არტისტული გამოცდილების სუბიექტურობა და ამ გამოცდილების გადაადგილება ერთი სახელოვნებო ფორმიდან მეორეში, ამასთანავე, კრიტიციზმზე(ც) აისახა.

ბოდლერის თანახმად, საუკეთესო კრიტიკა არის ის, რომელიც 'თავშესაქცევი და პოეტურია' [entertaining and poetic] (1976, 2, გვ. 428) იმდენად, რამდენადაც მშვენიერი ფერწერული ტილო 'ხელოვანის მიერ ასახული ბუნებაა' [nature reflected by an artist] (1976, 2, გვ. 418) ანალოგიურად, საუკეთესო კრიტიკა იქნება 'ჭკვიანი და სენსიტიური გონების მიერ ასახული ფერწერული ტილო' [that picture reflected by an intelligent and sensitive mind] (1976, 2, გვ. 418) ამასთანავე, 'კეთილგონიერი და მგზნებარე' [reasonable and passionate] (1976, 2, გვ. 419) კრიტიკოსს უნდა შეეძლოს სათანადო მეთოდით გამოხატოს საკუთარი გამოცდილება ხელოვნების ნაწარმოების შესახებ, ასე რომ, 'ფერწერული ტილოს საუკეთესო შეფასება შესაძლოა იყოს სონეტი ან ელეგია' [the best account of a picture may be a sonnet or an elegy] (1976, 2, გვ. 418) (და ლექსების უმეტესობა *ბოროტების ყვავილებში* ხელოვნების ნაწარმოებების ტრანსპოზიციაა.)

ყოველდღიური რეალობიდან გაქცევა მაღალი პოეტური იდეალის პერცეფციით – ბოდლერის შემოქმედებითი მწერლობის ფუნდამენტურ თემას წარმოადგენს. ეს მიიღწევა და გამოიხატება შეგრძნებების შუამავლობით, რომლებიც წარმოსახვის თანაზიარად ქმედითობენ (*1859 წლის სალონი*). მთლიანი პროცესი დახასიათებულია როგორც 'სიზმარი!' – მაგრამ აქვე ბოდლერი ამატებს: 'ამ სიტყვით ვგულისხმობ არა ღამის ქაოტურ ნაბოდვარს, არამედ ვიზიონს – ინტენსიური მედიტაციით, ან ნაკლებად ფერტილური გონების (brains) შემთხვევაში ხელოვნური სტიმულანტით' [I do not mean by that word the chaotic ramblings of the night, but the vision produced by intense meditation, on in less fertile brains, by an artificial stimulant] (1976, 2, გვ. 636-637) (1851 წლის ესსეში – *ღვინოსა და ჰაშიშზე [On Wine and Hashish]* – ბოდლერი გადმოსცემს ხელოვნური სტიმულანტების პოტენციურ როლს, ის ნაწილი რომელიც ღვინის შესახებაა, ბოდლერი თავის ამოსავალ წერტილად იღებს ჰოფმანის განსაზღვრებას *Kreisleriana*-დან, რაც გულისხმობს ღვინის კონკრეტულ სახეობებს, რომელთა მიზანია მუსიკალური გამოცდილების კონკრეტული სახეობების გაზრდა.

გერმანული რომანტიზმის გავლენა საფრანგეთში ფართოა. იგი მოიცავს 1820-1830-იანი წლების დასაწყისის დისკუსიებს დრამატულ თეორიასა და პოეზიაზე, ასევე, 1840-1850-იან წლებში დელაკრუასა და ბოდლერის მიერ ესთეტიკის თეორიის ფორმულირებებს.

P.S. გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი თსუ-ს გერმანული ფილოლოგიის ასოცირებულ პროფესორს **კონსტანტინე ბრეგაძეს**.

ინგლისურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო

გიორგი ჭანსკიმ

დამოწმებანი

ბოდლერი, შ. (1976) Œuvres complètes, 2 vols, Gallimard

დელაკრუა, ე. (1950) Journal, André Joubin, (ed.), 3 vols, Plon

ფურსტი, ლ. რ. (1977) Counterparts, Methuen

გილმანი, მ. (1943) Baudelaire the Critic, Columbia University Press

ჰინზი, ს. (რედაქტორი) (1968) Caspar David Friedrich in Briefen und Bekenntnissen, Rogner and Bernhard

ჰიუგო, ვ. (1949) Préface de 'Cromwell', Larousse

ჰიუგო, ვ. (1968) Preface, Odes et Ballades, Garnier-Flammarion

მილნერი, მ. (1973) Le Romantisme I, Arthaud

მრასი, ჯ. პ. (1966) Eugène Delacroix's Theory of Art, Princeton University Press

ნოვალისი, ფ. ვონ, ჰარდენბერგის ფსევდონიმი (1965-1977), Novalis Schriften, 4 vols, Stuttgart, W. Kohlhammer

ფრავერი, ს. (რედაქტორი) (1970) The Romantic Period in Germany, Weidenfeld and Nicolson

რაში, ვ. (რედაქტორი) (1970) Bildende Kunst und Literatur, Frankfurt-am-Main, Vittorio Klostermann

შლეგელი, ა. ვ. ვონ (1963) Die Kunstlehre (Art Theory), Stuttgart, W. Kohlhammer

შლეგელი, ა. ვ. ვონ (1966-1967) Vorlesungen über dramatische Kunst und Literatur (Lectures on Dramatic Art and Literature), 2 vols, Stuttgart, W. Kohlhammer

შლეგელი, ფ. ვონ (1971) Kritische Schriften (Critical Writings), Hanser

შლაიერმახერი, ფ. ე. დ. (1888) Reden über die Religion (Speeches on Religion), Gotha, Friedrich Andreas Berthas

სტალი, მადამ ა.ლ.ჟ. (1958) De l'Allemagne (On Germany), (ed.) Ctesse Jean de Pange, 5 vols, Hachette

შტეფენი, ჰ. (რედაქტორი) (1967) Die Deutsche Romantik, Göttingen, Vandenhoeck and Ruprecht

ვაკენროდერი, ა. და ტიკი, ლ. (1991) Herzensergießungen eines kunstliebenden Klosterbruders (Confessions of an Art-loving Friar), Stuttgart, Reclam

ოთარ
გოგოლიშვილი

ერი და ნაციონალიზმი

ტერმინი „ნაციონალიზმი“ ხშირად ნეგატიური გაგებით იხმარება, როგორც ერთგულება ერთი ერისა, როგორც „მტერი ადამიანური ღირებულებებისა“. მისი დადებითი მნიშვნელობა ეხება მხოლოდ ეთნოპოლიტიკურ პროცესებს, რომლებშიც მოქმედებს „ნაციონალური მოძრაობა“. ზუსტად ასეთი მოძრაობებია უკრაინაში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში. რესტრუქტურიზაციის დაწყებიდან მივიღეთ დადებითი დახასიათებები როგორც დასავლელი ექსპერტებიდან, ასევე, ეროვნული მეცნიერებიდან.

კრიზისულმა საზოგადოებამ დაბადა, ასევე, კრიზისული გაგება, რომელშიც შეიმჩნევა არეულობა ტერმინებში. მხოლოდ 90-იან წლებში დაიწყო საზოგადოებამ გამოფხიზლება, ალბათ, ამაში დიდი როლი შეასრულა ნაციონალიზმის პრობლემისადმი მეცნიერულმა მიდგომამ. ზოგიერთი ისეთი პოლიტიკური დოქტრინა იწოდებოდა ნაციონალურად, რომელშიც ერის ინტერესები და ფასეულობები ითვლებოდა პრიორიტეტულად ვიდრე სხვა. ნაციონალიზმი არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკური და ნაციონალური ერთეულები უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს. ამასთან, ასეთი მიდგომა ჩაკეტილია გარკვეულ ჩარჩოებში, რაც საჭიროებს მის საფუძვლიან შესწავლას. ჯერ კიდევ არსებობს შეუსაბამობა პოლიტიკურ, ჟურნალისტურ, იდეოლოგიურ თვალსაზრისებსა და ნაციონალიზმის მეცნიერულ გამოკვლევებს შორის.

ნაციონალიზმი არ არის მხოლოდ ახლანდელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი. ჯერ კიდევ ციცერონი წერდა „თუ ჩვენ შევხედავთ ყველაფერს გონების და სულის თვალსაზრისით, მაშინ თითოეული ჩვენთაგანისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება ურთიერთობა სახელმწიფოსთან“. ძვირფასია ჩვენთვის მშობლები, ბავშვები, ნათესავები, ახლო მეგობრები, მაგრამ სამამულო ურთიერთობებმაც მოიცვა ყველა ადამიანის ფასეულობები.

ნაციონალიზმი ნათლად არის გამოხატული მაკიაველის კონცეფციაში. მაკიაველი ეძებს სიდიადეს არა მხოლოდ და არა სრულად მართველის ფიგურაში, მას იზიდავს ერის სიდიადე საერთოდ მის კულტურულ და ისტორიულ პროცესებში. ის ეძებს საუკეთესო სახელმწიფო წყობას ერის მაქსიმალური სიცოცხლისუნარიანობის მისაღწევად, სულიერება რჩება მისთვის პირველ ადგილზე, სახელმწიფო ფორმები მიჩნეული აქვს სულიერების შემდგომ ფაქტორად.

მაკიაველი ერის სისუსტედ მიიჩნევს მორალის უარყოფასა და ნაციონალურ ცხოვრებას, განათლების მახასიათებლად მიიჩნევა – ერის წინსვლა. რელიგია და მორალი ერის წინსვლის საშუალებაა. ერის თავისუფალი ცხოვრება ყველაფერზე მაღლა მდგომია. არ არსებობს არანაირი რელიგიური და მორალური განათლება ერის წინსვლის შესასწავლად, მხოლოდ ერს აქვს არა დროებითი დანიშნულება. მაკიაველის კონცეფცია რჩება აქტუალურად ლიბერალური უტოპიზმის გაფართოვებასა და გამაგრებაში.

ლიბერალურ უტოპიაში სახელმწიფო მეთაურობს თავისუფლად გაერთიანებულ ინდივიდებს და არა ერს. სწორედ ამ უტოპიური სახელმწიფოს აბსტრაქტულ ინდივიდს ეწინააღმდეგება მაკიაველის პათოსი.

მაკიაველის აზრით, მკვდრის სტატუსი აქვს იმ პოლიტიკურ სწავლებას, რომელიც ცდილობს სახელმწიფოსა და ერის შეერთებას. სახელმწიფოს ერის მიმართ მიჯაჭვულობას კი ჩვენ, ჩვეულებრივ, პატრიოტიზმს ვუწოდებთ, რითაც მას გამოვყოფთ რადიკალური გრძნობისგან – ნაციონალიზმისგან.

დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა ნაციონალიზმს მისცა უფრო ღრმა განმარტება და შეაერთა ის არა ემოციურ გამოხატულებასთან, არამედ ნდობის მენტალიტეტთან. მისი თქმით, პატრიოტიზმი დამამტკიცებელი საშუალებაა, გამოხატული ერის ჩვევის სახით, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოზე. პატრიოტიზმის საფუძვლად ხშირად მიიჩნევენ საჭიროების შემთხვევაში მსხვერპლის გაღებასა და საგმირო საქმეებს. მაგრამ მისი არსი მდგომარეობს მენტალიტეტში, რომელიც ჩვეულებრივ მდგომარეობასა და ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში მიღებულია სახელმწიფოს არსებობის მიზნად და ფუძედ. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ერი მზად არის გაუძლოს ყველანაირ წინააღმდეგობას პატრიოტიზმის დასაცავად.

იმისთვის რომ გამოვყოთ ერთმანეთისგან პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი, უმჯობესია გამოვიყენოთ ამ უკანასკნელის მიმართ ჰეგელის მიდგომა და განვსაზღვროთ ნაციონალიზმი როგორც ურთიერთკავშირი ერთან, მის ინტერესებთან და კულტურულ ფასეულობებთან. შეიძლება გამოვიყენოთ ნაციონალიზმის სამი იდეოლოგიური ვერსია:

1) მარქსისტული იდეოლოგია განსაზღვრავს ნაციონალიზმს როგორც წვრილბურჟუაზიული მეცნიერების პროდუქტს.

2) ლიბერალური მეცნიერება განსაზღვრავს ნაციონალიზმს როგორც აღორძინებას პირველყოფილ აზროვნებას.

3) კონსერვატიულ, ტრადიციულ ინტერესებში ნაციონალიზმი იღებს დადებით დახასიათებას, როგორც ბუნებრივი გამოხატულება ნაციონალური სულისა, ისტორიული თვითცნობიერებისა.

თანამედროვე ნაციონალური კონცეფცია გამოიხატება ორ ძირითად თეზისში:

1) ნაციონალიზმი არის ფენომენი, რომელიც ახლავს მოდერნიზაციას, გზას, რომელსაც მიჰყავს თითოეული ერი თანამედროვეობისაკენ.

2) ეთნონაციონალიზმის გამოფხიზლება დაკავშირებულია მოდერნიზაციასთან, რომელიც აჩქარებს კულტურულ განვითარებას და არის საპასუხო რეაქცია უნივერსალიზმისადმი. ეთნონაციონალიზმი დამყარებულია იმ გაგებაზე რომ, ერი, ეთნოსი და ნაცია გამოხატავს ერთ არსს.

პირველი თეზისის დამტკიცებისათვის საინტერესოა ამერიკელი პოლიტოლოგის კარლ ვ. მოიჩის მოსაზრება „როდესაც ხალხი მიისწრაფვის მიიღონ სიმდიდრე პოლიტიკისაგან ან მისი საშუალებით, ისინი ცვლიან უსაფრთხოებს მატერიალურ შესაძლებლობებზე. ამის გამო კარგავენ ინდივიდუალურობას, უსაფრთხოების გრძნობას, ყველაფერს რაც მოიტანა ახალი ცხოვრების წეს-ჩვეულებებმა“.

მეორე თეზისი მოიცავს დაყოფას კარგ და ცუდ ნაციონალიზმებს შორის გეოგრაფიული მაჩვენებლით. ის გამოხატავს განსხვავებას ფრანგულ და გერმანულ იდეოლოგიებს შორის. ასე მაგალითად, გ. კონი განასხვავებს ნაციონალიზმის ორ ტიპს – დასავლურსა და აღმოსავ-

ლურს. პირველი მან ნახა – ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში, ნიდერლანდებსა და შვეიცარიაში, მეორე – გერმანიაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში. დასავლური ნაციონალიზმი ხასიათდება ლიბერალიზმსა და თავისუფალ არჩევნებზე დამყარებული რაციონალური გამოვლინებით, საზოგადოების ერთგულებით სახელმწიფოსადმი, აღმოსავლური როგორც ორგანული და ირრაციონალური, დამყარებულია საზოგადოებისადმი ერთგულებაზე, რომელსაც გააჩნია კულტურული საფუძველი.

ფრანგი სოციოლოგი პ. ბირნბაუმი გამოყოფს ნაციონალიზმის კულტურულ და სახელმწიფოებრივ ტიპებს. პირველი დაკავშირებულია იმ ყველაფრის დაცვასთან, რაც გამოხატავს გარკვეული ერის ნაციონალურ სპეციფიკას. ნაციონალიზმის მეორე ტიპი მიმართულია ძალაზე და ნაციონალური სახელმწიფოს სიდიადის დაცვაზე, რომლის დროს კულტურული, ენობრივი და სხვა ღირებულებები მეორე ხარისხში გადადის.

დასავლური ნაციონალიზმი გამოხატავს ლიბერალიზმსა და მოქალაქეობრივ თვისებებს, რომელიც ყველანაირად ეწინააღმდეგება აღმოსავლურ ეთნონაციონალიზმს. მე-19 საუკუნეში დასავლური ნაციონალიზმი დაკავშირებული იყო ლიბერალურ-დემოკრატიულ მოძრაობასთან, რაც არ ჰქონდა აღმოსავლურ ნაციონალიზმს.

ლ. გრინდფელდი ამ კავშირში გამოყოფს ნაციონალიზმის 3 ტიპს – ინდივიდუალისტური, მოქალაქეობრივი და ეთნიკური. მეორე და მესამე ტიპები ატარებენ კოლექტიურ ხასიათს და არ ამტკიცებენ ინდივიდისა და ლიბერალური დემოკრატიის პირველობას. ნაციონალიზმის მოქალაქეობრივი ვარიანტი (საფრანგეთი) გამოვლენილია პოლიტიკურ და კულტურულ ძალებში, ხოლო ეთნიკურს ახასიათებს ერის არასრულყოფილების კომპლექსი.

ნაციონალიზმი თანამედროვე მკვლევრების მიერ გაიგება ორი აზრით, როგორც სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმი და ეთნონაციონალიზმი.

გერმანელი მკვლევარი ე. იანი წარმოგვიდგენს დაყოფას შენდეგი სახით: სახელმწიფო და ეთნონაციონალიზმი განსხვავდება ერთმანეთისგან. სახელმწიფო ნაციონალიზმს აქვს ინკლუზიური ხასიათი, რომელიც ერის გაგებად თვლის ენობრივ და ეთნიკურ უმცირესობას და ცდილობს მის ათვისებას. ეთნონაციონალიზმი კი გამოყოფს ეთნიკურ და ენობრივ „უცხოელებს“ ერისაგან. მაგრამ ისიც ცდილობს ეთნიკური უმცირესობების ათვისებას, ეს პროცესი მიიჩნევა არა როგორც ენასა და კულტურაზე ორიენტირება, არამედ როგორც ერთი ერის მეორე ერში გადასვლა. ასეთი მიდგომით კულტურულ-ენობრივი ადაპტაცია და დაქვემდებარება თითქმის შეუძლებელია და ვერ ხერხდება. მაგრამ ეთნონაციონალიზმი იძულებით ცდილობს იყოს ჰუმანური ცალკეულ ინდივიდებთან, ამგვარ მიდგომას საბოლოოდ მივყავართ ეთნოციდამდე – კულტურულ გენოციდამდე.

ეთნონაციონალიზმი სხვა ვარიანტში ცდილობს ეთნიკური „უცხოების“ შეერთებას ერთან. ერთან შეერთების შეუძლებლობისა თუ სურვილის არქონის გადასაფარავად გამოდის ბიოლოგიური და რასისტული, ზოგჯერ კი კულტურული მიზეზებით. ეთნონაციონალიზმი მომხრეა კულტურულ-ეთნიკური განსხვავების შენარჩუნებისა, მაგრამ ამის მიუხედავად, ეწევა სოციალურ დისკრიმინაციას და ცდილობს ეთნიკური უმცირესობის ქვეყნიდან გაყრას ან ფიზიკურ გენოციდს.

ისტორია მოწმობს, რომ აღმოსავლური სახელმწიფოს მოდელები ამრავლებდნენ სისასტიკეს ეთნოციდის გამოყენებით.

საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ერი იგულისხმება როგორც მოქალაქეების ერთობლიობა. რადგანაც აქ არ შეიმჩნევა არავითარი შუალედური და სოციო-კულტურული სტრუქტურები სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის, ასეთი მართვა შენდებოდა ცენტრალიზებულ უნიტარულ დაწესებულებებზე დაყრდნობით, შემდგომ კი დროის განმავლობაში ფედერალიზირებული იქნა სახელმწიფოს სტრუქტურები.

მკვლევრები გამოყოფენ ნაციონალიზმის განვითარების ორ მოდელს. საფრანგეთში, ინგლისსა და შვედეთში ნაციონალიზმის თვითშეცნობის ზრდა მინდინარეობდა მონარქიის პირობებში, და შეიძლება ჩაითვალოს შეზღუდულ განვითარებად. დასავლეთ ევროპაში მე-19 საუკუნის ბოლოს ელექტორატის უცებ ზრდამ ხელი შეუწყო საზოგადოების იდენტიფიკაციას, რომელმაც აიძულა ელიტა ამომრჩეველთა მხარდაჭერის ძიება. ნაციონალიზმის სხვა ტიპი იბადება ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესში. ამ ორი მოდელის ერთობლივი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ნაციონალიზმი არის ინსტიტუტების შექმნა, რომელიც მიმართულია აჩვენოს რომ ძალაუფლება ხორციელდება ერის მიერ ანუ მისი ნებით. ნაციონალიზმში გულისხმობდნენ ერების მისწრაფებას თვითმართველობისაკენ, საზოგადოებრივი თავისუფლების დამტკიცებას წარმომადგენლობითი ხელისუფლების ინსტიტუტუციებით.

უფრო ფრთხილი მკვლევრები ამჯობინებენ ნაციონალიზმის ანალიზში არ შეიტანონ გეოგრაფიული ფაქტორები და თვლიან, რომ გეოგრაფიულ და ეთნოკულტურულ ნაციონალიზმს შესაძლოა ჰქონდეს ერთნაირი ფესვები, იმ მტკიცებიდან გამომდინარე, რომ ნაციონალიზმი შესაძლოა იყოს სხვადასხვანაირი. ჩვენი აზრით, ნაციონალიზმი თავის გამოხატულებაში შეიძლება მეტნაკლებად შეეხამებოდეს ლიბერალიზმსა და დემოკრატიას.

საინტერესოა ნაციონალიზმის გაგებისადმი ი. კუდრიავცევის პოზიცია. მისი აზრით, ერი ქმნის ერთიანობას, რომელიც ტოვებს თავისუფლების შეგრძნებას, ხოლო ნაციონალიზმსა და დემოკრატიას შეუძლია შექმნან ერთმანეთი. ამ შემთხვევაში ლიბერალური ნაციონალიზმი მხოლოდ ნაციონალიზმის ფორმაა, რომელიც ახასიათებს გარკვეულ დემოკრატიას, რომელსაც არ გააჩნია თავისი უნივერსალური სტატუსი. აქედან გამომდინარე რუს ერს, ასევე, არ შეუძლია ჰქონდეს თავისი „მე“, ნაციონალიზმისა და დემოკრატიის თავისებურებებით.

ეროვნულობისა და პატრიოტიზმის გაღრმავება-განმტკიცებაში დიდია ეკლესიის როლი და მნიშვნელობა. საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის; ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი თავის მხრივ ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინებისა და ზნეობრივი აღორძინების გარეშე – ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც; სწორედ ამიტომ ჭეშმარიტად ქართული ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან; დღევანდელი მოძრაობაც თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. იგი უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით; ეროვნული ხელისუფლება კვლავაც იღვაწებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად. ამ ერთობის არსი მდგომარეობს შემდგომში – ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს; სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და მისი განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას; ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და

ეკლესიის ურთიერთგათიშვას; სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა. ჩვენ მომხრენი ვართ არა სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთგამიჯვნისა, არამედ მათი ბუნებრივი კავშირისა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც დაემყარება; სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს; ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე. სახელმწიფომ უნდა დაიცვას საეკლესიო ქონება, ხელი შეუწყოს ეკლესიას ტრადიციულ სამონასტრო მოღვაწეობაში. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა ეკლესიამ მიიღოს საჭირო მატერიალური დახმარება – საგანმანათლებლო საქმიანობის, ტაძრების მშენებლობისა და შეკეთებისათვის. უნდა აღდგეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე. მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსრულებელთა, აგრეთვე, ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა შესაძლებლობა იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს. მოქალაქეთა უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური ნიშნით. საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.

ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორთა შორის თავისი ყოფით, ადგილითა და ენით. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის – ეს არის მოწამეობრივი გზა, ქრისტემიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა. ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას, რათა დავუბრუნდეთ მამაპაპეულ გზას, ავაღორძინოთ თავისუფალი საქართველო. უკლებლივ ყველას სიცოცხლე მამულს უნდა ეკუთვნოდეს. ერი უეჭველად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის – ეროვნული ხელისუფლების ვალია იყოს ღირსი უდიდესი მისსიის – შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა – საქართველოს დაუბრუნოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში. დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიისა და მოძრაობის, ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების, ლოზუნგის „ენა, მამული, სარწმუნოება“ წინააღმდეგ – ამჟამად საქართველოში მუშაობენ გლობალიზმისგან მსუყედ დაფინანსებული ინსტიტუციები – როგორც ე. წ. ჰუმანიტარული, სამართალდამცავი, სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ზოგიერთი მედიასაშუალება.

იმათი დიდი უმეტესობა, ვინც თვალთმაქცურად, ვითომც იცავს ეროვნულ იდეალებს („ეროვნულის“ გლობალისტური ანუ „ნაციის“ გაგებით) შეფარული მტრები და გამყალბებლებია. არაერთი გამყალბებელი ცდილობს დააშოროს ერთმანეთს, გამიჯნოს ერთურთისგან ეროვნულობის შემადგენელი კომპონენტები, „გაამარტივოს“ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების არსი – მაგალითად, ჩამოაშოროს ეროვნულობას სარწმენოებრივი შემადგენელი, ან სავსებით უგულველყოს მოდგმითი, გენეტიკური კომპონენტი (ჯიშის, მოდგმის), ეროვნულობა გამარტივებული თვალსაზრისით მხოლოდღა კულტურის თვისებად წარმოაჩინოს.

მუდმივი, გააფთრებული და კაპიტალური თავდასხმებია თვით ტერმინზე, ცნებაზე: „ეროვნული“... – ამ ტერმინის გაყალბებით, გაიაფებით, უადგილო გამოყენებითა და გაშარჟებით ცდილობენ ეროვნულობის ცნებისა და არსის საფუძვლების შერყევასა და შელახვას...

და, ასეთ ვითარებაში, ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიისა და მოძრაობის,

ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების დასაცავად, ზოგადად – ქართველთა მოდგმის დასაცავად – მისი აპოლოგიისათვის – მცდელობენ და საქმიანობენ უმცირესი და მატერიალურად სუსტი ერთეული არაფორმალური, დაქსაქსული მოღვაწეები – რომელთაც ხელეწიფებათ არსებითად მხოლოდ ინტერნეტის, ვების მეშვეობით იდეოლოგიური შებრძოლება – ანუ არა მასმედიის სიმძლავრისა და მოცვა-განფენის გზით. ეროვნულად მოაზროვნე მამულიშვილების მიერ შექმნილია და მოქმედებს რამდენიმე რესურსი ინტერნეტში, რომლებზეც არსებითი აპოლოგეტიური ხასიათის მასალაა გამოქვეყნებული და მისაწვდომი.

ქართველი ერი ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ერია. ქართველების ამ არსს, უპირველეს ყოვლისა, ცხადყოფს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, რომელიც გახლავთ ამ სარწმუნოების პირდაპირი და უშუალო გამოხატულება. ქართველთა ქრისტიანული არსი, ასევე, ნათლად ვლინდება წმინდა მამათა და უდიდეს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამებში. გიორგი მთაწმინდელი, რომელიც კარგად იცნობდა მსოფლიო ქრისტიანობის ყველა მიმართულებას, ამბობდა, რომ ქართული ეკლესია მრავალ ეკლესიათა შორის არის ჭეშმარიტად ყველაზე მართლმადიდებლური, რომელმაც უბიწოდ და შეუცვლელად დაიცვა მოციქულთა სწავლა. ეკლესიის წმინდა მამები საუკუნეთა მანძილზე ხშირად მიუთითებდნენ იმაზე, რომ ქართული ეკლესია არის დაარსებული მოციქულთა მიერ.

ქართული და საერთოდ ქრისტიანული პატრიოტიზმისთვის უცხოა ის უკიდურესობა და შეცდომები, რომელიც დამახასიათებელია ცრუ „პატრიოტიზმისათვის“. ქრისტიან პატრიოტს, უყვარს რა თავისი ხალხი, ამხელს მათ უკეთურებას. ფხიზლად უჭირავს თვალი ეროვნული თვისებებისა და ხასიათის შენარჩუნებისათვის. ამიტომაც იგი არასდროს დაეთანხმება იმ „პატრიოტებს“, რომლებიც ყველაფერ საკუთარს (მემთვრალეობასაც, ბილწსიტყვაობასაც და სხვ.) აღმერთებენ და კანონიერად, ტრადიციულად თვლიან. მათ დავიწყებიათ, რომ ეს პატრიოტიზმი კი არა, ეროვნული ამპარტავნობაა, ანუ ის ცოდვა, რომლის წინააღმდეგაც იბრძვის ქრისტიანობა. ჭეშმარიტი პატრიოტი თავისი ხალხის ცოდვებზე და მანკიერებაზე არ დახუჭავს თვალებს. იგი წუხს ამის გამო და იბრძვის მათ გამოსასწორებლად. ინანიებს ღვთის წინაშე როგორც საკუთარ, ისე თავისი ხალხის ცოდვებს. ამის გარდა, ქრისტიანული პატრიოტიზმისთვის უცხოა სხვა ხალხის მტრობა. მე თუ მიყვარს ჩემი ხალხი, რატომ არ უნდა მიყვარდეს სხვა ეროვნების ხალხი. ღმერთმა მოჰმადლოს მათ ბედნიერება, სიხარული, რადგანაც ჩვენ ერთი მამის შვილები ვართ.

ᲗᲘᲜᲐ
ᲨᲘᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲢᲐᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲔᲑᲘ

მიმდინარე წლის 25 ივლისიდან 3 აგვისტომდე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედმა სამეცნიერო ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფ. მამია ფაღავა, წევრები: პროფესორები: მერაბ ხალვაში, თამარ სირაძე, თინა შიოშვილი, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, რამაზ ხალვაში, მოწვეული სპეციალისტი ჯიმშერ ჩხვიმიანი, მაგისტრანტი მალვინა ფუტკარაძე, მძღოლი ტარიელ დიასამიძე), იმუშავა თურქეთის რესპუბლიკაში, ისტორიული ტაოს (იუსუფელის რაიონის) ქართულენოვან სოფლებში. ექსპედიციამ მოიპოვა მდიდარი ფოლკლორული, ეთნოგრაფიული, დიალექტოლოგიური, არქეოლოგიური და ისტორიული მასალა.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ ექსპედიციის მიერ მოპოვებული ტაოური ფოლკლორული ნიმუშების ნაწილს, რომელიც ჩვენებურთა სულიერი ცხოვრების სარკეა.

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

* * *

ჰაიდე, წევდეთ ჯოლაზე[1]
მე – კალთით, შენ კალათით;
შენ – ბგანო და მე – ბიჭი,
რა შეხვდება ხვარათით.[2]

მთქმელი ჰუსეინ იალჩინი, 67 წლის,
მცხოვრები იეთში (სოფ. ხევას უბანი).

* * *

ფოტოროში ჩევვარე
წითელი კამიონით;
არ იტირო, სევდუღო,
მე'ნა მოვდე მილიონით!

მთქმელი ყურბანა ჩორაფჩი, 37 წლის,
მცხოვრები სოფ. ელიასხევში.

* * *

თაზე კარზე გომოდი,
ჰაჩან შექმნილა ბალი!
ჩადი, მეიწიე ტალი,
არ მოტეხო კონკალი!

მთქმელი ქაასიმ ილდირიმი, 72 წლის,
მცხოვრები ობლეკარში (სოფ. ხევას უბანი).

[1] ველზე.
[2] ლაპარაკით.

* * *

თააზე შენი დეკეული,
მაგან რა'ნდა მეიწველოს?
შენ – გაღმი, მე – გომოღმი,
გულმა რა'ნდა მეისვენოს?

* * *

წითელი წინდა მაქვა
კოჭებში ადებული;
ერთი შეყვარილი მყავსა
დუნჲაში მოდებული.

* * *

რა მალე თველი მოვდა,
ვერ დავკრიფე ნეკერი;
გემეიარე და მოგცე
შენ ხელში შექერი.

* * *

გააღმა თეთრი ქათამი
გომოღმა მიკუკუნებს;
მამაგონდა გოგოჲ,
მე გულში მიჩხაკუნებს.

მთქმელი მევლუდ დოლენჯიშვილი,
47 წლის, მცხოვრები დოლენჯიანთკარში
(სოფ. ხევას უბანი).

* * *

ჭანჭახ ვჭამე ფილეჲ,
გემექცა ხეველაჲ;
გევქე, გევქე, გემმეკიდა,
წევქე, წევქე, წემმეკიდა.

მთქმელი მენემშა ქეჩეჯი, 50 წლის,
მცხოვრები ბასლიკარში (სოფ. ხევას უბანი).
ზამთრობით ცხოვრობს ბურსაში.

იავნანები

* * *

ნინი, ჲაურუმ, ნინი,
დეიძინოს და დამაძინოს!
დეიძინოს და გეიზარდოს!

მთქმელი მენემშა ქეჩეჯი, 50 წლის,
მცხოვრები ბასლიკარში (სოფ. ხევას უბანი).
ზამთრობით ცხოვრობს ბურსაში.

* * *

ნანი, ნანი, ნანაი,
ახლა მოვა ანაჲ;
დაგაძინებს ანაჲ,
გაგაღვიძებს აღაჲ!

მთქმელი შენგულ სონმესი, 40 წლის,
მცხოვრები დევთისაში (სოფ. ხევას უბანში).

* * *

ნანი, ნანი, ნანაი,
ახლა მუა ანაჲ!
მოვა ჩემ ოღლის ანაჲ,
მოვა აღაჲ.
კაკაი'ნა მიგიტანოს!
ბევრი რამ'ნა მიგიტანოს!
დეიძინე, გეიზარდე!
ყურბაეთში'ნა წეხვიდე,
ასკერში'ნა წეხვიდე,
მოხვალ'ნა დაგაქორწილო!

მთქმელი ფატყიმე (ფატმა) ყანთაროღლუ, 73 წლის,
მცხოვრები ქონობანში (სოფ. ხევას უბანი).

შელოცვები

თავის ტკივილისა

შაი ტყე გაპწდა,
შაი კაცი გუმუარდა,
შავ ქვაზე შახტა,
შავ ქვადან ჩამაახტა.

შენი ავადნობა
გაცვდა, გაქარდა!
წითელი ტყე გაპწდა,
წითელი კაცი გუმუარდა,
წითელ ქვაზე შახტა,
წითელ ქვადან ჩამაახტა.
შენი ავადნობა
გაცვდა, გაქარდა!
მრეხი ტყე გაპწდა,
მრეხი კაცი გუმუარდა,
მრეხი ქვაზე შახტა,
მრეხი ქვადან ჩამაახტა.
შენი ავადნობა
გაცვდა, გაქარდა!
კითხვა ჩემიდან,
მოშორება ღმერთიდან!

მთქმელი მევლუდ დოლენჯიშვილი, 47 წლის,
მცხოვრები დოლენჯიანთკარში (სოფ. ხევას უბანი).

ჭიპისი დუა

იაო, თიაო,
რა ეძგერები ვერძსავით
რა ბღუიხარ ხარსავით?
შეენი საძგერებელი
წელი – ზურგი აა მაქვა!
წადი, ტყევნარებჩი ეძგერე!

მთქმელი ფატყიმე (ფატმა) ყანთაროღლუ, 73 წლის,
მცხოვრები ქონობანში (სოფ. ხევას უბანი).

ყელში გაჩხერილისა

მოვა, მოვა ურვანაჲ,
დუაყენო, არ დუაყენო?
დუაყენო შავ ბოსელში,
კოვზი – კურჩატი[1],
ჯამი – ხაწანი[2].
დადგომილი თევზი ფხაჲა,
ან ეიარე, ან ჩეიარე!

მთქმელი შენგულ სონმესი, 40 წლის,
მცხოვრები დევთისაში (სოფ. ხევას უბანი).

ქარისი დუა

– უსახელო, უსახელო,
ჰად მიხვალ,
ჰად მიბზანდები?
– ძვალი საყარი,
სისხლი სასმელი.
კვერცხი ცილი,
ძეწნი ფურცელი, –
გაქარდი, გომოქარდი,
ჩვენგან შორს წადი!

მთქმელი ემინე ქეჩეჯი, 80 წლის,
მცხოვრები ბასლიკარში (სოფ. ხევას უბანი).

მუცლი ტკივილისა

იაო, ჭიაო,
ეიარე, ჩეიარე!
ჩემ მუცელში ტკივილი არის,
გიდიარე, წადი!

მთქმელი ფეჰმე სულეჩაი (ჭარაბოღლი), 47 წლის,
მცხოვრები წითლეკარში (სოფ. ბალხის უბანი).

ნისლის შელოცვა

დუმანო, დუმანო,
ეიყარე, გიდეიყარე,
შვიდი წვერი გიდეიარე!
შენი ოღლუშაღი
ღვარ წუღია,
ცქვიტა წახვალ, მეეწეჲ,
ნელა წახვალ, ვერ მეეწეჲ.

მთქმელი ჰევა ქორუქი, 60 წლის,
მცხოვრები სოფ. ბალხში (ბალჯილი).

[1] გატეხილი.
[2] შეშის.

ანდაზები

1. ანაჲ დეინახე, ბგანო ითხუე.
2. ანაჲ დეინახე, ბეზის ქენარი დეინახე, ბგანო ითხუე.

მთქმელი შენგულ სონმესი, 40 წლის,
მცხოვრები სოფ. დევთისაში
(ხევას ერთ-ერთ უბანი).

1. გელ ახსენებ, ყურებ წამოყოფს.
2. ქვა გაგორდება, ქვებში დადგება.
3. წაბლი ყაბუღიდან გუმოსულა, მემრე მისი ყაბუღი არ მოწონია.

მთქმელი ჰევა ქორუქი, 60 წლის,
მცხოვრები სოფ. ბალხში (ბალჯილი).

1. დედას შეხედე, მერე – შვილსაო.
2. ქვაუდგომელა ადგილი ბელა შეიქნებაო.

მთქმელი მენემშა ქეჩეჯი, 50 წლის,
მცხოვრები ბასლიკარში (სოფ. ხევას უბანი).

1. ყურძენი ყურძენთან რომ მიიტანო, შეხედვით გაშავდებაო.

მთქმელი მევლუდ დოლენჯიშვილი, 47 წლის,
მცხოვრები დოლენჯიანთკარში (სოფ. ხევას უბანი).

2. ბაბოჲ დეინახე, ნენეჲ დეინახე და ისე გოგო ითხუე.

მთქმელი მევლუდ დოლენჯიშვილი, 47 წლის,
მცხოვრები დოლენჯიანთკარში (სოფ. ხევას უბანი).

1. ანაჲ, აღაჲ კარგა იცნო, მემრე მისი ბგანო'ნა ითხოვოო.
2. კარგი ღენჭები ნენესი გულიაო.

მთქმელი ფეჰმე სულეჩაი (ჭარაბოღლი), 47 წლის,
მცხოვრები წითლეკარში (სოფ. ბალხის უბანი).

1. ქესტანე ქერქიდან გამოსულა და ის ქერქი აღარ უკადრია.
2. ქვა გაგორდება და ქვებ ალაგას დადგება.

მთქმელი სულბიე თორამანი, 80 წლის,
მცხოვრები გუნეიმაჰალეში (სოფ. ქობაის უბანი).

გამოცანები

1. თიდან ჩამოვა თისავთე,
ხელები შეშასავთე.
ჩავა ჴევში, წყალ შესვამს,
დეიბღავლებს თიკანსავთე.
(ზვავი)

მთქმელი ჰევა ქორუქი, 60 წლის,
მცხოვრები სოფ. ბალხში (ბალჯილი).

1. მივა, მივა, ადგილზეა.
(„კარის გასაღებელი“ – სახელური)
2. ქვა ფრინავს,
ჩაახი ბრუნავს,
ფქვილი ფქვავსა.
(წისქვილი)

მთქმელი მენემშა ქეჩეჯი, 50 წლის,
მცხოვრები ბასლიკარში (სოფ. ხევას უბანი).

1. თეთრით დავიწყე,
ყვითლით გავაგრძელე,
წითელით გავათავეო.
(ბალი)
2. გრძელი ხის გრძელი ხე შენ ერთ წელიწადში მოგცემს 30 ყურძნის მტევანს; ღამე ჭამა მადლია, დღისით ჰარამია.
(მარხვა)

მთქმელი ფეჰმე სულეჩაი (ჭარაბოღლი),
47 წლის, მცხოვრები წითლეკარში
(სოფ. ბალხის უბანი).

მახვილსიტყვაობა

* * *

ორი თანე კაცები ყოფილან, თემბლები, თუთი ძირას დაწველილან; ერთ თანეს ეუბნია ქი:
– ერთი აი თუთა ლაშში ჩიმივარდესო!
იმაჲ უთქმია ქი:
– არ გეზარება და ხვარათოფო!

მთქმელი ფეჰმე სულეჩაი (ჭარაბოღლი), 47 წლის,
მცხოვრები წითლეკარში (სოფ. ბალხის უბანი).

* * *

ხოჯა მივიდა მოზობელთან:

– თოკი მათხოვეო!

– თოკზე ფქვილი გაშლილაო.

უთქმია ქი:

– თოკზე ფქვილი გეიშლებაო?

– შენთინ მოცემა არ მინდა და გეიშლებაო!

მთქმელი სულბიე თორამანი, 80 წლის,
მცხოვრები გუნეიმაჰალეში (სოფ. ქობაის უბანი).

* * *

ნესრეთი ხოჯას ფური დუუკარგია. მისი ბებერი ერთი ადგილიდან წასულა, ხოჯა მეორე ადგილიდან წასულა. მისი ბებერი ხოჯაჲ უძახნია:

– ხოჯა, იპოვნე თუ არა?

ხოჯას უთქვია:

– ნტუ!

ერთ ადგილას მისულა, ბებერ უთქმია:

– იმდონი ვიძახე, ვიძახე, რაზე არ გეიგონე, ხოჯავო?

– მე გევგონე, ჰამა გითხარ „ნტუ“-ო.

მთქმელი ფეჰმე სულეჩაი (ჭარაბოღლი), 47 წლის,
მცხოვრები წითლეკარში (სოფ. ბალხის უბანი).

მიხეილ მახარაძე

ფრაგმენტები ქართულ ფილოსოფიაზე და ქართველ ფილოსოფოსთა ცხოვრებიდან*

ქართველ ფილოსოფოსებზე

ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი (XI-XII სს.), მის მიერ ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნილი პროკლეს შრომის – „თეოლოგიის პირველსაფუძვლების“ კომენტარების ბოლოსიტყვაში წერს: თანამემამულეებს იმის ნაცვლად, რომ ჩემით ეამაყათ, შურისა და ღვარძლის გამო, ყველაფერს აკეთებდნენ და ხელს მიშლიდნენ, რათა „მეარისტოტელურაო“. პეტრიწი გულნატკენია, რომ არისტოტელეს დარი საქმეები ვერ გააკეთა ხსენებული გარემოებების გამო.

შვიდი საუკუნის შემდეგ დიდი წინაპრის ეს წუხილი არ გაიზიარა, ასევე, დიდმა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ, განმანათლებელმა და ენციკლოპედისტმა – ანტონ პირველმა, კათოლიკოსმა (1720-1788). მან გალექსა, მოკლედ და ლაკონიურად ჩამოაყალიბა პეტრიწის წვლილი ქართველთათვის ფილოსოფიური სიბრძნის გათავისებაში, მისი სიტყვებით – „მოქართულებაში“, ქართლის ათენად გადაქცევაში:

„შენ – ფილოსოფოსთ საქმენი მონასმინანი,
შენ – სტოიკებრნი სიტყვთ სპეკალ-მინანი,
შენ – პერიპატოს ცნობანი სალხინანი,
მოაქართულენ, ქართლ ჰქმენ ათინანი“.

* * *

სოლომონ დოდაშვილი (1805-1836) პირველი ქართველი იყო, ვინც პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა. იქვე, 1827 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა „ლოგიკა“, რომელმაც დიდი აღიარება მოუტანა მის ახალგაზრდა ავტორს. დოდაშვილს შემუშავებული ჰქონდა, აგრეთვე, ფართო გეგმა ფილოსოფიაში და ყველა პირობა იყო ამ გეგმის წარმატებით განხორციელებისთვის.

საქართველოში დაბრუნებული დოდაშვილი ხედავს, რომ ერი უფსკრულისკენ მიექანება. ახლა იგი ფილოსოფიას გვერდზე გადადებს და მთელი ენერგიით შეუდგება ისეთ საქმიანობას, რაც სა-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 4, 2017 წ.

ქართველოს წაადგება თავისუფლებისთვის ბრძოლაში. იგი 1832 წლის შეთქმულების მთავარი იდეოლოგი ხდება.

შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ, ყველაზე მძიმე სასჯელი, ერთი შეხედვით, ამ საქმეში არაფრით გამორჩეულ დოდაშვილს ერგო. ცარიზმის სპეცსამსახურებმა კარგად უწყოდენ ვინ იყო შეთქმულთა შორის განსაკუთრებით საშიში იმპერიისთვის.

* * *

ეროვნული მოღვაწე, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე (1872-1913) გარდაიცვალა ბათუმში, 1911 წელს. მისი ავადმყოფობის დროს ბათუმში ჩასულა სოციალ-დემოკრატი, მომავალში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე – ნოე ჟორდანია (1868-1953). ჟორდანიას ავადმყოფი ჯორჯაძე არ მოუნახულებია. ეს ფაქტი სრულიად მართებულად მიუჩნევია ჯორჯაძეს, თუ რატომ ეს ძნელი გასაგები არ უნდა იყოს.

* * *

აკად. კოტე ბაქრაძის „ექსისტენციალიზმი“, ამ თემაზე მიძღვნილი პირველი გამოკვლევა იყო საქართველოში. სწორედ ამ ნაშრომში ის ჰაიდეგერის – „ყოფიერება და დრო“ – ერთი ადგილის ინტერპრეტაციისას კარგად წარმოაჩენს ადამიანის თვითდამშვიდებას (უფრო ზუსტად თავის მოტყუებას) სიკვდილთან მიმართებაში: ყოველ დღე და ყოველ საათს ვინმე კვდება, მახლობელი ან შორებელი. მაგრამ მე ეს არ მეხება. ის გაურბის თავისი თავის სიკვდილს, უფრო სწორად აზრს თავისი თავის სიკვდილზე.

* * *

შალვა ხიდაშელი, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, განსაკუთრებით უფრო სხვა რამით ამაყობდა, კერძოდ – ივანე ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოებას.

* * *

ფილოსოფოსი და სოციოლოგი ვენორ ქვაჩახია ნიჭიერი და გაბედული პიროვნება იყო. ამბობენ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, რექტორმა – დავით ჩხიკვიშვილმა რაღაც ორჭოფული თუ კონიუნქტურული აზრი გამოთქვა, რასაც ქვაჩახიას ასეთი მყისიერი რეაქცია მოჰყოლია: „ბატონო დავით, თქვენ მოთამაშე ბრძანდებით და ყომარის ენაზე ეს ნათქვამი ნიშნავს – ბლეფს!“

* * *

1980 წლის მარტში ერთმა ქართველმა მწერალმა გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსს – ზურაბ კაკაბაძეს გაზეთ „Заря Востока“-ში იდეოლოგიური პოზიციიდან შეუტია. მაშინ ამ გამოხდომას საკადრისი პასუხი გასცა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ნიკო ჭავჭავაძემ. ამ ამბიდან ერთ წლის შემდეგ, ზურაბ კაკაბაძეს უკურნებელი სენი აღმოაჩნდა და 1982 წლის დასაწყისში გარდაიცვალა.

მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, კაკაბაძემ დაწერა შესანიშნავი წერილი – „ბუნების დაცვის ერთი უცნობი ასპექტის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა 1981 წლის 25 დეკემბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. სწორედ იმ დღეს მოვინახულე ბატონი ზურაბი და წერილის შესახებ ჩემი კმაყოფილება გამოვხატე. მან კი გულისტკივილით აღნიშნა, რომ წერილი დაუჩეხეს და რამდენიმე მნიშვნელოვანი მოსაზრება ამოუღეს.

2012 წელს ბათუმში გამოვეცი ბატონი ზურაბის ნაშრომი – „ფილოსოფია და ცხოვრება“, სადაც დამატების სახით შევიტანე ახლა აღნიშნული წერილი სრული სახით.

* * *

ერთი ჩემს ახლობელს, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელს, ზურაბ კაკაბაძის რაღაც-რაღაცები ჰქონდა წაკითხული და ჩემგანაც ბევრი ჰქონდა მოსმენილი მის შესახებ.

ერთხელ მან სურვილი გამოთქვა კაკაბაძე მიეწვია მაშინ ჯერ კიდევ პოლიტტექნიკურ ინსტიტუტში თავის ფაკულტეტზე. მე დახმარება აღვუთქვი. მანაც ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან მიაღწია შეთანხმებას და დადგა ბატონ ზურაბთან შეხვედრის ჯერი.

შეხვედრა შედგა ფილოსოფიის ინსტიტუტში. სტუმარმა უთხრა, რომ ღონისძიებას ვატარებთ და თქვენი მოწვევა გვინდაო.

ბატონ ზურაბს სიტყვა ღონისძიება არ მოეწონა და საკმაოდ მკაცრად უთხრა: ღონისძიებაზე არა ვარ თანახმაო. ბოლოს მაინც შევთანხმდით. მაგრამ ეს შეხვედრა მაინც ვერ შედგა, რადგანაც მალე ბატონ ზურაბს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა, რაც რამდენიმე თვეში ფატალური შედეგით დამთავრდა.

* * *

ოთარ ჯიოთი (ჯიოევი) მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ვითარება დაიძაბა ცხინვალის რეგიონში. ბატონ ოთარს, როგორც ოსი ხალხის შვილს, ზოგიერთმა ქართველმა ალმაცერად დაუწყო ყურება. ერთი კომპარტიის ისტორიკოსი ისე შორს წავიდა, რომ ჯიოთის კრიტიკისას გულზე მჯიღს იცემდა და წარბშეუხრელად წერდა: წიგნი კი არა სტატიაც კი არ დამიწერია ლენინზე და სხვა პარტიულ ლიდერებზე.

ამ პროფესორის კვლევის სფერო ვიცოდი და მისმა ამ თამამმა ნათქვამმა დამაეჭვა. დავინტერესდი მისი „შემოქმედებით“ და რა აღმოჩნდა? ის რამდენიმე 500-600 გვერდიანი წიგნის ავტორი ყოფილა ლენინზე, სერგო ორჯონიკიძეზე და სხვა.

ჩემს წერილში ვამხილე ამ სიცრუეების ავტორი. როცა ბატონი ოთარი შემხვდა გამიღიმა და, ჩემი აზრით, ასე სადად და მარტივად გამოხატა მადლიერება...

ამ წნეხმა ბატონ ოთარზე მაინც იმოქმედა, თითქოს ეჭვიანი გახდა, აღარ იყო ისე ღია და თავისუფალი. მახსოვს დედა ჰყავდა საავადმყოფოდან სახლში გადასაყვანი. იმის მიუხედავად, რომ მე არ ვიყავი მისი განყოფილების თანამშრომელი, დახმარება მთხოვა მის ერთ დისერტანტთან ერთად...

ალბათ, ბატონ ოთარს სრული საფუძველი ჰქონდა იმისა, რაც უთქვამს გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე: „ჩემი ცხოვრება ვერ შედგა, რადგანაც ქართველები ოსობას არ მპატიობდნენ, ხოლო ოსები ქართველებთან სიახლოვესა და მეგობრობას“.

* * *

ოთარ ჯიოთი მორიდებული პიროვნება იყო, თუმცა იუმორი კარგად ემარჯვებოდა. ერთხელ გაზეთების კიოსკთან რიგში ვდგავარ. უკანიდან ვიღაცამ ჩურჩულით მკითხა – „ლელო“ არის? უკან მოვბრუნდი და ბატონი ოთარის ღიმილი შემრჩა.

რაც შეეხება შეკითხვის არსს. გაზეთ „ლელოზე“ მაშინ დიდი მოთხოვნილება იყო. გაზეთის გამყიდველები ამ გაზეთის გარკვეულ რაოდენობას გადამალავდნენ და ზედმეტ ფასად ყიდდნენ. ამასთან, ყველას როდი ენდობოდნენ გამყიდველები. მათ თავიანთი ნაცნობი კლიენტები ჰყავდათ.

გამონაკლის შემთხვევაში, ვინც ერთგვარი პაროლით იკითხავდა – „ლელო“ არის?“, როგორც სანდოს გამოუჩენდნენ გაზეთს...

* * *

გარდაცვლილი კოლეგის პანაშვიდიდან ვბრუნდებით ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლები საბურთალოს ქუჩით. მე და ბატონი ოთარ ჯიოთი გვერდიგვერდ მოვდივართ. საქართველოს უკვე დამოუკიდებლობა მოპოვებული აქვს და განსჯისა და კამათის თემაა საქართველოში არსებული ავტონომიური წარმონაქმნები. მოულოდნელად მანქანის მკვეთრი დამუხრუჭების ხმა მოგვესმა. მოვიხედეთ და მანქანა ჩვენგან რაღაც სანტიმეტრებში იყო. ორივე მხარემ ბოდიში მოვიხადეთ.

როცა მანქანა წავიდა, ბატონი ოთარი ღიმილით მეუბნება, მაინცდამაინც ჩვენ ორი რატომ შეგვარჩია მძღოლმა – ავტონომიის შვილები რომ ვართ, იმის გამო ხომ არა?...

* * *

2003 წლის 25 თებერვალს ოთარ ჯიოთის ხსოვნის საღამოზე სპარტაკ მხეიძემ გაიხსენა, რომ ერთ სუფრაზე ღვინო დაიწუნესო. ჯიოს უთქვამს: სუფრაზე მთავრობის კრიტიკა შეიძლება, ღვინისა – არა!

* * *

კეთილშობილი პიროვნება იყო ლიტერატორი, ფილოსოფოსი (ესთეტიკოსი), საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ვახტანგ გოგუაძე (1940-2007). 1992-1995 წლებში ის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იყო. მომდევნო ციკლში კი – პარლამენტის წევრი. ბატონი ვახტანგი ლიბერალი პოლიტიკოსი და ჰუმანური პიროვნება იყო. ამის ფონზე მუდამ მაკვირვებდა მისი სტალინელობა.

ბოლოს გამომცემლობა „სამშობლოში“ ვალერი კვარაცხელიასთან ერთად ჰქონდა ერთი ოთახი. ერთხელაც გამომცემლობის დერეფანში შემხვდა და მიმიწვია მათ ოთახში. ბატონი ვალერიც იქ იყო.

ბატონმა ვახტანგიმ უჯრა გამოაღო და იქიდან გამოიღო მისი ახალგამოცემული წიგნი – „სტალინი“ და დაიწყო წარწერის გაკეთება, თან თავისთვის ლაპარაკობს: რამდენი მთხოვს ამ წიგნს და ვერ ვჩუქნი, მიშა ამ წიგნს, ალბათ, არც წაიკითხავს, მაგრამ მაინც ვჩუქნი, რადგანაც დიდ პატივს ვცემ.

ამის შემდეგ ბატონი ვახტანგი აღარ მინახავს. ის 2007 წელს გარდაიცვალა.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობდა ბევრის მნახველი, გამოკვეთილი ანტისაბჭოელი და ნიჭიერი ფილოსოფოსი ჟორეს (გიორგი) ცინცაძე. ის „ყბედობისა“ თუ „ლაყბობის“ (ასეთებად ხასიათდებონენ საბჭოთა ეპოქაში ისინი, ვისაც ეროვნული პრობლემები აწუხებდათ) გამო დააპატიმრეს და 10 წელი ციმბირში გაატარა.

ბატონი ჟორესი საინტერესო მოსაუბრე იყო. არ ერიდებოდა საბჭოთა სისტემისა და კომუნისტების კრიტიკას. გულს რომ იჯერებდა, ახალგაზრდებს გადმოგვხედავდა და მკაცრი ტონით გვეტყოდა: „– თქვენ, თქვენ კომუნისტებმა დაღუპეთ ეს ქვეყანა“.

ერთხელაც, ბატონი ჟორესის მხრიდან მორიგი ასეთი შემოტევის შემდეგ, ვუთხარი, რომ მე არასოდეს ვყოფილვარ კოპარტიის წევრი. ამას იგი არ ელოდა, თავი ჩაღუნა და ჩაფიქრდა. მერე თავი აწია და ოდნავ გაბზარული ხმით მითხრა:

„– პარტიაში რომ არ იყავი, სწორედ ამით იყავი პარტიული!“

ამ ფრთიან გამონათქვამში არის გარკვეული სიმართლე თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ პარტიულებიც და უპარტიოებიც იმ სისტემაში ვიყავით ჩამოყალიბებული.

ეს ეპიზოდი მაშინ ერთ ჩემს საგაზეთო წერილში აღვწერე, თუმცა ბატონი ჟორესის სახელი არ მიხსენებია. მან წერილის ეს პასაჟი მოიწონა, მაგრამ მისაყვედურა რატომ არ მახსენეო.

* * *

„ლაყბობისა“ და „ყბედობისთვის“ (ეროვნული საკითხებისადმი ინტერესი, პატრიოტიზმი) საბჭოთა პერიოდში ვინ მოთვლის რამდენი გაუციმბირებიათ.

ერთი ასეთი გაციმბირებული ჩვენი კოლეგა გვიყვებოდა, რომ გადასახლებაში დიდად აწუხებდა თავისი ფილოსოფიური ლიტერატურის ბედი. მას დედისგან „დამამშვიდებელი“ წერილი მიუღია, სადაც ეწერა, რომ ოჯახში მივიდა მათი ახლობელი და წიგნები გადაარჩია, გადასაყრელი მოიშორა და საჭირო შეგვანახინაო. გაციმბირებულს თავში შემოუკრავს ხელი.

გადასახლებიდან დაბრუნებულის ეჭვი გამართლდა: ხელუხლებლად დახვედრია მარქსისტული ლიტერატურა, ხოლო ნიცშე, ფროიდი, შპენგლერი და სხვა მისთანანი, როგორც არა საჭირო და საშიში, მის კეთილისმსურველს მოუშორებია.

* * *

დიდ გერმანელ ფილოსოფოსს – იმანუელ კანტს ორი რამ აკვირვებდა:

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და სინდისის ძახილი საკუთარ თავში.

კანტის მსგავსად, ჩემ უფროს კოლეგას – ანზორ ბრეგაძესაც ორი რამ აკვირვებდა: ერთი ჩვენი, ხისტი და საკმაოდ მოუხეშავი კოლეგის შოფრობა (მით უმეტეს, რომ საკმაოდ გვიან ასაკში დაეუფლა მანქანის მართვას) და, ასევე, ჩვენი უაღრესად კეთილშობილი და წყნარი კოლეგის სხეულზე უამრავი სვირინგი

მეც ბევრი რამ მაკვირვებს, მაგრამ კანტისა და ანზორ ბრეგაძის მსგავსად მათგან ორს გამოვარჩევ: ზვიად გამსახურდიას ჩამომგდებთაგან ზოგიერთი ახლა ისეთ ბულბულის ცრემლებს ღვრის, ეჭვი გამიჩნდა – მე ხომ არ ჩამოვაგდე საქართველოს პირველი პრეზიდენტი! მეორეც, საბჭოთა წყობილების ჩამოშლის შემდეგ ეკლესიას ისე მიაწყდნენ ათეისტები და საბჭოთა იდეოლოგიის მსახურნი, რომ დავეჭვდი – ადრე მე ხომ არ ვიყავი ათეისტი და კომუნისტური წყობილების იდეოლოგი.

* * *

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის როგორც იქნა დასრულდა უმაღლესი საატესტაციო კომისიის მორიგი რეორგანიზაცია და რიგში მდგომებს გრაფიკის დაცვით მოგვეცა დისერტაციების დაცვის უფლება. 1989 წლის 19 მაისს შედგა ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვა. ორი კვირის შემდეგ კი ლოგიკოსის, კიბერნეტიკოსისა და რუსთველოლოგის – ბატონი შალვა ადეიშვილის სადოქტოროს დაცვა, რომელიც ამ დროისთვის უკვე 87 წლის იყო.

იმ დროს დისერტაციის დაცვა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა. დაცვა ძალაში შედიოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მას დაამტკიცებდა უმაღლესი საატესტაციო კომისია (ВАК-ი) მოსკოვში. იშვიათი გამონაკლისის გარდა, საუკეთესო შემთხვევაში დისერტაციების დამტკიცებას 8-10 თვე სჭირდებოდა.

იმის მიუხედავად, რომ ზაფხულის არდადეგები იყო და კომისია ისვენებდა, ბატონ შალვას დისერტაცია სექტემბრის მეორე ნახევარში დაუმტკიცეს, რაც საკმაოდ მოულოდნელი იყო. თუმცა, სასიამოვნო ფაქტი.

ბატონი შალვა ადეიშვილი ცხოვრებაში გაწვალებული და ამდენად გაღიზიანებული იყო, მაგრამ სხვას არაფერს უშავებდა. ის ჩემდამი კეთილად იყო განწყობილი, რამდენიმე უნიკალური გამოცემაც მაჩუქა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიც იყო, რომ მის რუსთველოლოგიურ ნაშრომზე,

რომელიც მომეწონა, დადებითი რეცენზია დავწერე. გაუგებარ საფუძველზე აღმართული ბარიერების გამო, ეს ნაშრომი მაინც არ დაბეჭდეს.

ჰოდა, უკვე დისერტაცია დამტკიცებული ბატონი შალვა მხვდება და მეკითხება ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ბედზე, შემდეგ მამშვიდებს და თან დასძენს: „მართალია შენი ნაშრომიც კარგია, მაგრამ მასში ახალი იდეები საძებნია, მაშინ როცა, ჩემი ნაშრომის ყველა გვერდი სავსეა ახალი იდეებითო“.

* * *

ევროპული დონის ქართველი ფილოსოფოსის ზურაბ კაკაბაძის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უკავია თანამედროვე საზოგადოების სულიერ კრიზისებს, გაუცხოების პრობლემას, ტექნოკრატიული მსოფლმხედველობის კრიტიკას, კულტურისა და ცივილიზაციის მიმართებას და სხვა. მისი მთავარი აზრი არის ის, რომ თუკი ტექნიკის განვითარება კულტურის კონტროლიდან გავა, მაშინ ადამიანში ადამიანური აღარაფერი დარჩება.

კაკაბაძე ამ აზრებს 40-50 წლების წინ გამოთქვამდა, როცა ჯერ კიდევ არ იყო კომპიუტერი, მობილური ტელეფონი და ტექნიკის სხვა მიღწევები. დღეს ტექნიკის ამ მიღწევებმა ლამის წალეკოს ადამიანი და ყოველგვარი ადამიანური.

ამ ჩანაწერის გაკეთების მიზეზი კი გახდა დღევანდელი ყოფისთვის ერთობ დამახასიათებელი და ჩვეულებრივ მოვლენად ქცეული ერთი ასეთი შემთხვევა: სასტუმროს ვესტიბიულში ხუთი პარლამენტარია სავარძლებში. საუბრობენ ერთმანეთში, ხუმრობენ და იცინიან. ხელში ყველას მობილური უჭირავს. ამ საუბარ-ხუმრობისას ისე არიან მიჯაჭულნი მობილურს, რომ თავისავე დასმულ კითხვაზე პასუხსაც კი არ ელოდებიან, ისევ მობილურს მისჩერებიან, ასე უსასრულოდ. კაკაბაძესთან ერთად უნებლიეთ „ალავერდობაც“ გახსენდება, გინდ ფილმი და გინდ მოთხრობა. ვის როგორ, მაგრამ ეს ორი მოვლენა თავისი უაზრობითა და უსაზრისობით ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან.

ფილოსოფიის ინსტიტუტზე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტს, რომელიც 1997 წლიდან ფაქტობრივად მისი სახის მიმცემის სავლე წერეთლის სახელს ატარებდა, დიდი და სახელოვანი ტრადიციები აქვს. აქ, გარდა ფუნდამენტური კვლევებისა, ადგილი ჰქონდა ისეთ არაორდინალურ შემთხვევებსაც, რაც ჩვეულებრივი ამბავია იქ, სადაც გამოჩენილი თუ რიგითი მოკვდავები იღვწიან. სწორედ ამ მოვლენებზე გვექნება საუბარი წინამდებარე მონაკვეთში.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტს არსებობის მანძილზე არაერთი შეტევა მოუგერიებია. ერთ-ერთი ასეთი შეტევა დაიწყო მას შემდეგ, რაც საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ედუარდ შევარდნაძე. ახალმა კაცმა ახალი წესრიგის დამყარება დაიწყო და მალე მიზანში ამოიღეს ფილოსოფიის ინსტიტუტი. შეიქმნა კომისია, რომელმაც ინსტიტუტს მრავალი „ნაკლი“ აღმოუჩინა. კომისიამ საბოლოო დასკვნები ინსტიტუტის საერთო კრებას უნდა გააცნოს. ამას კი, საყოველთაო აზრით, დირექტორის შეცვლა უნდა მოყვეს და მისი ადგილი უნდა დაიკავოს ცკ-ის სასურველმა პიროვნებამ.

სინამდვილეში ეს იყო ცკ-ის გამსვლელი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა იდეოლოგიის დარგის განყოფილების გამგე, აკად. ემილ სეხნიაშვილი.

სხდომა მცირე ინცინდენტით დაიწყო. პოეტ-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, რომელიც მაშინ აკადემიის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი იყო, იქ არ დაჯდა, სადაც უნდა დამჯდარიყო. მას სთხოვეს, რომ სტატუსიანი სტუმრების გვერდით დაეკავებინა ადგილი. მან კი უპასუხა: „აქედანაც კარგად ვხედავ ყველაფერსო“.

აქ კი ინსტიტუტის დირექტორმა – ნიკო ჭავჭავაძემ ისარგებლა „სატოპკე“ სიტუაციით და მოკლე რეპლიკა ესროლა აბაშიძეს – „თქვენ საერთოდ ყველა ადგილიდან კარგად ჩანხართ“. უხერხული სიტუაცია მალე განიმუხტა, რადგანაც მთავარი საქმე დაიწყო.

რაც შეეხება რეპლიკას, ირაკლი აბაშიძის ფიზიკური სიმაღლისა და საზოგადოებაში მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, იგი აღიქმებოდა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მნიშვნელობით.

ეს სხდომა „ჩანაწერების“ ჟანრისთვის კიდევ ერთი მომენტით არის საინტერესო. როცა სხდომის წამყვანს გაუჭირდა დარბაზის დაშოშმინება, რამდენიმეჯერ მძლავრად დაჰკრა ტორი მაგიდას. აქ კი, მოთმინების ფიალა აევსო ერთ ჩვენს თანამშრომელს და შეუტია შემდეგი სიტყვებით: „ასე გვიბრახუნებდა ხელებს ბალავაძე, მაგრამ ჩვენ აგერ ვართ და ის კაცმა არ იცის სად“.

ბალავაძე იდეოლოგიის დარგში ცკ-ს მდივანი ყოფილა იმ დროს, როცა ინსტიტუტის დირექტორი იყო სავლე წერეთელი. ის თავის კაბინეტში ლამის ფიზიკურად შეხებია ბატონ სავლეს – ამ ღვთისნიერ პიროვნებას. ამასთან, უთქვამს – რა გახდა ბოლოს და ბოლოს ეს ჰეგელი, მომიტანეთ მისი წიგნი და ხვალვე გეტყვით ჩემს აზრსო.

მაშინ სავლე წერეთელი მოხსნეს ინსტიტუტის დირექტორობიდან. არ ვიცი როდის, მაგრამ მალე ბალავაძეც მოუხსნიათ დაკავებული თანამდებობიდან.

* * *

ერთხანს, როცა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი სავლე წერეთელი იყო, მეცნიერებათა აკადემიაში კვლევითი ინსტიტუტების შემცირების საკითხი დადგა. შესამცირებელთა რიცხვში აღმოჩნდა ფილოსოფიის ინსტიტუტიც. აკადემიაში ამის თაობაზე გამართულა დისკუსია და თითქმის გადაწყვეტილა, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტი შესამცირებელთა რიცხვში უნდა დარჩენილიყო.

ბოლოს სიტყვა აუღია სავლე წერეთელს. მან აღნიშნა, რომ პირველი აკადემია ფილოსოფოსმა პლატონმა დააარსა და რამდენად გამართლებული იქნება აკადემიის სისტემაში ფილოსოფიის ინსტიტუტის გაუქმება.

ძნელია იმის თქმა – რამდენად იმოქმედა ბატონი სავლეს გამოსვლამ აკადემიის მესვეურებზე, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მაშინ ფილოსოფიის ინსტიტუტი არ გაუუქმებიათ.

* * *

საბჭოთა ეპოქაში ფილოსოფიის ინსტიტუტი საქართველოში სხვანაირად მოაზროვნეთა (არ ვიტყვი დისიდენტთა) ერთგვარი თავშესაფარი იყო. სწორედ ამ მიზეზით, ინსტიტუტში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ არა მხოლოდ ფილოსოფოსები, არამედ სხვა პროფესიის ადამიანები, რომელთათვისაც სხვაგან დახშული იყო კარები. აი მათი არასრული სია: ჟორეს (გიორგი) ცინცაძე, ნოდარ ნათაძე, მიშა ნანეიშვილი, სპარტაკ ცინცაძე, მერაბ მამარდაშვილი...

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტი ისე ცხოვრობდა, როგორც სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. თუმცა, შიგადაშიგ ზოგიერთი თანამშრომელი წუხდა იმის გამო, რომ ინსტიტუტი მეორე კატეგორიის იყო და ამის შესაბამისად თანამშრომელთა ხელფასები შედარებით უფრო დაბალი.

ერთხელაც მორიგი ასეთი ჩივილებისას თავი გამოიდო პროფესორმა აკაკი ციმინტიამ და მოუწოდა კოლეგებს ჩუმად ყოფილიყვნენ. თუ რატომ, ეს მარტივად ახსნა: „აქ ჩვენ ხელისუფლების კრიტიკის გარდა, არაფერს ვაკეთებთ და ამაში გვიხდის მთავრობა ფულს. თუ ნამეტანს ვიზამთ, ერთხელაც იქნება სულაც გაგყვრიან აქედან“.

პროფესორ ციმინტიას ამ სიტყვებში ნამდვილად იყო სიმართლის მარცვალი!

* * *

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე სიტყვა ითხოვა აკაკი ციმინტიამ. მან აღნიშნა, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბოლო ხანებში ქართველმა ფილოსოფოსებმა, განსაკუთრებით ფილოსოფიის ინსტიტუტში. უკვე დადგა დრო, რომ დავაყენოთ საკითხი ჩვენი ნაშრომების უცხო ენებზე თარგმნის თაობაზეო. სხდომაზე დროებით სიჩუმემ დაისადგურა. მხოლოდ სახის გამომეტყველებით ძნელი იყო იმის გარკვევა – თუ ვინ რას ფიქრობდა ბატონი აკაკის ამ წინადადებაზე. სიჩუმე ფილოსოფიაში უპრეტენზიო ტიმოთე მეტრეველმა დაარღვია: „დაჯედი (ამ სიტყვას ბატონი ტიმოთე მუდამ რაჭული ვარიანტით გამოთქვამდა) ქაქუცა (ბატონ აკაკის თავდაპირველად სწორედ ეს სახელი რქმევია) ძლივს გადმოვთარგმნეთ უცხოურიდან, ახლა რომ ჩვენი გვგონია და ეს დამახინჯებული ტექსტები იქით რომ გადავთარგმნოთ, რას იტყვიან იქ – ამ ავტორების სამშობლოში?“

რა დოზით იყო სიმართლე ბატონი ტიმოთეს სიტყვებში ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, ამის შემდეგ ეს საკითხი აღარავის დაუყენებია და არც არავის გახსენებია.

* * *

ბატონი აკაკი ციმინტია სიახლის მაძიებელი მეცნიერი იყო, მუდამ ორიგინალურობაზე ჰქონდა პრეტენზია. ერთხელაც დიდი ამბით გვამცნო, რომ შეიმუშავა ახალი თეორია ფილოსოფიაში და მას უწოდა – „რინოლოგია“. რამდენადაც მახსოვს ეს თეორია ბატონი აკაკის აზრით, არსის, ყოფიერების საკითხებს შეისწავლიდა.

არ იყო დიდი დრო გასული და ლექსიკონში შემთხვევით წავაწყდი რინოლოგიის განმარტებას, კერძოდ: რინოლოგია ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და არის ოტორინოლარინგოლოგიის ნაწილი, შეისწავლის ცხვირის დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდებს. პირველსავე შეხვედრაზე ამის შესახებ ვუთხარი ბატონ აკაკის. მაშინ მან ცოტა ეჭვით შემომხედა და დამშორდა.

რამდენიმე დღეში ბატონმა აკაკიმ საგანგებოდ მომძებნა და მადლობა მითხრა, რომ თავიდან ავაცილე უხერხულობა, თანაც ღიმილით აღნიშნა: „როგორც ჩანს, იცოდნენ ჩემი ცხვირის ამბავიო“. ბატონ აკაკის გამოკვეთილად ქართული კეხიანი ცხვირი ჰქონდა. იქვე დასძინა: „უკვე მოვიფიქრე ახალი სათაური და ეს არის ეინოლოგია“. რამდენადაც მახსოვს ამ სათაურით ნაშრომიც გამოაქვეყნა ბატონმა აკაკიმ.

* * *

ქართველ ფილოსოფოსთა „ოქროს თაობის“ შესანიშნავ წარმომადგენელს, მაღალი დონის ფილოსოფოსსა და პიროვნებას, თამაზ ბუაჩიძეს მძიმე ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი. 1937-ში მამა დაუხვრიტეს, დედა კი 10 წლით გადაასახლეს. გადაასახლეს, აგრეთვე, მისი უფროსი არასრულწლოვანი ძმა. ძმას გადასახლებაში 16 წელი როცა შეუსრულდა, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

ბატონი თამაზი წლების განმავლობაში ატარებდა „ხალხის მტრის“ შვილის მძიმე იარლიყს. მას, როგორც „ხალხის მტრის“ შვილს ნება არ დართეს ჩაებარებინა ასპირანტურაში. ისიც გამიგონია,

რომ მაშინ თამაზ ბუაჩიძე დაუბეზღებია, სადაც ჯერ არს, მისი თაობის ახალგაზრდას, რომელიც შემდეგ პროფესორი გახდა და მაღალ თანამდებობებსაც იკავებდა.

თვითონ ამის თაობაზე ბატონი თამაზი არაფერს ამბობდა.

თამაზ ბუაჩიძე არაერთი საეტაპო ფილოსოფიური ნაშრომის ავტორი იყო. ის 2001 წლის ნოემბერში კათედრასთან მყოფი გარდაიცვალა მაშინ, როცა აუდიტორიას ზნეობრივი ქცევის კრიტერიუმის ორიგინალურ თვალსაზრისს აცნობდა.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტის ნამდვილი კოლორიტი იყო რომან შენგელია (1932-1999), ნიჭიერი ფილოსოფოსი, ესთეტიკოსი, არაერთ თავგადასავალგამოვლილი კაცი. გაგანია საბჭოთა ხანაში – გასული საუკუნის 60-იან წლებში, მეჯვარედ გაჰყოლია ახალგაზრდა კოლეგას. გამხელილა ეს საქმე და ამტყდარა ერთი ამბავი. დაუბარებია ბატონი რომანი ინსტიტუტის დირექტორს, დიდ ფილოსოფოსსა და დიდ პიროვნებას სავლე წერეთელს (1907-1966), მიუცია კალამი, ფურცელი და უთქვამს მისთვის: დაწერე განცხადება ინსტიტუტიდან წასვლაზე, თორემ მე თუ გაგიშვი არსად აღარ მიგიღებენო.

ბატონი სავლე, ეს მთასავით კაცი დადგომია თავზე რომანს და მასაც რა უნდა ექნა, დაუწყია განცხადების წერა. პირველი წინადადება არ ჰქონია დამთავრებული და დირექტორი მისთვის დამახასიათებელი ცხვირში დუდუნით ეუბნება: „მოიცადე, მოვიფიქროთ რამე“.

რამდენიმე დღეში დირექტორმა მოიფიქრა ის, რომ ურჩი და „დამნაშავე“ შენგელია დატოვა ინსტიტუტში, სადაც ის მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

* * *

ტიმოთე მეტრეველი იურისტი იყო, საკანდიდატო დისერტაციაც იურისპრუდენციაში ჰქონდა დაცული. ოჯახი არ ჰქონდა, ერთი ხანობა ავტობუსებსა და ტროლეიბუსებში ათენებდა უბინაობის გამო. ბოლოს მისცეს ბინა. ხშირად ნახავდი ქუჩაში გუდასტვირით, იშვიათად ინსტიტუტშიც. იყო უაღრესად კეთილშობილი პიროვნება. როცა გარდაიცვალა რაჭის შორეულ სოფელში, გასვენებაზე ნახევარი ინსტიტუტი ჩავიდა.

ბატონ ტიმოთეს ფილოსოფიაში პრეტენზია არ ჰქონდა, მაგრამ მახვილი აზრების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა. სწორედ მან მოახდინა რეაგირება აკად. სეხნიაშვილის მუშტის ბრახუნზე და ცკ-ის ერთი მდივნის ხვედრიც გაახსენა. ტიმოთე მეტრეველი იყო, ვინც უცხო ენაზე ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომების გადათარგმნის იდეა გააქილიკა.

ტიმოთე მეტრეველი ხშირად თამაშობდა შაშს და თამაშის დროს უხვად აფრქვევდა ბილწსიტყვაობის ნიმუშებს, მით უმეტეს, როცა აგებდა. ამიტომაც, როცა ის თამაშობდა გართობის მოყვარულთა სიმრავლე იყო მოპაექრეთა მაგიდასთან.

ერთხელ ტიმოთე მეტრეველმა ძალიან მაგარი სვლა გააკეთა და შაშის პარტიაც მოიგო. რომან შენგელიას, ვინც ძალიან ძუნწი იყო შექებაში, აღტაცებულ და გაოცებულ კითხვაზე – ეს როგორ, როგორ..? ბატონმა ტიმოთემ ფილოსოფიის ბევრ პროფესორს რომ შეშურდებოდა ისე უპასუხა: „აბსოლუტი(ე.ი. ღმერთი) რომ მჟღავნდება, ამბობს როგორ ვმჟღავნდებიო?“

* * *

ბატონი გიორგი ჯიბუტი ჭადრაკის დიდი ტრფიალი იყო და ინსტიტუტში, ოთარ ტაბიძის შემდეგ, საუკეთესო მოჭადრაკედ ითვლებოდა. ასევე, დიდად უყვარდა ჭადრაკი ინსტიტუტის თანამშრო-

მელს, ცნობილ ლიტერატორსა და საზოგადო მოღვაწეს რეზი (რევაზ) თვარაძეს. ბატონი გიორგი და ბატონი რეზი ხშირად ეპაექრებოდნენ ერთმანეთს და იშვიათი გამონაკლისის გარდა, გამარჯვებული გამოდიოდა ბატონი გიორგი. მოპაექრეები ზოგჯერ სვლის დაბრუნების თაობაზე კამათობდნენ.

ერთხელაც მათი პაექრობისას ბატონმა რეზიმ სრულიად მოსაგები პოზიცია მიიღო, ბეჭებში გაიმართა, ხელები მოიფშვნიტა და ბატონ გიორგის მიმართა – თუ გაკეთებულ სვლას არ დააბრუნებდა ერთ სვლაში შამათი ელოდა. ბატონმა გიორგიმ სათვალეების ქვემოდან ამოხედა მეტოქეს, ცოტა ხანს უყურა და ორი თუ სამის წლის წინანდელი ამბავი გაახსენა, როცა მსგავს სიტუაციაში ბატონ რეზის სვლა არ დაუბრუნებია მისთვის. ამაზე ცალკე იკამათეს, ვიდრე მე ჩავერეოდი საქმეში. მე ვურჩიე ბატონ გიორგის ნუ დაიბრუნებდა სვლას.

არა, ამ სვლას კი ვიბრუნებ, მტკიცედ თქვა ბატონმა გიორგიმ და ის შეღავათი მიიღო, რომ ერთის ნაცვლად, სამ სვლაში დამარცხდა.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტში ვარ მისული მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირის რანგში. რატომღაც კოლეგების წრეში პარალელები დაიწყო სოკრატესა და ჩემს შორის, რომ ორივე ოთხი შვილის მამა ვიყავით, თავი იმასაც დიდი ჰქონდა და მეც და სხვა. მე იქვე დავამატე, რომ სოკრატეს იმ თავში განსაკუთრებული აზრები უტრიალებდა.

უმცროსმა კოლეგამ – ნუკრი ბარათელმა იქვე შენიშნა: სამაგიეროდ, თქვენგან განსხვავებით, სოკრატეს ქსანტიპა ჰყავდა ცოლად, სისხლს რომ უშრობდა დიდ ფილოსოფოსს.

ეხ, ჩემო ნუკრი, ყველა მამაკაცს სახლში, რაღაც მომენტში მაინც, თავისი ქსანტიპა ჰყავს. ამით მოვრჩით კიდეც უადგილო პარალელებს.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტში მოღვაწეობდა არაორდინალური პიროვნება, კარგი ფსიქოლოგი და შესანიშნავი საჭადრაკო ეტიუდისტი ოთარ ტაბიძე. მისი საჭადრაკო ეტიუდები არაერთხელ ყოფილა ევროპულ კონკურსებზე. აკად. ანგია ბოჭორიშვილის გარდაცვალების შემდეგ ხელმძღვანელობდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილებას. სამწუხაროდ, ნაადრევად გარდაიცვალა 1986 წელს.

ბატონი ოთარი, რომ იტყვიან ნადირობის ტრფიალი იყო. როგორც ეს მონადირეებს სჩვევიათ საერთოდ, ისიც უცნაურ და დაუჯერებელ ამბებს ყვებოდა.

ერთხელ ინსტიტუტის თანამშრომლებს უყვებოდა, რომ ორმოცი გასროლით ოცდაჩვიდმეტი მწყერი მოკლა. თუმცა ნადირობის არაფერი გამეგება, იმდენს მაინც ვხვდებოდი, რომ მონათხრობს არაფერი ექნებოდა საერთო სიმართლესთან. ალბათ, სხვებიც ასე ფიქრობდნენ, მაგრამ ბატონი ოთარისგან ასეთ რამეებს შეჩვეული იყვნენ და არც არავინ შეკამათებია. თურმე ჯერ სადა ხარ. მცირე პაუზის შემდეგ მან ვითარება უფრო „ნათელი გახადა“:

„ხომ არ გგონიათ ის სამი ტყვია დავაცილე? სამი დუპლეტი ვისროლე!“ ესე იგი, სამი მწყერიდან თითოეულს ერთდროულად ორ-ორი ტყვია დავახალეო...

ბატონი ოთარი ერთხელ ასეთ ამბავსაც მოგვიყვა. გალაკტიონი გავიცანი და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ მომიწია მასთან შეხვედრა. ხელში საგანგებოდ შეხვეული რაღაც მიჭირავს. შევატყვე გალაკტიონს არ მოსწონს სიტუაცია. ამაში კაი მოხარშული დედალია და სადმე დუქანში შევიდეთ-მეთქი. მხრებზე ხელი მომითათუნა და შემაქო – კაი ბიჭი ყოფილხარ, რაღას ვუცდით წავიდეთო. იქვე დასძინა, ვიფიქრე ამ შეკვრაში ლექსები ხომ არ აქვსო...

* * *

1976 წელს გარდაიცვალა ნიჭიერი ფილოსოფოსი, ყოველმხრივ შემკული პიროვნება, სავლე წერეთლის მოწაფე და მიმდევარი გაბრიელ ბაჩულაშვილი (1926-1976). ის ახმეტის რაიონის ზემო ალვანიდან იყო. ბატონი გაბრიელი მის მშობლიურ სოფელში წაასვენეს.

დასაფლავებაზე ოთარ ტაბიძე ცოტა მოგვიანებით ჩამოვიდა საკუთარი მანქანით. დაგვიანების მიზეზი ახსნა იმით, რომ გომბორით წამოვიდა, გზის ერთ მონაკვეთზე გაჩენილი ნაპრალის გამო მოძრაობა გაძნელებული იყო და ამიტომაც დააგვაგვიანდაო.

მესამე დღეს, ინსტიტუტის ტრადიციული „სამშაბათობის“ დაწყებამდე, თანამშრომელთა ერთ ჯგუფს ბატონი ოთარი უყვება: იქითობას რომ გზაზე ნაპრალი იყო, აქეთობას ნაპრალი გაფართოებულიყო, დროზე შევნიშნე და სიჩქარის მაქსიმალური მომატებით მანქანით გადმოვახტი ამ ნაპრალს. შემდეგ მანქანა გავაჩერე და ნაპრალის სიგრძე გავზომე, არც მეტი, არც ნაკლები – 12 მეტრი იყო, დაბეჯითებით და წარბშეუხრელად აღნიშნა.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტში ბოლო ათი წელი (1980-1990 წწ.) დაჰყო ევროპაში ყველაზე აღიარებულმა ქართველმა ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა. მის შესახებ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა ჩვენში. სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, არც თუ იშვიათად ისეთებიც, წარმოდგენაც რომ არა აქვთ ფილოსოფიაზე, ხშირად ასეთ კითხვას სვამენ – რა თქვა მან ახალი ფილოსოფიაში. რაც არ უნდა უთხრა და უმტკიცო, მაინც თავის აზრზე რჩებიან. აღარაფერს ვამბობ მის მასონობაზე, ჯაშუშობაზე, რუსეთის სპეცსამსახურების აგენტობაზე და ა. შ.

ბოლო ხანებში ბატონი მერაბის დასაცავად ერთ ხერხს მივაგენი, რაც ჯერჯერობით კარგად მუშაობს. მავანთა მხრიდან ამ ყბადაღებულ კითხვას, ვაგებებ კითხვას: რა გააკეთა ახალი კანტმა, მეორე შემთხვევაში – ნიცშემ, მესამეში – ჰაიდეგერმა და ა.შ. შეკითხვის ავტორებს, როგორც წესი, პასუხი არა აქვთ და სახტად რჩებიან. ამით ეს უსიამოვნო თემაც ქრება.

* * *

1996 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში დაიწყო კამპანია ინსტიტუტისთვის მისი სახის მიმცემის სავლე წერეთლის სახელის მინიჭების თაობაზე. გამოჩდნენ მოწინააღმდეგეებიც. პროცესი რამდენიმე თვეს გაგრძელდა და საბოლოოდ ინსტიტუტს მიენიჭა სავლე წერეთლის სახელი.

ეს ყოფილა პირველი შემთხვევა, როცა კვლევით ინსტიტუტს მიენიჭა იმ მეცნიერის სახელი, რომელიც არ ყოფილა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ან წევრ-კორესპონდენტი.

მეამაყება, რომ სერგი ავალიანთან და თამაზ ბუაჩიძესთან ერთად, ამ საქმეში გადამწყვეტი წვლილი მიმიძღვის.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტი არასოდეს განიცდიდა ინტელექტუალების ნაკლებობას. ამის მიუხედავად, მერაბ მამარდაშვილის მოსვლით რაღაც ახალმა სიომ დაბერა. უპირველესად გაჩნდა მეტი პასუხისმგებლობა მოხსენებების გაკეთებისას, რადგან ბატონი მერაბი არ ცნობდა ავტორიტეტებს, ასაკს და ა. შ. მისთვის ხომ მთავარი ჭეშმარიტება იყო. კარგად არის ცნობილი – თუ რა ამბავი ატყდა

მისი მოსაზრების – „ჭეშმარიტებას სამშობლოზე მაღლა ვაყენებ“ გამო. ასევე, იყო მისი როლი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. აღნიშნულის რამდენიმე მაგალითს მოვიყვან.

ინსტიტუტში რენესანსის საკითხებზე მოხსენებას აკეთებდა შალვა ხიდაშელი. ის ამ თემაზე საქართველოში ლამის ხელშეუხებელი ავტორიტეტი იყო. მოხსენების მსვლელობისას, რომელიღაც საკითხის დასაზუსტებლად ჩაერთო ბატონი მერაბი. ეს ჩართვა შემდეგ ცხარე პოლემიკაში გადაიზარდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მომხსენებელსა და მოკამათეს ერთმანეთის არ ესმოდათ. ცხადად იგრძნობოდა, რომ ბატონი შალვა ამ დისკუსიით უკმაყოფილო იყო.

ამ ამბიდან მალე შალვა ხიდაშელის დაბადებიდან 75 წლისთავის საიუბილეო საღამო იყო. ის ფიქრობდა დაეპატიჟებინა თუ არა საიუბილეო ვახშამზე მამარდაშვილი. ბოლოს ამის თაობაზე ჩემი აზრით დაინტერესდა, მე ვურჩიე დაეპატიჟებინა. იმ საღამოს ისინი ისე მოეფერნენ ერთმანეთს, რომ ბატონი შალვა ბოლომდე იხსენებდა ამ ფაქტს.

* * *

დისკუსიებში დაუნდობელი მერაბ მამარდაშვილი საოცრად თბილი და კეთილშობილი იყო ადამიანურ ურთიერთობებში...

ერთხელ რაიკომმა საძინებელი გარნიტური გამოუყო ფილოსოფიის ინსტიტუტს. შეძენის მსურველთა შორის მეც ვიყავი. როცა დირექტორის მოადგილის კაბინეტში ამ თემაზე იყო მსჯელობა, ზოგიერთ თანამშრომელს განცხადებაში ცოტა უტაქტობა გამოეჩინა. ეს რომ მოვისმინე მე უარი განვაცხადე კენჭისყრაში მონაწილეობაზე. მთელი საუბრის განმავლობაში ბატონი მერაბი კუთხეში იჯდა და თავის ჩიბუხებს „აწვალებდა“. მე წამოვედი, მაგრამ დერეფანში თანამშრომელი წამომეწია და მითხრა – ბატონი მერაბი გთხოვსო.

მან მითხრა, რომ დიდ პატივს მცემს, მაგრამ აზრს შეიცვლის თუ მე განცხადებას გავიტან. იქვე დასძინა: „ვირეშმაკობა არავის უნდა გავატანინოთ“. მაშინ არც ისე პატარა ვიყავ, მაგრამ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ბევრი რამ ახლებურად გავიგე...

1989 წლის 19 მაისს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია იმის მიუხედავად, რომ იგი 9 აპრილის ტრაგედიის მე-40 დღეს დაემთხვა, დაცვამ ექსცესების გარეშე ჩაიარა. მერაბ მამარდაშვილი საბჭოს წევრი იყო, მაგრამ დაცვას ვერ ესწრებოდა ამერიკაში ყოფნის გამო. საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა მისაყვედურა – თუ რატომ არ ჩავაყენე საქმის კურსში, თუკი დაცვა მქონდა.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ბატონ მერაბთან ახლო ურთიერთობის არქონის მიუხედავად, ვითარებისდა მიხედვით, მისგან ყურადღებას მუდამ ვგრძნობდი.

* * *

1990 წლის სექტემბერი იყო, როცა ბატონ მერაბზე პასკვილი გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“. ინსტიტუტში სულ რამდენიმე კაცი იყო, რომლებიც შეცბუნებული ლაპარაკობდნენ ამ უმსგავსოებაზე. ამ დროს ფანჯრიდან დავინახეთ თუ როგორ ნელა მოემართებოდა რუსთაველზე, ფოსტა-ტელეგრაფის შენობის წინ, ბატონი მერაბი. მაშინ ფილოსოფიის ინსტიტუტი იმელის შენობაში იყო მეოთხე სართულზე. მე გამოვედი დირექტორის მოადგილის ოთახიდან და კიბის თავზე დაველოდე ბატონ მერაბს. მძიმედ ამოდიოდა, სვენებ-სვენებით. უხასიათოდ მომესალმა. ამ დროს თამაზ ბუაჩიძეც გამოვიდა, შემდეგ – სხვებიც. ბატონმა მერაბმა მისთვის დამახასიათებელი პოზა მიიღო – ერთი ხელი კეფაზე შემოიდო და წყნარად თქვა; „ასეთი რამ რომ იწერება, ეს არაფერი, მაგრამ, როცა ქვეყნდება, ეს ტრაგედიაა“.

დიდხანს აღარ გაჩერებულა და ეს აღმოჩნდა მისი ბოლო მოსვლა ინსტიტუტში. მალე ის წავიდა ამერიკაში და შემდეგ იქიდან დაბრუნებულის ტრაგიკული აღსასრული მოსკოვში, ვნუკოვოს აეროპორტში.

* * *

1977 წელი იყო. ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე, სადაც ცოტა მოგვიანებით შევედი, გარედან მოსული სტუმრის სტატიას იხილავდნენ ჟურნალ „მაცნეს“ ფილოსოფიის სერიაში გამოსაქვეყნებლად. სტუმარი ხანშიშესული და ტანმორჩილი იყო, მორიდებულად ლაპარაკობდა და თანაც ლამის იმუდარებოდა, რათა მისი სტატიის გამოქვეყნებაზე მხარი დაეჭირათ. განხილვისას სტატიამ და მისმა ავტორმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ამის მიუხედავად, სტუმარი უარით გაისტუმრეს. როცა სხდომის წამყვანი მარტოდ დარჩა, მასთან შევედი და ჩემი გაკვირვება გამოვხატე.

პასუხად მივიღე, რომ ეს პეტრე შარიაა, რომელიც სისხლს უშრობდა ჩვენ მასწავლებლებს იდეოლოგიური ბრალდებებით.

რამდენიმე დღეში ამ ამბავისა და ჩემი გაკვირვების შესახებ უნივერსიტეტის ერთ ცნობილ ფილოსოფოსს ვუამბე. მისი პასუხიც სხდომის წამყვანის აზრის იდენტური იყო. ჩემს სახეზე გაკვირვება რომ შენიშნა, დაამატა: „შენ რომ მოსწრებოდი მის საქმეებს, აღარაფერი არ გაგიკვირდებოდაო“.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში არაფერი თქმულა თავისთავად ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებაზე. მოკლედ, შურისძიება ძალაში იყო, მხოლოდ აქცენტები იყო გადანაცვლებული. რის ამაღლება და რის ამაღლებულობა!

* * *

1986 წლის დასაწყისში ფილოსოფიის ინსტიტუტში საქართველოში ატომური ელექტროსადგურის აშენების საჭიროებაზე მოხსენება წაიკითხა ამ დარგის ცნობილმა სპეციალისტმა, აკადემიკოსმა ვახტანგ გომელაურმა.

მოხსენებას ცხარე დისკუსია მოჰყვა, განსაკუთრებით ნოდარ ნათაძე აქტიურობდა. ატომური სადგური, რომლის აშენებაც ზუგდიდის მახლობლად იგეგმებოდა, ბატონი ნოდარის აზრით, გარდაუვალი საფრთხის შემცველი იყო. ამას კატეგორიულად არ ეთანხმებოდა აკადემიკოსი გომელაური. მწვავე დებატების მიუხედავად, მოკამათეები თავიანთ პოზიციაზე დარჩნენ და საკმაოდ უბრად დაშორდნენ ერთმანეთს.

გავიდა ორი თვე და მოხდა ჩერნობილის კატასტროფა, რომლის საშინელი შედეგები დღესაც სახეზეა და ძნელად სავარაუდებელია ოდესმე აღმოიფხვრას.

კატასტროფიდან მალე ფილოსოფიის ინსტიტუტში ასეთი სცენის მოწმე გავხდი. ბატონი ნოდარი სადღაც რეკავს და ვიღაცას კითხულებს, მერე ელვის სისწრაფით დააყარა: „ხომ გეუბნებოდი, მოხდება!“. რამდენჯერმე გაიმეორა ეს მოკლე წინადადება და ყურმილი დაკიდა.

ბატონი ნოდარის რისხვის ადრესატი რომ ვახტანგ გომელაური იყო, ამაში ეჭვი არავის შეპარვია.

* * *

ყველა იცნობს საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს, გენერალ დავით თევზაძეს. ის განათლებით ფილოსოფოსია, მათემატიკური ლოგიკის სპეციალისტი, ფილოსოფიის დოქტორი. ბატონი დავითი მრავალმხრივი პიროვნებაა – აღნიშნულის გარდა, ის არის მხატვარი, სპორტსმენი,

იყო კარატისტი და მორაგბე, ერთხანს აკვვალანგისტობასაც მისდევდა. კარგად არის ცნობილი მისი გატაცება მკლავჭიდით, ტანვარჯიშით და სხვა. დათო კარგი მეგობარიცაა. პოლიტიკაში აქტიური ჩართვის შემდეგ ჩვენ სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით, მაგრამ მისგან ჩემდამი კეთილ დამოკიდებულებისთვის ამას ხელი არ შეუშლია. წარმატებულმა ლოგიკოსმა, ინგლისური ენის მცოდნემ საბოლოოდ სამხედრო საქმე აირჩია და ამაში, ალბათ, უმნიშვნელო სულაც არ ყოფილა ის გარემოება, რომ მისი დედის ძმა იყო კონტრადმირალი იაროსლავ იოსელიანი.

ჩვენ ფილოსოფიის ინსტიტუტში თითქმის ორი ათეული წელი ერთად ვმუშაობდით და ის ყოველთვის გამოირჩეოდა არაორდინალურობით...

ეს შემთხვევა კი 1989 წლის თებერვალში მოხდა. ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, თამაზ ბუაჩიძის, კაბინეტში ვართ რამდენიმე თანამშრომელი. ბატონი თამაზი ჯერ არ მოსულა. ჩვენ შორისაა ბატონი მამია ბაქანიძე. არაჩვეულებრივი პიროვნება, რომელიც 28 წლის განმავლობაში მუშაობდა ალმა-ატაში და იყო ყაზახეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ბატონ მამიას ჰქონდა დახვეწილი იუმორი.

ოთახში გამოჩნდა დათო თევზაძე, რომელსაც ზამთრის ბოლო თვის კვალობაზე ერთობ შეუსაბამოდ, ხალვათად ეცვა. დაჯდა თუ არა დათო მაშინვე დაიწყო ცერად ხელების რტყმა მუხლებზე და მუხლებს ზემოთ, ერთი ხელით მეორეზე და პირიქით. ცოტა ხანს ვუყურებთ, მაგრამ პროცედურები არ მთავრდება. ბატონი მამია ჩიბუხის გაწყობითაა დაკავებული და ხანდახან გამოაპარებს თვალს დათოსკენ. ბოლოს შეეკითხა – თუ რას აკეთებდა. დათომ უთხრა, რომ კარატისტია და შესაბამის ვარჯიშებს ატარებს.

ვერ ვიტყვი გამიზნულად თუ შემთხვევით, ბატონმა მამიამ უთხრა, რომ არა გაქვს კარატისტის „ვიდიო“. დათო იმ ხანებში ისე იყო კარატეთი აღტყინებული, რომ ამას უპასუხოდ ვერ დატოვებდა. მაშინ მას შეიძლება რეაგირება არ მოეხდინა იმაზე, რომ არ არის ლოგიკოსი, არ იცის ინგლისური და სხვა, მაგრამ კარატე – ნურას უკაცრავად.

დათო მაშინვე წამოხტა ზეზე. ერთი წუთითო, ბოდიში მოგვიხადა და ოთახის კარი შუამდე გამოაღო. რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავი დაარტყა ბერიას დროინდელ იმელის მძიმე კარს. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ კარი ჩარჩოს რომ მიეხეთქა, ისევ ბოლომდე გაიღო. დათო დაუბრუნდა თავის ადგილს გამარჯვებულის იერით. ბატონმა მამიამ მშვიდად გააწყო ჩიბუხი, ჯერ გახედა დათოს, მერე, ასევე, მშვიდად მიუახლოვდა მას, ოდნავ მოიხარა, კარგად დააკვირდა შუბლზე და უთხრა; „ხომ გითხარი არა გაქვს კარატისტის ვიდიო“. დათოს შუბლზე ვეებერთელა კოპი ამოზრდილიყო. ბატონმა მამიამ აღნიშნა, რომ მის კანსა და ძვალს შორის ქონია დაგროვილი და ჯერ იმის მოცილებაა საჭირო.

ამის შემდეგ დათო ინსტიტუტში არ გამოჩენილა, ვიდრე 9 აპრილის ტრაგედია დატრიალდებოდა. იმ ავბედით საღამოს კი, როგორც თვითმხილველები ამბობენ დავით თევზაძე სხვა ქართველ ვაჟკაცებთან ერთად, შიშველი ხელებით ბოლომდე ებრძოდა კბილებამდე შეიარაღებულ ჯალათებს.

* * *

1991 წლის ზაფხული იწყება, საქართველომ უკვე გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ფილოსოფიის ინსტიტუტში მორიგი სხდომის დაწყებამდე დირექტორმა – ნიკო ჭავჭავაძემ მოგვიწოდა თანამშრომლებს, რომ გავაძლიეროთ მუშაობა იმ მიმართულებით, რაც სასიკეთოდ წაადგება ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

ერთმა ჩვენმა უფროსმა კოლეგამ განაცხადა – პოლიტიკა რა ჩვენი საქმეა, ჩვენ ხომ ფილოსოფოსები ვართო.

ბატონმა ნიკომ მაშინვე გასცა პასუხი ოპონენტს: „როგორ, პლატონი და არისტოტელე მოცლილები იყვნენ რომ ტრაქტატები მიუძღვნეს სახელმწიფოს მმართველობის ფორმებს და ცდილობდნენ მათგან საუკეთესოს შერჩევას?!“

ამ დისკუსიაში მეც ჩავერთე. როგორც იდეოლოგიური ინსტიტუტი, ჩვენი დაწესებულება ჩართული იყო საბჭოთა წყობილების სამსახურში, საკუთარ, დამოუკიდებელ ქვეყანაში ნეიტრალური პოზიციის დაკავება, ყოვლად გაუმართლებელია – ასეთი იყო ჩემი პოზიცია.

* * *

1970 წლის შემოდგომაზე, როცა ფილოსოფიის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა, ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებაში სხვებთან ერთად დამხვდა დახვეწილი ინტელიგენტი, სხვადასხვა სამსახურებში ნამუშევარი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი – რეზი (რევაზ) თვარაძე.

ინსტიტუტში ის თეოლოგიისა და ფილოსოფიის მიჯნის საკითხებს იკვლევდა თეოლოგიური გადახრით. ბატონი რეზისა და ჩემი კვლევის თემატიკა – პლატონი, ნეოპლატონიზმი, არეოპაგიტიკა, ქრისტიანული ფილოსოფია – თითქმის საერთო იყო, ოღონდ მიდგომები გვქონდა განსხვავებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი წლის ბოლოს, წლიური შრომების მიღებისას ერთმანეთის ნაშრომების რეცენზენტები ვიყავით. ამასთან, როგორც ბატონი რეზი, ისე მე იმ კატეგორიის მკვლევრები ვიყავით, რომ უკიდურესად ბოლო მომენტში ვაბარებდით შრომებს. ამიტომაც, ძირითადად, ახალი წლის დადგომის წინ ბატონ რეზისთან ბინაზე, მე, როგორც უმცროსს, მიმქონდა ან მომქონდა რეცენზია. ჩემ მისვლას, როგორც წესი, ბატონი რეზი სუფრით აღნიშნავდა.

ბატონი რეზი ჭადრაკის დიდი ტრფიალი, თუმცა სუსტი მოთამაშე იყო. ერთმანეთში იშვიათად ვთამაშობდით და, როცა ვითამაშებდით, როგორც წესი, მე ვიმარჯვებდი. ერთხელაც მოხდა ისე, რომ მომიგო და იმდენად გახარებული იყო, რომ თავისი მანქანით პიკის საათებში გლდანში წამიყვანა. ამასთან, არ მალავდა გამარჯვებით გამოწვეულ აღფრთოვანებას.

ცხოვრება და ჩვენი კვლევითი საქმიანობა ჩვეულებრივად მიდიოდა. არ იგრძნობოდა, რომ ბატონ რეზის, უპირველესად როგორც ლიტერატორს, რაიმე სამეცნიერო ამბიციები ჰქონდა. 1987 წლის გაზაფხულზე მან მთხოვა, რომ მისი სადოქტორო ნაშრომისთვის ვიზირება გამეკეთებინა. მე წინააღმდეგი არ ვიყავი, მაგრამ განყოფილების ხელმძღვანელი და დარგის ლიდერი იმ დროს შალვა ხიდაშელი იყო. ბატონ რეზის ეს ავუხსენი და მანაც ნაშრომი ხიდაშელს მიუტანა...

ზაფხულის არდადეგებიდან დაბრუნებულს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ თამაზ ბუაჩიძემ მითხრა, რომ შალვა ხიდაშელი რეზი თვარაძის სადისერტაციო ნაშრომის ვიზირების კატეგორიული წინააღმდეგია და ამაზე რეზი ძალიან გულნატკენიაო. იქვე მთხოვა, ამის თაობაზე შენ უნდა დაელაპარაკო ბატონ შალვასო. ეს არ იყო ადვილი მისია, მაგრამ სხვა გამოსავალიც არ ჩანდა.

ბატონმა შალვამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მისი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ნაშრომი ფილოსოფიისგან შორს არისო. საიდან არ მოვუარე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მისი ბოლო პასუხი იყო – ლიტერატურის ინსტიტუტში დაიცვას, როგორც ფილოლოგიური ნაშრომიო. ბოლო ცდა გამოვიყენე და ვკითხე: რეზი თვარაძე, როგორც ინტელიგენტი, ლიტერატორი, ფილოლოგი იმსახურებს თუ არა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს? ამაზე ბატონი შალვა დამეთანხმა. მაშინ რა მნიშვნელობა აქვს რა სახელი ერქმევა მას.

ბატონი შალვა ბოლოს და ბოლოს მოტყდა და თანხმობა მომცა გამეკეთებინა ვიზირება. ამასთან, გამაფრთხილა, მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა შენ დაგეკისრებაო.

1988 წელს რეზი თვარაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დარგის სპეციალიზებულ საბჭოზე დაიცვა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ბა-

ნკეტი არ გადაუხდია. ერთი კვირის შემდეგ ოჯახში აღნიშნა 8 კაციანი სუფრით, სადაც სხვებს შორის იყვნენ ცნობილი კინოოპერატორი ლომერ ახვლედიანი და, ასევე, ცნობილი ჟურნალისტი არჩილ გოგელია. თამადობდა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ნიკო ჭავჭავაძე.

სხვათა შორის, ის შენიშვნები, რაც ხიდაშელს ჰქონდა თვარაძის ნაშრომის მიმართ, მას საჯაროდ არსად დაუფიქსირებია. სამაგიეროდ, ВАК-ში (უმაღლესი საატესტაციო კომისია), სადაც საბოლოოდ მტკიცდებოდა ყველა სადისერტაციო ნაშრომი, ამ პოზიციიდან შეხედეს თვარაძის ნაშრომს და იგი მოსკოვში გამოიძახეს. იქ ბატონ რეზის განმეორებით მოუხდა ნაშრომის დაცვა. საბედნიეროდ, ყველაფერმა ამან უმტკივნეულოდ ჩაიარა და ამაში მთავარი როლი შეასრულა არა მოსკოველთა კეთილგანწყობამ, არამედ რეზი თვარაძის დიდმა ერუდიციამ.

ამის შემდეგ ბატონი რეზი ერთ-ნახევარი წელი დარჩა ჩვენთან და შემდეგ განყოფილების გამგედ გადავიდა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში.

1993 წელს რეზი თვარაძემ „ლიტერატურულ საქართველოში“ მოულოდნელად გამოაქვეყნა წერილი, სადაც უმკაცრესად იყო შეფასებული შალვა ნუცუბიძისა და მის მიმდევართა საქმიანობა ქართულ ფილოსოფიაში. ამ ფაქტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველ ფილოსოფოსთა ერთ ნაწილში. შალვა ხიდაშელს არც დაუმალავს და მითხრა – აი შენი თავგამოდების შედეგიო.

მე საკმაოდ მკაცრი საპასუხო წერილი გამოვაქვეყნე, რაზედაც ბატონ რეზის არ უპასუხია. მართალია, ამის შემდეგ ერთმანეთს ვესალმებოდით, მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენს შორის ადრინდელი ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა აღარ იყო.

2006 წელს ბატონი რეზი გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე ბათუმიდან სპეციალურად ჩავედი თბილისში. ფეხები უკან მრჩებოდა, როცა სამძიმარზე მივდიოდი, მაგრამ მისმა მეუღლემ ისეთი სიტყვებით გამოხატა მადლიერება, რომ იმ მომენტში ტვირთი მომეხსნა. მაინც რას ნიშნავს ჯიში, მოდგმა და ჭეშმარიტი ინტელიგენტობა!

ჩემი წერილის გამოქვეყნებიდან დიდი დრო გავიდა და ჯერ კიდევ არა მაქვს პასუხი კითხვაზე – ბატონი რეზისა და ჩემი ურთიერთობიდან გამომდინარე, რა უფრო ჯობდა მაშინ, პასუხი თუ თავის შეკავება.

უშედეგო ვიზიტები

2010 წლის სექტემბერში, სხვა ინსტიტუტებთან ერთად ილიას უნივერსიტეტს დაუქვემდებარეს დიდი ტრადიციების მქონე დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიისა და სავლე წერეთლის ფილოსოფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

2011 წლის ივნისის დასაწყისში ილიას უნივერსიტეტის ადიმინისტრაციამ აღნიშნული ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომლებს ცინიკური ხელშეკრულება შესთავაზა: ორწლიანი უხელფასო კონტრაქტი და არავითარი სამომავლო პერსპექტივა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ჩვენს ხსნას გრანტების მოპოვებაში ხედავდა. ამასთან, თუკი შევძლებდით გრანტის (თუ გრანტების) მოპოვებას, მისი ნახევარი თანხა უნივერსიტეტის ბიუჯეტში უნდა გადაგვერიცხა. ეს იყო ცინიზმი და სხვა არაფერი. ამით ცხადი იყო, რომ ინსტიტუტების არსებობა ამ ფორმით და ამ შემადგენლობით ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას არ სჭირდებოდა.

ამგვარ ხელშეკრულებას ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის არც ერთმა თანამშრომელმა ხელი არ მოაწერა. ამის საპასუხოდ, ერთი თვის შემდეგ, ილიას უნივერსიტეტის რექტორმა 2011 წლის 8 ივლისის ბრძანებით, ორივე ინსტიტუტის უკლებლივ ყველა თანამშრომელი გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობებიდან.

ამის შემდეგ თითქმის ერთი წლის განმავლობაში დაიწყო ჩემი ვიზიტები, რომელთა თანმიმდევრობა ასეთი იყო: საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე – ნოდარ სურგულაძე, საქართველოს განათლების მინისტრი – დიმიტრი შაშკინი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი – სანდრო კვიტაშვილი, კვლავ შაშკინი, ილიას უნივერსიტეტის რექტორი – გიგი თევზაძე, კვლავ კვიტაშვილი. შემდეგ სატელეფონო საუბარი შაშკინთან. იყო დაპირებები, იმედები, მაგრამ საბოლოო შედეგი – ნული!

ბოლოს გადავწყვიტე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს შევხვედროდი, მით უმეტეს, რომ სწორედ მისი 2010 წლის სექტემბრის ბრძანებით გადავიდა ილიას უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ამასთან, ბატონ ნიკას საჩუქრად მივუტანე ფილოსოფიის ინსტიტუტის საქმიანობის ერთი თვალსაჩინო მიღწევა – „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“ ოთხ ტომად (1995-2010 წწ.), რომელსაც 2011 წელს მიენიჭა ეროვნული პრემია მეცნიერების დარგში.

საქართველოს პრემიერთან დაახლოებით 20 წუთი ვისაუბრე და გავაცანი საქმის ვითარება. არც უარი უთქვამს და არც პირობა მოუცია. გამომშვდობებისას ბატონ ნიკას შევახსენე, რომ თუკი ამ საქმეს დადებითად გადაწყვეტდა, ამით შევიდოდა ისტორიაში და არა პრემიერობით. პრემიერმა გაიღიმა და ასე დავშორდით ერთმანეთს.

შედეგი ისევ არ ჩანდა. როცა ტელეფონით შევეხმიანე ბატონ ნიკას, აქეთ მომეშარა – თითქოსდა მე ის შეცდომაში შევიყვანე. ჩემი არგუმენტირებული პასუხის შემდეგ, მან დუმილი ამჯობინა. ამით კი ყველაფერს საბოლოოდ დაესვა წერტილი.

მე არ ვიცი როგორ შევა ნიკა გილაური ისტორიაში, როგორც პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ჩემი ამ ჩანაწერით ის ნამდვილად დაამახსოვრდება საზოგადოებას, როგორც დიდი თანამდებობის პირი, რომელიც გულგრილად მოეკიდა ორი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბედს.

P.S. აღნიშნული თანამდებობის პირებთან ჩემი ვიზიტების დროს დასამახსოვრებელი იყო ის, რომ მათთვის არაფრისმთქმელი იყო იოანე პეტრიწის, სოლომონ დოდაშვილის, შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, სერგი დანელიას, კოტე ბაქრაძის, სავლე წერეთლის, ზურაბ კაკაბაძის, მერაბ მამარდაშვილისა და სხვათა სახელები.

* * *

1946 წელს, ფილოსოფიის პროფესორი, აკადემიკოსი და ამავე დროს, როგორც ამბობენ, სუკ-ის (იდუმალი) გენერალი – პეტრე შარია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ხსნის ფილოსოფიის ინსტიტუტს, რომელმაც 65 წლის განმავლობაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ერის სულიერ ცხოვრებაში, ხოლო 2011 წელს ფილოსოფოსთა გარემოცვაში აღზრდილმა, თვითონაც ფილოსოფიის პროფესორმა, გიგი თევზაძემ ფაქტობრივად გაუქმა ეს დიდი ტრადიციების მქონე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. არა მარტო ეს, ასეთივე ბედი აწია დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტსაც.

* * *

ჰუსერლის ფილოსოფიაზე ფილოსოფიის ინსტიტუტში ერთ-ერთ ცხარე დისკუსიაზე შალვა ნუცუბიძეს ზურაბ კაკაბაძისთვის, შემდეგში ჰუსერლის ფილოსოფიის ევროპაში აღიარებული მცოდნისთვის, უთქვამს:

„– მე ძველი ჰუსერლიანელი ვარო!“

„– მე ახალიო!“ ამაყად უპასუხია კაკაბაძეს.

„– გეტყობაო“ – უთქვამს ნუცუბიძეს და ამ მრავალმნიშვნელოვანი ერთი სიტყვით დასრულებულა ეს შეპასუხებები.

ეს ისტორია აკადემიკოს გურამ თევზაძისგან მომისმენია.

* * *

ერთ დროს, ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებაში ერთდროულად ირიცხებოდნენ: შალვა ნუცუბიძე და სერგი დანელია, ზურაბ კაკაბაძე და გურამ თევზაძე, არჩილ ბეგიაშვილი და ვაჟა გოგობერიშვილი... განყოფილებას კი ხელმძღვანელობდა ქართული ფილოსოფიის ისტორიის აღიარებული მკვლევარი შალვა ხიდაშელი...

ხიდაშელს არაერთხელ მოუყოლია ერთი ასეთი ფაქტის შესახებ: მოსკოვის რომელიღაც სამეცნიერო დაწესებულებიდან სარეცენზიოდ გადმოუგზავნიათ სამეცნიერო ნაშრომი, რომლის რეცენზირებაც დაევალა ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას. ნაშრომს გაეცნო განყოფილების ყველა წამყვანი თანამშრომელი სერგი დანელიას გარდა. როგორც იქნა გამოჩნდა სერგი დანელიაც. ხიდაშელმა გადასცა მას ნაშრომი, აუხსნა საქმის ვითარება და თანაც ჰკითხა თუ რამდენ დღეში დააბრუნებდა ნაშრომსა და რეცენზიას. მაქსიმუმ ორ-სამ დღეში – უთქვამს დანელიას, აუღია ნაშრომი, გამომშვიდობებია განყოფილების ხელმძღვანელს და ოთახიდან გასულა. თუმცა მალევე უკან მობრუნებულა და უკითხავს ხიდაშელისთვის,

„– ნუცუბიძეს რამდენი ხნით ჰქონდა წიგნიო“.

„– ხუთი დღით“, – უპასუხია ხიდაშელს.

„– მაშინ მე ექვსი დღე დამჭირდებაო“ და სწრაფად გასულა ოთახიდან.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ᲘᲚᲘᲐ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ

ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲧᲝᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

დაბადებიდან 115 წელი შეუსრულდა ქართველ მეცნიერს, ქართული ფილოლოგიის დიდოსტატს, ქართველოლოგსა და არმენოლოგს, ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დამაარსებელსა და მის პირველ დირექტორს, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფ. ᲘᲚᲘᲐ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔᲡ.

ილია აბულაძე დაიბადა 1901 წლის 24 ნოემბერს სოფელ ზედა საქარაში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი). მისი მშობლები იყვნენ – მღვდელი, ბოსლევის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი, ვლადიმერ დავითის ძე აბულაძე და მარიამ ბართლომეს ასული ცერცვაძე, დიაკვნის ქალიშვილი. ვლადიმერს და მარიამს რვა შვილი ჰყავდათ. მათგან ერთ-ერთი – ბიძინა – შემდგომში ცნობილი ლიტერატორი და მთარგმნელი გახდა. იგი დასაფლავებულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. თამარი – ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო, დავითი – ქიმიკოსი, ნინო – ექიმი, ვლადიმერი (გუგულა) კი – საქართველოს დამსახურებული ინჟინერი. ილიას ორი ძმა ადრეულ ასაკში გარდაიცვალა.

ილია აბულაძემ 1921 წელს დაასრულა ქუთაისის ვაჟთა I გიმნაზია. 1922 წელს იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1926 წელს დაამთავრა სიტყვიერების, ხოლო 1929 წელს – ლინგვისტიკის განყოფილება. 1932 წელს, ასპირანტურის დამთავრებისთანავე, იგი დაინიშნა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის, ენისა, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების სწავლულ მდივნად. 1934 წლიდან მან დაიწყო ლექციების კითხვა უნივერსიტეტში ძველ ქართულსა და ძველ და ახალ სომხურ ენებში.

1938 წელს ილია აბულაძემ დაიცვა საკანდიდატო, 1945 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია. 1945-1950 წლებში იგი უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანია; იყო ძველი ქართული ენის პროფესორი. 1950 წლის 28 დეკემბერს ილია აბულაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1953 წელს კი სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას. 1958 წლიდან დაინიშნა მის მიერ ახლადჩამოყალიბებული ხელნაწერთა ინსტიტუ-

ტის დირექტორად, რომელსაც იგი გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა.

ილია აბულაძის მეცნიერულმა საქმიანობამ ქართველ მეცნიერთა შორის იმთავითვე ჰპოვა აღიარება და მხარდაჭერა. 1940 წლის 15 აპრილს აკადემიკოსები ივანე ჯავახიშვილი და აკაკი შანიძე ილია აბულაძის მეცნიერულ მუშაობას მაღალ შეფასებას აძლევენ: „ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ნაყოფიერად და წარმატებით მუშაობენ საქართველოში მეცნიერების სარბიელზე, უეჭველად გამოირჩევა ილია აბულაძე, თსუ-ის დოცენტი, ენიმკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, რომელმაც სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში სოლიდური გამოკვლევებით წარმოაჩინა თავი“.

ასეთივე შეფასებას იმეორებდა აკაკი შანიძე 1942 წლის 11 მაისს, რამდენადმე მოგვიანებით გიორგი ჩუბინაშვილიც. 1945 წელს სიმონ ყაუხჩიშვილი წერდა: „ილია აბულაძის სახით ჩვენს წინაშე დგას სრულიად ჩამოყალიბებული მეცნიერი, რომელსაც არა მარტო სომხური და სალიტერატურო ძეგლების დამოუკიდებელი კვლევა ძალუძს, არამედ ისეთი მეცნიერი, რომელმაც თავისი არცთუ ისე ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე უკვე შექმნა მთლიანი კონცეფცია ქართველ-სომეხთა ლიტერატურულ ურთიერთობაზე. კონცეფცია, ძირითადად, სრულიად მართებული და ეგზომ მნიშვნელოვანი ქართული კულტურის საკითხთა კვლევის საქმეში“.

ილია აბულაძის შრომები არა მარტო მრავალრიცხოვანია, არამედ თავისი თემატიკით მრავალფეროვანიც: ქართული ლექსიკოლოგია და გრამატიკა, ქართული ბიბლია, უძველესი ქართული მრავალთავი, ორიგინალური და ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, ბალავარიანი, ქართული აპოთეგმური ლიტერატურა (ლიმონარი, პატერიკები), ძველი ქართული ლექსიკა, „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტი და ლექსიკა, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა და სხვა.

ილია აბულაძის შემოქმედებაზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. ბევრი დაიწერა და მომავალში კიდევ დაიწერება ამის თაობაზე. იგი ღირსეული მოწაფე და მემკვიდრე იყო იმ დიდ მეცნიერთა, რომელთა სახელებსაც უკავშირდება ქართული მეცნიერული აზრის შექმნა. აქვე მინდა მოვიყვანო ილია აბულაძის ღვაწლმოსილი კოლეგებისა და თანამოღვაწეების მოგონებები მცირეოდენი შემოკლებით.

აკაკი შანიძე

პროფ. ილია აბულაძის მიერ გავლილ დიდ სამეცნიერო შარაგზას თავიდანვე ვადევნებდი თვალყურს და კარგადაც ვიცნობ. იგი იყო ჩემი სტუდენტი, რომელსაც ნიჭი და წერა, შრომისმოყვარეობა და მეცნიერული კვლევა-ძიების ინტერესი კარგად ეტყობოდა. ამიტომ უნივერსიტეტს რომ ამთავრებდა (1929წ.) ვაპირებდი მის დატოვებას ასპირანტად ჩემს კათედრასთან, მაგრამ ვამჯობინე, დარჩენილიყო არმენოლოგიის კათედრაზე პროფ. მელიქსეთბეგთან...

ილია აბულაძის საკანდიდატო დისერტაციის საგანი იყო „შუშანიკის მარტვილობა“, რომლის ქართული ტექსტი და სომხური ვერსია მან ჩინებულად გამოსცა სათანადო კომენტარებითა და ლექსიკონითურთ (1938 წ.) შემდეგ დოქტორანტურა ჩემი ხელმძღვანელობით გაიარა და დაწერა დიდი გამოკვლევა „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში“. (1944 წ.), რომელმაც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოუპოვა...

სომხურმა ლიტერატურამ შემოგვინახა ქართულიდან ძველად ნათარგმნი „ქართლის ცხოვრების“ წინა ნაწილი. ი. აბულაძემ ახლად გამოსცა სომხური ტექსტი, ამ სომხურ ტექსტს პირისპირ დაუყენა ქართული თარგმანი (დღევანდელი სალიტერატურო ენით) და თანაც ძირს თითოეულ გვერდზე მოათავსა სათანადო ძველი ქართული ტექსტი, რომელიც უთარგმნიათ სომხურად.

დიდი ხანია განზრახული მქონდა, გამომეცა „საქმე მოციქულთა“, რომელიც ერთობ ძველ ტექსტს გვიჩვენებს და ამჟღავნებს ერთგვარ სიახლოვეს ამ ძეგლის ასურულ ვერსიასთან. მისი

ტექსტი გამოვაცემინე ი. აბულაძეს (1950წ.) იგი გამოვიდა მე-7 წიგნად მეცნიერებათა აკადემიის „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიაში.

ამავე აკადემიურ სერიაში ილ. აბულაძემ მე-8 ტომად გამოსცა „მამათა სწავლანი“, საკმაოდ დიდი წიგნი, რომელიც შეიცავს იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, ეფრემ ასურისა და სხვათა ასკეტურ ნაწერებს. ძირითადი ხელნაწერი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გამოცემას, გადაწერილია მე-10 საუკუნის I ნახევარში, დავით მამფალის დროს 943 წლამდის. ამიტომ გასაგებია მისი დიდი მნიშვნელობა.

შემდეგ, როცა უნივერსიტეტში წამოვიწყე „ძველი ქათული ენის კათედრის შრომების“ გამოცემა, ამ სერიის პირველ წიგნად გამოვუშვი ილ. აბულაძის მიერ გამოსაცემად მომზადებული ქართული ორიგინალური ტექსტები სათაურით: „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ძველი რედაქციები“ (1955 წ.).

ორი წლის შემდეგ, (1957 წ.) ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი ძეგლის გამოცემა, როგორიცაა „ბალავარიანი“, რომელიც დაიბეჭდა „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიაში მე-10 წიგნად. როგორც გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, „სიბრძნე ბალავარისი“ ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ექვთიმე ათონელმა. ამ ძეგლს დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენში, რუსეთსა და ევროპაში. ი. აბულაძემ ვრცელი და მოკლე რედაქციის ტექსტი ორივე ერთად გამოსცა, ვრცელს გვერდით დაუყენა მოკლე ტექსტი და ამით საშუალება მიეცა ყველას, ადვილად გაერკვეს, თუ რა ურთიერთობაა მათ შორის. თვით ი. აბულაძე იმ აზრისა იყო, რომ მოკლე რედაქცია წარმოადგენს ვრცელის შემოკლებას.

ი. აბულაძე თავს დასტრიალებდა ინსტიტუტში თავმოყრილ ხელნაწერებს, იცავდა მათ ცერბერივით, ცდილობდა, შეეძინა ახალი ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები და გაემდიდრებინა ინსტიტუტის ფონდი. იგი სიყვარულით ეხმარებოდა ახალგაზრდა მკვლევარებს აქ დაცული სიმდიდრის გამომზეურებაში, თვითონაც იკვლევდა და განაგრძობდა მნიშვნელოვანი ტექსტების გამოქვეყნებას. საზოგადოდ, ეწეოდა დაძაბულ მეცნიერულ მუშაობას.

ი. აბულაძემ გამოსაცემად მოამზადა სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა მე-4 ტომი, რომელიც შეიცავს განთქმული მეცნიერისა და მწერლის „ქართულ ლექსიკონს“. ლექსიკონი დაიბეჭდა ორ ნაკვეთად: ნაკვ. I – 1965 წ.; ნაკვ II – 1966 წ. ეს გამოცემა, რომელიც რიგით მეოთხეა და შესრულებულია ი. აბულაძის მიერ სულხანის ავტობიოგრაფიულ ნუსხებზე დაყრდნობით, არის ყველა წინანდელზე სრული და სანდო.

ი. აბულაძის სალექსიკონო მოღვაწეობაზე რომ ვსაუბრობთ, უნდა გულისტკივილით აღვნიშნოთ, რომ მან ვერ მოასწრო დაებეჭდა მისი შედგენილი საკმაოდ დიდი ლექსიკონი ძველ ქართულისა, რომელიც ასიოდე თაბახი გამოვა. წლების განმავლობაში ავტორი დიდი გულმოდგინებით კრებდა სიტყვებს სხვადასხვა ძეგლიდან, – დაბეჭდილიდან თუ ხელნაწერიდან. ამოკრებილი სიტყვები მან გააწყო ანბანზე, ახსნა და დაამზადა დასაბეჭდად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. აბულაძის დამსახურება ჰერული ანბანის აღმოჩენის საკითხში. ჰერები იყვნენ ჩვენი უშუალო მეზობლები კახეთის აღმოსავლეთით, დღევანდელ აზერბაიჯანში. მათ სომხები ალვანებს ეძახდნენ. ეს იყო ქართველებისა და სომხების გვერდით მესამე დიდი კოლექტივი, რომელსაც ქრიატიანული მწერლობა ჰქონდა საკუთარი ანბანით V-X საუკუნეში. ეს ერი შემდეგ გაითქვიფა მეზობელ ერებში. გადარჩა მხოლოდ ორი დასახლებული პუნქტი აზერბაიჯანში (ვართაშენი და ნიჯი), სადაც ჰერების შთამომავლები ცხოვრობდნენ, რომელთაც უდების (ანუ უდიების) სახელით ვიცნობთ. რამდენიმე კომლი ამ უდიებისა ვართაშნიდან საქართველოში გადმოსულა 1919-1922 წლებში და კახეთში დასახლებულა, სადაც მათ მოზრდილი სოფელი გააშენეს, სახელად ოქტომბერი, რომელსაც პირველად ზინობიანი ერქვა. მეზობელ ერებში შერევის, გათქვეფისა და გამაჰმადიანების პროცესში ჰერული ქრისტიანული მწერლობა გაქრა. მეცნიერები დიდი ხანია, ეძებდნენ მის ნაშთს,

მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ი. აბულაძეს ხვდა წილად, მიეკვლია ჰერული ანბანისათვის, რომელიც მან აღმოჩინა ერთ მე-15 საუკუნის სომხურ ხელნაწერში, სადაც სხვადასხვა ენის ანბანია მოთავსებული: ბერძნული, ასურული (სირიული), ლათინური, ქართული, ჰერული, კოპტური და არაბული. ამის გარდა იქ მოიპოვება, აგრეთვე, ინდური ციფრებიც. ი. აბულაძემ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა „კავკასიელ ალბანელთა ანბანის აღმოჩენა და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისთვის“ (1938 წ.)

შეუძლებელია აქ აღინუსხოს ყველაფერი, რაც ი. აბულაძის სამეცნიერო კვლევა-ძიების ნაყოფია, მაგრამ ზემორე მოთხრობილიც საკმაოდ სიცხადით მოწმობს, თუ რა მუშაკი დაკარგა ქართულმა ფილოლოგიამ. დიდია დანაკლისი, მით უმეტეს, რომ მისი საქმის აგრე ოსტატურად გამგრძელებელი ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთები წამოიზრდებიან.

წავიდა ჩვენგან ილია აბულაძე, ჩუმი, მაგრამ მეტად ნაყოფიერი და ჩინებული მეცნიერი, რომელმაც თვალსაჩინო კვალი დატოვა განახლებულ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

არნოლდ ჩიქობავა
რამოდენიმე სიტყვა
ილია აბულაძის მოსაგონრად

ილია აბულაძე ჩემი უმცროსი კოლეგა იყო, ჩვენს შორის სამიოდე წლის განსხვავება, თუ იყო: მაგრამ ილია აბულაძემ ენისა და ლიტერატურის განყოფილების შემდეგ საენათმეცნიერო განრიგითაც განაგრძო სწავლა და ისე მოხდა, რომ ზოგადი ენათმეცნიერების სემინარში შევხვდით ერთმანეთს; მე – ახალბედა ლექტორი და ილია აბულაძე – სტუდენტი, სემინარის მონაწილე. მაგონდება, როგორ ვამუშავებდით ჰერმან პაულის ცნობილი კურსის („პრინციპი ენის ისტორიის“) შესავალს ე.წ. „პრინციპთმოძღვრებას“.

ჰ. პაულის კურსი ახლა რუსულად თარგმნილია (1960წ.), მაშინ კი (1929წ.) გერმანული დედანი გვქონდა და მას ვარჩევდით; ჯერ ვთარგმნიდით, შემდეგ კი ავტორის აზრის ადეკვატურ აგებასა და ინტერპრეტაციას ვცდილობდით. პაულის კონცეფცია შინაარსით რთულია. რთულ შინაარსს მძიმე ენა ერთვის, თითო ჯერზე თითო აბზაცს თუ დავძლევდით. საჭირო ზოგადი მომზადება ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში იქნებ სტუდენტს აკლდა, მაგრამ პაულის ნააზრევის სათანადო გაგება-შეფასება მაინც მიღწეული იყო და ეს ილია აბულაძის მუშაობის წესსა და ხასიათს შეეფერებოდა: დინჯი მუშაობა იცოდა და საფუძვლიანი მსჯელობა სჩვეოდა.

ცნობილია პალეოგრაფიული ალბომი, რომელიც ილია აბულაძემ შეადგინა („ქართული წერის ნიმუშები“, 365 გვ.) და ჩვენმა უნივერსიტეტმა გამოსცა 1949 წ. მრგლოვანი, კუთხური და გარდამავალი მხედრულის ნიმუშებს ერთვის ქარაგმათა გახსნის ვრცელი ინდექსი (გვ 300-356).

მაშინ ილია აბულაძე პროფესორი იყო. გაცილებით ადრე სტუდენტმა ილ. აბულაძემ ჩემი თხოვნით დაამუშავა „სავარჯიშო ქართულ პალეოგრაფიაში“ ორ რვეულად (1927-1928 წწ.) და ლათოგრაფიულად გამოსცა უნივერსიტეტმა.

1924 წლიდან ქართული ენის კათედრის დავალებით ქართული პალეოგრაფიის პრაქტიკუმს ვატარებდი; მდაბიურად რომ ვთქვათ სტუდენტებს ვასწავლიდი ასომთავრულისა და ნუსხურის წერას. შესაბამისად, ხელნაწერების კითხვას.

ილ. აბულაძის ხელნაწერს არ სჭირდებოდა მანქანაზე გადაბეჭდვა. ყოველ ნაბეჭდზე უფრო გარკვეული იყო (მხოლოდ გრიგოლ წერეთლის, ბერძნული პალეოგრაფიის გამოჩენილი სპეციალისტის, ხელით ნაწერი – რუსული და ლათინური ანდა ბერძნული ტექსტი შეგეძლო შეგედარებინა ილია აბულაძის ნაწერისთვის).

ეს უმნიშვნელო ტექნიკური თავისებურება როდია; ამაში პიროვნება ჩანს, მისი ხასიათი და იქნებ სპეციალობაც ფილოლოგისა, ნიადაგ

რომ ხელნაწერებს უტრიალებს (აკი ძველი ხელნაწერის – მთავრული იქნებოდა თუ ნუსხური – გადამწერი ხელს არ იცვლიდა; ხელის სხვაობა გადამწერთა სხვაობას მოასწავებს).

1938 წელს ილ. აბულაძემ უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა („შუშანიკის ქართულ და სომხური ტექსტების შესახებ“). დისერტაცია გამოქვეყნებული იყო, დაცვა – ჩინებული და შეფასებაც მაღალი.

დაცვის შემდეგ საბჭო მსჯელობდა დაცვის შესახებ (ახლანდელი ინსტრუქცია ამგვარ მსჯელობას წესის დარღვევად თვლის). საბჭოში აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. საბჭოს ერთმა წევრმა იკითხა: რა აკლია ამ დისერტაციას, რომ ის სადოქტოროდ მივიჩნიოთ და სათანადო შუამდგომლობა აღვძრათ?

წინადადებას არავინ გამოეხმაურა. როგორც შემდეგ გამოირკვა, კათედრის ხელმძღვანელთან (ილია აბულაძე მაშინ არმენოლოგიის კათედრის წევრი იყო) ურთიერთობა კი გაართულა, რაც წინადადების ავტორს აზრად არ მოსვლია (წინადადების გულწრფელი ავტორი ამ სტრიქონების დამწერი გახლდათ, მას კარგად ვერ გაეგო, მეცნიერებაში ასეთი რამ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო).

ილ. აბულაძე რამდენიმე წლის მანძილზე იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. როცა გავიგე დეკანად დანიშნესო, გამიკვირდა: როგორ იკისრა-მეთქი? რთული წლები იყო ლიტერატურათმცოდნეობაშიც და ენათმეცნიერებაშიც. ილ. აბულაძემ ღირსეულად გაართვა თავი სირთულეებს; მადლობით ვიგონებ, როგორ ექომაგებოდა თურმე ზოგ ათვალისწინებულ სახელმძღვანელოს: სადაა ნაცვალი რუსულ ენაზეო“?!

ყველაზე მოულოდნელი იყო, რომ თავის სიმართლეში დარწმუნებული, დაწესებულების ხელმძღვანელს მოურიდებლად მოახსენებდა თავის აზრს და ხელმძღვანელიც ამას ურიგდებოდა. მის ობიექტურობასა და საქმის სიყვარულს ანგარიშს უწევდა.

ილ. აბულაძე 1950 წლის დამლევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. ადგილი მისთვის არ ყოფილა გამოყოფილი, მაგრამ საექსპერტო კომისიაში გიორგი ჩუბინაშვილმა დაასახელა ილია აბულაძის კანდიდატურა და კომისიაშიც მხარი დაუჭირეს. მას უკვე ჰქონდა ქართული და სომხური ფილოლოგიის წამყვანი სპეციალისტის, პირველ წყაროთა ავტორიტეტული მკვლევარის სახელი.

მარტო ის რად ღირს, რომ მან მიაკვლია ალბანურ ანბანს მატენადარანში მუშაობისას სომხურ ხელნაწერში და პირველად ინფორმაციაც მის შესახებ გამოაქვეყნა.

კავკასიის ალბანეთისა და ალბანური დამწერლობის პრობლემა დიდი მნიშვნელობის პრობლემად ითვლება და ამ პრობლემის განხილვისას ილ. აბულაძის დამსახურება მით უფრო ნათლად გამოჩნდება, რაც უფრო მეტი ყურადღება მიექცევა პრობლემას.

„ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ იმ სახითაც, რაც მას აქვს ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემაში, ერთგვარად აჯამებს იმ ფილოლოგიურ მუშაობას, რაც ილ. აბულაძის სასიცოცხლო საქმეს წარმოადგენდა. ეს ლექსიკონი ფასდაუდებელ განძად დარჩება ნაკვლევში ძველი ქართულის შესახებ.

ილია აბულაძის სახელთან დაკავშირებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის შექმნაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

ხელნაწერთა ინსტიტუტი საკავშირო მეცნიერებათა სისტემაში არ არსებობს (მატენადარანიც სომხეთის მეცნიერებათა აკადემიას არ ექვემდებარება). ზოგ სპეციალისტს ჩვენში ეჭვი ეპარებოდა: ხელნაწერთა ინსტიტუტს არ დაამტკიცებენო“. აკად. ა. ნესმეიანოვის (საკავშირო აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტის) მხარდაჭერას გადაეწყვიტა საკითხი: „რესპუბლიკური აკადემიები თავის სტრუქტურაში იმეორებენ საკავშირო აკადემიას: აქ კი თავისებურება გვაქვს და ეს მოსაწონია!“

ინსტიტუტის დაარსებით ხელნაწერთა მოვლა და დაცვა უზრუნველყოფილი იქნა და ამით საქვეყნო საქმე გაკეთდა, რაც ილია აბულაძის სახელთან იქნება მუდამ დაკავშირებული.

ინსტიტუტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი არა მხოლოდ იცავს და უვლის ხელნაწერებს, არამედ აღწერს და იკვლევს მათ. საამისოდ კადრებია საჭირო, კადრებს პოვნა და წვრთნა უნდა.

კადრების მომზადება ადვილია, თუ ფორმალურად მოვეკიდებით, მაგრამ რთულია და ძნელია, თუ გამწევი ძალა გვინდა შეგვემატოს.

ილ. აბულაძე სწორედ ასეთ კადრებს ამზადებდა. კერძოდ, მან ინსტიტუტში მტკიცე ნიადაგზე დააყენა ძველი ბერძნულისა და ძველი სომხურის (ასევე აღმოსავლური ენების) შესწავლა.

ილ. აბულაძე ახალგაზრდა სპეციალისტებს უნერგავდა სისტემატური მუშაობის ჩვევებს. ეს არცთუ მარტივი იყო (მოქმედებდა სხვა ჰუმანიტარულ ინსტიტუტებში არსებული ვითარება).

დიდად დასაფასებელია ის თანამიმდევრობა და სიმტკიცე, რასაც ილ. აბულაძე ასეთ შემთხვევაში იჩენდა. და თუ დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლეგია გამოირჩევა სისტემატური საკვლევაძიებო მუშაობითა და ამ მუშაობის ნაყოფიერი შედეგებით (ჩვენი აკადემიის ჰუმანიტარულ ინსტიტუტებს შორის), ამას უნდა ვუმადლოდეთ ილია აბულაძეს და მათ, ვინც ილია აბულაძის ამ ტრადიციას აგრძელებს.

1931 წ. 16 ნოემბერი.

წაკითხული ი. აბულაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე

9 დეკემბერს.

ვახტანგ ბერიძე
ილია აბულაძე

სიმონ ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგედ ჩუბინაშვილმა მოიწვია ილია აბულაძე ადამიანი, რომელსაც მე არა მარტო დიდი პატივისცემით ვიგონებ, არამედ გაოცებითაც. უშუალოდ ჩვენს დარგთან, საერთოდ, ნივთიერი კულტურის კვლევასთან, ილიას კონტაქტი არ ჰქონდა. ფილოლოგი იყო, ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა მკვლევარი, იმავე დროს არმენისტი: ბევრი რამ გააკეთა ქართულ-სომხური ლიტერატურის ურთიერთობების შესასწავლად. ჩვენთან მას დაევალა, მიეხედა და მოევლო რუსთაველის მუზეუმისგან მემკვიდრეობით მიღებული მასალისათვის – სალექსიკონო მასალა, ძველი წყაროებიდან ამოკრებილი და ბარათებზე გადატანილი ტერმინები (უამრავი). ამას გარდა, ჩვენს თანამშრომლებს ილია ძველ ქართულს ასწავლიდა. მისი ძირითადი სამსახური საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში იყო, ხოლო ხელნაწერთა ინსტიტუტი რომ დაარსდა, მის დირექტორად დაინიშნა. ჩვენთან მუშაობდა რამდენიმე წლის განმავლობაში. მისი წასვლის შემდეგ ინსტიტუტის სტრუქტურაში ცვლილება მოხდა. მატერიალური კულტურის, ისტორიის განყოფილება გაუქმდა და შეიქმნა არქიტექტურის, სახვითი ხელოვნებისა და მცირე, ანუ გამოყენებით ხელოვნებათა განყოფილებები.

ილია საშუალო ტანის, ქერათმიანი, ცისფერთვალება კაცი იყო. სქელი, ცოტა წინ წამოწეული ტუჩები ჰქონდა; თავისი საქმის უდიდესმა მცოდნემ, დიდად შეუწყო ხელი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო აღიარებას; უცხოელ ქართველოლოგთა შორის ურყევი ავტორიტეტი ჰქონდა; ხელნაწერთა ინსტიტუტი მისი წყალობით გადაიქცა მაღალი პრესტიჟის მქონე სამეცნიერო ცენტრად. აი, ეს დიდი ევროპული მასშტაბის მეცნიერი, სრულებით მოკლებული იყო „ქალაქურ“, „ევროპულ“ პენს და არც არასოდეს უცდია, რომ ეს პენი მოსცხებოდა. სულ ბოლომდის შერჩა მეტყველებაში ძლიერი „ზემოიმერული ინტონაციები“ (ზემო საქარაში დაიბადა); არ გააჩნდა „ფართო“ კულტურული ინტერესები. მისთვის არ არსებობდა არც თეატრი, არც კინო, არც კონცერტი, არც რაიმე გართობა, არც დასვენება (მე მგონია, ამ ყველაფერს რამდენადმე ირონიულადაც უყურებდა). არსებობდა მხოლოდ თავისი მეცნიერება. ალბათ, ასეთები იყვნენ შუა საუკუნეთა ასკეტები და ფანატიკოსი ბერები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე სენაკში

ან სკრიპტორიუმში გამოკეტილნი თხზავდნენ, თარგმნიდნენ, ან უზარმაზარი ფოლიანტების გადაწერას სწირავდნენ მთელ სიცოცხლეს. ილიაც სწორედ ფანატიკოსი და ასკეტი იყო და რომ არ ჰქონოდა კიდევ ერთი საზრუნავი და სატკივარი – უმამოდ დარჩენილი ძმის, ბიძინას, ოჯახი – იმათსავით ისიც შეიძლება საკანში გამოკეტილიყო, ხელნაწერებში თავჩარგული. რა თქმა უნდა, როგორც სრული პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი, იგი ყოველ მოვალეობას დიდი კეთილსინდისიერებით ასრულებდა. ასეთი იყო, როდესაც უნივერსიტეტში დეკანის თანამდებოდა ეჭირა; ასეთი იყო, როგორც პედაგოგი: გაგიკვირდებოდა, როგორი გატაცებით (და აღტაცებით!) იცოდა ძველი ქართულის სწავლება. გეგონებოდა, რომ ეს მისი პირველი გაკვეთილია, იმდენად უყვარდა თავისი საგანი, თავისი საქმე, რომ არ შეიძლებოდა ერთი წუთითაც მობეზრებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ანთებული თვალები, სიხარულის ღიმილი, როცა გრამატიკულ წესებს ხსნიდა; წარმოუდგენელი ნებისყოფა და შრომის უნარი ჰქონდა, ძალიან ბევრიც გააკეთა, დიდი მემკვიდრეობა დატოვა, თუმცა სრული სიმწიფის ასაკში გარდაიცვალა, როცა ჯერ კიდევ ბევრის შექმნა შეეძლო. ჩვენთან, ინსტიტუტში, ყველას უყვარდა. იმ წლებში ხალისიანი იყო, დახმარებას ხომ (სპეციალურ საკითხებში) არასოდეს დაიზარებდა – უფრო სანდო და საიმედო მრჩეველს ვერც ინატრებდი.

ნაწყვეტი მოგონებიდან.
გაზეთი „საპოვნელა“, №11(15) 2001 წ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვა, წარმოთქმული ილია აბულაძის 100 წლისთავის აღსანიშნავ პანაშვიდზე

...არიან ადამიანები, რომელნიც მთელ თავის სიცოცხლეს ხალხსა და ღმერთს სწირავენ და მოღვაწეობენ. 2001წ. 24 ნოემბერს 100 წელი შეუსრულდებოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს ილია აბულაძეს. იგი საოცარი პიროვნება იყო. მე მქონდა მასთან შეხვედრის ბედნიერება. ეს მოხდა იმ დროს, როცა მე ვამთავრებდი სასულიერო აკადემიას და ვმუშაობდი საკანდიდატო დისერტაციაზე: „ურთიერთობა საქართველოსა და ბიზანტიას შორის და ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“. თქვენ იცით რომ ათონის ივერთა მონასტერი გახლდათ ცენტრი არა მარტო დიდი სულიერებისა, დიდი მოღვაწეობისა, არამედ, ამავე დროს ქართველები აქ დიდ სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდნენ, რომელთა შორის იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. მე მივედი ბატონ ილია აბულაძესთან და ვთხოვე, რომ ჩემი შრომისათვის ხელნაწერები მჭირდებოდა. ბატონმა ილიამ თავისი ხელით, ისე, რომ არავისთვის დაუვალებია, დიდი სიყვარულით მომიძებნა ყველაფერი და გადმომცა ხელნაწერთა ანაბეჭდები. როდესაც ამ ადამიანზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იგი მოძღვრის ოჯახში აღიზარდა. მამამისი გახლდათ, დეკანოზი ვლადიმერ აბულაძე. დღეს დიდი გამოსვლის დროს, ისიც და თავად ბატონი ილიაც ბარძიმში მოვიხსენიეთ.

ილია აბულაძე დიდი მეცნიერი და საოცარი პიროვნება იყო. საოცარი იმით, რომ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, დიდი დაწესებულების, მით უმეტეს, სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომელი და დირექტორი აუცილებლად პარტიული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ილია აბულაძე პარტიული არ გამხდარა. იგი იმდენად დიდი მეცნიერი იყო რომ ამგვარი რამ ვერ აიძულეს.

ჩვენ დღეს შევასრულებთ პანაშვიდს მის სახელზე. აქ ბრძანდებიან ხელნაწერთა ინსტიტუტის წარმომადგენლები. მე მინდა დავლოცო ყველა, ვინც მუშაობს ამ დიდებულ წმინდა დაწესებულებაში. ძირითადად იქ ხომ წმიდა ადამიანების მიერ დაწერილი ხელნაწერები ინახება. როცა ესა თუ ის თარგმანი კეთდებოდა, ან ორიგინალური ნაწარმოები იწერებოდა, ბოლოს ავტორი ან მთარგმნელი აწერდა მას თავის სახელს და თხოულობდა: მომიხსენიეთ თქვენს ლოცვებშიო. სამწუხაროა ის, რომ ეს ხელნაწერები ათეული და ასეული წლის მანძილზე დადებულია საცავებში. ვინახავთ მას, მაგრამ ვერ ვასრულებთ

ჩვენი წინაპრების ანდერძს. ვერ ვლოცულობთ მათთვის. ზოგადად, მე ვიხსენიებ ყველას, ვინც იმოღვაწევა სამეცნიერო დარგში, მაგრამ კარგი იქნებოდა და ეს ჩემი თხოვნაცაა, ხელნაწერებიდან ამოვიწეროთ მათი სახელები, თუ როდის მოღვაწეობდნენ ისინი, შეიძლება რაღაც ბიოგრაფიული ცნობებიც კი ვიპოვოთ მათ შესახებ. ისინი ღირსნი არიან იმისა, რომ ყოველთვის მოვიხსენიებდეთ მათ სახელებს წირვა-ლოცვაში.

ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაგაძლიეროთ! ღმერთმა აცხოვნოს და ნათელში ამყოფოს სული მონისა ღვთისა ილია აბულაძისა, ამინ.

ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!

ჩვენთან არს ღმერთი!

გაზეთი „საპოვნელა“, 2003 წ. №10-11 (36-37)
გადმობეჭდილია გაზეთიდან
„საქართველოს უწყებანი“, №48, 2001 წ.

ზაზა ალექსიძე
ცხოვრება და მოქალაქეობა ილია აბულაძესი

...მე თუ ვინმე მკითხავდა, ვიტყოდი, რომ ქართველ მეცნიერთაგან ცოტას ვისმეს შეეფერება ჩვენს დიდ წინაპრებთან, ათონელ თუ სინელ წმინდა მამებთან, შედარება ისე, როგორც ილია აბულაძეს. იგი მათ ჰგავდა ცხოვრების წესით: იყო მარტომყოფი, თუმცა ხალხში უხდებოდა ტრიალი (ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, აკადემია); ჰგავდა წერისა და ნაწერის გამორჩეული სიყვარულით, მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი ნაბეჭდი ბიბლიოთეკა ჰქონდა; ჰგავდა მოწაფეთა და მიმდევართა სიმრავლითაც, თუმცა არავითარი სპეციალური თეორია, თუნდაც ტექსტოლოგიაში, რომლის ემპირიული დიდოსტატიც უეჭველად იყო, არ შეუქმნია და არც ჰქონია ამის მოცალეობა. ჩაჯდებოდა ილია აბულაძე თავის მოწაფეთა შორის და მათთან ერთად ამზადებდა მრავალი ნუსხისა თუ რედაქციის საფუძველზე ძველი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ტექსტების კრიტიკულ, აკადემიურ გამოცემებს. ასე ინახებოდა ილია აბულაძის დიდი ტექსტოლოგიური გამოცდილება მომდევნო თაობებში.

...შუა საუკუნეების შემდეგ საქართველოს არა ჰყოლია სხვა მეცნიერი, ილია აბულაძის გარდა, რომელიც მხოლოდ ხელნაწერით სულდგმულობდა. ხელნაწერთა განყოფილება და შემდეგ ინსტიტუტი იყო მისი სახლი და კარი, მისი ოჯახი მთელი თავისი სიხარულით, ზრუნვითა და ტკივილით: ხელნაწერი წიგნი იყო მისთვის საკვლევი ობიექტიცა და დასვენება- გართობის წყაროც; ხელნაწერისადმი დამოკიდებულება იყო მისთვის საზომი ადამიანისა და საზოგადოების ზნეობრივი სიმაღლისა.

ბევრ გამოჩენილ მეცნიერთა შორის სწორედ ილია აბულაძეს ხვდა წილად პატივი, დაეარსებინა ხელნაწერთა ინსტიტუტი, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ბუნებით არ იყო არც საზოგადო მოღვაწე, არც კარიერისა და პატივის მაძიებელი. სწორედაც პირიქით. ერთადერთი ნიშანი, რომლითაც ილია აბულაძე იყო ზეგარდმო ბეჭედდასმული, ეს იყო პროფესიული სრულყოფილება და სრული უანგარობა.

ამრიგად, 1958 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია აბულაძის შემოქმედების, სწორედ რომ შემოქმედების, ყველაზე დიდი ნაყოფი და გვირგვინი. როდესაც ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის სპეციალური შენობა აიგო, რომლის მშენებლობის ყოველდღიური დამკვირვებელი და ფიზიკური მონაწილეც თვითონ იყო (მასთან ერთად ხშირად ვიყავით ჩვენც, მისი მოწაფეები), ილია აბულაძემ დამშვიდებულმა ჩაილაპარაკა: „აწ განმისვენე უფალო“. მაშინ იგი მხოლოდ 65 წლისა იყო. საეროთაგან ბევრს არ შეეძლებოდა, ეთქვა ეს სიტყვები. ილია აბულაძემ დააბინავა თავისი „წვრილშვილი“, რომლებიც სახელმწიფო მუზეუმის შენობაში ვიწროდ და სათანადო დაცვის გარეშე ცხოვრობდნენ.

მაგრამ ინსტიტუტის შექმნა არ იყო მხოლოდ მისი სტრუქტურულად დაფუძნება აკადემიის

სისტემაში და შემდეგ შენობის აგება. პირველ რიგში ეს იყო ერთი სამეცნიერო ინტერესებით, პროფესიული ნიშნით გამორჩეული, ხელნაწერი წიგნის, საისტორიო და საარქივო დოკუმენტების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების მქონე ახალი კოლექტივის შეკვრა. ასეთი მას უნდა მოეძებნა და ასეთი მას უნდა აღეზარდა. არნ. ჩიქობავას თქმით: „კადრების მომზადება ადვილია, თუ მას ფორმალურად მოვეკიდებით, მაგრამ რთულია და ძნელია, თუ გამწევი ძალა გვინდა შეგვემატოს. ილია აბულაძე სწორედ ასეთ კადრებს ამზადებდა“. მე მგონია, რომ თუკი რაიმე შეძლო ილია აბულაძემ განსაკუთრებით წარმატებულად, სწორედ ეს შეძლო პირველ რიგში. რა თქმა უნდა, ილია აბულაძის გამეორება შეუძლებელი იყო, მაგრამ მან ყველა ჩვენგანს გაუნაწილა ის ერთგულება და სიყვარული ჩვენი წინაპრების მიერ დატოვებული ხელნაწერი მემკვიდრეობის მიმართ, რაც თვითონ ასე უხვად ჰქონდა მომადლებული.

იქნებ ერთადერთი ადამიანიც კი იყო ამ ქვეყანაზე ილია აბულაძე, რომელიც ხელნაწერის კითხვასა და შესწავლას გართობას უწოდებდა და არა შრომას. „ამით ვირთობ თავსო“, – მიუწერია ჰანს ფოგტისათვის და ამასვე ეუბნებოდა თავის მოწაფეებს. მე მგონია, რომ ეს არის ყველაზე დიდი სიმაღლე, რისი აღებაც მეცნიერმა შეიძლება თავისი ცხოვრების მანძილზე შეძლოს, როდესაც სხვის თვალში მძიმე, გულისგამაწვრილებელი, თვალების დამშრეტი შრომა მისთვის მხოლოდ სიხარულის მომგვრელი გართობაა. დიდი აღმოჩენებიც სწორედ ასეთი „გართობის“ შედეგია. ამიტომ იყო, რომ მატენადარანში „სომხური ხელნაწერების გადათვალიერებისას“, ესეც მისი სიტყვებია, პირველმა მეცნიერებაში 1937 წლის 28 სექტემბერს (ასე დააფიქსირა ისტორიამ) აღმოაჩინა XV ს-ის სომხური ხელნაწერი, ანბანთა სახელმძღვანელო, რომელშიც სხვებთან ერთად მოცემული იყო კავკასიის ალბანელთა დამწერლობაც. ჩვენ, მისმა მოწაფეებმა, ხომ კარგად ვიცით, რასაც ნიშნავდა ილია აბულაძის მიერ „ხელნაწერთა გადათვალიერება“. მეცნიერულ არმენოლოგიას მანამდე უკვე ორი საუკუნის ისტორია მაინც ჰქონდა გავლილი, ხოლო ალბანოლოგიასა და ალბანეთის შესახებ მასალის ძიებას სულ ცოტა – ერთი. რამდენმა ასეულმა მეცნიერმა „გადაათვალიერა“ ამ ხანებში ეჩმიაძინის ხელნაწერები და ვერავინ წააწყდა ალბანურ ანბანს. ილია აბულაძის განსაკუთრებული უნარი ქართული და სომხური ხელნაწერების „გადათვალიერებისა“ კარგად იცოდა მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა ფილოლოგმა და ენათმეცნიერმა, ჰრ. აჭარიანმა, რომელიც მაშინვე გამოეხმაურა ამ აღმოჩენას და დაწერა შემდეგი სიტყვები: „დაუვიწყარი დიდებისა და პატივის ღირსი გახდა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი ილია აბულაძე, რომელმაც 1937 წლის სექტემბრის 28-ს ეჩმიაძინის ხელნაწერებს შორის ალბანური ანბანი აღმოაჩინაო“. და კიდევ: „ილია აბულაძის აღმოჩენის შემდეგ თავს ისე გრძნობ, როგორც ხანგრძლივად სიბნელეში მოხვედრილი ადამიანი, დღის სინათლეზე თვალი რომ მოეჭრებაო“.

...ნიკო მარის შემდეგ ილია აბულაძე იყო ის მეცნიერი, რომელმაც ქართულ-სომხურ ფილოლოგიას ახალი სული ჩაუდგა. ეს იყო ახალი ეტაპი ამ დარგის განვითარებაში. ნ. მარის თავბრუდამხვევი გაქანების, მასშტაბებისა და სინთეზური აზროვნების დამთრგუნველი გავლენის შემდეგ უეჭველად საჭირო იყო შეჩერება, დამშვიდება, წყნარი, კონკრეტული და გამოწვლილვითი მუშაობა, რომ გენიალური მოაზროვნის სუსტ ეპიგონებს, მისი ზოგჯერ დაუსაბუთებელი იდეების უხეირო გამაგრძელებლებს, ეს დარგი მეცნიერებისაგან სრულიად არ მოეწვიტათ. საქართველოში ამ ეტაპის განხორციელება წილად ხვდა ილია აბულაძეს.

ილია აბულაძემ არა მარტო შექმნა ახალი ეტაპი ქართულ-სომხურ ფილოლოგიაში, არამედ მოამზადა მთელი თაობა ამ დარგში მომუშავე სპეციალისტთა, რომელთაც შეეძლოთ უშიშრად მიბრუნებოდნენ საერთო კავკასიურ პრობლემატიკას და მესამე ეტაპის განხორციელებაზე ეზრუნათ, როცა ისტორია, ფილოლოგია

და ენათმეცნიერება მთლიანად ქრისტიანული კავკასიის სამიჯნო პრობლემატიკის წამოჭრისა და გადაჭრის სამსახურში დგება.

ილია აბულაძე ქართველოლოგიის მრავალ დარგში მოღვაწეობდა და ყველგან ფუძემდებლურ ნაშრომებს ქმნიდა. როგორ დაიწერება ძველი ქართული მწერლობის ახალი ისტორია მის მიერ გამოცემული ბალავარიანის, რუსუდანიანის, ლიმონარის, ასურელ მამათა ცხოვრებების, მამათა სწავლათა, ბასილი კესარიელისა და გროგოლ ნოსელის თხზულებების, მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოცემული ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლების გარეშე.

ხელნაწერთა აღწერის წესები პირველად ივ. ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა. შემდეგში აღწერილობათა გამოსაცემად მომზადების საქმეს ილია აბულაძე ჩაუდგა სათავეში. მის ხელში გაფართოვდა და დაიხვეწა აღწერილობათა პრინციპები. აღწერილობათა მომზადება სამეცნიერო საქმედ იქცა, მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოცემული წიგნები მეცნიერულ პროდუქტად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ვრცელი აღწერილობები თანდათან საერთაშორისო არქეოგრაფიისათვის სანიმუშო და მისაბაძი გახდა. დღეს უკვე ამ ტიპის აღწერილობები საქართველოს გარეთაც კეთდება.

...ყოველივე ეს და მრავალი სხვა, რომელთა აღნუსხვასაც მთელი წიგნი დასჭირდებოდა, ილია აბულაძეს გამორჩეულ ადგილს მიუჩენს ქართველ მეცნიერთა შორის და, თუ გნებავთ, საზოგადო მოღვაწეთა შორისაც. თუმცა მას თვითონ საზოგადო მოღვაწედ არასოდეს ჩაუთვლია თავი. „მოღვაწეობა“, „ღვაწლი“ კარგი სიტყვებია, მაგრამ ბოლო ხანებში ძალიან გაცვდა. დამწყებ მუშაკთა უმრავლესობას თუ ჰკითხავ, სად მუშაობო, მოსალოდნელია გიპასუხოს, ამა და ამ დაწესებულებაში ვმოღვაწეობო. ილია აბულაძის მიერ განვლილი გზა ოდესმე თუ წიგნად აღინუსხება უფრო მოუხდება „ძველი ქართული ცხოვრება და მოქალაქეობა“.

ასეა თუ ისე, ისტორია არ ეკითხება ადამიანებს, რას ფიქრობენ ისინი საკუთარ თავზე, ამიტომ მიუჩინა ილია აბულაძეს საუკუნო განსასვენებელი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ამიტომვე დარჩა ილია აბულაძის სული სამუდამოდ ხელნაწერთა ინსტიტუტში მცველად და სიმბოლოდ დროთა და თაობათა კავშირისა.

მოსმენილი და მონაყოლი – ილია აბულაძის შესახებ

მე, ილია აბულაძეს, დიდი მეცნიერის ძმისშვილს, გამიჩნდა აზრი, რომ მისი პორტრეტის უკეთ საჩვენებლად გამეხსენებინა თუ როგორი იყო იგი სანათესაო წრეში, მომეგონებინა შინაურ საუბრებსა თუ პირად ურთიერთობებში.

მე დავიბადე სოფლის იმ ძველი ხის სახლში, სადაც ბიძაჩემი დაიბადა ჩემს დაბადებამდე 42 წლით ადრე. სახელი დამარქვეს მისი პატივისცემის ნიშნად, ხოლო გვარი და მამის სახელი ჩემი და ძია ილიასი, როგორც მას ბავშვობაში ვეძახდი, ერთმანეთს დაემთხვა.

მამაჩემი ვლადიმერი (გუგულა) დედმამიშვილებიდან ყველაზე უმცროსი გახლდათ, ამიტომ ყველა მისდამი დიდ სიყვარულს გამოხატავდა. განსაკუთრებით, უფროსი ძმა, ძია ილია. ყველა დედმამიშვილი წასული იყო თბილისში სასწავლებლად თუ სამუშაოდ. მხოლოდ ერთი – მამაჩემი ცხოვრობდა და სწავლობდა სოფელში. ბაბუაჩემს გადაწყვეტილი ჰქონდა უმცროსი ვაჟის სოფელში დატოვება. მამაჩემმა დაამთავრა თუ არა სკოლა, იცოდა რა მამის სურვილი, დაუკითხავად, ზესტაფონიდან მატარებლით, თბილისში ჩავიდა თავის უფროს ძმასთან და გაუმხილა თავისი გადაწყვეტილება თბილისში სწავლის გაგრძელებაზე. ძია ილიამ მოუსმინა მამაჩემს, შეატყო, ძნელი იქნებოდა მისი გადაწყვეტილების შეცვლა და დაითანხმა ბაბუაჩემი, რომელსაც ასე ძალიან უნდოდა, რომ ერთი შვილი მაინც ოჯახში მასთან ყოფილიყო.

ძია ილიას მამაჩემისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობასა და სიყვარულზე მიუთითებს მისი წერილი, დათარიღებული 1930 წლის 20 ნოემბრით, რომელიც მან სოფელში მამაჩემს გაუგ-

ზავნა მისთვის ჩვეული ლამაზი კალიგრაფიით შედგენილი (წერილის ორიგინალი ჩემთანაა).

„ძმაო გუგულა!

იცოცხლე ბედნიერად. მივიღე შენი ბარათი. იმ დღესვე გწერ სამაგიეროს, შენსავით არ მავიწყდება. იყავი კარგად, ჩვენ კარგად ვართ მხოლოდ შენ ხარ ჩემი სადარდო, კლასში სიარულს არ დაიშლი და მანდ სახადია მოდებული. ნიორი გიშველის! არა. თავის მოვლა. კარგი სმა და ჭამა. რაც მთავარია, არ სვა ცივი (უმი) წყალი, უსათუოდ გადმოდუღებული, რადგან სახადის (მუცლისა) გამავრცელებელი მხოლოდ ცივი (უმი) წყალია. ბიჭო, ჩაი სვი ხოლმე. შაქარი გექნება. კიდევ გამოგიგზავნი, თუ არა გაქვს. აპა, შენ იცი, რა კარგად მოუვლი თავს. რაც გინდოდეს, დაურიდებლად მომწერე. წამოვა ვინმე თუ არა, ფულს გამოვატან, გამოგიგზავნი. შენ თუ მალე გექნება არდადეგები, წამოიყვანე ვინმე და გვეწვიე... იყავით კარგად. გიგზავნი ახლად მოსული ბიძინას წერილს. შენი ილია“.

1960 წელს, ბათუმში (სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ) ოქროს მედალზე დავამთავრე საშუალო სკოლა და თბილისში ჩამოვედი სწავლის გასაგრძელებლად. ძია ილიასთან ერთად ვიმსჯელეთ, თუ რომელი სპეციალობით გამეგრძელებინა უმაღლესში სწავლა. მან შემომთავაზა, მესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რადგან მე მოვიაზრებოდი მისი საქმიანობის გამგრძელებლად. ხოლო სახელის, გვარისა და მამის სახელის იდენტურობა განსაკუთრებულ ელფერს შესძენდა ასეთ გადაწყვეტილებას. ჩემი თანხმობა იგვიანებდა. მე ვიყავი გატაცებული ფიზიკის დარგის მაშინდელი აღზევებით, განსაკუთრებით, ბირთვული ფიზიკისა. ამიტომ გადაწყვეტილება ძია ილიამ ვერ შემაცვლევინა და არც თვითონ დაუძალებია. ისე კი გამოგიტყდებით, რომ სამეცნიერო კარიერის გაკეთება, ბიძის ავტორიტეტიდან გამომდინარე, ფილოლოგიაში უფრო გამიადვილდებოდა. თუმცა რაიმე შეღავათების დაშვება მისგან ყოვლად გამორიცხული იქნებოდა.

მახსოვს, როცა უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდები მოახლოვდა, ავად გავხდი და მაღალი ტემპერატურით მიწევდა გამოცდებზე მისვლა. უმეტესობა პროფესორ-მასწავლებლებისა, საგნების კომისიის თავმჯდომარეები, ი. ჭავჭავაძის პროსპექტის ნომერ 24-ში მდებარე უნივერსიტეტის პროფესორთა სახლის (ასე ეძახდნენ ამ სახლს) მცხოვრებლები, ძია ილიას მეზობლები და მეგობრები იყვნენ. მათემატიკაში მისაღები გამოცდების კომისიის თავჯდომარე იყო ცნობილი მათემატიკოსი, პროფესორი ვლადიმერ (ლადი) ჭელიძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მწკრივთა თეორიის განვითარებაში. იმ დროს ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი იყო აკადემიკოსი ვაგან მამასახლისოვი, თეორიული ფიზიკის ქართული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მათ და ბევრმა უნივერსიტეტში მოღვაწე ცნობილმა მეცნიერებმა მაშინ გაიგეს ილია აბულაძის ძმისშვილი რომ ვიყავი, როცა უნივერსიტეტი დავამთავრე.

მახსენდება მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული ერთი კურიოზი. ფიზიკის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდები საკონკურსო საგნებში მაღალი ქულებით ჩაბარებული მაქვს. ბოლო, არასაკონკურსო, გამოცდას ვაბარებ ქართულ წერაში. ამ საგანში კომისიის თავჯდომარე იყო ძია ილიას კოლეგა, პროფესორი აპოლონ მახარაძე. როგორც ჩანს, როცა იგი გაეცნო აბიტურიენტთა სიას, ჩემმა გვარმა, სახელმა და მამის სახელმა გულგრილი არ დატოვა. არ შორდებოდა ჩემს საგამოცდო მაგიდას და მარიგებდა, არ ავჩქარებულიყავი, კარგად მომეფიქრებინა აზრი, ვიდრე დავწერდი, რომ საკმაო დრო მქონდა. მაშინ ვერ მივხვდი თუ რატომ იჩენდა ბატონი აპოლონი ჩემდამი ასეთ ყურადღებას, მაგრამ მალე ყველაფერი გაირკვა. თურმე იგი შეხვდა ბიძაჩემს და ჰკითხა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო აბიტურიენტი ილია ვლადიმერის ძე აბულაძე. როცა გაიგო, მისი ძმისშვილი ვიყავი, უსაყვედურა, რატომ არ გამაფრთხილეო. „არ დამიჯერა იმ ბიჭმა, ფილოლოგიის ფაკულტეტს ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლა ამჯობინა, სკო-

ლა ოქროს მედალზე აქვს დამთავრებული და დარწმუნებულია დახმარების გარეშე ჩააბარებსო“, – უთხრა ძია ილიამ.

მინდა გავიხსენო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლისას ჩემი პროფესორ-მასწავლებლები: გურამ ჭილაშვილი, გიგა და მათე მირიანაშვილები, გივი ხუციშვილი, გოგი ალექსანდრია, შოთა ბებიაშვილი, თენგიზ სანაძე და გურამ ქევანიშვილი, ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს მათი სულები.

მახსენდება, თუ როგორი ყურადღებიანი იყო ბიძია ილია თავისი ძმისშვილების და დისშვილებისადმი. ერთხელ ყურის ანთებით გავხდი ავად. ძია ილიას რეაქციამ არ დააყოვნა, მამიდა ნინოს მისცა ფული, რომ კარგ ექიმთან მემკურნალა.

ოჯახში გადაწყდა, მივსულიყავი იმ დროის ცნობილ ექიმთან ონანოვთან. მამიდაჩემმა ფული ჩამაბარა და მამიდაშვილის, ლეილას (ქიცოს), მეუღლესთან, ავთო ცირეკიძესთან, ერთად წავედით ექიმთან. გზაზე ვიმსჯელეთ, რომ ყურის მორჩენას ცოტაღა აკლდა და ექიმთან ვიზიტსა და ფულის დახარჯვას აზრი არ ჰქონდა. ჩვენი ქმედება რომ შეგვენიღბა, აფთიაქში შევიძინეთ 7 კაპიკიანი დოლბანდი ყურის გადასახვევად. შევიარეთ რესტორანში, გვარიანად მოვულხინეთ და შინ კარგ ხასიათზე დავბრუნდით. კარგა ხნის მერე გავუმხილე ძია ილიას ჩემი ნამოქმედარი, მსუბუქად დამტუქსა, მაგრამ ღიმილს ვერ ფარავდა.

განსაკუთრებით ხიბლავდა შრომისმოყვარე და სწავლამოწყურებული ახალგაზრდები. ვერ იტანდა ზარმაცებსა და ცუღლუტებს. მახსენდება მისი ნაამბობი უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-სთან დაკავშირებით. ბიძაჩემის მასთან შეხვედრა იმ დროს მოხდა, როცა იგი მუშაობდა საკანდიდატო დისერტაციაზე: „ურთიერთობა საქართველოსა და ბიზანტიას შორის და ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“. ახალსემინარია დამთავრებული პატრიარქი მივიდა ძია ილიასთან, რომელიც მისივე დაარსებული ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ და სთხოვა თავისი შრომისათვის საჭირო ხელნაწერები. როგორც მოგვიანებით გაიხსენა პატრიარქმა, მან თავისი ხელით, ისე რომ არავისთვის დაუვალებია, დიდი სიყვარულით მოუძებნა ყველაფერი და გადასცა ხელნაწერთა ანაბეჭდები (იხ. საპატრიარქოს უწყებანი, №48, 1-7 დეკემბერი, 2001 წ.)

მოგვიანებით შევხვდი პატრიარქს, როცა იგი აჭარაში მოღვაწეობდა, დიდი სიყვარულით მოიკითხა ძია ილია და გაიხსენა მასთან ურთიერთობის პერიოდი, მე კი დამლოცა და სწავლაში წარმატებები მისურვა.

ძია ილიას დედმამიშვილებზე ზრუნვის საუკეთესო მაგალითია მისი დამოკიდებულება ძმის – ბიძინას ოჯახისადმი. ბიძინა ომის დროს ტყვეობაში მოხვდა. ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, სადაც მას მეუღლე და სამი შვილი ელოდა. ტყვეობიდან დაბრუნებული დააპატიმრეს და ათი წლით გადაასახლეს. ძია ილიას მთავარი საზრუნავი და სატკივარი გახდა უმამოდ დარჩენილი ძმის, ბიძინას ოჯახი. ბავშვების აღზრდისა და ფიზიკური არსებობის მთელი პასუხისმგებლობა ძია ილიამ თავის თავზე აიღო. ის ნამდვილ მამობას უწევდა ძმისშვილებს, რომლებიც სასახელო ადამიანები გახდნენ. ნოდარი ფიზიკოსი იყო, გურამი – არქიტექტორი. ლია – ფილოლოგი. ამჟამად გერმანიაში განაგრძობს სამეცნიერო მოღვაწეობას. ძია ილიას რჩევით ფილოლოგის სპეციალობა აირჩიეს მისი დის, ნინოს, შვილმა – ლეილა თუშმალიშვილმა, ასევე, ძმის, დავითის, შვილმა დალი აბულაძემ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძია ილიას და მამიდაჩემის ნინო აბულაძის ურთიერთობა. ნინო თავის ძმაზე მზრუნველი, ერთგული და ახლობელი ადამიანი იყო. ის მისი მხოლოდ და კი არა, დედაც იყო და მეგობარიც. ალბათ, შემთხვევითი არაა ის, რომ ძია ილიამ მამიდაჩემის ხელში დალია სული. ძია ილიას გარდაცვალების შემდეგ მისი საფლავის მომვლელი და მორიდებული ანდერძის „ისევ და ისევ ვთხოვ, რასაკვირველია, ჩემიანს პირველ რიგში, კურთხევით მომიხსენიებდენ“, სრულად შემსრულებელი ნინო აბულაძე იყო.

როგორც კი ზაფხულის არდადეგები დაგვწყებოდა, ბავშვები თავს ვიყრიდით სოფელში.

დიდი ზეიმი იყო ჩვენთვის, როცა ძია ილია ჩამოვიდოდა. თითოეულ ჩვენგანთან პოულობდა საერთო ენას, გვიყვებოდა მეტად საინტერესო ისტორიებს საქართველოს წარსულიდან. მთელი დღის განმავლობაში იგი ჩაკეტილი იყო თავის სამუშაო ოთახში, დიდი გამადიდებელი შუშით გულმოდგინედ დასცქეროდა ხელნაწერებს. საღამოს კი ლამპის შუქზე (მაშინ სოფელში დენი არ იყო მიყვანილი) გვიამბობდა ძველ საგმირო ამბებზე.

მინდა გავიხსენო ერთი მისი იუმორნარევი ნაამბობი. ერთ ზაფხულს იგი ლიკანში ისვენებდა. ცნობილ ადამიანებთან ერთად ისვენებდა, თბილისელი, ეროვნებით სომეხი, საქმოსანი, რომელსაც მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მან გაიგო, რომ ძია ილია ძველი სომხური ენის სპეციალისტი და პროფესორი იყო და ხშირად სომხურად საუბრობდნენ. ბიძაჩემის ასეთი მაღალი დონის სომხური ენის ცოდნა მასში გაკვირვებას იწვევდა. ერთხელ მან გაბედა და უთხრა: „ბატონო ილია, ამდენი გიშრომიათ, ძველი და თანამედროვე სომხური ასე კარგად გისწავლიათ, ვითომ ღირდა ეს ყველაფერი ამად? ჯერ სომხური ენა რა არის და მერე მისი პროფესორი რა უნდა იყოსო“, – ამის გახსენებაზე ხშირად ეღიმებოდა ძია ილიას.

მახსენდება, როცა 1965 წელს ძია ილია თავის თანამშრომლებთან ერთად ესტუმრა ბათუმს, აჭარის რეგიონში არსებული ხელნაწერების შესასწავლად. შეხვედრა მოუწყვეს მაშინდელი აჭარის ინტელიგენციამ და მისმა კოლეგებმა. მრავალი თბილი სიტყვა ითქვა მისი მისამართით. იგი მადლობას უხდიდა კოლეგებს და ყოფილ მოსწავლეებს, რომლებსაც მეცნიერებაში უკვე მოპოვებული ჰქონდათ წარმატებები.

სიცოცხლის ბოლო წლებში გარკვეული ოჯახური დაძაბულობის გამო მოეძალა თავისი მშობლიური კუთხის ნოსტალგია. – პენსიაზე გასვლის შემდეგ სოფელში, ჩემს სახლში ვიცხოვრებ და ვიმუშავებო, – გვეუბნებოდა ჩვენ. მის მიერ დატოვებული ბოლო აღსარება: „ქონება არაფერი მრჩება. ჩემი ავლა-დიდება ჩემი წიგნებია მხოლოდ. მათ კი ნუ გამიყიდით. იქნებ, თქვენში ვინმემ ქართული ან სომხური ისწავლოს და გამოიყენოს ეს ბიბლიოთეკა. თუ მძიმე და საძნელო გახდება მისი დაცვა, მაშინ ხელნაწერთა ინსტიტუტს გადაეცით ჩემდა მოსაგონრად. მაპატიეთ, ხელცარიელი მოვედი ამქვეყნად და ხელცარიელი განვალ. ნუ მაგინებთ ამისათვის. იცის გამჩენმა, რომ არ მიფლანგავს, ჩემიანს ვახარჯავდი მხოლოდ. ისევ და ისევ ვთხოვ, რასაკვირველია, ჩემიანს პირველ რიგში, კურთხევით მომიხსენიებდენ“.

ღმერთმა ისმინა ბიძაჩემის ვედრება. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეასრულა პანაშვიდი მისი სულის საოხად, მისი დაბადებიდან 100 წლისთავზე და მომდევნო წლებშიც. ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს სული მონისა ღვთისა ილია აბულაძისა, ამინ.

თბილისი, 2013



ილია აბულაძე და გიორგი ჩუბინაშვილი

ილია აბულაძე (III რიგში მარცხნიდან პირველი), წინა რიგში გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე

ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილების 1939 წლის გამოშვება.
ზემოდან პირველ რიგში: სიმონ ჯანაშია, კორნელი კეკელიძე. მარცხნიდან მეექვსე – გიორგი წერეთელი.
მეორე რიგში: ვარლამ თოფურია, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვლ. ფუთურიძე.
მესამე რიგში: სავლე წერეთელი, უცნობი პირი, შოთა ძიძიგური, სერგი ჯიქია, ქეთევან ძოწენიძე, ილია აბულაძე.

მეცნიერთა წრეში.
მარცხნიდან: გიორგი წერეთელი, გიორგი ძოწენიძე, აკაკი შანიძე, ილია აბულაძე, ნიკო კეცხოველი, ნიკო მუსხელიშვილი, ანგია ბოჭორიშვილი



ცენტრში სხედან: სიმონ ჯანაშია და ივანე ჯავახიშვილი.
მარცხნიდან პირველ რიგში: ვარლამ თოფურია, აკაკი შანიძე.
მარჯვნიდან: სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ილია აბულაძე

ილია აბულაძე ქართველ მეცნიერებთან და ქართველოლოგ დავით ლანგთან ერთად

მარცხნიდან: ილია აბულაძე, უცნობი პირი,
ნიკო მუსხელიშვილი, უცნობი პირი,
აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი



ოჯახურ გარემოში.
პირველ რიგში: ვლადიმერ (გუგულა) აბულაძე.
მეორე რიგში: ილია, ვლადიმერ და ბიძინა აბულაძეები.
მესამე რიგში: დავით, ნინო და თამარ აბულაძეები

ილია აბულაძე აკაკი შანიძესთან ერთად, 1939 წ.
ი. აბულაძის არქივიდან

ტარიელ ფუტკარაძე

თანამედროვე ბათუმი: ინტერესთა კონფლიქტი და პერსპექტივა

ბათუმის (აჭარის) თანამედროვე პრობლემებიცა და პერსპექტივებიც განპირობებულია ისტორიული წარსულით, ამიტომ, მოკლედ, ბათუმის მხარის ისტორიის შესახებ:

კოლხური არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალით თუ ვიმსჯელებთ, აჭარა (დღევანდელი საზღვრებით) კოლხა/კილხას, შემდგომში ქართლის/საქართველოს ცენტრალური ზღვისპირა მხარეა, სადაც ავტოქთონი მოსახლეობაა ქართველობა (ამჟამინდელი აჭარლები, ლაზები, გურულები)[1].

საქართველოს ამ მხარეს ოდითგანვე არსებითი გეოპოლიტიკური ფუნქცია ჰქონდა: ჭოროხის ხეობა იყო „დიდი აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ სახელი ბათუმი მომდინარეობს „ბათის“ Bathys ბერძნული სიტყვიდან, რაც „ღრმას“ ნიშნავს; ამით ხაზი ესმება ბათუმის **ნავსადგურის** ანტიკურ ისტორიას („ბათის ლიმენი“ – ღრმა უბე). ვფიქრობთ, ეტიმოლოგიურად რთული ასახსნელია **ბათის > ბათომ- (/ ბათუმ-)** პროცესი; უფრო ლოგიკურია **ბათ-ომ-** ფუძის დაშვება: სიტყვის ძირია **ბათ-**, **-ომ-** კი ქართველური სუფიქსია (თორთ-ომ-, ბორჯ-ომ-, წრ-ომ-...); შესაბამისად, უფრო ლოგიკური ჩანს ს. ყაუხჩიშვილისეული ვარაუდი, რომ **ბათ-** ძირი დაუკავშირდეს **„ქვას“, „კლდეს“** (შდრ., სვან. **ბაჩ** „ქვა“)[2]:

ბათ-ომ-ი/ბათუმი – ქვიანი ადგილი, ანდა, ადგილი, სადაც კლდეციხეა. ბათუმის ტერიტორიაზე, თამარის დასახლებაში მართლაც არის ციხე[3]. ჩანს, ზღვისპირა ზოლზეც სახელი „ბათუმი“ გვიან, ოსმალთა ბატონობის დროს გადმოვიდა.

ადრეული ცნობებით, ბათუმის მხარეში მოიაზრებოდა მთელი ჭოროხისწყლის ხეობა (აჭარისწყლის ხეობის ჩათვლით); საბჭოთა პერიოდში კი ბათუმის მხარე მხოლოდ აჭარით შემოიფარგლებოდა. ლეონტი მროველის მიერ მოცემულ საქართველოს საერისთავოების საზღვრებს თუ გა-

---

[1] ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005;

[2] საკითხის ისტორიისათვის იხ. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2001, გვ. 73-75;

[3] დ. ხახუტაიშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 151, თბ., 1977 წ., https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94

ვითვალისწინებთ, აჭარა ოდითგანვე მოიცავდა აჭარისწყლის ხეობას და ჭოროხის ხეობის ნაწილს – აჭარისწყლის შესართავიდან ზღვამდე[4].

მე-17 საუკუნემდე ბათუმის მხარე – ჭოროხის ხეობა (აჭარისწყლის ხეობითურთ) – საქართველოს ორგანული ნაწილია; სხვადასხვა დროს ეს ვრცელი ტერიტორია გადანაწილებული იყო ოძრხის, კლარჯეთისა თუ ეგრისის საერისთავოებს/სამთავროებს შორის. XIII-XVI საუკუნეებში ბათუმი ჯერ – დადიანების, ბოლოს კი – გურიელების ხელში იყო.

XVII-XIX საუკუნეებში ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი (აჭარა მაჭახელითურთ, ლივანა, შავშეთი, ტაო, ლაზეთი, ერუშეთი, სამცხე-ჯავახეთი) დაიპყრო ოსმალეთმა. ამ ისტორიული ქართული ტერიტორიის სამუდამოდ დაუფლების მიზნით ოსმალეთი ცდილობდა, მუსლიმანობისა და თურქული ენის გავრცელებით სათავისოდ შეეცვალა საქართველოს ამ ნაწილის ავტოქთონი **მოსახლეობის ცნობიერება.**

ოსმალეთის ბატონობის ბოლო პერიოდში **ბათუმი იყო ლაზისტანის საფაშოს ცენტრი;** საფაშოში შედიოდა 11 ოლქი: ბათუმი, ჩურუქ-სუ (ქობულეთი), ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანი, გონია, ხოფა, ახროვე, ემშინა და ათინა. მას მართავდა მუთასარიფი (გუბერნატორი), რომელიც პირდაპირ ემორჩილებოდა პორტას – ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. ბათუმში იყო მეჯლისი, ანუ საგუბერნიო საბჭო, სასამართლო, თურქული და ბერძნული სკოლები, სამი მეჩეთი და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია[5].

1878 წლის ბერლინის ტრაქტატით ბათუმის მხარის დიდ ნაწილს დაეუფლა რუსეთი, რასაც მოჰყვა გამუსლიმანებული ქართველების ოსმალეთში გადასახლების პროვოცირება და მძიმე ემიგრაციისათვის გაწირვა. 1991 წლამდე – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე – ბათუმსაც მეფის რუსეთი თუ რუსეთის კომუნისტური იმპერია აკონტროლებდა. რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, შეეცვალა ბათუმის მხარის დემოგრაფია; ამ მიზნით მან, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ბათუმის მხარიდან გამუსლიმანებული ქართველების წასვლას შუა თურქეთში (ე. წ. მუჰაჯირობას)[6], მეორე მხრივ კი ბათუმში ჩამოასახლა თავისი ერთგული ეთნოსები (რუსები, სომხები...); რაც არანაკლებ მთავარია, ბოლო ორ საუკუნეში **რუსეთიც შეეცადა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების შეცვლას** ათეიზმისა თუ რუსული ენის გაბატონებით.

მეფის რუსეთის ინტერესებში იყო კასპიის ნავთობპროდუქტების გატანა სხვა ქვეყნებში; 1883 წელს რუსეთმა უზრუნველყო ბაქო-ბათუმის რკინიგზის მშენებლობა, შემდგომ პერიოდში (1897-1907) კი ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქცია და ბაქოდან ბათუმამდე ნავთობსადენი მილის გაყვანა; ამის შემდეგ ბათუმი საერთაშორისო მნიშვნელობის ნავსადგური გახდა[7]; შესაბამისად, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ბათუმმა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქცია შეიძინა[8].

---

[4] მსჯელობისათვის იხ. ვ. შამილაძე, „აჭარის“ ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის საკითხისათვის; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., გვ. 503-519;

[5] ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი, 1989; ევგენი ვეიდენბაუმი: „ბათუმიდან ართვინამდე“, გამომცემლობა არტანუჯი, 2005 წ.;

[6] ლომან ეფენდი ქარცივაძისა და სხვა გამორჩეული ქართველების წინააღმდეგობის მიუხედავად, მუჰაჯირად ბევრი ქართველი მუსლიმანი წავიდა; მუჰაჯირობის შესახებ იხ.: გაზეთი „დროება“, 1880-1883 წწ.; სამსონ ფირცხალავა, „სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი“, თბ., 1915 წ. http://www.ai-ia.info/online-arqivi/110-samson-pircxalava-samahmadiano-saqartvelo-an-dzveli-mesxeti.htm; ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956; შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975; შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა, 1878-1882 წწ.), თბ., 1964; შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993; ნ. კვაჭაძე, ბათუმის ნავსადგურიდან ოსმალეთისაკენ (მუჰაჯირობის ისტორია პრესის მასალების მიხედვით), ბათუმი, 2009; https://oldbatumi.wordpress.com/2009/11/22/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%9D%E1%83%A1/ (დამოწმების დრო: 19.08.2017)...

[7] ვრცლად იხ.:

[8] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98

რუსეთისა და თურქეთის მიერ ისტორული საქართველოს ტერიტორიის ბოლო გადანაწილების შემდეგ (გასული საუკუნის 20-იან წლებში) ბათუმის მხარედ ითვლება რუსეთის გავლენის ველში დაჩენილი მიწა-წყალი: აჭარისწყლის ხეობა, ქვემო მაჭახელი, ლივანისა და ლაზეთის მცირე ნაწილი (კირნათ-მარადიდი; გონიო-სარფი); ამ ტერიტორიაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნით ბოლშევიკური (კომუნისტური) რუსეთი შეეცადა, ბათუმის კონტროლისათვის დამატებითი ბერკეტები მიეღო[9].

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მრავალპარტიულ და დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვებული (ქართული ეროვნული მოძრაობის წიაღში შობილი) **საქართველოს ახალი ხელისუფლების მიზანი იყო საქართველოს სრული დეოკუპაცია** – რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოს ყველა კუთხიდან (მათ შორის, აჭარიდან) და ქართული სახელმწიფოს აღორძინება; ბათუმის კონტექსტში: ბათუმის (აჭარის) პოტენციალის სრულად გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობისა და საქართველოს ახალაღორძინებული სახელმწიფოს საკეთილდღეოდ (ამაზე იყო ორიენტირებული ჩემი, როგორც პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ დანიშნული ბათუმის პირველი პრეფექტის, სტრატეგია).

რუსეთის სტრატეგიულ მიზნებს არ შეესაბამებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოში არსებული სამხედრო ბაზების დატოვება. 1991-93 წლებში რუსეთის მიერ საქართველოში ორგანიზებულმა სამხედრო გადატრიალებამ (პუტჩმა) და თანამდევმა მოვლენებმა დიდად ავნო, როგორც ზოგადად, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, ასევე, კონკრეტულად, **ბათუმის სახელმწიფოებრივი როლის გამოკვეთასაც:** პუტჩის შემდგომ პერიოდში მცირერიცხოვან ადგილობრივ ჯგუფებზე დაყრდნობით ბათუმში გააქტიურდნენ მეზობელი ქვეყნების სხვადასხვა ინტერესის მქონე ძალები, ასევე, მხოლოდ პირად ინტერესებზე ორიენტირებული ქართული თუ სხვა წარმომავლობის კლანები.

პოლიტიკური რყევების მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ – ბოლო ათწლეულებში – ბათუმის აღმშენებლობა საგრძნობლად წავიდა წინ; ბათუმი გამორჩეულ ტურისტულ და კულტურულ ცენტრად იქცა; მიუხედავად ამისა, ახალ დროშიც ბევრი პრობლემა თუ გამოწვევაა; ვფიქრობ, **სიღრმისეულადაა შესასწავლი** თითოეული მათგანი, რომ სწორად დაიგეგმოს პროცესები თუ პრევენციული ღონისძიებები როგორც ბათუმში, ასევე, ზოგადად, ბათუმის მხარეში; **წარმოდგენელი მოხსენების მიზანია ბათუმში ამჟამად არსებული ვითარების ანალიზი.**

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ერთგულ პოლიტიკურ სპექტრს კარგად აქვს გაცნობიერებული საქართველოსათვის **ბათუმის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა;** მისასალმებელია, რომ ბოლო პერიოდში ბათუმის ოფიციალური სტრუქტურები სრულადაა დაქვემდებარებული საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, შესაბამისად, ერთი შეხედვით, ოთხსაუკუნოვანი ავბედობის შემდეგ, გრძელვადიან პერსპექტივაში შეუქცევადი ჩანს ისტორიული სამართლიანობის აღდგენა – ბათუმის მხარის სრული ინტეგრაცია საქათველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში. **პარალელურად, აუცილებელია თვალი გავუსწოროთ არსებულ რისკებსა თუ სხვათა ინტერესების გამო შექმნილ არცთუ მცირერიცხოვან შემდეგ გამოწვევებს:**

გამოწვევა პირველი: მილიარდ-ნახევარი მუსლიმანისა და მილიარდ-ნახევარი ქრისტიანის საცხოვრისთა საზღვარზე არსებული საქართველოს განაპირა კუთხე – აჭარა – **განსხვავებული აღმსარებლობის მქონე პირთა თანაცხოვრების საოცარი მოდელია თანამედროვე მსოფლიოსათ-**

[9] ბოლშევიკური იმპერიის მიერ შექმნილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებმა მოიცვა არა მთლიანად ბათუმის მხარე – „სამუსლიმანო საქართველო“ (როგორც ამას გეგმავდნენ ქართველი მენშევიკები), არამედ მხოლოდ მისი მცირე ნაწილი; თურქეთს დარჩა ბათუმის მხარის დიდი ნაწილი – ამჟამინდელი ართვინის ილი (ტაო-კლარჯეთი, ერუშეთისა და ლაზეთის დიდი ნაწილი) და ერზერუმის ილში შემავალი ქართული ტერიტორიები.

ვის. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ აჭარაში შენარჩუნდეს ასეთი უნიკალური ტოლერანტული გარემო.

ისტორიული ქართული წყაროების მიხედვით, მსოფლიოში პირველი ეკლესია აიგო აჭარისწყლის მაღალმთიან **სოფელ** (დიდ)**აჭარაში:** ასეთი იყო ჩვენი წინაპრების ხედვა; ამიტომაც, აქ პირველი ეკლესიის აგების გამო, მემატიანეებისგან შემდგომში სოფელს ეწოდა **დიდი აჭარა** (სხვა შემთხვევებში, სადაც სოფლის სახელის ზედსართავად გვაქვს „დიდი", იქვეა „პატარაც"; მაგ.: დიდი ჯიხაიში, პატარა ჯიხაიში; სადაცაა „ზემო", იქვეა „ქვემო": ზემო მაჩხაანი, ქვემო მაჩხაანი... შდრ.: არ არსებობს სოფელი „პატარა აჭარა").

აჭარაში – ისტორიული ქრისტიანობის მხარეში – ისლამი გავრცელდა ოსმალობის პერიოდში. ათეიზმის (კომუნისტობის) ეპოქაში გარკვეულწილად ნიველირდა მუსლიმანობა. მე-20 საუკუნეში აჭარაში განათლების კერების აღორძინება-დაარსებამ ხელი შეუწყო მოსახლეობაში ქრისტიანული ფესვების გაცოცხლებას; შესაბამისად, **აჭარა მსოფლიოს იმ ერთადერთ მხარედ იქცა, სადაც მოსახლეობა სამი-ოთხი საუკუნის გაუცხოების შემდეგ ინტენსიურად უბრუნდება წინაპრებისეულ რელიგიას – ქრიტიანობას.** პარალელურად, არსებობას განაგრძობს მუსლიმური თემიც; ამ უნიკალური რეალობის გამო, არაიშვიათად, ერთ ოჯახში ცხოვრობენ ქრისტიანები და მუსლიმანები. ბოლო პერიოდში სხვადასხვა წყაროდან დაფინანსებული პირები ცდილობენ სიტუაციის რადიკალიზებას; გარდა ამისა, ვითარებას ართულებს ისიც, რომ თურქეთიდან ინტენსიურად შემოდის ქართულად თარგმნილი მუსლიმანური ლიტერატურა და გარედან შემოსული სახსრებით შენდება მუსლიმური სამლოცველოები, რომელთა არქიტექტურა ისლამის თურქული სახესხვაობისთვისაა დამახასიათებელი. გარკვეულ წრეებში ეს აღიქმება თურქეთის კულტურულ-რელიგიურ ექსპანსიად და ჩნდება ერთგვარი აგრესია; შესაბამისად, **იქმნება რელიგიური დაპირისპირების პერსპექტივა.**

შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია ყველა რელიგიის პატივისცემის ფონზე სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს მუსლიმური თემისათვის აუცილებელი სასწავლებლებისა თუ სამლოცველოების ადეკვატურად განსაზღვრა და დაფინანსება. ასევე, მუსლიმი თემის აქტივისტები სხვა ქვეყნის საყრდენად რომ არ აღიქმებოდნენ, აჭარაში არსებული მუსლიმანური რელიგიური ნაგებობები ქართული არქიტექტურის ჩარჩოებში უნდა მოექცეს[10]. პარალელურად, ადამიანის უფლებების დაცვით უნდა დაბალანსდეს იმ პირთა საქმიანობა, რომლებიც ცდილობენ მოსახლეობის ნაწილის რელიგიური გრძნობები გამოიყენონ საკუთარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესებისათვის[11]. სწორედ ასეთ ინდივიდთა აქტიურობის შედეგია, მაგ., ამერიკელი ექსპერტის, **პოლ კრეგოს ასეთი შეუსაბამო განცხადება: „ვიცი, რომ ძალიან დაძაბული ურთიერთობაა აჭარაში მართლმადიდებლებსა და მუსლიმებს შორის"[12].**

გამოწვევა მეორე: აგრესიული პროისლამისტური და პანთურქული ჯგუფების ქმედებებისა და მოლოდინების დაბალანსება ბათუმის (აჭარის) ხელისუფლების მიერ საქართველოსათვის სწორი სახელმწიფოებრივი პოზიციით, ასევე, სამოქალაქო აქტიურობით.

აგრესიული პროისლამისტური და პანთურქული ძალები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქტიურობენ; ბათუმის კონტექსტში აღსანიშნავია ის, რომ რადიკალური ძალები, აყალბებენ რა ბათუ-

---

[10] ამ მიმართულებით საინტერესოა ერდოგან შენოლთან და ფევზი ჩელებთან ჩემი დიალოგი; იხ., წერილი: „მინარეთი და ქართული ენა", თბ., 2013: http://tarielputkaradze.blogspot.com/2013/09/blog-post_9493.html; http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=1794

[11] ამ მიმართულებით ორმხრივი პროვოკაციული თუ ნეგატიური განცხადებებისათვის იხ., მაგ.: http://ghn.ge/com/news/view/171305; http://netgazeti.ge/opinion/34248; http://liberali.ge/news/view/25706/tariel-nakaidze-mokhis-komisiis-gadatsyvetilebaze-sakhelmtsifo-dadzabulobis-keras-qmnis;

[12] პოლ კრეგო: „საქართველოს სახელმწიფოში ბალანსი ეკლესიის სასარგებლოდაა დარღვეული" https://www.amerikiskhma.com/a/interview-with-paul-crego/3997729.html

მის (აჭარის) ისტორიას, ბათუმს თურქულ ქალაქად, აჭარას კი თურქეთის კუთვნილ ტერიტორიად აცხადებენ; **საქართველოს მოქალაქეთა შორის ნეგატიურ ემოციას იწვევს ბათუმის შესახებ თურქ პოლიტიკოსთა ორაზროვანი გამონათქვამებიც.** ამ ეტაპზე საქართველოსათვის უფრო აქტუალურია პანთურქული მიმართულებით იდეოლოგიზებულ მეცნიერთა ცალკეული ჯგუფის პოლიტიზებული თვალსაზრისების დაბალანსება; მაგ., ამ მხრივ ნიშანდობლივია პროფესორ ფ. კირზიოღლუსა თუ ი. ზეირეკის ნაწერები[13], რომელთა იდეოლოგემებს დღესაც აქტიურად ავრცელებენ თურქულენოვან სოციალურ ქსელებში. ამ ტიპის „სამეცნიერო დივერსიების" შედეგია მაგ., სარფის თურქულ მხარეს გამართული აქცია: „სარფი თურქეთია"[14]. აუცილებელია **აკადემიური კვლევებით** კირზიოღლუების მიერ სამეცნიერო ველში წამოწყებული საინფორმაციო იერიშების მოგერიება; ამ ნაშრომების სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნება და სოციალურ ქსელებში პოპულარიზება... მეცნიერთა კვლევების დაგეგმვაცა და გამოქვეყნების უზრუნველყოფაც ხელისუფლების ინტერესებში უნდა შედიოდეს.

გამოწვევა მესამე: რუსეთის ინტერესებით მოქმედი ცალკეული ჯგუფების ქმედებების დაბალანსება როგორც ადგილობრივი და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ასევე, საქართველოს საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობით.

საქართველოში რუსული დაფინანსებით არსებული პრორუსული პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები ბათუმშიც აქტიურობენ; **ისინი რუსეთთან ერთმორწმუნეობის იდეის პროპაგანდით ეწინააღმდეგებიან საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბებას;** პარალელურად, ბათუმის მოსახლეობის ერთ ნაწილში ობიექტური თუ პროპაგანდისტული საფუძვლით ძლიერდება ანტითურქული განწყობა; იხ., მაგ., ახლო წარსულში სარფში გამართული ანტითურქული მიტინგი, რომელსაც სოციალურ ქსელებში აქტიური განხილვა მოჰყვა[15]. ეს პროცესი დინებაზე თუ იქნა მიშვებული, დროთა განმავლობაში ამ მიმართულებითაც მივიღებთ სიტუაციის რადიკალიზებას. აჭარაში, ბათუმში ყოველთვის საშიშია სიტუაციის დაძაბვა და საზოგადოების რადიკალიზება (დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ ამგვარი რადიკალიზების პირველი მცდელობა ჰქონდა ასლან აბაშიძეს 1991 წლის აპრილ-მაისში, როდესაც მოკლულ იქნა ნოდარ იმნაძე და რომლის შემდეგაც აჭარაში დამყარდა ერთიანი საქართველოსათვის სახიფათო კლანური მმართველობა).

გამოწვევა მეოთხე: პირად მოგებაზე ორიენტირებული ძლიერი კლანების ქმედებების მოქცევა საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელ ჩარჩოებში და პოლიტიკური სპექტრის გაჯანსაღება.

ყველა სახელმწიფოში, მით უმეტეს, ახალაღორძინებული სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანაში არიან/ჩნდებიან ფინანსურად ძლიერი ჯგუფები, რომელთაც ესაჭიროებათ სახელისუფლებო ბერკეტები; შესაბამისად, შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ათწლეულში საქართველოს პარლამენტსა თუ ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში ხშირად შევხვდებით ბიზნესწრეების წარმომადგენელს. არის შემთხვევებიც, როდესაც პოლიტიკურ ლიდერებს ეტმასნებიან ახალგამდიდრებული პირები. მსგავსმა შემთხვევებმა შეიძლება დააზარალოს სახელმწიფო ინტერესი... ეს როგორც სრულიად საქართველოს, ისევე, ბათუმის (აჭარის) ხელისუფლებისთვის სერიოზული გამოწვევაა.

---

[13] კრიტიკისათვის იხ., მაგ., http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=5794

[14] http://bulvar.ge/?type=pages&cat=12&id=1197;https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1299351403410543&id=1143975058948179

[15] https://forum.ge/?showtopic=34893114&f=&st=0&

გამოწვევა მეხუთე: საქართველოს განათლების, კულტურისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში ბათუმში (აჭარაში) ისეთი საგანმანათლებლო მიმართულებების გააქტიურება, რომლებიც ხელს შეუწყობს ავტოქთონი მოსახლეობის იდენტობის (მეობის) აღორძინებასა და სხვა ეთნიკური ჯგუფების ღირსების დაცვას.

მე დავიბადე ზემო აჭარაში, სოფელ ტომაშეთში. სასკოლო განათლებამ (რა თქმა უნდა, ოჯახურმა წრემაც!) მომცა ის ცოდნა, რომლის საფუძველზეც მე ჩემი ეროვნული იდენტობა (მეობა) გავიაზრე, როგორც ქართულენოვანი ისტორიული კულტურის ნაწილმა. კომუნისტური ეპოქის ზეობის პირობებში სკოლის დამთავრებისთანავე, რაც პირველი გავაკეთე, იყო ქრისტიანულად მონათვლა (1978 წელი) თბილისის სიონში. **საბჭოთა სკოლის იდეოლოგიზებული ხასიათის მიუხედავად, ძველი ქართული ლიტერატურის სახელით ისე საფუძვლიანად ისწავლებოდა ქართული ქრისტიანული ლიტერატურა, რომ მე სხვა არჩევანი არც მქონია:**

სკოლაშივე გავაცნობიერე, რომ მე, როგორც ქართველი, ვიყავი დიდი ისტორიის მქონე ქრისტიანი ერის შვილი იმ კუთხიდან, რომელშიც მსოფლიოში პირველი ქრისტიანული ეკლესია აიგო ანდრია პირველწოდებულის მიერ. ამ ცოდნამ შეურყევლად განსაზღვრა ჩემი პიროვნული და ეროვნული ორიენტირები.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ: ეს იყო სასკოლო განათლების დამსახურება. დღეს ჩვენს სასკოლო განათლებას არ აქვს გამოკვეთილი ორიენტირები; მაგ., ამჟამინდელი მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს კონცეფციაში არსებული ფორმულირება: „მოქალაქის აღზრდა“ ბუნდოვანია; აუცილებელია, სასკოლო განათლების უმთავრესი მიზანი იყოს საქართველოს სახელმწიფოს ერთგული მოქალაქის აღზრდა; პარალელურად, მოსწავლეს უნდა მიეწოდოს საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებელი ერის კულტურული ორიენტირები, ასევე, ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების მახასიათებლების შესახებ; **საბოლოო ჯამში, სკოლამ უნდა აღზარდოს საქართველოს ღირსეული მოქალაქე, რომელსაც ეყვარება ქართული ენა, ქართული კულტურა, თავისი სახელმწიფო და პატივს სცემს სხვა ეთნოსების ენასა და კულტურას.** ამგვარი მკაფიო ორიენტირება მით უფრო აუცილებელია აჭარაში, რამდენადაც, გარეშე ძალები საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ, შეეცვალათ საქართველოს ამ კუთხის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, რელიგია, კულტურა, ზოგადად, ცნობიერება; შდრ.: როცა სწორად იყო ორგანიზებული განათლების სისტემა, აჭარაში იშვა ერთიან საქართველოზე მოფიქრალი არაერთი გმირი თუ მოღვაწე; აქ მხოლოდ **ტბელ აბუსერისძის** სახელს დავიმოწმებ.

გამოწვევა მეექვსე: დღეს ბათუმი არის დიდი მნიშვნელობის მქონე ტურისტული და სტრატეგიული ეკონომიკური ცენტრი; სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების ბიზნესინტერესების დაცვის ფარგლებში ბათუმის (აჭარის) შემოსავლები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტისათვის (შემოსავლების დიდი ნაწილი დღეს იკარგება არალეგალური ბიზნესით).

ეკონომიკა და ბიზნესი ნაკლებადაა ჩემი ანალიზის სფერო, თუმცა, ფაქტია, რომ ამ მიმართულებითაც ბევრი პრობლემაა. ამას წინათ ჩემთვის საინტერესო კრიმინალი აღმოვაჩინე:

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობა აქვს ჩინეთთანაც[16] და თურქეთთანაც[17], მაგრამ თავისუფალი ვაჭრობა არ არის თურქეთსა და ჩინეთს შორის. თურქული კომპანიები რეგისტრირდებიან

[16] ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ იხ.: https://www.radiotavisupleba.ge/a/ekonomika/28490717.html

[17] თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ იხ.: http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/ormxrivi-turketi.pdf

საქართველოში; ჩინეთიდან შემოაქვთ დიდი რაოდენობის საქონელი საქართველოში; საქართველოში უცვლიან სასაქონლო ნიშნებს: პროდუქციას ხსნიან წარწერას, რომ დამზადებულია ჩინეთში და აწერენ, რომ დამზადებულია საქართველოში! **ამ თაღლითური გზით** ჩინური პროდუქცია საქართველოდან შეაქვთ თურქეთში: ამგვარი თაღლითობით ყველა მხარე ზარალდება კონკრეტული გამყალბებლის გარდა.

სხვა მრავალი "შავი ხვრელია" საქართველოში, განსაკუთრებით, საზღვრისპირა ტურისტულ მხარეებში, რომელთაც სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ყურადღება ესაჭიროება.

გამოწვევა მეშვიდე: ბათუმის, როგორც თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის „სანატრელი სამშობლოს ხატის", შენარჩუნება.

თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლებისა და თურქეთის სახელმწიფოში მოქცეული ავტოქთონი ქართველების (მაჭახლელების, ლივანელების, იმერხევლების, ტაოელების, ლაზების...) ცნობიერებაში თამარ მეფის სახელთან ერთად **ბათუმი არის ისტორიული სამშობლოს ლეგენდად ქცეული სიტყვა;** თურქეთში ბოლო დრომდე სათვისტომოების სახელად აქტუალური იყო: **„ბათუმი", „ბათუმელები", „ბათუმელი ხალხი"[18]...** ქალაქის სახელის – ბათუმის – ამგვარი განზოგადება თუ **ბათუმის შესახებ ამგვარი წარმოსახვის შექმნა** განაპირობა იმანაც, რომ ბოლო სამ საუკუნეში ბათუმი მთელი ჭოროხის აუზის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრიც იყო; შესაბამისად, აუცილებელია, **ბათუმმა რეალურ დროში შეინარჩუნოს მიმზიდველობა საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები მილიონობით ქართველისათვის;** ამ მიზნით აუცილებელია სათუთი მოპყრობა მუჰაჯირთა შთამომავლებისა თუ საქართველოს ამჟამინდელ ფარგლებს გარეთ დარჩენილი ავტოქთონი ქართველების მიმართ[19]; ასევე, დიდი როლის შესრულება შეუძლია აჭარის ტელევიზიას, სადაც შესაძლებელია ისეთი გადაცემების ციკლის დაგეგმვა (მაგ., „ერთი ხეობის შვილები"), რომელიც ხელს შეუწყობს საუკუნეების მანძილზე დაშორებულ მოძმეებს შორის მენტალური გაუცხოების დაძლევას და ამ გზით საქართველოსა და თურქეთს შორის მეგობრული წახნაგების განმტკიცებას.

გამოწვევა მერვე: რელიგიისა და ეროვნების გაიგივების შუასაუკუნეობრივი სტერეოტიპების საბოლოო დარღვევა და ცნებების: „ეთნოსი", „ეთნიკური ჯგუფი" აკადემიური გააზრების ფონზე ქართველის, როგორც ეთნიკური ერთეულის, სრული მასშტაბით გააზრება.

აჭარელი, გურული, ლაზი, მეგრელი, იმერელი, ქართლელი, ტაოელი, ლივანელი, იმერხეველი, სვანი, რაჭველი, კახელი, ჰერელი, ფერეიდნელი, სამცხელი, ჯავახი, ლეჩხუმელი, ფშაველი, ხევსური, მოხევე, თუში (ჩაღმა, წოვა), მთიული, გუდამაყრელი... – ყველა ერთად ქმნის ქართველ ერს; ამ ფაქტის არცოდნა და თუნდაც განსხვავებული რელიგიისა თუ მეტყველების გამო რომელიმე კუთხის ქართველის არაქართველად გამოცხადება დანაშაულებრივი შეცდომაა (ასეთი შეცდომა ზოგ ვაიმწერალსაც კი მოსდის). ამ თემას არაერთხელ შეეხო ცნობილი პოეტი ზურაბ გორგილაძე, რომელმაც ერთი ლექსში გულისტკივილი ასე გამოხატა:

„ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით,
საქართველოში ქართველობას არ ვიხვეწები,
მიყვარს ზვავების და ლოდების გულზე ჯახება,

[18] ქართველები თურქეთში: http://diaspora.gov.ge/?p=4164

[19] არაიშვიათად, უცხოობაში აღზრდილ ქართველებს ჩვენი ზოგი თანამემამულე გულს სტკენს სხვადასხვა მიზეზის გამო; იხ., მაგ., დოკუმენტური ჩანახატი „ბორა": https://www.facebook.com/notes/tariel-putkaradze/%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90/10154894836490678/

მიყვარს ამ მთებში გავარდნა და გაყაჩაღება,
ჩემს ხევხუვებში ძველებურად ქუხს მაჭახელა,
ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით!..“[20]

ბატონი ზურაბი განიცდიდა იმას, რომ ისტორიის არცოდნისა თუ, ზოგადად, განათლების სინაკლულის გამო, „მავანნი“ ვერ ხედავდნენ **აჭარელთა ღირსეულ ქართველობას „**(...სულში რისხვა გაჭენდება, უნებურად ხელს ხანჯალზე გაივლებ, ნუთუ ჩემმა სევდიანმა აჭარლობამ საქართველოს წაუხდინა რაიმე?!)[21]. ზურაბ გორგილაძეს საგანგებო სატელევიზიო გამოსვლაც კი ჰქონდა ამ თემაზე: „გამჩენელო, უფალო, სამართალი სად არი?“[22]

აჭარელის, მეგრელის, სვანისა თუ მესხის, ინგილოსა თუ ფერეიდნელის ვინმე უვიცისაგან არაქართველად გამოცხადება გამაღიზიანებელიცაა და დამანგრეველიც; მსგავსი განწყობა იყო 2017 წლის 11 მარტის ბათუმის აქციის ერთ-ერთი მაპროვოცირებელი მიზეზი[23].

აჭარის ქართველობის მძიმე, მაგრამ ღირსეული ისტორია ბევრმა მართლაც არ იცის; არც ის იცის, უახლოეს წარსულში, რა ხდებოდა; კერძოდ:

წმინდა ილია მართლის, დიდი იაკობ გოგებაშვილისა და მათი თანამოაზრეების აქტიურობით მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აჭარაში დაწყებული დიდი აღორძინება – ნაოსმალარი იარების მოშუშება – შეწყვიტა 1913 წელს გამოცემულმა იოსებ სტალინის წიგნმა: „მარქსიზმი და ნაციონალიზმის საკითხები“: ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ აჭარლები მეგრელებთან და სვანებთან ერთად „უმწერლობო ენის“ მქონე „სხვა ხალხად“ გამოაცხადა[24]; ქართველი ერის ერთიანი ეროვნული ცნობიერების დანაწევრებაზე გათვლილი **ეს ფსიქოლოგიური დივერსია ინერციით დღემდე მოქმედებს.** გარკვეულ წრეებში ამას ემატება ის გვიანშუასაუკუნეობრივი მიდგომაც, რომელიც რელიგიის მიხედვით განსაზღვრავს ეროვნებას (1992 წლიდან დღემდე არსებულ ხელისუფლებებს მაინც სასკოლო განათლების გზით უნდა დაებალანსებინათ ეს იდეოლოგემაც; ამ მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დიდი სამუშაო აქვს გასაწევი).

გასაგებია, რომ საბჭოთა პერიოდში კრემლიდან მართული ხელისუფლება **ქართველთა კონსოლიდაციაზე,** კონსოლიდაციის კონტექსტშივე **საკადრო პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის** შემუშავებასა და საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართველობის **ეთნიკური თვითშეგნების** გადარჩენაზე არ იზრუნებდა, მაგრამ არც პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიცვალა რაიმე; მეტიც, სწორედ ბოლო 25 წელიწადში გახდა აქტუალური ფერეიდნელი ქართველის დამწუხრებულ ცნობიერებაში შექმნილი ფრაზა: **„მირჩევნია ირანში გურჯი მიძახონ, ვიდრე საქართველოში – თათარი“.**

მსოფლიოში გაფანტული ქართველების კონსოლიდაცია ვერ მოხდება, თუკი ჩვენი საზოგადოების თვითაღქმაში წინა პლანზე დარჩება ქალაქურ-კუთხური თუ აღმსარებლობით-სოციალური სხვაობები და **წარმმართველი არ გახდება ისტორიული დედაენობრივი და კულტურული ერთიანობა.**

---

[20] „უმღერებელი მუხამბაზი“ http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=2246

[21] იქნებ http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=2253

[22] ზ. გორგილაძის ჩანაწერი იხ.: http://wikibit.me/video/Og6Nfk5n3SE. ბატონ ზურაბს პირად საუბარშიც ჩემთვის არაერთხელ უთქვამს: ბევრი დაწერე აჭარის შვილების გმირულ წარსულზე, ჩვენი კუთხის უმძიმესი ისტორიის მიუხედავად, მაინც ჩვენს საოცარ გადარჩენაზე... ვეუბნებოდი: „მე ენათმეცნიერი ვარ და არა – ისტორიკოსი“; მპასუხობდა: „სწორედ ენამ გადაგვარჩინა!“

[23] აუცილებელია, კიდევ ერთხელ კარგად გავაანალიზოთ ბათუმში პროვოცირებული და ვანდალიზმამდე მისული ბოლო მიტინგის მასშტაბის გაზრდის მიზეზები (მასალებისათვის იხ.: http://batumelebi.netgazeti.ge/news/70972/

[24] „გათიშე და იბატონეს“ რუსულიმპერიული პოლიტიკა სათავეს იღებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთში და პიკს აღწევს სტალინის ეპოქაში; წიგნში: „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (თბ., 1951) კი ვკითხულობთ: „კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?“ (გვ. 138-139)... „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩემია – **ტ. ფ.**) უმაღლესი კულტურის (რუსული კულტურის – **ტ. ფ.**) საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“ (გვ. 142).

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს: დღეს განათლების სისტემის შესაბამისმა სამსახურებმა თუ მასმედიის საშუალებებმა პარტიულ ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტირები და, ეროვნული კონსოლიდაციის მიზნით, მეტი აქცენტი გააკეთონ **ერთიანი საქართველოსათვის** სხვადასხვა კუთხის ქართველობის ისტორიულ დამსახურებაზე, მაგ., სვანების მიერ კავკასიის გადმოსასვლელების მეცხოვნეობაზე, სამხრეთ თუ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა – ტაოელთა, იმერხეველთა, კლარჯთა, ლაზთა, აჭარელთა, ერუშელთა, ჯავახთა, სამცხელთა – დაღვრილ სისხლზე; **სისხლზე, რომელმაც საქართველოს ცენტრალური კუთხეების მცხოვრებთ უცვლელად შეუნარჩუნა ქართველური მეობის განმსაზღვრელი მარკერები** (ენა, სარწმუნოება, ტრადიციები...), ქართული კულტურის მესაძირკვლეების (იოვანე ლაზის, იოვანე მინჩხის, ჭყონდიდლების...) შთამომავალთა – კელასურის დიდი კედლის ამგებ მეგრელთა – **ზოგადქართულეროვნულ ძალისხმევაზე** და სხვ.

აუცილებელია, ასევე, სასკოლო სახელმძღვანელოდ შეიქმნას საგანი „ქართველთა ენობრივი სამყარო“, სადაც აღწერილი იქნება საქართველოს ყველა კუთხის ქართველთა დიალექტები, კუთხური ეთნოგრაფიული მახასიათებლები, ამ კუთხეებიდან გამოსული წმინდანები, ეროვნული გმირები თუ მოღვაწეები... რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ქართველი ერის მეტ კონსოლიდაციას.

გამოწვევა მეცხრე: ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, აჭარაში (ბათუმში) მცხოვრები საქართველოს ყველა მოქალაქის გააზრება, როგორც საქართველოს ერის (ხალხის) ნაწილისა, ფართო გაგებით, ერთიანი ქართველი ერის შემადგენლისა (მოქალაქეობა = ეროვნება); განსხვავებული რელიგიისა თუ ეთნოსის მისამართით საქართველოში არასოდეს იყო „სიძულვილის ენა“. ბოლო პერიოდში ჩნდება მსგავსი რადიკალური გამონათქვამები[25], რაც შეიძლება ორი მიზეზით აიხსნას:

– საზოგადოების ამ ნაწილის განათლების დაბალი დონით;

– გარედან პროვოცირებით.

არც ერთ შემთხვევაში გასაქანი არ უნდა მიეცეს საქართველოში „სიძულვილის ენის“ დამკვიდრებას: საქართველო ცივილიზაციათა მრავალმხრივ გზაჯვარედინზე არსებული სახელმწიფოა და საზოგადოების რადიკალიზაცია გამოუვალ ჩიხში მოაქცევს აქ მცხოვრებ ყველა მოქალაქეს. პრევენციის მიმართულებით განუზომელი როლის შესრულება შეუძლია მასმედიის საშუალებებსა და სოციალურ ქსელებს, შესაბამისად, ამ მიმართულებით არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ თვითშეგნებასა და სწორ სამოქალაქო განათლებას.

თანამედროვე მსოფლიოს სწორი ორიენტირია მოქალაქეობისა და ეროვნულობის გათანაბრება:

ერად გაიაზრება არა მხოლოდ ერთი წარმომავლობის, ერთი ენის, ერთი ისტორიის საზოგადოება, არამედ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობა; ამ გზით მიდის ამერიკაც, ევროპაც და აზიაც; ეს უნდა იყოს ჩვენი გზაც:

არაფერი გვიშლის ხელს, რომ ტერმინი **ერი** ორგვარად გავიაზროთ:

– ვიწრო გაგებით: საერთო ეთნიკური მახასიათებლების მქონე საზოგადოება – **ქართველი ერი;**

– ფართო გაგებით: საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირთა ერთიანობა – **საქართველოს ერი.**

პარალელურად, საქართველოს ყველა მოქალაქე თანაბრად ვალდებული უნდა იყოს საქართველოს წინაშე და სახელმწიფოც, ხელისუფლებაც მობილიზებული უნდა იყოს, რომ ყველა მოქალაქეს შეუქმნას თანაბარ პირობებში ცხოვრების პირობები.

---

[25] https://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf; http://fact2.ge/%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C-%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1/

ᲓᲐᲓᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲓᲘᲫᲔ

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲝᲒᲝᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲛᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ





2017 წელს მკითხველმა მიიღო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის – ოთარ გოგოლიშვილის ორი უაღრესად საინტერესო მონოგრაფია: „უცხოელი ავტორები მე-19 საუკუნის ბათუმის შესახებ (1804-1898 წწ.)“ და „საქართველოსა და ევროპის ურთიერთობა ანტიკური პერიოდიდან მე-18 საუკუნის ჩათვლით“.

პირველი წიგნი ორი სამეცნიერო ნაშრომისგან შედგება. პირველ ნაშრომში – „უცხოელი ავტორები მე-19 საუკუნის ბათუმის შესახებ (1804-1898 წწ.)“ – საუბარია უცხოელი მოგზაურების, სწავლულების, სამხედრო პირების შესახებ, რომლებიც ბათუმში იმყოფებოდნენ როგორც ოსმალთა მფლობელობის, ისე ცარიზმის ოკუპაციის დროს, და რომლებმაც უძვირფასესი ცნობები დაგვიტოვეს ბათუმის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო ცხოვრების შესახებ. ნაშრომში სიღრმისეულადაა შესწავლილი მათი შეხედულებები ბათუმის შესახებ. ეს მასალები უნიკალური და უძვირფასესია ბათუმის წარსული ისტორიის შესწავლის საქმეში. მკითხველი თავად დარწმუნდება, რამდენად საინტერესოდ წარმოაჩინა უცხოელების ჩანაწერებმა ბათუმთან დაკავშირებული ბევრი ფაქტი და მოვლენა. საქართველოს ამ რეგიონში იმხანად განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის წარმომადგენელი ჩამოიყვანა აქ – ზოგი მეცნიერული კვლევის მიზნით მოდიოდა, ზოგი კიდევ – ეთნოგრაფიული ჩანაწერებისთვის, ზოგი მოგზაური იყო, ზოგი დიპლომატი, ზოგიც – ბოტანიკოსი და ა. შ. თითოეული მათგანი აქ მიმდინარე მოვლენებს საკუთარი თვალით დანახულს წარმოაჩენდა და ამდენად, ეს მასალები საყურადღებო და საინტერესოა. ისინი მნიშვნელოვანი პირველწყაროა ზოგადად იმდროინდელი საქართველოს შესასწავლად. წიგნში ბევრი სიახლეა, მოყვანილია უამრავი საარქივო დოკუმენტი; საგულისხმოა, რომ ბევრი მათგანი ავტორმა პირველმა შემოიტანა მეცნიერულ ბრუნვაში. ამ დოკუმენტების უმეტესი ნაწილი მოძიებულია საქართველოსა და რუსეთის არქივებში. მკითხველი წიგნში ბევრ საინტერესო პიროვნებას გაიცნობს, რომელთა შესახებ აქამდე არაფერი იყო ცნობილი.

რაც შეეხება წიგნის მეორე ნაწილს – „ბათუმის ოლქის ეკონომიკური განვითარება მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში“ – მასში საინტერესო ასახვა ჰპოვა აღნიშნილი პერიოდის ქალაქის სამრეწველო მდგომარეობამ; ნაჩვენებია ბათუმში არსებული ფაბრიკებისა და ქარხნების მუშაობის სპეციფიკა. აქაც ძალიან ბევრი სიახლეა; წარმოდგენილია არაერთი ცხრილი, რომლებიც საინტერესოდ ასახავს ბათუმის ეკონომიკური განვითარების სურათს მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში.

პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის მეორე წიგნი – „საქართველოსა და ევროპის ურთიერთობა ანტიკური პერიოდიდან მე-18 საუკუნის ჩათვლით“ – ეხება დღეისათვის უაღრესად საყურადღებო საკითხს, კერძოდ, საქართველოსა და ევროპის ურთიერთობებს ანტიკური პერიოდიდან მე-18 საუკუნის ჩათვლით. ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საქართველოს თავისი ღირსეული მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საინტერესო ურთიერთობები ჰქონდა ევროპასთან და ეს ურთიერთობები ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მათ შორის მჭიდრო კავშირების დამყარებაში გამოიხატებოდა. ნაშრომში, ისტორიოგრაფიაზე დაყრდნობით, საყურადღებოდაა შესწავლილი საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან ანტიკური პერიოდიდან, კერძოდ, ძველი საბერძნეთიდან და რომიდან, და ამ მიმართულებით წარმოჩენილია ყველა საუკუნე, დაწყებული ადრეფეოდალური ხანიდან, დამთავრებული გვიანფეოდალურით. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული განვითარებულ ფეოდალურ ეპოქაზე (X-XV საუკუნეები), როდესაც საქართველოს ურთიერთობა ევროპის ცალკეულ ქვეყნებთან უმაღლეს ნიშნულამდე ავიდა. წიგნი გამოცემულია „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ხელშეწყობითა და დაფინანსებით.

პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის მონოგრაფიები ყოველთვის სარგებლობს მკითხველი საზოგადოების განსაკუთრებული დაინტერესებით. მისი ბოლო ორი მონოგრაფიაც არ არის გამონაკლისი – ისინი საინტერესო სიტყვაა მეცნიერებაში და ამდენად, მნიშვნელოვან შენაძენიც ფართო საზოგადოებისათვის.

ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ 5 2017